

# ჩვენი მწერლობა

გამოდის თვეში ორჯერ პარასკეობით

ფასი 1,50 ლარი

12 მაისი 2006 №10



ედემი დედამინაზე

კონსტანტინე ზ. გამსახურდიას შვეიცარიული დრო

შექსპირი დეტექტივის ფანის თვალთ

ფრანგების ასი საყვარელი წიგნი

ვაჟა ხორნაულის ახალი ლექსები

უბრალო მგზავრი – ბესო ხვედელიძე

მატუტეს ბიჭები



## შინაარსი

<b>რედაქტორის გვირგვინი</b>	<b>2</b>	<b>გრემ რიკიომ – ქედუსრელოვის სიმგომოდ</b>
<b>ქესპრეს-ინტერვიუ</b>	<b>3</b>	<b>მართომ „ჩაქრულომ“ არ ქმარა</b> (საუბარი ანზორ ერქომიშვილთან)
<b>ჩვენი ყოფა, ნუთისოვლი</b>	<b>6</b>	<b>ლალი გვიმრაძე ეღვი დედამინაზა</b>
<b>გაღი ნიგინა</b>	<b>8</b>	<b>ეკა ბუჯიაშვილი რამდენიმე ინტერვიუ ერთი საქითხის გარემომ</b>
<b>ქროზა</b>	<b>11</b>	<b>ოთარ ჩხეიძე ისევ დადინანი</b> (ჩემი სოფლის ეტიუდებიდან)
	<b>16</b>	<b>გივი აღხაზიშვილი მინიატურები</b>
<b>ქოეზი</b>	<b>21</b>	<b>ვაჟა ხორნაული იქ, სადაც სიყვარულია და სხვა ლექსები</b>
<b>უსმონის სსოვრებიდან</b>	<b>25</b>	<b>ალენ ტეიტი ეზრა პაუნდი და გოლინგენის პრემია</b>
	<b>27</b>	<b>ალინა ქადაგიშვილი-ოქროპირიძე</b> <b>ფრანგების 100 საყვარელი ნიგნი</b>
<b>ენისტიკა</b>	<b>29</b>	<b>კონსტანტინე ზ. გამსახურდია ჩემი შვეიცარიული დრო</b>
<b>მომგონებთა სიქირიდან</b>	<b>31</b>	<b>შიო მღვიმელი ალექსანდრე ყაზბეგი</b>
<b>პარაქოქსები</b>	<b>34</b>	<b>როსტომ ჩხეიძე მკვლელი-ჭირისუფალი</b>
<b>ღებუქივი</b>	<b>36</b>	<b>ჯეიმზ ტარბერი ტრამბლია „მაქბეთის“ სანიღუმლოვა</b>
<b>ღიალოგი</b>	<b>39</b>	<b>ლელა კოდალაშვილი უბრლო მგზავრი –</b> <b>ბასო სვედელიქა და ჩვენც, ყველანი, მომავლის მოლოდინში</b>
<b>რეპორტაჟი</b>	<b>43</b>	<b>მინც რას გულისხმობს დემოქრატია?</b> (დევიდ ლორენსის ესეების განხილვა)
<b>ფიქრები</b>	<b>46</b>	<b>ვახტანგ დავითია ცსოვრების ფურცლები</b>
<b>ქრითიქა</b>	<b>49</b>	<b>მაია ჯალიაშვილი ლექსები – ანთიქული სანთლები</b> (ფიქრები გიორგი ლობჯანიძის პოეზიაზე)
<b>გამომხატვა</b>	<b>54</b>	<b>თეა შურღია ისტორია თანამედროვე ირანელთა თვალთ</b>
<b>ქოეზის მერიღინაზა</b>	<b>55</b>	<b>ფელიქს ბრაუნი შემოდგომის ოდა და სხვა ლექსები</b>
<b>უსმონი ნოველა</b>	<b>58</b>	<b>ანა მარია მატუტე ბიჭები</b>
<b>ნაქესები</b>	<b>61</b>	<b>მასვილსიტყვარების ნიშუები</b>
<b>მონიქა</b>	<b>63</b>	<b>რას ნიშნავს ქინოვარსკვლავობა</b>

დამფუძნებელი „ილიონი“

მისამართი: თბილისი,  
ჩუბინაშვილის №41

რედაქცია – (995 32) 95-23-24

რეკლამა – (995 77) 48-12-24

გავრცელება – (995 99) 93-18-52

ფაქსი: (995 32) 96-20-62

E-mail: info@mtserloba.ge



დაბეჭდილა საბეჭდო „ომეგა ტეგი“  
საქათოქო, თბილისი, საქათოქილი 17  
ტელეფონი: +995 32 53 03 62

PRINTED BY "OMEGA TEGI" PRINT HOUSE  
TBILISI, GEORGIA, 17 SARAJISHVILI STREET  
TELEPHONE: +995 32 53 03 62

მთავარი რედაქტორი – როსტომ ჩხეიძე

პროზის რედაქტორი – მაქა ჯოხაძე პოეზიის რედაქტორი – გიორგი ლობჯანიძე

კრიტიკისა და თარგმანის რედაქტორი – თამაზ ნატროშვილი

დიზაინერი – მალხაზ იაშვილი მხატვრული რედაქტორი – კარლო ფაჩულია

კორექტორი – ნინო დეკანოიძე დაქაბადონება – ლევან ჩხეიძე

ოპერატორი – თამარ ჩიხლაძე სარეკლამო მენეჯერი – მაქა ჯაფარიძე

გავრცელების სამსახური – ლევან ბინაძე

გარეკანზე: მაქა ლდოკონენის ილუსტრაცია

ვილა პალმ ბიჩზე

„ჩვენი მწერლობის“ მომღვწო ნომერი გამოვა 26 მაისს

# ბრებ რიკიო – ქედუხრელოვის სიმბოლოდ

– შენ ხალხის თვალში გოროზი და ქედმაღალი უნდა იყო, რიკიო, გესმის?

გურამ დოჩანაშვილის რომანიდანაა ეს ფრაზა – „სამოსელი პირველი“, ეს ფრაზაც და ის პორტრეტიც ხელისუფლებისაგან შექმნილი ხელოვანისა, გრეკ რიკიომ რომ უნდა განასახიეროს თავისი სიგოროზითა და ქედმაღლობით.

მარშალი ბეტანკური თან ტკბება თავისი ამ მიგნებით, თან ხელოვნურად გამოყვანილი შემოქმედის არსსა და შექმნის ტექნოლოგიას გადაგვიშლის თვალწინ; და გრეგ რიკიოს რომ ესტუმრება, ისეთი სიფრთხილით აკაკუნებს მისი მდიდრული სენაკის კარზე, გაოგნებულს ტოვებს ყველას, და მათ თვალში უზომოდ იზრდება დიდოსტატი მხატვრის ქედუხრელობა, მაგრამ შიგნით შევა და კარს გამოიხურავს თუ არა, ფერთა ხელოვანი ორსავ მუხლზე ემხოზა მის წინაშე, ნოხში რგავს ვინო, მაღალ შუბლს და ღაღადისად აღევილინება:

– აჰ, ჩემო განუყრელი მუზავ, და ოლიმპო, გრანდიოზულო დიად-მარშალო, სამფენ...

მაგრამ უხეშად უნდა შეაწყვეტინონ:

– ჯერ ტაში შემოჰკარ, მერე შეხტი და ხელებგაშლილმა დაიძახე: „ჰოპ!“

და გრეგ რიკიოც ჯერ მონდომებულ ტაშს რომ შემოჰკრავს, მერე ღონივრად შეხტება და ხელებგაშლილი დაიძახებს: „ჰოპ!“ – მარშალი ასე ადვილად მაინც ვერ დაკმაყოფილდება და: უფრო მძლავრად, – რომ გადაუგდებს, ისიც მთელი არსებით შეჭდრიალებს: ჰოოოოოპ!

და ედმონდო ბეტანკური თხილს ჩაუდებს თავისი ხელით პირში ფერად მუზათა ნავსაყუდარსა და მეგობარს, მაღლიერებისაგან ცრემლმომდგარი თვალებით რომ აჰყურებს მბრძანებელს.

მერე მოსდევს ის შეგონება: ხალხის თვალში გოროზი და ქედმაღალი უნდა იყო, – და ამ გარეგნული იერის აუცილებლობას ასე დაუბეჯითებს:

– ამ დაშინებულ ხალხს შენ, მუზათა ეგრეთნოდებული მეგობარი, ჰმ, ჰეჰ... – ჰაერივით სჭირდები და სწორედ შენში იმ სითამამესა და შეუპოვრობას უნდა ხედავდეს, რაზედაც ღამლამობით იშვიათად შეუგნებლად ოცნებობენ და შენს იმ ქედმაღლობაში, ჩემი ნაქეზებით რომ გამომდინარეობს, იმ ოცნებათა დაკმაყოფილებას ხედავენ... შენ, გრეგ რიკიოს, მე, დიდმა მარშალმა მოგეც პალიტრა, ფუნჯი და ტილო, მოგეც ქონება, აჰ, მარმარილოს რა ჭიშკარი შემოარტყი შენს მდიდრულ ბინას, ეზოში ავი ძაღლებიც გივის, და ქონებასთან ერთად მოგეც პატივისცემა... ეს ყოველივე შენ მოგეც, რათა ხატო და ხატო, რიკიო, გესმის?... ჩვენ ერთმანეთი მშვენივრად ვიცით. და ქედმაღლობას თუ დაივინყებ, – ახლა კი არა – ხალხის თვალში, თვით მიჩინოს, ანდა კადიმას ცალი თვალით ვანიშნებ შენზე... რადგან ამ მონურად ერთიანად მორჩილ და მაინც ჩემს განსხვავებულ, სამფენოვან ხალხში შენდამი რწმენა დაიკარგება, და ვაითუ რომ, საკუთარი რწმენის ძებნას შეუდგნენ, შენში ხედავენ თავიანთ სიამაყეს, და შენი ქედმაღლობის ხარჯზე უნდა მოდუნდნენ... დიდი ფუნქცია გაძევს კისერზე, დიდი ფუნქცია, გრეგ, აბა, ნამოდექ, და გაიბღინძე.

მკაცრ სატირადაც შეიქმნებოდა „სამოსელი პირველი“, ზუსტი, ტევადი დეტალებითაც გადახუნძლული, და მხო-

ლოდ ეს პასაჟიც რომ გადაიკითხო, სრული წარმოდგენა შეგექმნება მარშალზეც, ასეთ ხელოვანზეც, მთელს იმ რეალობაზე, იმ სახელმწიფოებრივ სტრუქტურაზე, რაც თითქოს ერთ ქვეყანას წარმოსახავდა, მაგრამ მხატვრული განზოგადება და ძალა ერთ სივრცეში ვერ ჩაკეტავდა რომანის ზეგავლენას. და არც გრეგ რიკიოა ამა თუ იმ ადამიანის, კერძო ხელოვანის გადასახლება წიგნის ფურცლებზე, და თუ გურამ დოჩანაშვილი გაგიმჟღავნებთ, რომ რიკიოს თავისი რეალური პროტოტიპიც ჰყავს, ის პროტოტიპი სინამდვილეში მხოლოდ ერთი ანასხლეტი იქნება ამ განზოგადებული სახისა, ანასხლეტი, რომელიც, ცხადია, ადასტურებს ხელისუფლებისაგან გამოძერწილი ქედუხრელი ხელოვანის ბიოგრაფიულ მოდელს, ისე ზუსტად მოერგება მარშალ ბეტანკურის ტექნოლოგიას.

გესმის, რიკიო?

ესმის, სხვა, აბა, რა ესმის, მუხლზე დაცემულმა უნდა იფორთხოს ერთი თხილის გულისათვის, ტახტის ქვეშაც იძრომილოს, მერე კი სტუმრებში გაერიოს გამოძერწილი სახით, კიდევ ერთხელ მოიმკოს აღფრთოვანებული, მოწინებული მზერა და მარშალის გამოჩენას ამაყად შეხედვს.

\*\*\*

ზუსტი, ტევადი დეტალებით გადახუნძლული...

ის პასაჟი იყო თუნდაც, ოთო-ექიმი დომენიკოს რომ შეგაგონებს, ამ გარემოში მოხვედრით გაოგნებულსა და ზარდაცემულს: მითუფრო თავზეხელაღებულია ქვედა კამორელი, რამდენადაც უფრო ზრდილობიანად გებაასებაო.

მიზეზსაც განუმარტავს:

– ... თავზეხელაღებულებს მშვენივრად აქვთ მონყობილი ცხოვრება და, კმაყოფილი, თავაზიანად საუბრობენ. აქ მართლა ნესიერი კაცია რამდენიმე, ინტელიგენტები, არისტოკრატიული ოჯახიდან გამოსულნი, რომლებიც ჯერ ზედა კამორაში, მერე კი აქ, გაყვლიფეს, ძალიან უჭირთ და, განათლებისა და აღზრდის მიუხედავად, სულ დედის გინებაში არიან.

– და, ესე იგი, ბიძია ოთო, ტყუილ-უბრალოდ ვინც იგინება, ყველას მივენდო? – იკითხავს გულუბრყვილო ყმანვილი, მაგრამ ექიმი სიფრთხილეს ურჩევს:

– არა, რას ამბობ, რას, დომენიკო... ზოგი ოხერი ხანდახან განგებ იგინება – ვითომ ინტელიგენცია...

\*\*\*

იქ კი, ფრიად საიდუმლო ოთახში დიდი მარშალი მრისხანედ შესცქერის საღებავებში ამოთხაზნილ, აცახცახებულ გრეგ რიკიოს:

– მე რა გითხარი, შე ვიგინდარა, ხუთნი უნდა იყვნენ-მეთქი.

– კომპოზიციაში მეხუთე კაცი არ ჩავტია, გრანდისს...

– კომპოზიციის პატრონი დედაც, ჩავტევ მე შენ იქ...

და შეუიქრიანდება, ამოდენა შიშით ვაითუ გრეგ რიკიოს პანია გულს გაუსკდესო, და დაუყვავებს, ეს სურათი კი კარგად გამოგიხატავს, შეიძლება ითქვას, რომ ოსტატურიაო.

და, ყოველი შემთხვევისათვის, აუცილებელი გაფრთხილება:

– მაგ სურათს რომ მოატანინებ ჩემს რჩეულ სტუმართა თანდასწრებით, ძალიან ამაყად დაიჭირე, იცოდე, თავი, თო-

## რედაქტორის გვირავი

რემ გაგაქრობ, ალგვი. და როცა შეგაქებ, ეგ გაზინტლული ცხვირ-პირიც ამაყად მიაბრუნე განზე. გესმის?

ესმის, რიკიოს, აბა, სხვა რა ესმის ასე საშიშრად და ასე ნეტარად. და გაზინტლულ ცხვირ-პირს ამაყად რომ მიაბრუნებს განზე და ალტაცებული ჩურჩული გადაივლის სტუმრებში, და მეორე დღეს კი მთელს კამორას მოედება ხელოვანის ეს კიდევ ერთი ქედუხრელი ყესტი, ბევრს თუ აებმის თვალი, ოთო ექიმსა და მისთანათ – არაფრისდიდებით. მათ სულაც არა სჭირდებათ იმ სცენების შემსწრენი იყვნენ, თუ როგორ დაძრომილობს და შუბლს იატაკს უხათქუნებს გოროზისა და ქედმალლის შარავანდით შემოსილი მუზათა მეგობარი, გუმანი ისედაც მიახვედრებთ და გრეგ რიკიობის არსსა და მისი შექმნის აუცილებლობასაც მინვდებიან იდუმალი მზერით, რაკილა მუზათა მეგობარიც და დიდი მარშალიც ერთი ცომიდან არინ მოზელილნი, ერთი წვენიტ ნაკვებნი და ერთმანეთს გადაჯაჭვულნი – უერთმანეთოდ არც გაეძლებათ.

ტრაგიკომიკურობა მსჭვალავს ამ სცენებს – იატაკზე ფორთხვისაც, პორტრეტზე მუშაობისაც, სტუმრების წინაშე ამაყად ჩავლისა და მარშალის ქების გაგონებაზე ირონიული ჩაცინებისაც...

და შესციცინებს კამორელი საზოგადოება თავის პოპულარულ ხელოვანს და იმ სითამამესა და შეუპოვრობას ჭვრეტს მასში, იმ რწმენას ანივთებს, იშვიათად და შეუგნებლად რომ წაიოცნებებს ღამლამობით, ამაყდებიან მისი შემყურენი, საკუთარ რწმენას აღარ ეძებენ და ისე მშვიდდებიან, ისე უდუნდებთ ხელ-ფეხი, ისეთი ჟინით მიილტვიან წამოსაწოლად და წასაოცნებებლად, იმ კამეჩისა არ იყოს, ლაფში ჩაფლული ურემი შინ მიტანილი რომ ჰგონია.

\*\*\*

– ესე იგი, ტყუილუბრალოდ ვინც იგინება, ყველას მივენდო? – გაურკვევლობაში რალაცის ხელმოჭიდებას ღამობს დომენიკო, ყმანვილი მგზავრი.

## ექსპრეს-ინტერვიუ

# მარტო „ჩაკრულო“ არ კმარა

\*

### საუბარი ანზორ ერქომაიშვილთან

– ბატონო ანზორ, ახლახან დაბრუნდით სკანდინავიის ქვეყნიებიდან. ალბათ, ბევრი რამ გაქვთ მოსაყოლი. გავვიზიარეთ თქვენი შთაბეჭდილებები. რით დაამახსოვრეთ მასპინძლებს თავი და მათგან რა ჩამოგყვათ საინტერესო და საგულისხმო?

– ძალიან დიდი ტურნე გამოგვივიდა. 40 დღე დაყვავით სკანდინავიის ქვეყნებში. მოვიარეთ ბალტიისპირეთის ქვეყნები და შვედეთი. 25 კონცერტი გამართა ჩვენმა – საქართველოს ხალხური ცეკვისა და სიმღერის სახელმწიფო აკადემიურმა ანსამბლმა „რუსთავმა“.

აქ გაზაფხულის პირი იყო, რომ წავედით. იქ კი ყინვა დაგვხვდა. თუმცა ამინდს რა მნიშვნელობა აქვს?! უფრო გულთადი დახვედრა წარმოუდგენელია. ემოციებს, თავის აღფრთოვანებას ჩვენი მასპინძლები ვერ ფარავდნენ – ფეხების ბრაზუნით, ყოფინითა და შეძახილებით ეხმიანებოდნენ ჩვენს მომღერლებსა და მოცეკვავეებს... მთელი დარბაზი ფეხზე იდგა ხოლმე. სხვანაირად ერთი კონცერტიც არ ჩატარებულა.

ჩვენი პროგრამა ამჯერად ცოტა განსხვავებულად იყო შედგენილი. ჩვენმა იმპრესარიომ – რომა მიოლერმა, რომელიც წარმოშობით ფინელია, მოგვთხოვა, პროგრამა ქართულ ქორწილზე აგვეგო. თემატური კონცერტი იყო. ვასილ ჩიგოგიძის დახმარებით დავიკავშირდნენ. ეს პიროვნება ადრე ოზურგეთის თეატრის მთავარი რეჟისორი გახლდათ, ახლა კი ესტონეთისა და ესპანეთის საერთაშორისო ფესტივა-

ლების მთავარი რეჟისორია. მას დაუკავშირდნენ და სთხოვეს ანსამბლ „რუსთავს“ ასეთი პროგრამა მოემზადებინა. ერთად მოვამზადეთ.

ასე ავანყვეთ: ყველა კუთხის მომღერლები და მოცეკვავეები ჩამოდიან ნეფე-დედოფალთან და სიმღერითა და ცეკვით ულოცავენ დაქორწინებას. ასე გავაერთიანეთ მთელი საქართველო.

პირველად ვილნიუსში გავმართეთ კონცერტი და მივხვდით, რომ დანარჩენ ქვეყნებშიც მოეწონებოდათ. ვერც კი წარმომეგინა, თუ შეიძლებოდა ჩრდილოელი ხალხის ასე ანთება.

საელჩოს წარმომადგენლებმა გვითხრეს კიდევაც, აქ ასეთი რამ არ ხდება ხოლმეო. მერიდება კიდევ ამაზე საუბარი. ეს ადამიანმა თვითონ უნდა ნახოს. მოყოლა არ შეიძლება...

ვთქვი და გავიმეორებ, როდესაც ანსამბლი მიდის გასტროლებზე, მას ჟურნალისტი და ოპერატორი უნდა გააყოლონ, რომ აღბეჭდოს. თორემ გასტროლებიდან დაბრუნებული კაცი მონადირესა ჰგავს. დამადასტურებელი მასალა გჭირდება, რომ მართლა ასე იყო და არაფერს აჭარბებ. ყველას გაზეთებს ხომ ვერ ნაუკითხავ?

ეს არის ერის ისტორია, ჩვენი კულტურის ისტორია და ასეთი რამ უსათუოდ უნდა აღიბეჭდოს. ეს მე არ მჭირდება. ეს ყველაფერი მე უკვე ვნახე და განვიცადე. ის საზოგადოდ ერს სჭირდება და მომავალს სჭირდება. უნდა შევიწახოთ!

გადავდიოდით და გადმოვდიოთ ქალაქიდან ქალაქში და ქვეყნიდან ქვეყანაში. ესტონეთიდან გადავდიოდით ფინეთში, იქიდან – შვედეთში, პირიქით და ასე დაუსრულებლად. ზღვა იყო გაყინული. ისე გაყინული, რომ დაეძგერებოდა გემი ამ ყინულებს და ზოგჯერ ვერ გაჰქონდა. ისე რომ, ერთხელ დამხმარე გემის გამოძახებაც კი დაგჭირდა. ირგვლივ უამრავი სელაპი იყო. ყინული და სელაპეები...

ხმელეთზე გადასულებს ავტობუსით გვიწვედა დიდხანს მგზავრობა და ერთი-ორჯერ მანქანაშივე გავათიეთ ღამე. ამ



სინდელესაც გაუძღეს ჩვენმა გოგო-ბიჭებმა და ჩრდილოელთა გაყინული გულები ქართული ცეცხლით გააღვსეს.

მსახიობისთვის ყველაფერია ტაში. ამ ტაშმა ჩვენც დიდი სითბო და სიხარული მოგვანიჭა.

სულ მეშინია, ტრაბახი არ გამომივიდეს...

ბევრნი არიან სკანდინავიაში ქართველები.

მოდით დენ და მოდიოდნენ.

იქაური ქართველები ყველაფერს აკეთებენ საიმისოდ, რომ ქართულ კულტურას გამოადგინენ. იაშა ყურშუბაძე ხელმძღვანელობს ქართველთა სათვისტომოს ესტონეთში და არაფერს იშურებს ჩვენი ქვეყნის ღირსეულად წარმოჩენისთვის. აქვეა რატი და შაკა სამხარაძეების ოჯახი, რომელთაც ქართული რესტორანი „ფიროსმანი“ აქვთ. მართლაც რომ ქართული სული ტრიალებს იქ და იშვიათი სანახაობაა. ასეთი დასაპორა ყოველთვის დაიცავს ჩვენს ეროვნულ ღირსებებს.

ბევრი რომ არ გავაგრძელო, გვეუბნებოდნენ, წარმოდგენელი რამ მოხდა: აქაურ ხალხს თავი დააკარგვინო, ეს ყოველთვის შეუძლებლად მიგვაჩნდა, ასეთი რამ არ გვინახავს.

რომ წამოვედით, კიდევ თოვდა და კიდევ ყინავდა... იქ ჩვენი გავუთბეთ გული ჩრდილოელებს, ჩამოვედით და აქ ჩვენი ქვეყნის გაზაფხულმა აგვავსო და გაგვათბო. სამშობლოში თავისდაუნებურად მღერის გული...

**– გული გამღერებთ, სხვასაც ასწავლით და აზიარებთ ჩვენი სიმღერის ხელოვნებას, დაკარგვას რომ გადაურჩეს, აგროვებთ ეროვნულ საუნჯეს. ამას დიდი ჯაფა და დრო სჭირდება. დროს მაინც პოულობთ, რომ წეროთ. მგონი, უკვე გამოსაცემად მზადაა თქვენი ახალი წიგნი. ვფიქრობთ, თქვენი მოგონებები და ჩანაწერები არანაკლებ საინტერესო და მნიშვნელოვანია მომავალი თაობისთვის. იქნებ თქვენ თვითონ ბრძანოთ, რას გვიამბობს თქვენი ახალი წიგნი?**

– როცა ვწერ, ბელეტრისტიკაზე არანაირი პრეტენზია არ გამაჩნია, ერთი რამ კია. ვასტროლებზე როდესაც ვიმყოფებოდი, ეს განსაკუთრებით საბჭოთა პერიოდს შეეხება, მინდოდა იქიდან დანახული საქართველო წარმომეგდინა. გადმოვცემდი იქაურ ყოფას და ჩვენსას ვადარებდი. იქნებოდა ეს ამერიკა, იაპონია თუ სხვა ადგილი... ამის სურვილი სულ თან დამყვება.

წლების წინათ ჯანსუღ ღვინჯილიამ გამოსცა ჩემი წიგნი „ხმა უცნაური“, რომელშიც თავი მოიყარა ამ ჩემმა შთაბეჭდილებებმა.

ამას წინათ დავწერე „ჩემი წინაპარი“ - მოგონება, რომელიც ჩემი გვარისა და ჩემი წინაპრების შესახებ მოგიტრობოთ. იყო ასეთი მაგალობელ-მომღერალი – გიგო ერქომაიშვილი – ჩემი დიდი ბაბუა. 107 წელი იცოცხლა და კარგად მახსოვს. ის მასწავლიდა წერა-კითხვას. იშვიათი მომღერალი და გურული ფოლკლორის უბადლო მცოდნე იყო. გარდა ამისა, იმ პერიოდისთვის განათლებული პიროვნება გახლდათ, თუმცა სკოლაში არ უსწავლია, ნაკითხი კაცი იყო. სიცოცხლის ბოლომდე გამყვება მისი სპეტაკი დამოკიდებულება არა მარტო სიმღერის, არამედ დაძმობის, წინაპრების ხსოვნის მიმართ.

**– გიგო პაპას სიმღერისადმი დამოკიდებულება სხვებისგან რითი იყო გამორჩეული?**

– სიმღერა მისთვის არ ყოფილა მხოლოდ სიმღერა, გალობა არ იყო ცალკე აღებული რამ. ეს იყო მისი ცხოვრების განუყოფელი ნაწილი - სისხლი და ხორცი. სიმღერის გამარჯება, ან თუნდაც ცუდად სიმღერა მისთვის დიდი შეურაცხყოფა იყო.

ეს ის კაცია, რომელმაც პირველი ანსამბლი შექმნა გურიაში მე-19 საუკუნის 50-იან წლებში. ამ ანსამბლის წევრთა შესრულებით ინგლისურმა ფირმა „გრამაფონმა“ 1907 წელს ორმოცდაათამდე გურული სიმღერა ჩაწერა. სამაგიეროდ, გიგოს არუქეს გრამაფონი, რომელიც ახლა ჩემთან ინახება.

გავიდა წლები და მე ეს ჩანაწერები ვიპოვე ლონდონში. ჩამომაქვს და გავაცოცხლებ. ვაპირებთ გამოვცეთ ხალხური სიმღერების ანთოლოგია.

გიგო ერქომაიშვილს უსიმღეროდ არ შეეძლო. სიმღერით იღვიძებდა და სიმღერით იძინებდა. მშვიდი კაცი იყო. ხმას მხოლოდ სიმღერაში აუწევდა.

ასეთი იყო გიგოს შვილი – ბაბუაჩემი – არტემ ერქომაიშვილი.

სიმღერის სიყვარულში გამოიხატებოდა მათი დიდი სიყვარული სამშობლოსადმი. ყველაფერს აკეთებდნენ სიმღერის მოძიებისა და გადარჩენისათვის. არაერთხელ უთქვამს ბაბუაჩემს ჩემთვის, კაცმა უნდა გააკეთოს ის, რაც ხელეწიფება, რაც კარგად გამოსდის. ილიას ოთარაანთ ქვრივისა არ იყოს, შეუძლებელ საქმეს არ უნდა ეთრევიოსო.

და თუ გადარჩა ქართული სიმღერა, სწორედ ასეთი მოღვაწეების მაღლი და წყალობაა.

ყველა კუთხეს ჰყავს ასეთი მაღლიანი ხალხი. უბრალოდ, მე ბაბუაზე გვიამბეთ.

ჩვენი დღევანდელი წარმატებაც, რომელზეც წელან ვყვებოდი, ჩვენი წარმატება არ ყოფილა. ეს იმ ჩვენი ბაბუების გამარჯვებაა. ჩვენ მხოლოდ მათი ინტერპრეტატორები ვართ. უცხოეთში ტაშს რომ გვიკრავენ, მრცხვენია კიდევ.

ის ხალხი ვერ მოესწრო იუნესკოს აღიარებას. 2001 წლის 18 მაისის სხდომაზე ქართული ხალხური სიმღერა მსოფლიო პოლიფონიის შედეგად გამოაცხადეს. მე იმ სხდომას ვესწრებოდი და ჩემს თვალწინ კინოფირივით გაიელვა წინაპრების სახეებმა და მომეჩვენა, რომ ყველანი იქ იყვნენ...

მომავალ თაობას მივმართავ: არ დაივიწყოს მათი სახელები, თორემ, თუ საძირკველი მოშალე, შენობას ვერასოდეს ააშენებ!

**– თქვენი საძირკველი გურიაშია. მაგალობელ-მომღერალთა მერამდენე თაობა ხართ?**

– ამას წინათ ვიყავი ჩასული გურიაში და სასაფლაოზე გავიარე. რამდენი ვინმე ნასულა?! ნასულა ჩუმად. ნასულანი ისინი, ვინც გამზარდა. ჩემს მასწავლებლად ვთვლი ყველას,

ვისგანაც სიკეთე მიმიღია და შემითვისებია. შეიძლება მეთხუთმეტე საუკუნეში ცხოვრობდა კაცი და ის ჩათვალა შენს მასწავლებლად, თუკი მისი ნაწერიდან, დანატოვარიდან კარგს ეზიარე.

ჩემი სმენისა თუ გამახვილებული შინაგანი გრძნობით საფლავის ქვაზე წარწერილ სახელებს რომ ვკითხულობდი, მათი ხმები ჩამესმოდა, მათი დარიგებები მესმოდა, მათგან ნასწავლი მაგონდებოდა.

ამ შთაბეჭდილებით რამდენიმე მოგონება დავწერე. როგორი გამოვიდა, არ ვიცი, მაგრამ გულწრფელი კია თითოეული სიტყვა.

სამშაბათს, 16 მაისს  
ჟურნალ „ჩვენი მწერლობის“  
დარბაზში გაიმართება  
**ოზარ ხაიაშის**  
ხსოვნის საღამო  
დასაწყისი 14 საათზე  
ჩუბინაშვილის №41

უცხოეთშიც ბევრ საინტერესო პიროვნებას შევხვედრივარ, ვისაც იმ ჩემს წინაპრებს მივაკუთვნებდი. ერთი მათგანი გიორგი ნაკაშიძეა – ჩემი თანასოფელი. რამდენიმე აკადემიის აკადემიკოსი, თერთმეტი ენა იცოდა. 97 წლისას შევხვედი ამერიკაში და ინტერვიუ ჩავწერე. ჩვენი ქვეყნის ისტორიას ყვება, თავისი გადასახედიდან დანახულს. საოცარი გაკვეთილია მისი მონათხრობი; სხვათა შორის – პოლიტიკურიც. მთელმა რევოლუციამ და მისმა „მონაპოვარმა“ მის ცხოვრებაზე გადაიარა.

გააგდეს აქედან. უცხოეთში დიდ მოღვაწედ ითვლებოდა. მისი ბოლო ნამუშევარი ჰარვარდის უნივერსიტეტის „დალაგებაა“. ასე ამბობდა თვითონ. იქაური ბიბლიოთეკის სისტემატიზაცია სთხოვეს და მან ეს შეძლო. სადაც არ უნდა ახსენოთ მისი სახელი, ალტაცების შეძახილს მოგაგებებენ. დიდი პიროვნება იყო.

ბოლოს ასე დავასრულეთ საუბარი – ბატონ გიორგის ვკითხე: მაინც რისთვის გაგაძევეს საქართველოდან, რა გგონიათ-მეთქი. მიპასუხა: მთელი ჩემი არსებით ვამტკიცებდი, რომ ლენინი და სტალინი დალუპავენ საქართველოს. ჩემს სიმართლეში რომ დარწმუნებულიყვნენ, ამისათვის ქვეყანას 70 წელი დასჭირდა, მაგრამ მე ვილა დამიბრუნებს იმ 70 წელს, უსამშობლოდ რომ გავატარეო...

უცრემლოდ ეს სიტყვები ვერ მოვისმინე და მასთან ერთად ვიტირე.

ეს ჩემი მოგონებები სულ მალე გამოვა.

ჩემმა მეგობარმა და თანასოფელმა – ანტონ ინგოროვამ მითხრა, მოდი, მე გამოცემე მაგ წიგნს, მერე წირვაზე ჩავიტანოთ სოფელში და საჩუქრად დავარიგოთო. წიგნს ჰქვია „გურიამი მივალ მარა“. ეს არის ჩემი სულის ამოძახილი, მონაფის ხელით დანერილი მოგონებები.

**– თითოეული მომღერალი სიმღერას რაღაც თავისას „ათქმევინებს“, თავისებურად აცოცხლებს, ახმანებს. შეიძლება ამ მოვლენის სიტყვით ახსნა? რა ხდება ამ დროს?**

– მომღერალ ერქომაიშვილთა გვარის მეშვიდე თაობა ვარ. მე ვინც მახსოვს – ბაბუაჩემი არტემი და მისი ძმები ანანია და ვლადიმერი, ნამდვილი მოღვაწეები იყვნენ. ბაბუას დამოკიდებულება სიმღერისადმი ჩემთვის გაკვეთილი იყო. მას აბსოლუტური სმენა და გასაოცარი მესხიერება ჰქონდა. მაგრამ თუნდაც ასეთი სმენა და მესხიერება არ განსაზღვრავს მომღერლის ნიჭსა და შესაძლებლობებს. იმპროვიზაციის გასაოცარ უნარს ფლობდა. სიმღერისას ქმნიდა ახალ-ახალ ვარიანტებს. ვგრძნობდი, როცა მასწავლიდა, სულ სხვანაირად მღეროდა. შემდეგში იმღერებდა იმავეს და სხვანაირად გამოვიდოდა. ეს პროცესი არასოდეს სრულდებოდა.

სიმღერას ისე გრძნობდა, როგორც საკუთარი სისხლის მოძრაობას ძარღვებში, როგორც საკუთარ ხორცს. გურულ სიმღერასთან ბაბუა „შენობით“ იყო. დამორჩილებული ჰყავდა. ის სიყვარულით ქმნიდა ახალ-ახალ ვარიანტებს. ასე იყო ყველა, ვინც კი ჩვენს ირგვლივ მღეროდა.

როგორც არ არსებობს ერთნაირი ადამიანი, ისე არ არსებობს ერთნაირი სიმღერა. შენ თუ შენი „მე“ გაქვს, ის „მე“ გადადის სიმღერაშიც.

ეს არ არის ტვინის ჭყლეტა, ეს არის შემოქმედებითი წვა.

ბაბუასგან გამიგონია, კარგი მომღერალი ერთ სიმღერას ორჯერ ერთნაირად ვერ გაიმეორებსო. არ გაიმეორებს კი არა, ვერ გაიმეორებსო. მომღერალი ყოველ ჯერზე ახალს აქსოვს, იგონებს – ბგერა იქნება, ინტონაცია თუ განწყობა... თავის სულს ჩადებს სიმღერაში და მეორედ იმას ვერაფრით გაიმეორებს.

ეს ამბავი ჩემს თავზეც გამოიცივდა. წინაზე როგორ იმღერე, „არ იცი“. ასე ცოცხლობს ხალხური სიმღერა.

ერთი სამამულე რქაა და მისგან ბევრი ნაყარი მოდის.

ბაბუამ იცოდა თქმა: კარგი სიმღერის იმდენი ვარიანტი არსებობს, რამდენი კარგი მომღერალიც არისო.

ცოტა რამ მეც შემიძლია. სიმღერის დროს თავისით მოდის ვარიანტები. რაღაც შინაგანი ძალა არსებობს, რომელიც არ გამოითქმის. ის რაღაც ბორბალივით ტრიალებს და ტრიალებს...

**– ცნობილია, რომ მსოფლიო სიმღერებიდან კოსმოსში „ჩაკრულო“ გააგზავნეს. თქვენ რომ აგარჩევიონ, რას გააგზავნიდით მარადისობაში?**

– მე ვიცნობდი იმ კომისიის თავმჯდომარეს – მეცნიერ ალან ლომარს, რომელმაც მიაშობ, როგორ აარჩიეს მსოფლიო სიმღერებიდან „ჩაკრულო“... დიდძალი მასალა შეისწავლეს, განიხილეს, აწონ-დანწონეს. როგორ შეიძლება არ დავეთანხმო? დიდებული სიმღერაა „ჩაკრულო“, ჩვენი ღირსეული დესპანი კოსმოსში, მაგრამ მე რომ ერთი სიმღერის უფლება მომცეთ, გამიჭირდება არჩევა.

მხოლოდ ერთ სიმღერაზე ვერ დამითანხმებდით. მარადისობაში სიმღერების გუდას წავილებდი.

ესაუბრა  
თამარ ღონღაძე

ჩვენი ფოსტა

მოგესალმებით და დავიანებით მოგილოცავთ „ჩვენი მწერლობის“ აღდგენასა და ტრადიციული სამშაბათობების განახლებას!

ჟურნალის გუშინდელი ნომრის გაცნობის შემდეგ სურვილი გამიჩნდა მასში გამოქვეყნებულ რამდენიმე ნაშრომს გამოვხმაურებოდი.

პირველად აკაკის ეპოქის ყველაზე პოპულარული პოეტის გამოვლენაზე მინდა ვთქვა ორიოდ სიტყვა. მართალი გითხრათ, წერილში მოყვანილი არგუმენტაცია არასაკმარისი მეჩვენა იმის დასამტკიცებლად, რომ სწორედ გრიგოლ აბაშიძე იყო აკაკის ეპოქის ყველაზე პოპულარული პოეტი. პოპულარობა, ვგონებ, სხვა რამეს ნიშნავს და თვით აკაკიზე პოპულარული არა მგონია ვინმე ყოფილიყო. ასე მგონია, შესაძლოა აკაკის შემოქმედება ხალხს არ სცოდნოდა, მაგრამ ქუჩაში ალბათ ყველა სცნობდა, როგორც თანამედროვეობის უდიდეს პოეტს. თუმცა, ვინ იცის...

მე კი ამ წერილის ნაკითხვის შემდეგ გ. აბაშიძეზე სტატია მოვიძიე ენციკლოპედიაში და მისი შემოქმედება - ანთოლოგიაში და ეს ხსენებული ნაშრომის დიდ პლუსად მიმაჩნია.

ნიკა თევზაძის დეტექტივის მოკლე ისტორია ძალიან მომეწონა და ვისურვებდი მსგავსი რამ ფანტასტიკაზეც დანეროდიყო, თუმცა ერთ უზუსტობას მივატყვი ყურადღება: დ. დონცოვა, როგორც ვიცი, ირონიული დეტექტივების ავტორია და არა სანტიმენტალურისა, კამენსკაიაზე დანერილი ნიგნები კი ალექსანდრა მარინინას ეკუთვნის.

დაბოლოს, არ შემიძლია სიდონიას პოეზიით აღფრთოვანება არ გამოვხატო. ვფიქრობ, ეს ღია რუსიაშვილის ახალი ფსევდონიმია, არა? მართლაც საოცარი ლექსებია...

სულ ეს იყო. იმედია, მცირე შენიშვნებს არ მიწყენთ. მსურს, თქვენი ჟურნალი საუკეთესო იყოს!

ნოდარ აფხაძე

ლალი გვიმრაძე

# ელემი დაღამინაზე

პალმ ბიჩის /ფლორიდა/ და ჰემპტონის /ლონგ აილენდი/ ისტორია უშუალოდ უკავშირდება იმ ხალხს, ვინც ამ ადგილებს სახლს უწოდებს. ქვეყნის პოლიტიკური და ფინანსური ელიტა, ჰოლივუდის ვარსკვლავები და სუპერმოდელიები, ლიტერატურული და არტისტული კუმირები, ძველი ფული და საერთაშორისო ბიზნესის მაგნატები – ყველა ეს ხალხი მონიბლულია ამ კუნძულების სილამაზით, რომლებიც დიდი ხანია მთელს მსოფლიოში „კარგი ცხოვრების“ სინონიმად იქცნენ.

პალმ ბიჩი წარმოადგენს 14 მილის სიგრძის ვიწრო კუნძულს, რომელიც ძირითად მინას 3 ხილით უკავშირდება. კუნძულზე მუდმივად დაახლოებით 10 000 მოსახლე ცხოვრობს, მაგრამ ნოემბრიდან აპრილამდე მისი მოსახლეობა 40 000-მდე იზრდება, ამ დროს აქ გოლფის ფანატიკოსები, ჩოგბურთის მოყვარულები, პოლოს მოთამაშეები, ან უბრალოდ 'ძლიერნი ამა ქვეყნისა' ზამთრის გადასაგორებლად ჩამოდიან. პალმ ბიჩი ითვლის ათასამდე ჩოგბურთის კორტს, 150 გოლფის მინდორს, 600 როლს-როისს და უამრავ პლასტიკურ ქირურგს. პალმ ბიჩშია დაფუძნებული ამერიკის 100-ზე მეტი საქველმოქმედო ფონდი, მათ შორის ამერიკის გულის ასოციაცია, ამერიკის წითელი ჯვარი, უნისეფი (UNICEF) და ა.შ. საქვეყნოდ ცნობილ, ულამაზეს უორფ ავენიუზე კი ყველა დიზაინერის მაღაზია-ბუტიკია განთავსებული გუჩი-დან – პუჩი-მდე.

პალმ ბიჩი ამერიკაში ყველაზე უსაფრთხო ადგილია, დანაშაული აქ თითქმის არ ხდება. ყველაზე გახმაურებული სკანდალური შემთხვევა აქ დაახლოებით 15 წლის წინათ კენედების ვილაზე მოხდა, როდესაც ამ კლანის ერთ-ერთ ახალგაზრდა წარმომადგენელს გაუპატიურებაში დასდეს ბრალი. ახალგაზრდა კენედი სასამართლომ გაამართლა, მაგრამ მის ოჯახს, და განსაკუთრებით ამ ამბავში გარეულ ბიძას, ედვარდ კენედის, კიდევ ერთხელ მიადგა ჩრდილი. საერთოდ კუნძულის ელიტა კენედებს აქ არასდროს არ წყალობდა, ძმები კენედების მამას, ჯო კენედის, საექვო რეპუტაციის კაცად მიიჩნევდნენ.

ასევე არ სწყალობენ აქ მულტი-მილიონერ დონალდ ტრამპს; სასიყვარულო ამბებისა და მასმედიასთან მეტად თბილი ურთიერთობის გამო მას აქ ვულგარულად თვლიან. 90-ანი წლების დასაწყისში დონალდ ტრამპმა პალმ ბიჩის უდიდესი და ერთ-ერთი ყველაზე ცნობილი რეზიდენცია „მარ-ა-ლაგო“ იმ დროისთვისაც კი მეტად სასაცილო ფასად – 7 მილიონ დოლარად შეიძინა (5 მილიონის რეზიდენცია და 2 მილიონი – ავეჯი და ნივთები). ეს უმდიდრესი და ულამაზესი რეზიდენცია, რომელიც კუნძულის მთელ სიგანეზეა გადაშლილი, მანამდე პოსტების ცნობილ ოჯახს ეკუთვნოდა და მრავალი წელი პალმ ბიჩის ელიტის მეჯლისებისა და თავყრილობათა ადგილი იყო. სხვა უნიკალურ ნივთებთან ერთად ტრამპს 32 იმვიათი სერვიზი დარჩა, მაგრამ, მიუხედავად ამისა, მისი მამინდელი მეუღლე, ივანა, რეზიდენციაში სტუმ-

რების მიღებისას ერთჯერად ჭურჭელს იყენებდა, რის გამოც ადგილობრივ საზოგადოებაში მას „იაფფასიანი“ შეარქვეს.

ტრამპმა პოსტების ტრადიცია არ დაარღვია, და მოგვიანებით მარ-ა-ლაგო საოცნებო პრესტიჟულ კერძო კლუბად აქცია. 2005 წლის იანვარში კი მარ-ა-ლაგოს დიდებულ სამეჯლისო დარბაზში, რომლის რესტავრაციაც ტრამპს 37 მილიონი დოლარი დაუჯდა, მისი მორიგი ქორნილი გაიმართა – ტრამპი მესამედ დაქორწინდა ყოფილ სუპერმოდელ მელანია კნაუსზე. პატარძლისათვის საგანგებოდ შეკერილი კრისტიან დიორის მარგალიტებით მოქარგული კაბა 200 ათასი დოლარი დაჯდა. ჯვრისწერის ულამაზეს ღამის ცერემონიას და მეჯლისის 500 სტუმარი ესწრებოდა, რომელთა ჩამოთვლა ამერიკის „ვინ-ვინ არის“ სიას მოგაგონებდათ.


კუნძულის კერძო კლუბებიდან ყველაზე ძველი და პრესტიჟულია „ევერგლეიდი“, რომელიც ცნობილმა მენარმემ პარის სინგერმა დააარსა 1918 წელს, და რომელშიც პალმ ბიჩის რჩეული ოჯახები განევრინდნენ. კლუბის წესდების თანახმად ფერადკანიანებისა და ებრაელებისთვის კლუბის კარი დაკეტილი იყო. ფართოდ გახმაურდა შემთხვევა, როდესაც უმსხვილესი კოსმეტიკური ფირმის მფლობელი და მულტი-მილიონერი, წარმოშობით ებრაელი, ესტე ლაუდერი მისმა მეგობარმა, „ევერგლეიდის“ წევრმა, კლუბში ლანჩზე მიიწვია. ქ-მა ლაუდერმა მაგიდასთან დაჯდომა ვერ მოასწრო, რომ კლუბის თანამშრომელი მიუახლოვდა და იქაურობის დატოვება მოსთხოვა. პარადოქსია, მაგრამ ამ წესების დამდგენისა და კლუბის დამაარსებლის, პარის სინგერის დედაც ებრაელი იყო. ამ ტრადიციას დღემდე მკაცრად იცავენ, კლუბი მეტად ექსკლუზიურია. თუ წევრობის მსურველის რეპუტაცია ოდნავ მაინც შებლაღუდა, ვერანაირი გავლენა და ფული ვერ მოაპოვებინებს კლუბის წევრობას. არც კენედები და არც ტრამპები „ევერგლეიდის“ წევრები არა ყოფილან, და საკუთარი კლუბის გახსნით ტრამპმა გამოწვევა გაუგზავნა პალმ ბიჩის დახურულ საზოგადოებას. დონალდ ტრამპის „მარ-ა-ლაგო“ ასევე ელიტური და პრესტიჟული, მაგრამ უფრო დემოკრატიულია, მასში ძირითადად „ახალი ფულია“ გაერთიანებული.

კუნძულის ულამაზესი ბუნების, ლაჟვარდოვანი ოკეანის, ფემენებლური ვილებისა და თეთრი იახტების ერთობლიობა იმდენად თვალწარმტაცია, რომ რეალობის გრძნობა გეკარგებათ და თავი სამოთხეში გგონიათ.

ამ სამოთხის ისტორია კი მაშინ დაიწყო, როდესაც მსხვილი ინდუსტრიალისტი ჰენრი ფლაგლერი და მისი მეუღლე კუნძულით მოიხიბლნენ და ამ მიწაზე სასტუმროს მშენებლობა გადაწყვიტეს. იმ დროს კუნძულზე მხოლოდ შავკანიანი მუშები ცხოვრობდნენ ლარიბულ ბარაკებში. ამ ხალხის დახმარებით ფლაგლერმა 1894 წლის ზამთარში პირველი ელეგანტური სასტუმროს – „როიალ პონსიანა“-ს – მშენებლობა დაასრულა და პალმ ბიჩი ქვეყნის უპირველეს ზამთრის კურორტად გამოაცხადა. ყველაფერი მზად იყო პირველი სტუმრების მისაღებად, მაგრამ მოენიებოდათ კი ამერიკის ყველაზე გავლენიან ოჯახებს, რომლებსაც სულ მალე პირველად უნდა დაედგათ ფეხი პალმ ბიჩის მიწაზე, შავკანიან მუშათა სიახლოვე? ფლაგლერმა გადაწყვეტილება მიიღო: ვითომცდა მშენებლობის დასრულების აღსანიშნავად და მუშების წასახალისებლად, მან უკლებლივ ყველა მუშა ოჯახის წევრებიანად კუნძულის გადაღმა, მთავარ მიწაზე, მათთვის ღია ცის ქვეშ საგანგებოდ გამართულ სუფრაზე მიიწვია. ხალხი შუა ღამით იყო, როდესაც მოულოდნელად პალმ ბიჩის მხრიდან უზარმაზარი ალი ავარდა, ეს მათი ბა-

რაკები ინვოდა. ფლაგლერის ხალხმა მუშათა დასახლებას ცეცხლი წაუკიდა, ასე გადაუხადეს „მადლობა“ პალმ ბიჩის პირველ მშენებლებს. ამის შემდეგ ფლაგლერმა ისევ ჩვეული „გულუხვობა“ გამოიჩინა და დაზარალებულებს კუნძულიდან მოშორებით, იაფფასიანი საცხოვრებლები აუშენა. იმ ხანძრიდან მოყოლებული კუნძულზე ღარიბები აღარ ცხოვრობდნენ.

პალმ ბიჩის სეზონის დამთავრების შემდეგ ელიტური საზოგადოება ჩრდილოეთისკენ ინაცვლებს. უმეტესობა ნიუ-იორკში, ცოტა მოგვიანებით კი ჰემპტონში მიდის. ჰემპტონი ღონე აილენდის უკიდურეს აღმოსავლეთში, ატლანტიკის ნაპირზე მდებარეობს და სამი პატარა ერთმანეთზე გადაბმული დასახლებისაგან შედგება, ესენია: საუფჰემპტონი (ძველი ფული), ბრიჯჰემპტონი (უოლ სტრიტი) და ისტჰემპტონი (კინოვარსკვლავები, სუპერმოდელები, რეჟისორები, დიზაინერები, ახალი ფული). ჰემპტონში აქვთ საზაფხულო რეზიდენციები პოლ მაკარტნის, მარტა სტიუარტს, რენე ზილვეგერს, რიჩარდ გირს, რონ პერელმანს, ჰილტონებს, რაფ ლორენს, სტივენ სპილბერგს, ბილი ჯოელს და ვინ მოთვლის კიდევ ვის. ცხოვრების სტილი აქ გაცილებით უფრო თავისუფალი და დემოკრატიულია, ვიდრე პალმ ბიჩში. ჰემპტონის ქუჩებში ხშირად შეხვდებით ცნობილ სახეებს: სუპერმარკეტში სარა ჯესიკა პარკერს მოკრავთ თვალს, ნაყინის რიგში როზი ო'დონელს, კაფეში – ბარბარა ვოლტერს.



ერთ-ერთი ვილა პალმ ბიჩზე

ჰემპტონის სეზონი მაისის ბოლოს, მემორიალის დღეს (Memorial Day) იწყება და პიკს ივლისში აღწევს. სექტემბრის დამდეგს, შრომის დღის (Labor Day) უქმეზე სეზონის ბოლო წვეულებები იმართება, და ხალხი ნელ-ნელა ნიუ-იორკს ან სხვა დიდ ქალაქებს უბრუნდება.

პარასკევიდან მოყოლებული, ჰემპტონისკენ მიმავალი ერთადერთი გზა 27 სამარშრუტო მანქანის უწყვეტ ნაკადს წარმოადგენს, ამ დროს ნიუ-იორკელები საკუთარ ან დაქირავებულ ავარაკებში უქმე დღეების გასატარებლად მიიქჟარიან. ოკეანისპირა მიწის ნაკვეთი აქ დაახლოებით 2 მილიონი დოლარი ღირს, სახლების ფასი ასტრონომიულია, ბინის ან სახლის დაქირავება სეზონზე 30-600 ათას დოლარამდე ჯდება. შარშანდელ სეზონში 19 წლის ანა ანისიმოვამ, რუსი ალუმინიუმის მაგნატის მემკვიდრემ, და დედამისმა მილიონერი დენიზ რიჩის სახლი 500 ათას დოლარად იქირავეს და მთელი ზაფხული წვეულებებს მართავდნენ.

ჰემპტონში რამდენიმე კერძო კლუბია, „მაიდსტონი“ მათ შორის ყველაზე ძველი და პრესტიჟულია. კლუბის საწევრო წელიწადში 100 ათას დოლარს შეადგენს. ამ კლუბის (ისევე, როგორც სხვა ნებისმიერი ექსკლუზიური კლუბის) წევრი რომ გახდეს, გარდა ფულისა, უმნიშვნელო რეპუტაცია და კლუბის ორი წევრის რეკომენდაცია საჭირო, თუმცა გარანტირებული აქაც არა ხართ, კლუბის ბორდი ძალიან მკაცრია. ფერადკანიანებს აქ არ უშვებენ, და არც ებრაელებს სწყალობენ. 80-იან წლებში „მაიდსტონის“ ერთ-ერთი წევრი აიძულეს

გადამდგარიყო, რადგან მან ფერადკანიანი მომღერალი დაიანა როსი შეერთო ცოლად, ხოლო ბილ კლინტონს მონიკა ლეინსკის სკანდალის პერიოდში კლუბში ჩაის დაღვევაზე უთხრეს უარი. ცნობილი სენატორის და ქველმოქმედის, წარმოშობით ებრაელი, ჯეიკობ ჯავიტსის (ნიუ-იორკში მისი სახელობის საგამოფენო ცენტრი მოქმედებს) „მაიდსტონის“ მინდორზე გოლფის თამაშის შემდეგ, კლუბის წევრები ამტკიცებდნენ, რომ ბალახს, რომელზეც სენატორი დადიოდა ყავისფერი დაედო, ხოლო კლუბის სანაპიროზე დახრჩობას ბენჯე გადარჩენილი, თითქმის უგონო მდგომარეობაში შავკანიანი ქალის გამოღწევამ კლუბის წევრების უდიდესი აღშფოთება გამოიწვია.

ერთ-ერთმა წევრმა კლუბის ფილოსოფია ასე გამოხატა: „ჩვენ იმ ხალხთან ვთამაშობთ, ვისაც ჩვენ ვირჩევთ: მეგობრებთან, ოჯახის წევრებთან. ჩვენ ყველას არ ვუყადრებთ თავს.“

ასეთივე პრინციპით მოქმედებენ ნიუ-იორკის პრესტიჟული სახლების ბორდებიც (მობინადრეებისგან შემდგარი საბჭოელები). მანჰეტენის მეხუთე ავენიუზე, პარკ ავენიუზე და ცენტრალ პარკ ვესტზე განლაგებული საცხოვრებელი სახლები ექსკლუზიური კერძო კლუბების ეკვივალენტია. პოტენციური მობინადრის არჩევისას ბორდები მხედველობაში იღებენ მყიდველის რეპუტაციას, ოჯახურ მდგომარეობას, ფინანსებს, პოლიტიკურ ორიენტაციას, სოციალურ მისწრაფებებს, საშინაო ცხოველებს, და, თუმცა ამას ხმამაღლა არასდროს არ აღიარებენ, კანის ფერსა და რელიგიას. დადებითი ან უარყოფითი პასუხის მიზეზს თითქმის არასდროს არ ხსნიან, და გადანყვეტილება ყოველთვის საბოლოოა. ვისაც პრესტიჟულ სახლში ცხოვრება სურს, ბორდს უნდა უჩვენოს, რომ აპარტამენტის ფასზე სულ ცოტა 4-5 ჯერ მეტი ქონების მფლობელია. თუ აპარტამენტის ფასი 20 მილიონი დოლარია, მყიდველს 80 მილიონი მაინც უნდა ედოს ბანკში.

მყიდველები ზოგჯერ თვეობით ელოდებიან ბორდის გადანყვეტილებას, ბოლოს უარს ლეზულობენ და ნიუ-იორკის საიდუმლო ტრადიციის მიხედვით ვერც ვერასდროს იგებენ, რატომ ეთქვათ უარი. თუ ხშირად უარის მიზეზი ფინანსური მდგომარეობაა, ზოგჯერ მყიდველის ცნობილი სახელი თამაშობს უარყოფით როლს. განსაკუთრებით შოუ-ბიზნესის წარმომადგენლები აქ არ უყვართ. მაგალითად, უარი უთხრეს მელანი გრიფიტს, ბარბარა სტრეიზანდს, მადონას. რიჩარდ ნიქსონიც კი მისი პრეზიდენტობის დასრულების შემდეგ უარით გაისტუმრეს.

იგივე ფარული პროცესები ამერიკის პროვინციაშიც მიმდინარეობს. თუ თეთრებით დასახლებულ უბანში ფერადკანიანმა იყიდა სახლი, იმ უბნის პრესტიჟი და შესაბამისად სახლების ფასი მაშინვე ეცემა. ამიტომ პრესტიჟულ უბნებში ფერადკანიანებს ყოველგვარ უხილავ დაბრკოლებებს უქმნიან, როგორც უძრავი ქონების ბროკერები, ასევე მოსახლეობა.



ეკა ბუჯიაშვილი

# რამდენიმა ინტერვიუ ერთი საკითხის გარშემო

გაივლის წლები და უკვე სახელმწიფოეჭილი გამომცემლობის „დიოგენეს“ ერთ-ერთი დამფუძნებელი და ხელმძღვანელი თამარ ლებანიძე იტყვის, რომ ცხოვრებაში საკუთარი ადგილი იპოვა, ბედს არ უჩივის და თავს ბედნიერადაც კი თვლის, რადგან მნიშვნელოვან და საჭირო საქმეს ემსახურება. სულაც არ ნაღვლობს იმას, რომ მისი შვილებისგან არცერთმა არ აირჩია ეს გზა, რადგან თვლის, რომ ოცი-ოცდაორი წელი ჯერ კიდევ თვითგამორკვევის ეტაპია, მთავარია, ისინი კარგი მკითხველები არიან, აქედან კი მის საქმემდე არცთუ შორი გზაა...

ეს ყველაფერი მერე მოხდება, წლების წინათ კი ის, მეგობრებთან ერთად, საფუძველს კერძო გამომცემლობას უმზადებდა და საინტერესო იდეების განხორციელებაზე ფიქრობდა.

ჩვენი საუბარიც ქალბატონ თამარ ლებანიძესთან სწორედ ამით დაიწყო.

## ოთხნი ერთისათვის და... ცალ-ცალკე

**– ქალბატონო თამარ, თვითონ როდის შეაჩერეთ არჩევანი საგამომცემლო საქმეზე და იყო თუ არა ეს თქვენთვის გზა კარგი მკითხველიდან გამომცემლამდე?**

– ნაწილობრივ ასე იყო. იცით, ვერ ვიტყვი, რომ წიგნის ჭია ვარ. რა თქმა უნდა წიგნი მიყვარს, მას ვაგემოვნებ და ვფიქრობ, რომ კარგი ლიტერატურის ფასიც ვიცი, თუმცა წიგნის ჭია, ახლა მითუმეტეს, ვერ ვიქნები, იმ უბრალო მიზეზის გამო, რომ უამრავი საორგანიზაციო საქმით ვარ დაკავებული.

საგამომცემლო სფეროში მოვედი როგორც კარგი მკითხველი, ერთი კონკრეტული საჭიროების გამო – დაახლოებით ათი წლის წინათ, ქართულ ენაზე არ არსებობდა კარლ გუსტავ იუნგის არცერთი წიგნი, არადა, იმ პერიოდში ვაგრძელებდი მუშაობას ანალიზურ ფსიქოლოგიაში და ძალიან მჭირდებოდა. ამ სრულიად პრაგმატული მიზეზის გამო მე და ჩემმა მეგობრებმა გადავწყვიტეთ გვეზრუნა იუნგის ნაშრომების ქართულად გამოცემაზე. ეს პროექტი წარმატებული აღმოჩნდა. მაშინ ვიფიქრე, რომ წიგნის გამოცემა, იმდროინდელ შეჭირვებულ ქვეყანაში, იქნებოდა პრესტიჟულიც, მატერიალურად საინტერესოც და რაც მთავარია, შინაგანი, ღრმა მოთხოვნების დაკმაყოფილების საშუალებაც...

**– ეს საქმე მარტოს არ დაგინწყიათ, თუმცა, დღესდღეობით, ამ ყველაფერს დამოუკიდებლად უძღვებით...**

– „დიოგენეს“ საფუძველი ჩემი და მეგობრების საერთო ძალისხმევით ჩაეყარა. დღეს სამივე მათგანს ამ სფეროში დამოუკიდებელი ბიზნესი აქვს. საზოგადოება კარგად იცნობს „ბაკურ სულაკაურის“, „ოთარ ყარაღაშვილის“ და „გია ქარჩხაძის“ გამომცემლობებს, რატომღაც მამაკაცებს ეს ამბიცია – გამომცემლობისათვის საკუთარი სახელის დარქმევისა, უფრო მეტად აღმოაჩნდათ. „დიოგენეს“ კი მხოლოდ მე შემოვრჩი.



თამარ ლებანიძე

**– ცალკე გასვლა ბიზნესინტერესი იყო, თუ სხვა მიზეზიც არსებობდა?**

– მე არ გავესულვარ, ისინი წავიდნენ. ბიზნესში ასეთი რამ ხშირად ხდება. საკმაოდ ძნელია საქმისა და მეგობრობის ერთნაირად წარმატებულად შენარჩუნება. მეტნაკლებად ურთიერთობებს სამივესთან ვაგრძელებ, თუმცა, რა თქმა უნდა, ეს აღარ არის ძველი მეგობრობა და პარტნიორობა, რაც ძალიან მწყვეტს გულს.

**– ამის მიზეზი ის ხომ არ არის, რომ ერთმანეთისთვის ახლა კონკურენტები ხართ?**

– ძირითადი მიზეზი ის იყო, რომ ჩვენი მსოფლხედვა დაშორდა ერთმანეთს, სამივეს შემთხვევაში ერთნაირად არა, მაგრამ გარკვეულ საკითხებში, ზოგიერთისგან პრინციპულად განსხვავებული პოზიციები მქონდა, ვგულისხმობ არა მარტო საგამომცემლო საქმეს, საერთოდაც... დღეს „დიოგენეს“ თავისი გამოკვეთილი ორიენტირები აქვს, ეს სახელი მუშაობს და ის თავის საქმეს მომავალშიც გააკეთებს იმის მიუხედავად, თუ ვინ იდგება მის სათავეში.

## ნიგნის ნიშა ანუ როგორ იქცევა ცივილიზებული მსოფლიო?

**– ათი წელია საგამომცემლო საქმიანობას მისდევთ. როგორ იცვლებოდა ვითარება ამ სფეროში და რამდენად კონკურენტუნარიანია დღეს ეს ბაზარი საქართველოში?**

– საკმაოდ სუსტია. სტრუქტურულად მოუწესრიგებელია, მე ვიტყვოდი ქაოტურიც. მოდით, ნეიტრალური თვალთ შევხედოთ ბოლოდროინდელ მოვლენებს ამ სფეროში: გაიხსნა წიგნის მაღაზია – ჯერ ერთი, შემდეგ კიდევ რამდენიმე, თანამედროვე ტიპის, მანამდე რომ არ გვექონდა, ისეთი. ამას თითქოსდა უნდა გამოეწვია მკითხველის რაოდენობის ზრდა, მაგრამ ეს ასე არ მოხდა. ახალმა (თუ ახლებურმა) მაღაზიებმა, უბრალოდ, ერთმანეთს წაართვეს მკითხველი (და მყიდველი), თორემ, რეალურად, ბაზარი

მიკვეთრად არ გაზრდილა. სხვათა შორის, ერთ-ერთი მიზეზი ნიგნის ბაზრის განუვითარებლობისა ისიც არის, რომ ახალი გამოცემლობები იშვიათად ჩნდებიან. დინამიკა უნდა არსებობდეს – სუსტი გამომცემლობები უნდა კოტრდებოდნენ, წარმატებულები წინა პლანზე ჩნდებოდნენ... ჩვენ მივდივართ წინ, მაგრამ ძალზე ნელი ნაბიჯით, განვითარების ტემპი მინიმალურია.

**– როგორ ფიქრობთ, რა არის ამის მიზეზი?**

– ძირითადი მიზეზი მაინც სახელმწიფო პოლიტიკის უქონლობაა ნიგნისადმი დამოკიდებულების თვალსაზრისით, ამასთანავე, საზოგადოების ნაწილიც ძველი სტერეოტიპების ტყვეობაშია – ზოგს მიაჩნია, რომ ნიგნი, ეს არის უზენაესი ღირებულება...

**– განა ეს ასე არ არის?**

– შესაძლოა ჩემთვის, ან, თქვენთვის ეს ასეა, მაგრამ საზოგადოდ, დღევანდელ მსოფლიოში დამოკიდებულება ნიგნისადმი შეიცვალა. ნიგნს დღეს ბევრ სფეროში (მაგალითად, განათლებაში) ღირსეული კონკურენტი გამოუჩნდა თანამედროვე ტექნოლოგიების სახით. როგორ იქცევა ასეთ დროს ცივილიზებული მსოფლიო? ის ცდილობს წიგნს საკუთარი ნიშა შეუნარჩუნოს და თავისი ადგილი მიუჩინოს სოციუმში. რა ხდება ჩვენთან? იმის გამო, რომ ასეთი ერთიანი ხედვა არ არსებობს, ნიგნისათვის საკუთარი ადგილის შენარჩუნების მისია მთლიანად კერძო გამომცემლობებს დააწვა მხრებზე. ჩვენს ქვეყანაში არ არსებობს ბიბლიოთეკების განვითარებული სისტემა, თუ სამკითხველო არ გარემონტდა, არ აღიჭურვა თანამედროვე მოთხოვნების შესაბამისად, მხოლოდ წიგნადი ფონდისათვის თანხების გამოყოფა საქმეს წინ ვერ წასწევს...

როცა საგადასახადო კოდექსი იცვლებოდა საქართველოში, მივმართე კიდეც კოლეგებს, რომ მეტი აქტიურობა გეშარებოდა. ჩავიფიქრე რამდენიმე ეფექტური აქციაიც, ხელისუფლების ყურადღების მისაპყრობად ნიგნისაკენ, მაგრამ რატომღაც არ ამყენდა.

**– რატომ? ეს ხომ მათ საქმესაც წაადგებოდა?**

– მთავარი მიზეზი არის ის, რომ არავის სურს ურთიერთობის გაფუჭება სახელმწიფო სტრუქტურებთან. გარდა ამისა, მთელი საზოგადოებაც საკმაოდ აპათიურად და პასიურად შესცქერის გარემოს, რაც ძალზე ცუდია, რადგან განვითარების საშუალებას გვიხშობს.

ბევრ ქვეყანაში არის პრაქტიკა, როცა ნიგნის გამომცემლობებს აქვთ დიფერენცირებული გადასახადი, ანუ მოგება მიღებული ნიგნის გამოცემიდან, გაცილებით ნაკლები პროცენტით იბეგრება. ეს უნდა იყოს ჩვენი სახელმწიფოს პოლიტიკაც. რა თქმა უნდა, თავისთავად, კარგია ის, რომ დამატებითი ღირებულების გადასახადისაგან გათავისუფლებულები ვართ, მაგრამ ეს არ არის ამ მთავრობის ნოვაცია და თანაც ზღვაში წვეთია, რადგან სიტუაციის გაუმჯობესებას უფრო რადიკალური ზომები სჭირდება.

კიდეც ერთი არანაკლებ მნიშვნელოვანი საკითხი ჩვენს საქმეში არის რეკლამა. ამ თვალსაზრისით კანონი არ გვზღუდავს, მაგრამ თავად სარეკლამო მომსახურება, განსაკუთრებით კი ტელერეკლამა, ძალზე ძვირია. ეს თანხები ნიგნის ღირებულებაში რომ ჩაიდოს, მისი ფასი ყველასთვის ხელმისაწვდომი ვერ იქნება.

**– როგორ ფიქრობთ, ნაკლებადკონკურენტუნარიან გარემოში უფრო იოლია დამკვიდრება და სახელის მოპოვება?**

– პირიქით, ასეთ დროს უფრო ძნელია წარმატების მიღწევა. პარადოქსია, მაგრამ ასეა! კონკურენცია არის ის, რაც

ამოდრავებს ბაზარს და თუ დღეს ჩვენ ვჩანვართ, არა სუსტი კონკურენციის პირობების გამო, არამედ იმიტომ, რომ „დიოგენეს“ იდეები, კონცეფციები საინტერესო და მისაღებია საზოგადოებისათვის.

**კვერცხი თუ ქათამი? ანუ სიარული ბენვის ხიდზე**

**– თქვენ „დიოგენეს“ კონცეფციები და მთავარი ორიენტირები ახსენეთ. მაინც რის გამოცემას მიიჩნევთ პრიორიტეტულად?**

– ეს არის საბავშვო ლიტერატურა, მხატვრული ლიტერატურა და სახელმძღვანელოები – ამ თვალსაზრისით სერიოზული გეგმები გვაქვს, რადგან დღევანდელი ვითარებიდან გამომდინარე, გამომცემლობის გადარჩენის ერთადერთი რეალური საშუალება (და ამას სრული პასუხისმგებლობით ვაცხადებ) სახელმძღვანელოებია. რა თქმა უნდა, ისიც გასათვალისწინებელია, რომ ჩვენ არ ვართ ის გამომცემლობა, რომელიც სახელმწიფო დაკვეთებით არსებობს.

მხატვრული ლიტერატურის, განსაკუთრებით პოეტურის კრებულების გამოცემა დღეს დიდწილად წამგებიანია, კომერციული თვალსაზრისით, მაგრამ ჩვენ ამას პრიორიტეტად მაინც მივიჩნევთ, რადგან ვფიქრობთ, რომ თანამედროვე მწერლობის ხელშეწყობა, ნიჭიერი თაობების წარმოჩენა ყველა გამომცემლის მოვალეობაა საკუთარი ქვეყნის და კულტურის წინაშე.

**– საინტერესოა, რას ნიშნავს თქვენთვის ბესტსელერი? როცა ნიგნს გამოსაცემად ირჩევთ, რას ანიჭებთ უპირატესობას – ავტორის პრესტიჟს თუ ფართო მკითხველის გემოვნებას? ანუ ბაზარი განაპირობებს თქვენს არჩევანს თუ პირიქით?**

– გინდათ მკითხოთ: „კვერცხი თუ ქათამი?“ იცით, ვცდილობთ კორექტივები შევიტანოთ ქართველი მკითხველის გემოვნებაში. დღეს მასობრივად კითხულობენ იაფფასიან ლიტერატურას, ამ ავტორებს მე არაფერს ვერჩი, უბრალოდ ეს არ არის ის, რასაც ჩვენ გამოვცემთ. „დიოგენემ“ გარკვეული ზიგზაგებით გაიარა განვითარების გზა. იყო შეცდომებიც არჩევანში, მაგრამ ძირითადი ორიენტირები, ვფიქრობ, შევინარჩუნეთ. არსებობს ლიტერატურა, რომელიც აპრიორი მომგებიანია და არის ისეთი გამოცემებიც, რომლებიც ვიცით, რომ აპრიორი წამგებიანი იქნება (თუნდაც პოეტური კრებულები რომ ვახსენე), მაგრამ ასეთ შემთხვევაში ყოველთვის ვცდილობთ გავლენა ვიქონიოთ მკითხველზე. თანაც, წამგებიანმა პროექტებმა არ უნდა გადააჭარბოს მომგებიანს. ეს ბენვის ხიდზე სიარულია. აი, სახელმძღვანელოების გამოცემა კი გვაძლევს საშუალებას განვახორციელოთ არაკომერციული, მაგრამ საჭირო პროექტები.

**ანკასი მკითხველისათვის**

**– რაკი წარმატებულ პროექტებზე ვსაუბრობთ, იქნებ გვიხსნათ რომელ გამოცემებს მიიჩნევთ „დიოგენეს“ ბესტსელერებად?**

– ეს ის ნიგნებია, რომლებმაც, ასე ვთქვათ, ანკესი გამოსდეს მკითხველს. ასეთები იყო „დიოგენეს“ მიერ გამო-

ცემული „ალი და ნინო“; ასევე ვახუშტი კოტეტიშვილის „აღმოსავლური დივანი“ და „მოუკრეფავნი“ – ქართული სკაბრეზული ფოლკლორის ნიმუშების კრებული. საინტერესო პროექტი აღმოჩნდა „მსოფლიო ატლასი მოზარდთათვის“. ვფიქრობ, ეს გამოცემა პრინციპული და წინ გადადგმული ნაბიჯია ჩვენთვის, რადგან თავიდან ბოლომდე ქართველი ავტორების შრომის შედეგია.

– ყველა ამ პროექტს საინტერესო და არაერთგვაროვანი გამოხმაურება მოჰყვა საზოგადოების მხრიდან. ამ შემთხვევაში „ალი და ნინოს“ შესახებ მინდა გკითხოთ: გაჩნდა ვერსია, თითქოს ეს ნაწარმოები გრიგოლ რობაქიძეს ეკუთვნის და ყურბან საიდი ავტორისეული ფსევდონიმია.

– გამიჭირდება ამაზე მსჯელობა, რადგან მე ლიტერატურის მკვლევარი არ ვარ, თუმცა მგონია, რომ ეს მაინც ორი სხვადასხვა ავტორია. ცნობილია ყურბან საიდის სხვა ნაწარმოებებიც. „ალი და ნინო“ კი ერთ-ერთი საერთაშორისო ბესტსელერია და თავისი თემატიკით, ისტორიული ჭრილით თუ რელიგიური კუთხით საინტერესო აღმოჩნდა ქართველი მკითხველისთვისაც. შესაძლოა ეს არ არის უმაღლესი სინჯის ლიტერატურა, მაგრამ მას აქვს ყველაფერი, რაც აკმაყოფილებს ბესტსელერის მოთხოვნებს მსოფლიოში. ეს ნაწარმოები ბევრ ენაზეა თარგმნილი. ერთ-ერთ ქართველ რეჟისორს სურდა ფილმიც გადაეღო ამ ნიგნის მიხედვით. რამდენადაც ვიცი, ასეთი იდეა ჰოლივუდშიც ჰქონდათ. ასე რომ, შესაძლოა, ოდესმე ნაწარმოების ეკრანიზებული ვარიანტიც ვიხილოთ.

**პრაქუნტაცია ენგურის სიღზე?**

– უახლოეს მომავალში „დიოგენე“ გამოსცემს ზიუსკინდის „პარფიუმერს“ (ალბათ ასე ერქმევა ქართულ თარგმანშიც), – ამბობს ქალბატონი თამარი, – სექტემბერში ამ ნაწარმოების მიხედვით გადაღებული ფილმის პრეზენტაცია გაიმართება, ჩვენი ნიგნის ყდა კი, პარტნიორ შვეიცარულ გამომცემლობასთან შეთანხმებით (სწორედ ისინი არიან საავტორო უფლების მფლობელები), გაიმეორებს კადრს ფილმიდან. ვგეგმავთ ორი ფრანგი ავტორის: ფრანსუაზა საგანის და ანდრე შედიდის რომანების გამოცემასაც; წლის ბოლომდე მომზადდება ლე კლეზიოს „უდაბნო“ და პიერ ბურდიეს „განსხვავება“; ვმუშაობთ ერთ ქართულ პოეტურ კრებულზე და, ამასთანავე, გამოვცემთ „პენმარათონის“ პირველი კონკურსის პირველი პრემიის ლაურეატის, გელა ჩქვანავას მოთხრობას „ტორეადორები“. ეს იქნება ორენოვანი გამოცემა (ქართულად და რუსულად) და მიზნად ისახავს იმას, რომ ხმა მივანვიდინოთ აფხაზ მკითხველსაც. ამ ნიგნის პრეზენტაცია, შესაძლოა, ენგურის სიღზე, შემდეგ კი რუსეთშიც გაიმართოს.

**პორტრეტის გაზიარ**

– ხშირად მიფიქრია, – ამბობს ქალბატონი თამარი, – ამ ათი წლის მანძილზე სხვა გზას რომ გავყოლოდი, რას მივალნევი? თამამად შემიძლია ვთქვა, რომ მატერიალურად უფრო უზრუნველყოფილი ვიქნებოდი და ამ ყველაფერს უფრო ნაკლები პასუხისმგებლობის ფასად შევძლებდი.

– პასუხისმგებლობის გეგმინათ?

– არა, უბრალოდ, დიდი პასუხისმგებლობა ცხოვრების წესს უცვლის ადამიანს, ზღუდავს მის თავისუფლებას, მაგრამ ალბათ, ამ ყველაფერში იყო რაღაც ისეთი, რაც ვერ დავთმე, ვერ გავიმეტე დასათმობად...

– ხომ არ ნანობთ ასეთი არჩევანის გამო?

– იცით, მე არ მესმის იმ ადამიანების, რომლებიც ამბობენ, რომ თუკი თავიდან დაიწყებდნენ ცხოვრებას, არაფერს შეცვლიდნენ. პირადად მე შევცვლიდი, რა თქმა უნდა შევცვლიდი! და ვფიქრობ, რომ ამას დიდი სიამოვნებით გავაკეთებდი, მითუმეტეს, ამ ცოდნით, ამ გამოცდილებით რომ ვიყურები დღევანდელი გადასახედიდან. კორექტივებს პროფესიულ საქმიანობაშიც შევიტანდი, თუმცა რადიკალურად სხვა საქმეს ხელს, ალბათ, ვერ მოვკიდებდი...

– როცა პროფესიაზე საუბრობთ, ფსიქოლოგია გულისხმობთ თუ საგამომცემლო საქმეს?

– ამ შემთხვევაში საგამომცემლო საქმეს. ფსიქოლოგიამ ჩემს ცხოვრებაში, პიროვნებად ჩამოყალიბებაში მნიშვნელოვანი როლი შეასრულა, დადებითიც და უარყოფითიც. უარყოფითი რა თვალსაზრისით, იცით? ხშირად მიფიქრია: ნეტა ბრიყვი ვიყო-მეთქი. ისინი დიდწილად ბედნიერები არიან, რადგან არ უღრმავდებიან ცხოვრებას და არც ყველა პრობლემისა და სატკივრის გაცნობიერება შეუძლიათ. რაც მეტს ფიქრობ, რაც მეტი იცი, თურმე, მით უფრო გიჭირს ცხოვრების მიერ დასამულ კითხვებზე პასუხის გაცემა...

– ახლა გავფიქრე, რომ თქვენ, ალბათ, თვითონაც წერთ...

– არა, უფრო სწორად, ალარ! იყო პერიოდი, როცა ვწერდი, დაახლოებით ოცი-ოცდახუთი წლის წინათ. ჩემი ლექსები იბეჭდებოდა კიდეც პერიოდულ გამოცემებში, თუმცა დღეს ეს ყველაფერი ვერც კი წარმომიდგენია. ალბათ შინაგანად პოეტი უნდა იყო, რეალობამ კალამი რომ არ დაგადებინოს. ჩანს, ჩემს ცხოვრებაშიც იყო პერიოდი, როცა გარკვეული პოეტური ინსტიქტები წამომეძალა, თუმცა, მერე ამ ყველაფერს მკაცრი რეალობა ჩაენაცვლა. იცით, ყველა ადამიანს აქვს თავისი კონკრეტული ადგილი, მე ჩემი ადგილი ვიპოვე და, ამ თვალსაზრისით, ბედს არ ვუჩივი, უბრალოდ, ხანდახან, გული მწყდება რაღაც-რაღაცებებზე, უფრო კი იმაზე, უნიჭობას ნიჭიერებად რომ ასაღებენ...

არადა, ასეთი რამ, სამწუხაროდ, ხშირად ხდება ხოლმე...

**კარგად დაინყებული ძველის გასხენება**  
დეტექტივის საზღვარი შორს გადადის  
**ლევან ბრეგვაძე**  
ცდილობს  
პირველობა ჩამოართვას  
**ელგარ ალან პოს**  
მომდევნო ნომერში ელოდეთ მის სტატიას  
**„პირველი ქართული დეტექტივი“**

ოთარ ჩხეიძე

# ისევ დადიანი

\*

## ჩემი სოფლის ეტიუდაჟიდან

დარბაზში რო შევედი, ლექცია უკვე დამთავრებულიყო. მეკითხვები წერილობითაც გაგზავნათ. ხელსაც იშვერდნენ. თითქმის ყველა იშვერდა ხელსა. თანამშრომლებიცა. ინსტიტუტისაი. მოსულიყვნენ ქალაქიდანაცა. ძილიო და სიზმარიო. ლექცია ნათაძესა. ლექცია იყო. შეხვედრაც გახლდათ რევაზ ნათაძესთანა უზნაძის უპირველეს მოწაფესთანა. ახლა უკვე პროფესორთანა. განწყობის თეორიის ერთერთ თვალსაჩინო მოღვაწესთანა. პედაგოგიკა-ფსიქოლოგიის კათედრას მოეწვია. კათედრის გამგე – ტიტე სარიშვილი ცოტა არ იყოს დაბნეულიყო. ხან აცხადებდა მიწერილ კითხვებსა. ხან თითებს უხმობდა. ხან ფურცლები აერეოდა თუ რა იყო – უკვე ნაკითხულს იმეორებდა. რევაზიც მიუგებდა აუღელვებლად. უფრო ვრცლად და უფრო ბეჯითად. გამოცდილ პედაგოგს როგორც რო სჩვევია. ძალიან კარგო. რაღა თქმა უნდა. მაგრამ ქანაობდა აშვერილი თითები. ეხლებოდა ერთიმეორესა. ეხლართებოდა. სხვა შეკითხვები მოინევა. სხვა პასუხს მოითხოვდა. ტიტე აშკარად დაბნეულიყო – თითები ვისი გამოერჩია: თანამშრომელი მანდილოსნებისა თუ ქალაქიდან მობრძანებული მანდილოსნებისა?.. სიზმარი ორთავეს ანუხებდა. სიზმრებში ორთავე დაბნეულიყო. ერთნაირადა. რაღა თქმა უნდა. მე რო დამინახა – ტიტეზე ვამბობ – აშკარად გამოცოცხლდა. მეგონა მომეჩვენამეთქი. მერეღა დავრწმუნდი – არ მომჩვენებოდა. ასისტენტიც მაახლა მაშინვე: ფეხი არ მოიცვალო უჩემოდ.

არა. არა. ამისთვის არ მეცალა. სუფრისთვისა. რაღა თქმა უნდა. არ მეცალა. იმიტომაც დამავიანდა. მეჩქარებოდა. ეკლებზე ვიჯექი. ტიტე არ გახლდა ისეთი კაცი, რაიმე წამოენყო ალაღებდა. დაიჭერდა ჯერ სუფრის თადარიგსა. მერე მოიწვევდა მოსაწვეველსა თუ რაც თუ რა იყო. კათედრებს რო ევალებოდა ლექციების გარდა. სწავლების გარდა. საზოგადოებრივი მუშაობის ხაზითაო. ეს ხაზიც გახლდა. სწავლებაც გახლდა. სუფრაც ფართო გაიშლებოდა. თამადობაც უყვარდა. ტიტესა. ცხადია. ფართო სჩვევოდა სადღეგრძელოებიცა. ზარიდან ზარამდე. 45 წუთი. თითო ლექციაი. თითო სადღეგრძელოსა. ერთი თუ ორი ასეთივეც თუ შემოგვესწრებოდა – არც დაგვათრობდნენ და არც დაგვაძინებდნენ, დაგვათენებდნენ ისე იმგვარადა. არა. არ შემეძლო. მოცდა არ შემეძლო. ასედაც დავაბარე მოციქულსა. ტიტესი. სახე დაეფშახლა ტიტესა. დაეფშახლა და დაემანჭა. ასწია ნიკაპი. დაიგრძელა და დაიგრძელა ყელი. ისედაც რო მოკლე არ უჩანდა. დაიგრძელა და ხელი გამოისვა. ვინ რა იფიქრა, მე არ ვიცი. რაღა თქმა უნდა. მე ჩემსას მივხვდი და ველარ დავიძარი ადგილიდანა. განა რას უნდა ეშურე-

ბოდე ისე, კაცი სასიკვდილოდ რო გაიმეტო!..

მე დავეკარი სკამსა ჩემსა. სტუდენტებმა რო მომიცალეს. ოთხი თუ ხუთი წამოიშალა. მე ერთს დავეკარი.

ლექცია ჰო მოთავებულყო. კითხვებიც მოთავდა თუ მოჰკვეცა ტიტემა. ეგ იმას უფრო ეცოდინებოდა. ხალხიც დაიშალა. ნავიდნენ ისინიცა. შემთხვევას რო ხელიდან არ გაუშვებდნენ. იტორლიალებს. იტორლიალებს და დაიშალნენ. თვალთ მანიშნებდნენ. მე მხრებს ვიჩქრდი. ნავიდნენ. სხვა რა ილაჯი ჰქონდათ.

ხალხი ნავიდა. დაიშალამეთქი. ერთ ჯგუფს მანაც მოემწყვდია რევაზი. ქალების ჯგუფსა. ყველა თავის სიზმარს უყვებოდა. ერთად უყვებოდნენ. ყველა თავის პასუხს ითხოვდა. ერთად ითხოვდნენ. გაბოცებულიყო რევაზი. ბრუნავდა. ტრიალებდა. ვისთვის რა მიეგო, ველარ გაერკვია. ჟამი იდგა ისეთი, სიზმარსაც რო ვერ მოჰყვებოდა. იდევნებოდა იდეალიზმი. სიზმრებიდანაც იდევნებოდა. ქვეცნობიერი ვის გაეგონა. ანთუ ფროიდი, ანთუ იუნგი, ანთუ მომხრენი თუ მოწინააღმდეგენი ვის გაეგონა!.. ვინ გაგაგონებდა?!. თვით სიზმარსაც ვერ ახსენებდი. რევაზი თუ ბედავდა. აბედვინებდა თეორიაი განწყობისა – მატერიალისტურ საწყისებს რო ეძიებდა ფსიქოლოგიაში. მატერიალიზმი?.. – ინებეთო ბრძანებდა ჟამი. იდეალიზმს არ გააჭაჭანებდა. იყოს. იყოს მატერიალისტურიო. არა უარობდნენ რევაზის ქალები. მოუთხრობდნენ სამიმ სიზმრებსა. გამოგვიხსენი. აღარ ძალგვიძსო.

დრო იხელთა ტიტემა: ახლა ჩვენ რა ვქნათო. არ დავალევიოთ ატენური რევაზსაო. მეკითხებოდა ისეთი სახითა, ჩემს იქით გზა რო აღარა ჰქონდა. ეს რა მოსვლია ტიტესამეთქი. ერთი კი გავიფიქრე. მაგრამ არ მიცდია – მე თვითონ გამერკვია ან თვითონ იმისთვის მეკითხა მანცა – თვით ატენური იყო საკითხავი გორში. თვით გორში. ატენშიცა. ატენში!.. თვით ატენშივე.


ფალსიფიკაციაო...

შემოჭრილიყო უცხო სიტყვია.

სიტყვა სიტყვადაც შემოჭრილიყო და საქმიანდაც შემოჭრილიყო. ფალსიფიკაციას მოეცვა მთლად საქართველო. ერი მოეცვა ფალსიფიკაციასა. ღვინო რაღაო – ვინ დატოვებდა შეუბღალავადა!.. წინათ მიკიტნებს თუ წაუტედებოდათ ხელი – წყალს თუ გაურევდნენ. ცოტასა. ცოტასა. შეუმჩნევლადაო. ახლა წყალი აქციეს ღვინოდა. წყალი და შაქარი. წყალი. შაქარი. და. ჭაჭაი. თუნდაც კლერტები. ვაზისაი ოლონდა. ღვინოც გახლდა და ღვინის ღვინოცა. რა ფერისაც გინდოდა. რა ხარისხისაცა. რა გემოსიცა. რადგან რო: გემოვნებაც დაკარგულიყო. ხარისხის გარჩევაცა. ფალსიფიციერებულიყო რო ყველაფერი. ყველაფერი. ყველაფერი. ადამიანი რო ფალსიფიციერებულიყო.

განწირულიყო...

რესპუბლიკა განწირულიყო გარდამავალი დროშისათვისა. ერთხელ მიელო. მეორედ მიელო. უნდა მიელო კიდევ და კიდევ. არ ეთმობოდა სხვებისათვისა. ფიცი დაელო – უზრუნველყო საბჭოთა კავშირი: ჩაითა. ღვი-



ნითა. ხილითა. უზრუნველყო. უზრუნველყო. არც არსაიდან რო არაფერი არ შემოჰქონდა და არც არაფერი არა ჰყოფნიდა თავისი. საბჭოთა კავშირსა. არაფერი. არაფერი. სრულიად არაფერი. ერთი ანექლოტისა არ იყო: თოკიც არ გააჩნდა – ჩამოხრჩობა რო მიესაჯა სასამართლოსა. დამნაშავისათვისა. არ გააჩნდა. თოკიც არ გააჩნდა. ამიტომაც ამოელოთ ჩამოხრჩობა სასამართლო კოდექსიდანა. ამიტომაც. მხოლოდ ამიტომაც. საქართველოს უნდა უზრუნველყო. თოკით არა. – ჩაითა. ღვინითა. ხილითა. ერთხელ ჰო უზრუნველყო. ორჯერ ჰო უზრუნველყო. ორჯერ ჰო დაიტოვა გარდამავალი დროში. ორჯერა. ზედიზედა. სულაც აქ უნდა დაეიტოვოთ!.. დიდი გაბედულება გახლდა. დიდი. დიდი. დიდ-ატენა!

ჩაით უხერხედობათ.  
ღვინითაცა.

ხილით ვერაო. ვერა. ვერაო. ვერაო და არცაო. ხილი არა ნებდებოდა ფალსიფიკაციასა. თუმცა მიწერებით ესეცა ხერხდებოდა. მოიწოდა იმდენი ხილი საქართველოში, საექსპორტოდაც რო გადაიდებოდა. მიწერებითა. მიწერებითა. რალა თქმა უნდა. მაგრამ ჩავარდნენ ერთხელ ისეთ საჯაყ დღეშია ეს ქართველი ხელმძღვანელები... არა. არა. ეს შორს წაგვიყვანს. ღვინოსთანა ვართ. ატენურს ვეძებთ. ღვინისა ითქვას. ატენურისა. გორში. ატენში.

ჩაისაც თუ წამოვკრავთ ხელსა – ამას მიწერები არა სჭირდებოდა. ფცქვნიდნენ ჩაის ბუჩქებსა. ფცქვნიდნენ და ფცქვნიდნენ. ფოთლებიანადა. ევკალიპტებსაცა ფცქვნიდნენ. დაფნის ბუჩქებსაცა. კიდევ თუ რასაო. თვითონ იცოდნენ. კომპის ფოთოლიც შემოგვცინებდა. კანკალებდა ფოთლოვანი. ძრწოდა. ცახცახებდა. ტყეშიო თუ შინაბალებში.

ღვინის წარმოება ცოტა რთულდებოდა. წყლის გამო არა. რალა თქმა უნდა. შაქარი ჭირდა. არა კმაროდა რაოდენობაი დაწესებული რესპუბლიკისათვისა. საქართველოსი. რალა თქმა უნდა. შემოჰქონდათ სომხეთიდანა. აზერბაიჯანიდანა. ჩრდილოკავკასიის ავტონომიებიდანა. რუსეთის შორეული ოლქებიდანაცა. შემოჰქონდათ და შემოჰქონდათ. მაშინ ამას კონტრაბანდა არ ეწოდებოდა. სპეკულიანტობა დაარქვეს მაშინა. და სპეკულიანტობდა მთავრობა ცალკე. ხალხი ცალკე. ანთუ ორივე სპეკულიანტობდა. სპეკულიანტობდა და ფალსიფიკატორობდა. მთავრობა დროშას არ უშვებდა ხელიდანა. ხალხი სვამდა აქოთებულ წყალსა. აქოთებულსა და გამაბრუებსა. დიდხანს გონს რო ველარ მოვიდოდა. და ვითომც აქ რო არაფერიო – ალალი ღვინო მოენებებინა ტიტესა. ჟამსა მას. ალალი ატენური. საპატივსაცემოდა სტუმრისა. როცა რო სტუმარს ვილა დაინდობდა, თავი რო გაემეტებინა მასპინძელსაცა. თავი თვისი რო გაემეტებინა. ჟამსა მას. ისიც არის რო: ქვეყანა ისე არ ნახდებოდა, არ შერჩენოდა რო ალალი კაცი. არა. არა. ისე მაინც არ ნახდებოდა. შენ პოვნა თქვი!..

გამოვიდა რევაზი ალყიდანა. გამოვიდა როგორც რო იქნა. დაჰპირდა: კიდევ ჩამოვალო. და მალე ჩამოვალო.

და ჩვენლა შევრჩით: რევაზი. ტიტე. და მე.

მე ცოტა უხერხულად უნდა მეგრძნო თავი. კიდევაც ვიგრძენი...

ტიტესი არ ვიცი – დაავიწყდა თუ აღარად მიაჩნდა, ისე მკაფიოდ დაუსახელა ჩემი სახელი და გვარი. გაუმეორა კიდევაცა. იცნობდეთო. დასძინა. ამაყად დასძინა.

ჩვენ ერთმანეთის პირისპირ ვიდექით: „ბურუსის“ ავტორი და „ბურუსის“ პერსონაჟი. ხელისჩამორთმევა თავაზიანი გახლდა. ღიმილი წრფელი. ახალგაჯნობისა. არ შეუშინებია მეტი არაფერი. რევაზსა. მე თუ ვიგრძენი – ჩემთვის ვიგრძენი. არც მე არაფერი არ შემეტყობოდა.

არცა ვტყუოდი.

რალა თქმა უნდა!..

ვერც იმას რო ვერ გაამტყუნებდი.

თავგამოდება ახლა ადვილია. წარსულია. გადავლილია. უარყოფილია. დაწყველილია. ტრაბახიც ადვილია. მოლასი არ იყო: ჰაი გიდი, ცხრა ნაბაღზე რო ვხტებოდით. ადვილია. ადვილი. სათქმელადა. ის დრო უნდა წარმოიდგინო. ის დროი. ის ჟამი. უარს რო ვერ ეტყოდი პარტიასა. ვერაფერზე რო ვერ ეტყოდი უარსა. ვერაფერზე!.. ვერაფერზე!.. ვერ გაჰბედა უარი ვერც იმანა. რევაზმა. დაიბარეს ციკაპში და დაავალეს ანუ უბრძანეს: უნდა გამოხვიდე შენს წინააღმდეგა. შენვე. შენი მრწამსის წინააღმდეგა. შენი მასწავლებლის წინააღმდეგა. უზნაძის წინააღმდეგა. განწყობის თეორიის წინააღმდეგაო. წინ წყალი. უკან მენყერიო. წინ მაინც ბუღბუღი ცხადი გახლდა. ცხადი. ცხადი. და ცხადზე ცხადი. გამოცხადებულიყო გადამწყვეტი ომი იდეოლოგიის ფრონტზედა. შენ გეძებნა მატერიალისტური საწყისები ფსიქოლოგიაში. იმას ფსიქოლოგია სულაც არ უნდოდა. პარტიასა. რის სული. რა სულის მოძღვრებაო. სწორედაც რო სული უშლიდა ხელსა კომუნისტების მშენებლობაში. სოციალიზმი ჰო აქ შენებინა სწორედაც რო გმობითა. დევნითა. სულიერებისა. კომუნისტსაც ისევე ააშენებდა. ცხადია და რალა თქმა უნდა. შენ ნახვიდოდი დიადი კომუნისტის წინააღმდეგა?!. სცადე და წარმოიდგინე თავი შენი. იმ დროში. იმ ყოფაში წარმოიდგინე. ნამდვილად. ცხადად წარმოიდგინე. ტრაბახის გარეშე. ამ დღევანდელი დემოკრატიზმის გარეშე. დემოკრატიზმია თუ რაცა რო ბრძანდება. ვერა. ვერ ეტყოდი უარსა. შენ რო შენა ხარ და რაცა ხარ თუ ვინცა ბრძანდები. უარს ვერ ეტყოდი!.. და მე შემეძლო დამეხატა სახეი ტრაგიკული – უარყოფელი საკუთარი მოძღვრებისა, საკუთარი მასწავლებლისა. მგობელი და უარყოფელი. მოსთქვამდა რო. ცრემლად იღვრებოდა. იფლეთდა გულსა და წერდა ისე მოხსენებასა თავისა თვისისა და მასწავლებლის განმაქიქებელსა. ეს უკვე დაეხატა ბალზაკსა. ვერც შეჯიბრს ვურჩევდი იმასთანა ჩემს თავსა. ვერც რო ვარიაციებს ვიკადრებდი იმისასა. არც რევაზი რო არ შემეტებოდა. არა. არა. საუნივერსიტეტო კურსი მომესმინა იმისი. წიგნები წამეკითხა იმისი. მესმოდა მრწამსი იმისი და სიყვარული მასწავლებლისადმი. იმისი. ვერც სატირისათვის ვერ გავიმეტე. იმიტომ ვერა... ვერ გავიმეტე ერთისიტყვითა!.. სახე ფერმკრთალია. ერთისიტყვითა. მთავარი სახე ფერმკრთალია „ბურუსში“. იქ პარტიაა უზნაძის წინააღმდეგა. ფსიქოლოგიის წინააღმდეგა. სულიერების წინააღმდეგა. ასეც იყო და ასედაცა ჯობდა.

არა ვტყუოდი. ერთისიტყვითა.

არც სახელით არ მომიხსენიებია. არც გვართა. რევაზი. „ბურუსში“. ცხადია. თავდაცვა შემეძლო. არც რო

არავინ არ მესხმოდა თავსა... არც არაფერიო. გავიცანით. ეს იყო და ესა. საქმე ახლა იწყებოდა.

ტიტემ მოიხადა თავისი ვალი. ეტყობოდა. ახლა ისიც მე მომყვებოდა. რევაზიც ჰო. რალა თქმა უნდა. მე ანდეს მივდევი. რაც იქნებოდა, იქნებოდა. ნუ შეხვალ ნუ ებანები ნუ გამოხვალ და ნუ თრთიო. რაც იქნებოდა, იქნებოდა. ხშირად ვიხსენებდი ამ ანდაზასა. გასამხნევებლადა. ნანერებშიც მომხშირებია.

გარეთ გამოვედით. მივაღვიძრეთ ქუჩის პირასა. მანქანაც შეჩერდა. ჩემი ნაცნობია. სადგურისაკენაო. მეკითხება. ლექტორთა უმეტესობა ჰო თბილისიდან დადიოდა. სადგურს მიაშურებდა ლექციების მერე. რკინიგზის სადგურსა. არამეთქი. უფრო ზევითამეთქი. შეფიქრიანდა. მოდითო. იცით, რაო: აგიყვანთო. ორიოდ საათს ჰო მაინც მოგვიანდებით იქაო. ამა-სობაში ჩემს საქმეს მივხედავ. ამოგაკითხავთო. აგამენოს ღმერთმაო. ტიტემა. ჩვენც შენგან მეტიც არაფერი გვინდაო. ისე მხნედა. საგულდაგულოდა ისე, თითქოს დანარჩენი მოგვარებული გვექონდა. ესეც კარგი იყო. იმედს შეგმატებდა.

აგიყვანა და აგვარებინა. მიგვატოვა ატენის სიონსა. შებრუნდა და მოუსვა. არ გამოგვმშვიდობებია. რალა თქმა უნდა.

მიგვატოვა და შევერჩით. შევეყურებდით ტაძარსა. ციხესა ატენისა. გავცქეროდით სანახებსა.

ხეობასა ტანასი. ვიგონებდით ხევისთავეებსა. ციხისთავეებსა. ერისთავეებსა. ბალავაშობამდისა და იმის წინარე. ამბავთა გადახდითა აქა და სხვაგანაცა. ზღვიდან ზღვამდისაო. სჩვეოდით როგორც რო წინაპართა ჩვენთა. დრო გაგვყავდა. ერთისიტყვიითა. რადგან რო ეს ჰო არ იყო ახლა მთავარი. არა. რა თქმა უნდა. ატენური უნდა მოგვენიშნა. წმინდა ატენური. ჟამსა იმა წაწყმედისასა. ტაძარშიც შევედით. ხარაჩოებით გამოჭედილიყო. ფრესკებსა წმინდნენ. ასუფთავებდნენ. ალადგენდნენ. როგორც რო შეეძლოთ. საუკუნეებით აკლებულ ფრესკებსა. დაეკლო რაც რო მაჰმადიანურ შემოსევებსა, მართლმადიდებლურ რუსობას რო მოეთავებინა. ხელოსნებმა იმედი გადაგვიწურეს: ტაძრის ნამბილწავნი ქვევრს წმინდად როგორ შეინახავდნენო. სასადილოში „23“ აქეთ. ჩვენც იმასლა ვჯერდებით. თქვენც თუ გირჩევთ ალბათ იმასვე თუ გირჩევთო. წყურვილი წყურვილია. წყურვილს ისიცა ჰკლავს. გემოს ვინ დაეძებს თუ სწყურიათ.

მე მაინც სასადილოს იმედი მქონდა. მთლად ალაღბებდზე არც წამოვიდოდი.

„23“ „23“ გახლდა. რისგან რა იყო რო ვერც გაიგებდი. მაგრამ იცოდნენ სასადილოს მესვეურებმა – შემოაპარებდნენ ხოლმე ატენურსა. ეგება რო არცთუ თავანკარსა. მაინც ატენურს მიემგვანებოდა. გვერდით ნადებსაო. როგორც რო იტყვიან. ცოტა ღიმილითა. ცოტა სინანულითა. ნუგეშითაცა. ცოტცოტაობითა. მაგიდაზე „23“-ს შემოგიდგამდნენ ან „6“-სა ან „8“-სა. მაგიდის ქვეშ საღვინე გედგა. შროშისაი. სველსველი. ციციცი. მთლად ალაღბებდებდაც არ წამოვიდოდიმეთქი. შეგვხვედრია თავანკარიცა. მაგრამ ბედმა რო არ გაგვიჭრა. იმჯერადა. ბედიც ჰო ეგ არის: სად გიმუხთლებს და სად ცად აგიყვანს – ვერ რო მიუხვედები. ეგ არის და რას იზამ. დაერბიათ სასადილოი. მეზუფეტე დაეჭირათ. გამგე გაქცეულიყო. შენობა დაელუქათ. კლიტეც დაედოთ. ვეებერთელაი.

შორიდანვე შევნიშნეთ – ბრწყინავდა კლიტეი. მზებზე ბრწყინავდა. მე ავჩქარდი. ისინი შეჩერდნენ. რევაზი და ტიტეი. კლიტეს მოვეჭიდე. გავნიე. გამოვნიე. შევაჯანჯლარე. ან ის რას მეტყოდა ან მე რას ვითხოვდი ან იმათთვის რაილა მეთქვა – შორიანხლოს რო შეჩერებულყვენ... ანაზად მოლბამ ჩამოიქროლა. მიექანებოდა აწყვეტილი. მისდევენ თითქოსაო. უსწრებს თითქოსაო. გასხლტება თუ ვერაო. გასხლტება თუ ვერაო. დაიხრჭიალებს მუხრუჭები უცება.

მხატვარი დიმიტრი ერისთავი

მანქანა აინევს. ლამის არის გადავარდებო. ლამისა. ლამისაო. დაიხვეს უკანა. ისევე მოსხლეტითა. ჩემს წინ შეჩერდება ისე ხრჭიალითა. მუხრუჭებისა. ისევა. ისევეკარი გაილება მანქანისაი. გამოდის მოლუნული. და აღიმართება –

ისევ დადიანიმეთქი. ვამბობ.

ის ხელს მიწვდის. გაჰყურებს რო მოშორებით მდგომთა – იკითხავს: ისინი ვილანი ბრძანდებიანო.

„ის ერთი – ტიტეა. სარიშვილი. ჩვენთანაა. ინსტიტუტში. მეორე რევაზ ნათაძე გახლავს!...“

ჩაჯექით. ჯდება თვითონაცა. რალა თქმა უნდა. მანქანა კიდევ უკან დაიხვეს. იმათაც ჩაისხამს. რევაზსა. ტიტესა. ქვევით დაეშვება. ტანას ხევისკენა. ჭიშკარს მიადგება. ილება ჭიშკარი. მარანთან მიდის. მანქანაზე ისევ ლაპარაკი. ილება მარანიცა. დარაჯი ალებს. დარაჯი გვესალმება. ჯერ ჰო ჭიშკართანა. მარანთანაცა ახლა. იგივე დარაჯი. ქვევრთანაც იგივე მიგვიძღვება. პირველივე ქვევრთანა. იქით დანარჩენი ჩამწკრივებულა. იქით ავლილად არ შეანუხებენ. სიგრილეა. სიმშვიდე. ძილი უწყინარი. ნუ

გააღვიძებ. ქვევრებსა. ცხადია. თუ გააღვიძებ, მერე თვითონ იცის – შენ შეგყრის ძილსა. თუ ჭკუა გყოფნის თუ არაო და ცოფს შეგყრის. ცოფსა. ვერც რო შენ ველარ მოსვენებ, სხვებსაც დაუყარგავ მოსვენებასა. ატენური ატენურია. სიფრთხილე გამართებს ატენურთანა.

იხდება ქვევრი. პირველივე ქვევრი. ქვევრიდან მზე ამოვარდება. გარეთ დავტოვეთ. მზეი. რა თქმა უნდა. თან შემოგვყოლია. ქვევრში ჩამძვარა. ჭიტაო – შემოგვძახის. ნაპერწკლებს ისვრის. შხივის. ისუსხება. ტიტე რო ტიტეა. თითქოს შეკრთაო. უკან დაიხვეს. რევაზიცა. დავითი – არა. დავითი – სახელია დადიანისა. ქარხანას ის განაგებს. ღვინის ქარხანასა. შეჩვეულია. რაღა თქმა უნდა. უჩვეულო არც ჩემთვისაა. ერთხელაც მოვხვდი სწორედ იმ ქვევრთანა. ასევე შეგვხვდა. მზითა ასევე. ნაპერწკლებითა ასე ამგვარადა. მერე სხივებად რო იფრქვევოდა. ქვევრსაც დაჰნათოდა. მსხდომთაცა. ცხადია. ქვევრის ირგვლივა. სამნი ვისხედით. იმ პირველადა. იგივე დავითი. სიმონ ჩიქოვანი და მე. მოხარშული დედალი მოგვართვა. ლანგართა. მრგვლად მოხარშული. იგივე დარაჯმა. მოჰხადა ქვევრი ახლაცა რო – გაჰქრა მაშინვე. დედალი ისის იყო რო მოეხარშათ. ორთქლი ასდიოდა. დედალი – ჩაკვერცხილი დედალი. ჩაქვირითებული. ყვითლადა. ყვითლად ჩაქვირითებული. ერთი მოედგა. ნაჭუჭი მოსავდა. თეთრი. ცხადია. ყვითელ ქვირითში. ისიც მოეხარშათ დედალთან ერთადა. ისევე მომდგარი დასადებდა. არა. არ უნდა გნამდეს ღმერთი, სიცოცხლე ასე რო გაიმეტო. მერე კიდევაც რო გეამებოდეს. დაჰყურებდე და სიამოვნებდე. მაგრამ რას იზამს – ესეც ღმერთს რო დაუნესებია. ან თვითონ შემცდარა ან შენ გაცდუნებს ან ეშმაკია ამოფარებული. აქაცა. იქაცა. იქაცა. ან საითღა გაერიდები ან ცდუნება როგორ გაგიშვებს. დავითმა ახლიჩა ერთი ბარკალი. თავისივე ძირიანადა. სიმონს უბოძა. მეორეც ასევე – მე მომანოდა. თავისთვის ფრთა აიხლიჩა. ძირიანადვე. დავნიკნიდით და ვილოცებოდით და შხივოდა ფიალებიცა და იფშვნებოდა მზეი. მზეი. სხივები მზისა და ივსებოდა ფიალები და ვსვამდით მზესა. მზე ამოსდევდა სადღეგრძელობსა. ამოსდევდა და თანმიჰყვებოდა. რას გამოვტოვებდით მამაპაპურსა. მშობლებისა ჰო თავშივე ითქვა. ერთი საწყალი კაცი იყო მამაჩემიო. სიმონმა თქვა. აკი დადიანობდნენ ჩიქოვანებიცა ერთხანსაო. დავითმა. შეახსენა და წააქეზა. უფრო წააქეზა. არ აჰყვა სიმონი. ოჰოო – მხოლოდ ეს ამოიძახა. მოკუჟა თვალი. ცალი თვალი. თავი გადახარა ოდნავა და ეს ისე ამოიძახა. კიდევ ერთი ჩიქოვანი მოჰყვებოდა ლიტერატურასა. ის რო დადიანობს, შენ ეგრე რად ისანყლებ გვარსაო. შეახსენებდნენ მეგობრები. განგება. განგება. მაშინ იცოდა ხოლმე ამგვარადა – „ოჰ!..“ საოცარი გაკვირვებითა. გაკვირვებითა და აღტაცებითა თითქოს თავისთვისაც რაღაცას მიაგნო – აღმატებას თუ მიაგნოო. თითქოსაო და ვითომაო. როგორღაც უხდებოდა. მოსწონდათ. დავითსაც ალბათ რო გაეგონა. იცინოდა დავითი. იცინოდა და უმტიკიცებდა: ვითომ ისეთი რა სხვაობაა ჩიქოვანსა და ჩიქვანს შორისაო. ასოთა ასეთი ჩავარდნები გრამატიკაშიც გამიგონიაო. შენ დროის უკუღმართობა თქვი თორემა, ეგება რო ლიპარტიანები თქვენი შტოდან წარმოსდგებოდნენ სწორედაცა და პაპაშენი და პაპაჩემი ძმები თუ არა – ღვიძლი ბიძაშვილები მაინც იყვნენ-

ნო. „ოჰ!..“ სიმონმა ისევე და მერე მოადევნა ჩვეულებრივა: ერთი საწყალი კაცი იყო მამაჩემიო. აკაკის იცინობდა და ძალიანაცა ამაყობდა იმისი ნაცნობობითაო. აკაკი იცოდა ზეპირადაო. მაზეპირებინებდა მეცა და მეჯიბრებოდა მერე: აბა თუ რომელმა მეტი ვიციო. რომელმა უფრო კარგად ვიციო. ჰო გჯობნიდაო. დასძენდა აკაკი. ბელიაშვილი. არა. აკაკი არ იყო იქა. იმჟამადა. ჩვენ სამნი ვისხედით.

ახლა ოთხნი.

ახლა ქოთანი შემოიტანა. ათუხთუხებული. ლობიოს ქოთანი. დარაჯმა. კიდევ მოგვესალმა. ხონჩაც ჩამოდგა. თონიდან ახლად ამოყრილი პურითა. დიდი ბუმბულა ყველითა. ვეება ბადიითა. ბადია წილითა. კომბოსტოსი. პომიდვრისა. წინაკისა. ნივრისა. კიდევ მოგვესალმამეთქი რო ვამბობ. კიდევა და კიდევამეთქი. ახირება ნუ გეგონება. ჭიშკართან შეგვეგება გამარჯობითა. მარანთან გვისურვა დღეგრძელობაი. დღეგრძელობაი და სიხარული. ქვევრთან დოვლათი. უღვევლობაი პურისა და ღვინისა. ხონჩის ჩამოდგმისას: მადაი. ლხინი და სიტყვაპასუხი ღვთივეკურთხეული. მაღლობა მოვახსენეთ და გავტყბეთ პური. რაღა თქმა უნდა. შემწვარი ვარიებიც შემოგვიმატა. მერე. ცხელი. ცხელცხელი. თითებსაც რო დაგწვამდა. პირსაც რო დაგწვამდა. მაგრამ რაღა გვეჩქარებოდა ან განა ქვევრს არ შემოვსხდომოდით, ვერ გავიგორილებდით განა პირსა!.. ეს ისე. რა თქმა უნდა. სახალისოდა. რევაზი მაინც ლამის გვაჭარბებდა. დინჯი კაცი გახლდა. მშვიდი. თავდაჭერილი. ერთიპირობა მაინც გამოტყდა: რა ლამაზად მოენყო ყველაფერი. ლამაზადა და მოულოდნელადაო. უპურმარილოდ რო არ გამიშვებდით. ვიცოდი. ცხადიაო. ოღონდ ქვევრის თავზე. ასე უბრალოდა. გულითადადა. ლაზათიანადა ასე. ქართულადა. რატომღაც ველარ წარმომედგინაო. მაგრამ ტიტესგან რა გასაკვირია. სუფრის ყადრი იცის ტიტემაო. ტიტემ შეიფერა. რაღა თქმა უნდა. ავანჩავანი მაინც ის იყო. გახალისდა და გამხიარულდა. ქუდი ჭერსა ჰკრა. ისე. ისე. და იმგვარადა თამაღობაც რო მოინდომა. დაანება დავითმა. სადღეგრძელო დაანება მხოლოდ რევაზისა. სტუმარს ისედაც შეეფერებოდა. ამაღლებულადა ისე. გრძლადაცა ისე რო სჩვეოდა ზოგ თამადასა. ზოგსა. ტიტესაცა. მერე ხელიდან გამოაცალა. თამაღობაი. რაღა თქმა უნდა. ტიტესა. ცხადია. ისე. ისე და იმგვარადა – ვერც რო ტიტე რო ვერ მიუხვდა, არც რევაზს არ შეუმჩნევია და თვითონაც – არა. დავითსაც არა. დავითი ხალისობდა მომეტებულიადა. მასპინძელს როგორც რო შეეფერება. ხარობდა. ხუმრობდა. ჰყვებოდა ახალ ანეკდოტებსა. ვიცინოდით. რაღა თქმა უნდა. გვაჭარბებდა ტიტეი ხმიერი სიცილითა. ხმიერთა. მჟღერითა. ომახიანითა. გვაჭარბებდა და ებნეოდა სადღეგრძელოები მომზადებული. მომზადებული ლექციებივითა და ლექციებისხელია. დავითს არაფერი არ ებნეოდა. ასწრებდა რო ხუმრობასაცა. ღვინოც ამოჰქონდა ორშიმითი ქვევრიდანა. ფიალებსაც გვივსებდა. მოადევნებდა სადღეგრძელოსაცა. სიტყვა რო მოიტანდა და დროსაც რო მოეტანა. ზოგი რო დროისვე ჩასაშხამებლადა. ზოგი უბრალოდ გაუგებრობადა. ზოგიც გასართობად რო გადაქცეულიყო.

ითქვა და ითქვა.

რაღა არ ითქვა –

კინკლაობაცა ქართველი მათემატიკოსებისა. განინ-  
მატებული. გაალმასებული. ბანკობიასი არ იყოს რო –  
ლამის აიყოლია მთლად საქართველო. ანთუ რა ლამისაო  
– აიყოლია და ის იყო. თუმცა მათემატიკა არც ისე რო არ  
უყვარდათ საქართველოში. არა სწყალობდნენ მძიმე საგ-  
ნებსა; ბრძოლაცა ბევრად გაცხარებული სომეხ და ქარ-  
თველ ხელოვნებათმცოდნეთა შორისა. ეკლესიები რო  
ვერ გაეყოთ. სომეხები ქართლში ეძებდნენ თავანთსასა,  
ქართველები სასომხეთშია; უცხოეთის წინაშე ქედისმოხ-  
რაცა. ეს უკვე საკავშირო მასშტაბითაო. იქაც პირველობა  
რო ინდომეს ქართველებმა. პირველობაც ინდომეს და თე-  
იმურაზ I-ც აქციეს ქედისმომხრელადა. პირველ ქედის-  
მომხრელადაც აქციეს და ამოაგდეს სასწავლო პროგრამა-  
მეზიდანაცა. ახლაც რო ამოაგდეს?.. გადააყოლეს დემოკ-  
რატიულ რეფორმებსა!.. ეგეც იმასა!.. რატომ ვერ გან-  
ჭვრიტა. რად ვერ აირჩია დასავლეთი – რალა სპარსულს  
ამჯობინებდა – როგორ ვერ მიჰხვდა ერასის მერე სპარ-  
სეთს რო დასცხებდა ამერიკაი?!. ვერ მიჰხვდა და ეგეც  
იმასა!.. გოეთესაც უყვარდა სპარსული პოეზია. მოსწონ-  
და ისე – თავისას რო ამჯობინებდა. არ გაუძევებიათ ისა  
ამისთვისა გერმანული ლიტერატურადანა. გერმანული  
ჰაგიოგრაფიაც არ გაუძევებიათ. არა ლამობდა გერმანიაი  
ევროკავშირში გაერთიანებასა. არც ჯარის მონყობას არა  
ლამობდა ნატოს სტანდარტების მიხედვითა. არცა არა  
ზრდიდა რაოდენობასა თავისი ჯარისა ერასში საპატრუ-  
ლოდ გასაგზავნადა. აღარც უნდოდა ევროკავშირი.  
აღარც საფრანგეთს აღარ უნდოდა. ინგლისსაც არა. ჰო-  
ლანდია ჰო ჰოლანდიაა, იმასაც არა. არც ისეთი რამ კავ-  
შირი გახლდა ეგ ევროკავშირი, ერთ მშვენიერ დღეს რო  
არ დაშლილიყო. სად ეტენებოდა ეს დალოცვილი საქარ-  
თველო. რა რეფორმები აეხირებინა. ისეთი რეფორმები  
– იმის ბუნებას რო ანგრევედა. კაცურ ბუნებასა. ტაძარს  
რო ანგრევედა იმისასა!.. არ დავიწყებულა არც რო ღვანლი  
ქართველობისა. იქვე. იმ სუფრაზე. ატენური ქვევრისა და  
ხონჩისა. დრო იყო ისეთი – რაც კარგები ვართ, ქართვე-  
ლები ვართო – რუსობის ჯიბრზე!.. უზნაძეც ითქვა. მნიშ-  
ვნელობაცა განწყობის თეორიისა ფსიქოლოგიაში. სამი  
ფიალა ერთად მიადგა ფიალასა რევაზისასა. ფიალები  
ბროლისა არ გახლდა. რალა თქმა უნდა – ვერ გამოსცემ-  
და რო წკრიალსა. გამოსცა რასაც რო გამოსცემდა – გაი-  
ჭახუნა და დაიცალა. ერთად გაიჭახუნა. ერთად დაიცალა.  
გაიხსნა ჰო რევაზის წარბი – უფროდაუფრო გადაიშალა.  
იბერტყებოდა ფიალები ხონჩაზედა. წვეთი რა არის – არა  
ვარდებოდა არცერთი წვეთი. ის იყო ვარიებიც შემოეტა-  
ნათ. ევროში შებრანული. ჯამით – წუაი. ალაღად თუ იტ-  
ყვი – კვანარახი უფრო შეეფერება. იმერულ ყაიდაზედა.  
არა?.. წუა!.. კვანარახი!.. ყური დაუგდე და წარმოიდგინე.  
წარმოიდგინე და გემოც გაუსინჯე. რაც უნდა იყოს, არც  
რა იგრძნობოდა, არც რა გაცნდილა, სიამტკილობის მე-  
ტი. იქა. ქვევრისთავზედა. ატენური ქვევრისა. იმ ორიოდ  
საათის განმავლობაში – რევაზისათვის მოულოდნელი.  
ტიტესთვისაც მოულოდნელი. ჩემთვისაცა. დავითისთვი-  
საც მოულოდნელი საათისა. ასე ვიტანჯებით ჩვენ – იტ-  
ყოდა ტიტეი. სუფრით რო იყო კმაყოფილი. გახსნილიყო  
რო სულითა. გულითა. სახეზე რო ასხდებოდა წითელი  
ფორაჯები. იტყოდა და ამბობდა იქვე. მარანშიცა. მარნი-  
დანაც რო გამოვდიოდით.

და რო აღარც გვახსოვდა, არ შემოგრიალდა ის ჩვენი  
მანქანაცა. ეზოშია.

შემოგრიალდა ბოდიშებითა: დამაგვიანდაო.

მადლობა მოვახსენეთ. დიდი. დიდი მადლობაი. რალა  
თქმა უნდა. დავითის მანქანას მივეტანეთ ისევე. ისიც თავ-  
ვისკენ გვეწეოდა. იმასთანვე გვერჩინა.

მე მაინც დანაშაულს გამოვისყიდო. დაგვიანებისათ-  
ვის ვინც გვებოდიშებოდა. სტუმარს თბილისს წავაბრძა-  
ნებო.

მეცაო. მეცაო. დაფაცურდა ტიტეი. დაფაცურდა და  
მაინც დაახანა, საყვედური რო ეთქვა ჩემთვისა. რიხითა  
ისეთითა. დავითსაც გაეგონა. მანქანის კარი გამოეღო  
მთლად ხეობასა. ტანას ხეობასა. ერისთავების ხეობასა.  
ბალავაშებისა. ილია ამის მაგალითად იტყოდა: ხელი გავიქ-  
ნიე, ფეხიო. იცოდა ილიამა: სად ვისთვის როგორ რო დაე-  
ლო ფეხი. ტიტემაც ვითომ დამიდო ფეხი:

„შენ მე ამას არ გაპატიებ. არაფრის გულისათვის არ  
გაპატიებ. ეს კაცი აქამდის რო არ გამაცანი!..“ წითელი  
ფორაჯები აჩნდა შუბლზედა. წითელიო თუ ვარდისფე-  
რიო – როგორიც როო – ეგრე, ეგრერიგად ამოფენილიყო  
თეთრი ატენური. ეგრე წავიდნენ. მანქანა იმათი მიჰფარ-  
და თვალსა. ჩვენც ავეშურეთ. დავითმა. ვიდრე გადაატ-  
რიალებდა გასალებსა. მანამდე ჩაიღმა:

„მაგას თუ ჰგონია – მე ყველას ვუჩერებ მანქანასა!..“

ნეტარ არიან მორწმუნენიმეთეი.

სიტყვები ასე ასხმული უნდაო. დავითმა. სად რისთვის  
რა ითქმის და სად ვინ რისთვის გამოიყენებსო.

მზე ჩადიოდა. გორში რო შევედით. ატენშიაც ჩადიოდა  
მზეი. ოღონდ იქ მთები ახლოსვე გახლდათ. აქ ცოტა შორ-  
სა. ვერხვის წვეროებს ეკიდა მზეი. შრიალებდა ფოთოლი.  
ვერხვისა. ცახცახებდა. მოიკიდებდა ხან რო მზესა. მალე-  
ვე ჩრდილი წამოენეოდა. და ცვივოდა ფოთოლი. მოჩითუ-  
ლი ფოთოლი. მოჩითულიყო ქუჩები გორისა. ოღონდ რო  
იკლებდა. იკლებდა და იკლებდა. მზე ჩადიოდა. კენწერო-  
ებს ეთხოვებოდა. რა კარგია მზისჩასვლისას გორი, ურ-  
მულივით ახლოვდება შელამებაო. ან ურემი სადღა ან  
ურმული ან ამ შედარებას ვილა რას მოუხვდება. არა. ურ-  
მული მაინც გასძლებდა რო არ შესეოდნენ ეს უღმერთო  
აფრო-ამერიკული მომღერლები – რო არ აემღვრიათ რო  
არ წაეხდინათ. ამას მაინც რალას ერჩოდნენ – გაერყვნათ  
ხმაი. როგორც რო ენებათ. დაეგრხათ. დაენაკუნებინათ.  
როგორც ენებათ. ვის თუ როგორაო. თავისი გაერყვნა.  
თავისი გაეყოლა. ან ურმულს რაისთვის გადაჰკიდებინ  
ან საუნჯესა ერთიანადა. ქართულსა. ხალხურსა. რადა.  
რაისთვისა?!. ან ეს უფლება ვინ მისცა ამათა. წარღვნის  
უფლება ამათ ვინ მისცა?!. იკითხე. ვინ გისმენს!.. არც  
ყურს არ გიგდებს არავინა. არც რო არ გედავება. მიერე-  
კება ის თავისასა. რეფორმებით და რეფორმებით. ევრო-  
კავშირში რო მიგვიღონო. მალეო. მალე რო მიგვიღონო.  
და წაუღია ესენი უკვე რეფორმებსა. წყალს წაუღია ესენი  
უკვე – აფრო-ამერიკულ ხმებს გადაყოლილნი. წყალს წა-  
უღია და მენყერი მისდევთ. მამინ ჯერკიდევ ისმოდა ურ-  
მული. ხალასი ურმული. ატენის ქვევრთან რო ამბობდა  
სიმონი: რა კარგია მზისჩასვლისას გორი, ურმულივით ახ-  
ლოვდება შელამება... ჯერ ის რა დრო იყო!..

ურმულივით ახლოვდება შელამება...



გივი ალხაზიშვილი

# მინიატურები


## კურკის სახლი

შეიძლება თუ არა სახლშიც იყო და ამავე დროს სადღაც მიდიოდე?! თვალს მოხუჭავ და სხვაგან ყოფნას წარმოიდგენ, თუმცა შენი შინ ყოფნა უფრო რეალური იქნება იმისთვის, ვინც თვალს შეგავლებს და გაიფიქრებს: – სადღაც წასვლას აპირებდა და არსადაც არ წასულა. შენ ამ დროს სხვაგან იქნები, მაგალითად, ლუდის ბარში ძმაკაცებთან ერთად, საყვარელ ქალთან ან, სულაც, გარეუბნის ჩაბურულ ბაღში, სადაც ერთადერთი ნაცნობი ის შაშვია, ჩაბურულ სუროში რომ შეიფრთხილებს, თან ნისკარტს ისე წაიყოლებს, თითქოს ჩალის ლეროს ნაწილი მიჰქონდეს სადღაც. სინამდვილეში კი ეს ის ნისკარტია, საიდანაც დროდადრო ღვთაებრივი ბგერები ამოედინება და შაშვის გალობას იმ წუთებში სამყაროს გადასხვაფერებაც კი შეუძლია, იმ რადიუსში მაინც, სადაც მისი სიმღერა აღწევს.

ალექსანდრე აკვიატებულ შეკითხვაზე პასუხის გაცემას არ ცდილობდა და თავს იმით იიმედებდა, რომ ერთმა სულელმა შეიძლება იმდენი კითხვა დაგისვას, რომ ერთსაც ათასი ბრძენი ვერ უპასუხებს. მან იცოდა, რომ თვითონ იყო სულელიცა და ბრძენიც, მეტადრე მას შემდეგ, რაც ერთდროულად სხვადასხვაგან ყოფნის და ურთიერთგამომრიცხავი ქმედების ერთდროულობის ალბათობის ვერსიას მიაგნო და პასუხის საძებნელად ექსპერიმენტის განხორციელებას შეუდგა. ბევრი იფიქრა და დაასკვნა, რომ ადამიანი იქ არის, სადაც რეალურად კი არ იმყოფება, არამედ იქ, სადაც გული მიუწევს და მთელი არსებით ცდილობს სხვა დროსა და სივრცეში გააღწიოს ნაბიჯის მოუცვლელად.

ექსპერიმენტი დიდხანს გაგრძელდა. ან გარდაცვლილ დედასაც შეხვდა ძველ, გაყიდულ სახლში. გამოესაუბრა. საკუთარი ცდის თაობაზე არაფერი უკითხავს. გარდაცვლილებთან ერთად, ანუ მშობლებთან, ისაღილა კიდევ. სამი ჭიქა კახური ღვინო დალია სვენებ-სვენებით, დაგემოვნებით. მერე წამოდგა და იმ პატარა ბაღში გაისეირნა, სადაც ყოველი ხე თუ ბუჩქი, ალბათ, დღესაც აგრძელებს თავის არსებობას და წელიწადის ოთხივე დროს მუდამ სხვადასხვანაირად მშვენიერია. მამამ რომ დაუძახა, მოდი მარანში ჩავიდეთ და რაღაცას გაჩვენებო, არც შეყოყმანებულა, წელი ნაბიჯით გაჰყვა ბერიკაცს. კიბის რამდენიმე საფეხური წელა ჩაიარეს, კარი შეაღეს და მარნის უცნაურმა ჰაერმა, სიგრილითა და ღვინის სურნელით გაჟღენთილმა, ნესტოებში რომ შეულიტინა, არც კი გაჰკვირვებია. ყველაზე საოცარი ან იქნებ, სულაც, ჩვეულებრივი ის გახლდათ, რომ გარდაცვლილები ცოცხლებივით იქცეოდნენ და მამა, როცა ღვინით სავსე ორშიმოს აწვდიდა, დააგემოვნე, როგორიაო, მასზე ენერგიულად და საქმიანად გამოიყურებოდა. დედის გაფრთხილებაც – მეტი არ მოგივიდეთ, არ გამოთვრეთო, უფრო ბუნებრივად ისმოდა და არც ექვევებოდა, რომ არსებულ რეალობაში თვითონ ის უფრო ხელოვნუ-

რი და უცხო იყო, ვიდრე ისინი. თანდათან ატყობდა, რომ კარგავდა სიუცხოვის შეგრძნებას და ისე მიუახლოვდა მშობლებს (ურთიერთობის რეალობის ხარისხს ვგულისხმობ), რომ მათ შორის სხვაობა უკვე აღარ არსებობდა. ან ყველანი ცოცხლები იყვნენ, ან ყველანი გარდაცვლილნი, მაგრამ ერთობლივ სიცოცხლეს მაინც აგრძელებდნენ დროისა და სივრცის რომელიღაც მონაკვეთში.



მამა კაკალს ამტვრევდა ქვასანაყით, ლებნებს გულდასმით არჩევდა. პური, ყველი, მწვანილი და მთავე კიტრიც სახლიდან ჩამოიტანა, ისე მშვიდად შლიდა ხელდახელს სუფრას, რომ არსად ეჩქარებოდა. ის კი საღერღელაშლილი ელოდა მორიგი ჭიქის გადაყლურწვას და მამის სიმშვიდე აოცებდა.

სახლში რომ ავიდა, კარგად შეჭიკჭიკებული იყო. ურემონტო ბინის კედლებზე თვალშისაცემად ჩანდა ის ადგილები, გახუნებული მართკუთხედები, სადაც ოდესღაც გარდაცვლილ ახლობელთა სურათები ეკიდა და ახლა სადღაც გამქრალიყო. ცდილობდა გაეხსენებინა, სად ვისი სურათი ეკიდა და ვის ეკუთვნოდა ესა თუ ის გახუნებული ფართობი მართკუთხედისა, მაგრამ ვერაფერი გაიხსენა, ბებიის, ბაბუის და მამამისის უმცროსი ძმის სურათების გარდა.

ეს ფერშეცვლილი მართკუთხედები, კედლის საერთო ფერისაგან რომ მკვეთრად განსხვავდებოდა, იმ პატარა სარკმლებს ჰგავდა, დიდი ხნის წინ რომ დაგმანეს და რომელთა გამოღება და იქიდან სადმე გახედვა უკვე შეუძლებელია.

სახლში რომ დაბრუნდა, ანუ იმ სახლში, სადაც ისედაც იმყოფებოდა, სავარძელზე მოკალათებულმა ცოლმა გაკვირვებით ჰკითხა:

– როდის მოასწარი დალევა? რა ნასვამივით იყურები, სახეც აგნითლებია?!

უხალისოდ ჩაილაპარაკა: მარანში ვიყავი მამაჩემთან ერთად და მსუბუქად წაიქიქვევითო.

– მორჩი ხუმრობას, – უპასუხა ცოლმა და შვილიშვილს გათლილი ვაშლი მიანოდა.

ბავშვმა ვაშლი ჩაკბინა, ვაშლის გულს ჩახედა, მერე მასთან მიიბრინა და გაკბეჩილი ნაყოფი აჩვენა:

– ბაბუ, შეხედე, ეს ვაშლი კურკის სახლია. ვაშლის გულში კურკები ცხოვრობენ.

## ცვალებადი უცვლელია

მტრედები ღულუნებენ. მარტის მზიანი დღეა, თუმცა ცივი ნიავი უსიამოვნოდ ქრის და მზის სითბო მხოლოდ იქ იგრძნობა, სადაც ნიავი ვერ აღწევს და ბალახიც უფრო ამწვანებულია, ვიდრე სხვაგან. ჭიანჭველებიც აფუსფუსებულან და ჩიტების ხალისიანი ჟივილ-ხივილი სხვა რა უნდა იყოს, თუ არა მოახლოებული გაზაფხულის მაცნე.

სახლში ჯერ ისევ ცივა. ალექსანდრე მიმჯდარა ნავთქურასთან და ვერ გადაუწყვეტია, სადმე წავიდეს სასეირ-

ნოდ თუ ისევ მტრედების გაბმულ ლულუნს უსმინოს. იმ მტრედებისას, რომელნიც წარღვამდელ წინაპართა შთამომავალი არიან. თუმცა დაბეჯითებით ამის მტკიცება არ შეუძლია. ასევე არ შეიძლება დაასაბუთო ის, რომ ეს ცა, მიწა, მდინარეები, წელიწადის დრონი ზუსტად სამყაროს ხნისა და გამუდმებით განახლებას თუ ფერისცვალებას განიცდის. აბა, ვის ახსოვს, ორ ზღვას შუა ხმელეთი როდის ამოიზიდა, როდის ჩაისახა პირველი სიცოცხლე?! გვირდა თუ არა, წიგნებიდან მიღებული ინფორმაციით ვსაზრდოობთ და ჩვენი სააზროვნო ენა ყოველთვის შეიცავს წიგნიერი ცოდნის ქვეტექსტს, რომელსაც ლამის ქეშმარიტებად ვალიარებთ. და ეს ცოდნისმიერი ძალა თუ უძლურება, საერთოდ, კაცობრიობის საკუთრებაა და მისი ავტორი უცნობია, რადგან კოლექტიური ცოდნა, რომელიც უთვალავი თაობის გამოცდილებით შეგროვდა და განივრცო ენასა და მეხსიერებაში, ყველასია და არავისია ერთდროულად.

ველარ მოეშვა ალექსანდრე იმ პრობლემებზე ფიქრს, რომელიც მხოლოდ ტანჯვას უმრავლებს და ბუნებრივი კალაპოტიდან ისე აგდებს, რომ იქ დასაბრუნებელი გზა განსჯისა და ფიქრის უარყოფაა, რადგან რაიმე სიხლის აღმოჩენა ისევ ალღოსა და გამოცდილებას უნდა მიანდოს და კიდევ, რაც მთავარია, შეგრძნებათა სამყაროს, რომლის არსებობა ეჭვს არ ინვევს და ცოდნით ვერ შეფასდება.

თანდათან დამკვიდრებული ეპისტემური სტრუქტურები ასხვაფერებს ენას და ეს ცვალებადობა განაპირობებს წარსულ თუ დღევანდელ თანამედროვეობას შორის სხვაობას. ვის შეუძლია დაამტკიცოს, რომ ათასწლეულების სხვაობათა ჯვამი კოსმიური შავი ხვრელივით არ შთანთქავს ყოფილ თუ ამჟამინდელ სინამდვილეს, მხოლოდ იმიტომ, რომ სხვა სინამდვილე დამკვიდრდეს დროებით, რადგან ნებისმიერი განვითარება პირობითია ან სულაც დროებითი, როგორც წინარე წინსვლათა მოჩვენებითი რეალობა.

რალაც მაინც რჩება უცვლელი, რომელსაც შეიძლება ცვალებადი უცვლელია ვუნოდოთ, რადგან იგი თან იცვლება, თანაც რალაცას ინარჩუნებს უცვლელად და რასაც ინარჩუნებს უცვლელად, ეს უზენაესი ინსტანციაა, მიუწვდომელი ტრანსცენდენტია, რომლის თანაარსებობა განაპირობებს ყოველივეს, რაც დედამიწაზე ხდება.

თითქმის ნებისმიერ ადამიანს შეუძლია შეიგრძნოს პარალელური დრო და ეს შეგრძნება დასტურია ან იქნებ მინიშნებაა, რაოდენ ფრთხილი უნდა იყოს ნებისმიერი ჩვენგანი ბიოსფეროსა და ნოასფეროს ზემოქმედების უწყვეტი და განუსაზღვრელი ხარისხისა და შესაძლებლობის გაცნობიერებისას.

შენ ბიბლიური ნოე გაგახსენდა, როცა მტრედების ლულუნს გაიგონე. ვინ იცის, ეს ხსოვნა საიდან იღებს დასაბამს, ლეგენდიდან თუ უხსოვარი დროის რეალობიდან, მითიური ცოდნიდან თუ უტყუარი შეგრძნებიდან. მაგრამ ხომ არსებობს აუხსნელი კავშირი წარსულსა და აწმყოს შორის, კონკრეტულსა და აბსტრაქტულს შორის და ვინ იცის, სად ერწყმიან ისინი ერთმანეთს?!

ამ ორი პოლუსიდან ერთ-ერთის გამორიცხვა, ამ ორი სამყაროს თანაარსებობის უარყოფა უარყოფელია ყველაზე მნიშვნელოვანი ღირებულებისა, რასაც ადამიანური სიცოცხლე ჰქვია.

- ბავშვი ფანჯრის რაფაზე აბობლდა.
- აქ რა გინდა, ხომ შეიძლება გადავარდე?!
- მე მინდა დავინახო, დედამიწა როგორ ბრუნავს!

ალექსანდრემ ფიქრი შეწყვიტა და შვილიშვილთან ერთად თვალი გააყოლა ჩამავალ მზეს. მალე დაბინდდება, ჩაილაპარაკა თავისთვის და მზის ანარეკლით გაბრწყინებულ ფანჯრებს გახედა. მტრედები აღარ ლულუნებდნენ. ამ მზიან დღესაც უქმად არ ჩაუვლია. დღემ მოასწრო ნუშის ყვავილის გაშლა და ალბათ ისიც, რომ ალექსანდრეს შვილიშვილი ცოტათი უფრო გაზრდილი მოეჩვენა.

## დიდი უჩინარი

„... გაიძრეთ ძველი ადამიანი მისი საქმეებითურთ...“  
**კოლასელთა მიმართ (3.9.)**

თვითჭვრეტას შეზრდილი ლეონტი მაშინაც კი საკუთარი სულის სიღრმეში მიმდინარე მოვლენებს აკვირდებოდა, როცა უბანში ვინმეს უმნიშვნელო საფასურად მიწას უბარავდა.

მინის ბარვას და ამ საქმიანობით თავის რჩენას მაშინ მოჰკიდა ხელი, როცა სკოლის, კულტურისა თუ პიონერთა სასახლესთან არსებული ყველა საკლასო ოთახი თუ სხვადასხვა წრის ოთახის კარი უარით მიუხურეს და როგორც არასანდო სუბიექტს, თანაც არაკვალიფიციურ კადრს, ზურგი შეაქციეს. სხვა რა გზა დარჩენოდა, მეკურტნეობასა და ფეხსაცმლის მწმენდაობას ისევ მინის ბარვა ამჯობინა. მეზობლობაში, ქალაქის გარეუბანში, ვისაც მოზრდილი ეზო ჰქონდა და მინის დამუშავება ეზარებოდა, ყველა ლეონტისთან გარბოდა, – ე, ბიჭო, მინა დამიბარე და საფასურს გადაგიხდით. ლეონტიც გაიდებდა მხარზე თავის პირაპირალებულ ბარს, რომელსაც დამატებით ხის საფეხურიც ჰქონდა. ეს იმისთვის, რომ თუ მინის გადაბრუნება მოუწევდა, უფრო ღრმად, ანუ ორი ბარის პირზე ებარა. დილაუთენიაზე მიადგებოდა კლიენტს. მუშტარი არც თუ ისე ბევრი იყო, მაგრამ ლეონტის საქმე მაინც თავსაყრელი ჰქონდა და ანაზალურებულ თანხასაც ისე იზოგავდა, რომ ერთხანს ჰყოფნიდა. წელიწადის დრონი ერთმანეთს ენაცვლებოდა და იგი ადრე გაზაფხულზე, ბარვის სეზონს რომ მოითავებდა, მერე გათოხნის ყამს ელოდა. თოხნა კი ორჯერ მაინც იყო საჭირო – აქ სიმინდიო, სარის ლობიოო, ვენახის ლობიოო, მოკლედ, საქმე არ ელეოდა. შემოდგომისას შემის სახერხად დადიოდა. ზამთარში კი გრძელ ღამეებს ძილ-ღვიძილში ატარებდა, თანაც დროდადრო საერთო რვეულს გაშლიდა და დღიურებს ისევე აუჩქარებლად წერდა, როგორც ბარავდა, თოხნიდა, ხერხავდა და ა.შ.

არავინ იცოდა, რას წერდა ლეონტი საქმისგან თავისუფალ დროს მამისეულ ქოხში და მისი უცნაური არსებობა, უწყინარი ხასიათი, უკონფლიქტო ბუნება მეზობლებს თითქმის შეუნიშნავი რჩებოდათ.

გვიან შემოდგომისას, გამოდარებულზე, ღობეში ჩარიგებული აკაციების და კოპიტების გადაბეღვამიც ეხმარებოდა მეზობლებს და ასე ვაი-ვაგლახით გაჰყავდა ნუთისოფელი.

უბანში ჭორად დადიოდა მისი ამბავი, აქაოდა გადასახლებული იყო ტროცკისტობაზე, დახვრეტას გადაურჩა, ნასწავლი კაცია, მაგრამ მოსწავლეებს არ ანდობენ და არც სხვა სამსახურს აძლევენო. ლეონტი უსიტყვო კაცი იყო. რომ მოგენდომებინა, ვერ გამოელაპარაკებოდი. ის, რაზეც პასუხს არ იშურებდა, კონკრეტული საქმე და ამ საქმესთან დაკავშირებული რამე-რუმეები იყო. წაღღის

სალესი, ბარის საფხეკი, შეშის სოლი, ნაჯახი, ცული, თოხი, გამზადებული სატარეები, ხერხი, ხერხზე გასაბმელი თოკი და ვინ იცის კიდევ რა არა, აკურატულად დაენყო სარდაფში და როცა რა სჭირდებოდა, იმ ხელსაწყოებს დაიილიავენ და სამუშაოდ მიეშურებოდა.

ჩვენთან მოსვლა უყვარდა. მამაჩემი მოქეიფე კაცი იყო და მინის ბარვით თავს არ ინუხებდა. მოვიდოდა თუ არა ლეონტი საბარავად, მამაჩემი შუალევინით სავსე მოზრდილ დოქს ჩაუტანდა ვენახის ბოლოს, – აბა, შენ იციო, გაამხნევენ და სახლშივე შებრუნდებოდა. ლეონტი აუჩქარებულად, მაგრამ გულმოდგინედ ბარავდა. ბელტს ბელტზე აწვენდა, აფხვიერებდა კიდევ და მეჩვენებოდა, რომ ასე ზოზინით საქმეს ვერასოდეს მორჩებოდა. მაგრამ საკმარისი იყო თვალი ამერიდებინა ან ყურადღება სხვა რამეზე გადამეტანა, გაკვეთილების მოსამზადებლად მაგიდას მივჯდომოდი ან რიკ-ტაფელა მეთამაშა ბავშვებთან, მერე კი თვალი გამეპარებინა ლეონტისკენ, რომ გაოცებისაგან პირს დავადებდი, როგორ მოასწრო ამ გამხდარმა, აწონილმა კაცმა იმხელა ფართობის გადაბარვა. ლეონტის, როგორც მერე მივხვდი, ბარვისას თავისი რიტმი ჰქონდა შემუშავებული – თანაბარი, აუჩქარებელი და გულმოდგინე. შედეგი ყოველთვის გამაოგნებელი იყო. დროდადრო ისვენებდა. ბარს ფეხით დაანეგებოდა, მინაში ჩატოვებდა, გაოფლიანებულ შუბლს საჩვენებელი თითით მოიწურავდა, სახეს მზეს მიუშვერდა, ოფლს შეიშრობდა და შუალევინიან დოქს დაენაფებოდა. იჯდა და ფიქრობდა. სივრცეს გაჰყურებდა და ნოტიო მინის სუნს ხარბად ისუნთქავდა. როცა შუალევინოს სამჯერ ჩაირაკრაკებდა ყელში, მარჯვენა ხელით ტუჩს მოიწმენდა და ისევ საბარავად გაეშურებოდა. ბარვას თავს მაშინ ანებებდა, როცა ეკლესიიდან ბარის ხმა შემოესმებოდა. ვენახში ჩაიჩოქებდა და მალულად, ისე, რომ არავის შეენიშნა, პირჯვარს გადაისახავდა.

მზის ჩასვლისას მამაჩემი გამოჩნდებოდა. ლეონტის დაუძახებდა, აქეთ მოიწიეო, შეუძღვევოდა ბუხრის ოთახში და გაშლილ სუფრასთან მიიპატიჟებდა. ლეონტი კი არ ჭამდა საქმელს, ციკქნიდა. ღვინოს კი არ სვამდა, წრუპავდა. მამაჩემი აძალებდა, მაგრამ ეს თავისას არ იშლიდა. შედეგი ყოველთვის ერთი და იგივე იყო. ბუხრის ოთახიდან მამაჩემი ყოველთვის შექეიფიანებული გამოდიოდა, ლეონტი ოდნავ გადაკრული, ისე რომ არც ეტყობოდა, ნასვამი იყო თუ არა. სამუშაო იარაღებს სახლთან მიაყუდებდა და მინისაკენ გასწევდა.

ლეონტის არ უყვარდა, როცა ვინმე საფიქრალ დროს ართმევდა უაზრო ყბედობით და სიმართლე რომ ვთქვათ, არც უსმენდა მოლაყებებს. ეს კაცი ერთ რამეს ნატრობდა მხოლოდ, იქნებ ვინმე გამოჩენილიყო ამდენ ხალხში, ვისთანაც შეძლებდა იმ თემებზე საუბარს, რასაც მან მთელი ცხოვრება შეალია, რისთვისაც თავის განირვაც კი არაფრად მიაჩნდა. მაგრამ ეს უიმედო ნატვრა იყო. ადამიანები თავიდან ფეხებამდე საკუთარ პრობლემებში ჩაფლულიყვნენ და არც არავის ეცადა და კიდევაც რომ ჰქონოდა მოცალეობა, ვერც გაიგებდა ლეონტის საერთო რვეულში ჩანიკნიკებულ აზრებს, რომელსაც სათაურად ასე ერქვა – „ინტროსპექტული ფსიქოლოგია, ანუ საკუთარ თავში ჭვრეტა“.

ლეონტის ოპუსი ასე იწყებოდა: „ჩემს ეზოში ერთი ჭა ცხოვრობს. იგი მხოლოდ იმას ირეკლავს, რაც მისი მზერის ობიექტივში ხვდება. დანარჩენი მისთვის შეუნიშნავია. ჭა როცა შრება, ველარც იმას ხედავს, რასაც წყლიანი ზედა-

პირით ირეკლავდა. ამ დროს ჭა ბრმაა. მეც იმ ჭასავით სამყაროს მხოლოდ რალაც ნაწილს ვხედავ, რასაც თვითჭვრეტისას უკეთ აღვიქვამ და ვაცნობიერებ. მაგრამ დროდადრო თვითჭვრეტის უნარი მერთმევა და მეც ვბრმავდები. ვხედავ, მაგრამ ეს არ არის ხედავა. ვერ გავიძრე ძველი ადამიანი მისი საქმეებითურთ. დავრჩი იგივე და ვერ შევეხამე თანამედროვე ყოფას. არ მეჩვენება, რომ ზედმეტი ადამიანი ვარ ადამიანთა შორის, მაგრამ ესენი სხვა ენაზე მეტყველებენ, ჩვენ ერთმანეთის არაფერი გვესმის.

რატომღაც ისევ მჯერა ბუნებასთან სიახლოვის უზენაესობა. რადგან ამას ვახერხებ, შინაგანად მაინც კმაყოფილი ვარ. ზოგჯერ მგონია, რომ ის ბაბუანვერა ვარ, მზისფრად რომ ყვავის გაზაფხულზე. ყვავილობის ხანამ უკვე ჩაიარა. ახლა თავი ისე მიჭირავს, როგორც ბაბუანვერას ბუსუსებთან ქოლგას, ნიავის ყოველი წამობერვისა რომ ეშინია. ერთხელაც გავიფანტები და საკუთარ ნაბარში ჩამეთსავს ქარი.

კაცმარომ თქვას, რა უნდა მესწავლებინა ბავშვებისთვის ხელმოცარულ ფსიქოლოგს. ალბათ მხოლოდ ერთი რამ, ყური მიუგდონ, როგორ იცვლის ხმას დოქი სითხით შევსებისას ან გულისტიკვილით ჩახედონ ამოხაპულ ჭას, არაფერს რომ ირეკლავს და ასეთ ჭაში სათლსაც არავინ უშვებს არარსებული წყლის ამოსაღებად. თუ დაახანებ, თანდათან ჭა ისევ შეივსება, იგივე ხედი აირეკლება მის ზედაპირზე. სიცოცხლეც ისევ დაიწყება ხელახლა, მემილიონედ, მემილიარდედ და რა მნიშვნელობა აქვს, შევესწრები თუ აღარ“.

როცა ლეონტი მეზობლებმა სამადლოდ დაკრძალეს უბანში აკრეფილი ფულით, შენაწირი ღვინითა და პურმარილით, მის ქოხში აღმოჩენილი ხელნაწერი მე გადმომცეს, როგორც ნარჩინებულ სტუდენტს, თან დააყოლეს, ჩვენ ვერაფერი გავიგეთ, იქნებ შენ გაიგო და გამოიყენო.

საშემოდგომოდ გადაბარულ ეზოებს პირველმა თოვლმა გადაუარა და გადაათეთრა. ლეონტიც მალე დაივიწყეს მეზობლებმა და მხოლოდ მაშინ ახსენდებოდათ, თუ რაიმე საქმე გაუჩნდებოდათ ეზო-კარში.

რომ ვთქვა, გაუჩინარდაო, არ ვიქნები მართალი. იგი სიცოცხლეშივე დიდი უჩინარი იყო.

ალბათ, დროდადრო გავშლი მის საერთო რვეულს და მკითხველს შევთავაზებ ცალკეულ აბზაცებს, ამბებს თუ დაკვირვებებს ან იმ შეგრძნებებს, უნებლიეთ რომ იბადება საკუთარ თავში ჭვრეტისას.

ის ისე წერდა, როგორც ბარავდა – ღრმად, აუჩქარებლად, შეფარული ლეღვის თანხლებით, იმდაგვარი რიტმით, დროის წრებრუნვას რომ შეერწყმის.

**ღამისფარი ქსოვილი,  
რომელზეც წარწერა გაქრა**

პაპისეულ მარანში სამიოდე ოცდაათლიტრიანი ღვინით სავსე ბოცა დარჩენოდა. ვახშმად ორი-სამი ჭიქა რომ გამოეზოგა, ახალი ღვინის დადუღებამდე იმყოფებინებდა.

სახლის წინ ძელსკამზე მოკალათებული დროდადრო ერთი და იგივე სურათს ხედავდა. გაიღებოდა მარნის კარი, კიბეს ამოვივლიდა მოხუცი მამა (და არა მამის ლანდი), ხელში ღვინით სავსე დოქი ეჭირა და სახლისკენ მიემართებოდა. დაძახება აღარ უცდია. იცოდა, რომ მაინც ვერ გააგონებდა, უცხოხავით ჩაუვლიდა, კიბეს აუყვებოდა და ღია ფანჯრი-

დან გარეთ გამოღწეულ ხმებს ყურს უგდებდა, ძალიან უნდოდა გაერჩია, რომელი ხმა ვის ეკუთვნოდა და რა ხალხი იყო მის ცარიელ, ფარღალალა ოდაში თავშეყრილი. არც იმის გარკვევას ცდილობდა, ეს ყოველივე მხოლოდ ზმანება იყო თუ სინამდვილე, რადგან რამდენჯერაც არ მოინდომა – ყველაფერი ხელიდან გაუსხლტა და თვალს მიეფარა უეცრად. წინაპრებთან თანაცხოვრებას ისე შეეზარდა, რომ სხვაგვარად არც კი შეეძლო. რადგან ისინი არც ერთ კითხვაზე არ პასუხობდნენ, ეს თავისთვის მაინც ლაპარაკობდა. ახლაც რაღაც ჩაიბურტყუნა და მოგვიანებით, შინ რომ შებრუნდა, შუშაბანდიან ოთახში გაშლილი მწირი სუფრა დაინახა – დაინახა სამი ნაკლული ღვინის ჭიქა, ტუჩსველი დოქი, პურის ნატეხი და სამი სუფთა თეფში. მერე ისევ უკან გამობრუნდა და მარანში ღვინო შეამოწმა. ერთ-ერთ ბოცას ღვინო აკლდა. ღვინის გადმოსაღები რეზინის შლანგი ჯერ კიდევ სველი იყო და იმის შიშით, ნაკლული ღვინო არ ამიძმარდესო, სხვა ჭურჭელში გადაიღო, კარგად დახუფა და ერთი სამელიტრიანი, რომელიც ბოლომდე არ შეივსო, უსაცობოდ დატოვა, მხოლოდ ძაბრი ჩამოამხო თავზე და გაიფიქრა, გადმოღებისას რომ არ ვინვალოთ, ან მე დავლევე, ან ისინიო.

– გინდა, ზღაპარში წავიდეთ საცხოვრებლად?! – გაახსენდა უმცროსი ძმის შეკითხვა, რომელიც დიდი ხნის წინ გაურკვეველ ავადმყოფობას ემსხვერპლა და მას შემდეგ სახლზე გაკრული ძაძების ჩამოსხნა არავის გახსენებია. დრომ თავისი გაიტანა და ფერდაკარგული, უკიდურესად გაზუნებული ძაძა ვეღარც კი იხსენებდა თავის მგლოვიარე სიზვევს, ვიდრე ისიც ქარმა არ ჩამოფხრინა და სადღაც არ წააფრიალა. იქნებ ღამეს დაუბრუნდა სიბნელიდან გამოჭრილი ქსოვილი?

კიბე ისევ მიიმედ აიარა. შინ შევიდა. მამის გაშლილ სუფრას მიუჯდა და რომელიღაც ჭიქიდან ღვინო მოსვა, მაგრამ ღვინოს ღვინის გემო დაჰკარგოდა და იგი წყალი უფრო იყო.

საძინებელ ოთახში შევიდა და ტუმბოზე აკოკოლავებული წიგნებიდან ის გამოაცურა, რასაც ხშირად კითხულობ-

**ჩვენი ფოსტა**

ბატონო როსტომ,  
გულწრფელად გილოცავთ ახალი ჟურნალის გამოცემას თქვენ და ქართველ მკითხველს.  
თქვენი ახალი ჟურნალის (ისევე როგორც ადრე თქვენი რედაქციით გამოცემული გაზეთი „ჩვენი მწერლობა“) მორიგი ნომრის მიღებას სულმოუთქმელად ველოდებოდით და ველოდებით მოსკოვში მცხოვრები ქართველობა. ღია გეგემიძის მიერ გამოგზავნილი ეს გაზეთები და ჟურნალები ხელიდან ხელში გადაგვაქვს ქართველებს და ისე ვუფრთხილდებით, როგორც ფასდაუდებელ სამკაულს. ღმერთმა ნუ მოაკლოს თქვენს კალამს სხივი და მადლი. იმედოვნებ, რომ თქვენი ძალისხმევით და რუდუნებით მარად იცოცხლებს გაუხუნავი ქართული სიტყვა.

საუკეთესო სურვილებით  
**ლუიზა ჯაფარიძე**  
**მალხაზ ჯაფარიძე**

და და რომლის კითხვასაც მეზობელი მღვდელი უკრძალავდა: რას მოგცემს აპოკრიფული სახარება, გარდა იმისა, რომ თავ-გზას აგიბნევს და გონება აგერევსო. მაინც გაშალა წიგნი, ჩაკეცილ ფურცელს ჩაკვირდა და, ვინ იცის, მერამდენედ წაიკითხა ერთი აპოკრიფული იგავი, რომლის ამოხსნა დღემდე ვერ შეძლო:

– ერთხელ პატარა იესო მდინარის პირას თამაშობდა ბავშვებთან ერთად. გაჭრეს პატარა არხები ისე, რომ წყალს თავისუფლად ედინა და ამგვარად მოეწყოთ პატარა წყალსაცავები.

და პატარა იესომ თიხისგან გამოძერწა თორმეტი პატარა ჩიტი და ჩამოალაგა ისინი თავისი გუბურის ირგვლივ ისე, რომ ყოველ მხარეს სამ-სამი თიხის ჩიტი განალაგა.

შაბათი დღე იდგა. ერთი ებრაელის შვილმა, დაინახა რა, ბავშვები როგორ ერთობოდნენ, შესძახა:

– როგორ შეგიძლიათ, შაბათ დღეს თიხისგან რაიმე გამოძერწოთ?

იმ ბავშვმა დაანგრია მათი გუბურები.

მამის უფალმა იესომ თავის გამოძერწილ ჩიტებისკენ გაიშვირა ხელი და ჩიტები ჟივილ-ხივილით გაფრინდნენ.

მერე, როცა ის ბიჭი, შვილი იუდეველისა, მიუახლოვდა იესოს გუბურას, რათა იგი დაენგრია, წყალი გაქრა და უფალმა იესომ თქვა:

– შენ ხედავ, როგორ ამოშრა წყალი, ასევე დაემართება შენს სიცოცხლეს.

ბავშვი მყისიერად მიიცვალა.

\*\*\*

გარდაცვლილი მცირეწლოვანი ძმა კიდევ ერთხელ გაახსენდა და კიდევ ერთხელ დაწვდა გული.

– რა ცოდვა დაიდო ჩემმა ძმამ, ასე უეცრად რომ წავიდა ამ ქვეყნიდან?! ბაბუას ღვინით სავსე დოქი გაუტეხა, ეგ იყო და ეგ. მაგდიდან მოისროლა და იატაკზე დაანარცხა. – გონება დაეძაბა და როგორც ფსიქოლოგმა დაასკვნა, – ქმედებათა შედეგების აქცენტორი... წინასწარ განჭვრეტის ფსიქოლოგიური მექანიზმი და ქმედებათა შედეგების შეფასება ფუნქციონალურ სისტემებში...

მსგავსი აბდა-უბდა აზრები ხშირად მოსდიოდა თავში და თვითირონით შეპყრობილი ხვდებოდა, რომ გონება, რაც უნდა ძლიერი იყოს, არცთუ იშვიათად უძლურია, მეტადრე მამინ, როცა ამოუხსნელის ამოხსნას ცდილობ.

ისევ მარანში ჩავიდა. სამივე ოცდაათლიტრიანი ბოცა ისევ სავსე დახვდა. ჭურჭელი, რომელშიც წელან ღვინო გადაიღო, ცარიელი იყო. გადამალულ ერთლიტრიანს, როგორც იქნა მიაგნო, საცობი მოხსნა და ჩაის ჭიქა გააპიპინა. ეს ხსოვნის იყოსო, გაიფიქრა და გადაყლურნა. მარნიდან რომ გამოვიდა, წინკანას ხმა შემოესმა. ღობისკენ გაიხედა და შენიშნა, როგორ ჩახვეულიყო მაცვლის ბარდებში ოდეს-ღაცინდელი შავი ძაძის ნაფლეთი.

ღამდებოდა. მალე ისიც სიზმარში ან იქნებ ზღაპარში გადასახლდებოდა.

**შიში**

წმინდა გიორგის ეკლესიის ეზოში ხშირად უნახავთ ლეონტი. იჯდა ასწლოვანი ხის ძირას, ძელსკამზე და ქალაქს გაჰყურებდა. ფიქრში გადასახლებულს მეზობლები ცოტა

შერეკილად მიიჩნევდნენ და ზოგჯერ საუბარს თუ გაუბამდნენ, ისევ მიწის ბარვასა და ამინდზე, ვაზის გასხლვასა და სხვა ათას წერილმანზე. პარასკევ დღეს, რატომღაც ეს დღე ჰქონდა ამოჩემებული, სამუშაო ტანსაცმელს გაიხდინდა, შეძლებისდაგვარად უკეთ გამოეწყობოდა, გახუნებულ შარვალსა და პიჯაკს მოირგებდა, საყელოგადაქექილ თეთრ ხალათს ბოლო ღილაკმდე შეიბნევდა და ბიბლიოთეკისკენ გასწვებდა. გარეუბანი, სადაც იგი ცხოვრობდა მამისეულ ოდაში, ქალაქს კი ეკუთვნოდა, მაგრამ ცხოვრების ყაიდით, კერძო სახლებით, ბალ-ვენახებით უფრო სოფელს წააგავდა და ბიბლიოთეკა, საშუალო სკოლასთან და სასურსათო მაღაზიასთან ერთად, აქაურობის ცენტრად ითვლებოდა. მაღაზიის ნისიების რვეულში მუდმივად ეწერა მისი გვარი, რომელსაც კვირაში ერთხელ შლიდნენ, თუმცა მომდევნო დღეებში იმავე რვეულში ისევ ჩნდებოდა ჩანანწერი: ლეონტი – ხუთი მანეთი. ამ ჩანანწერსაც გასამრჯელოს მიღებისთანავე გადაახაზვინებდა, ვალს პატიოსნად აბრუნებდა. მაღაზიის ვალს რომ გაისტუმრებდა, ბიბლიოთეკაში აჩრდილივით შეიპარებოდა, ამოღლიავებულ, წაკითხულ წიგნებს ბიბლიოთეკას ჩააბარებდა და კატალოგში მისთვის საინტერესო წიგნების ძებნას შეუდგებოდა. ბიბლიოთეკიდან რომ გამოვიდოდა, ახალ წიგნებს აბგაში ჩამალავდა, მაღაზიაშიც შეივლიდა პურისა და თევზის კონსერვის, ძეხვისა და ყველის საყიდლად და შემდეგ უკვე ეკლესიისკენ გაემშურებოდა.

ეკლესიაში სანთელს დაანთებდა. ერთხანს გაყურებული იდგა. სანთელი რომ ბოლომდე ჩაიღვენებოდა, მალულად პირფარს გადაისახავდა, ტაძრიდან გამოვიდოდა ფრთხილი, ძალიან ფრთხილი ნაბიჯებით და თავის ძელსკამზე მოკალათდებოდა, სადაც თითქმის მთელი საათი იჯდა და ქალაქს გადაჰყურებდა.

„– ჰეი, ჭიანჭველებო!“ – გაიფიქრა ერთხელ, როცა ქალაქის სიღრმეში, რომელიღაც ქუჩაზე მოფუსფუსე ადამიანები შენიშნა.

უცოლშვილო, მარტოხელა კაცს, სახლში რომ უნივერსიტეტის დიპლომი გაუქმებული ედო და აღარც სამსახურის იმედი ჰქონდა ჩეკისტებისგან შერისხულს, ცხოვრების თავისი წესი ჩამოეყალიბებინა და ეს წესი იმ აბლაბუდას გავდა, დროდადრო მზეზე რომ გაბრწყინდებოდა და უმაღლეს ქრება თვალსა და ხელს შუა. ობობასავით მოძრაობდა საკუთარ აბლაბუდაზე და ძაფები, რომლითაც იგი უკავშირდებოდა ბიბლიოთეკას, ეკლესიას, მის დამქირავებელ მეზობლებს, შემთხვევით ადამიანებს, ბავშვებს, ხანდახან რომ უკან აედევნებოდნენ, დასცილდნენ და ათასნაირ ზედმეტსახელს უგონებდნენ, მის გულში მოეყარა თავი და ყოველდღიური სიცოცხლე ერქვა, სადაც ჭიანჭველასა და ადამიან-ჭიანჭველას შორის მისთვის არავითარი სხვაობა არ არსებობდა. და თუ მაინც იყო სხვაობის ნიშანწყალი, ისიც მოჩვენებითი, ანუ, როგორც თვითონ უყვარდა თქმა, ილუზორული...

თავს არ უტყდებოდა, მაგრამ ბიბლიოთეკარს, ახალგაზრდა, მიმზიდველ ქალბატონს გულგრილად ვერ უყუ-

რებდა. ამ გაზაფხულს ისე მოუხშირა ბიბლიოთეკაში სიარულს, ჩაფიქრდა კიდევ, ვინმემ არ შემატყოს და ქვეყნის სასაცილო არ გავხდეთ. როცა სამუშაო არ ჰქონდა, ასეთი დღეები კი არც თუ იშვიათად გამოერეოდა, კითხვით გაბეზრებული და მარტოობიდან ამომძვრალი ეზოში უაზროდ დანრიალებდა.

„– ჰეი, ჭიანჭველაგ“, – შეუძახა თავს, მაგრამ აჩქრლებული სისხლის დასამშვიდებელ წამლად ეს შეძახილიც არ გამოდგა.

ისევ შეიპარა ბიბლიოთეკაში. ისე მსუბუქად მიაბიჯებდა, გაფრენამდე არაფერი აკლდა.

ბიბლიოთეკართან საუბარი გაუგრძელდა. ახალგაზრდა, განათლებული და ეშმაკობის მოყვარული ქალბატონი, მიზეზთა გამო გათხოვებაზე რომ აღარ ფიქრობდა, ახალი ეგზემპლარით ფრიად დაინტერესდა. თან გამოცეხული იყო ლეონტის მრავალმხრივი ცოდნით, ინტერესთა სივრცით და ყოველივე ამასთან მისი საქმიანობის შეუთავსებლობით, განსაკუთრებით კი დაძარღვული, ძლიერი მკლავებითა და ზომამდე მეტად განვითარებული მხარბეჭით. ეს ამბავი რამდენიმედღიანი კურკურის შემდეგ იმით დამთავრდა, რომ ერთ მშვენიერ ღამეს ლეონტის ფარლალაოდა ოდა ისე აჭრიალდა და აზანზარდა, რომ მეზობლების ფანჯრებსაც მისწვდა საეჭვო ბგერების ექო.

მეორე დღით ლეონტი სანოლიდან ძლივს წამოიზღაზნა. რუხაძეების ეზო-

კარს მოგვიანებით მიაღწა მხარზე ბარგადებული და ჩვეულ საქმიანობას შეუდგა. პირველად მის სიცოცხლეში წაყალბაბანდებდა გადანყვითა და ადრე თუ ბარი მინამი ბოლომდე ჩაჰყავდა და ბელტსაც აბრუნებდა, ახლა ნახევარი ბარის პირზე ძლივს ჩიჩქნიდა მინას, ისიც ზანტად, უსურვილოდ და სხეულში ჩარჩენილი ნუხანდელი საამო მოთენთვა თავის ჭკუაზე ატარებდა.

„გაიძრე ძველი ადამიანი თავის საქმეებითურთ...“ გაახსენდა ლეონტის და დაირცხვინა, შუალავით წყურვილი მოიკლა და მოეჩვენა, რომ დედიშობილა იდგა მეზობლის ვენახში. უხილავი თვალი ყველაფერს ხედავდა და იმ თვალის შიში, მუდამ რომ თან სდევდა ლეონტის, გამუდმებით უმეორებდა: „ჰეი, შენ, ჭიანჭველაგ!“

სამხრობისას, დღიურ საქმეს რომ მორჩა, მდინარისკენ დაემჯა, როგორც თვითონ ფიქრობდა, განსანმენდელად, ანუ საბანაოდ. მაგრამ შინ დაბრუნებისას მიხვდა, რომ მის სიმარტოვეს რალაც დაემუქრა და ეს რალაც იყო ის ცხოვრება, რასაც გამუდმებით თავს არიდებდა, რადგან ამ ცხოვრების შორიახლოს არსებობით კმაყოფილდებოდა.

მაშინ პირველად შეადარა ბიბლიოთეკარის შიშველი სხეული მოყვავილე ალუბალს და მისივე შედარების თუ შეგრძნების ბანალურობამ და ამ ბანალურობის ხელშესახებმა სინამდვილემ ისე შეაკრთო, ამაღამ არ დამეძინებო, გაიფიქრა და მარანში ჩაიპარა, ღვინით სავსე მოზრდილი დოქი სახლში აიტანა მოსალოდნელი უძილობისგან თავდასახსნელად.



მხატვარი ზურაბ ნიჟარაძე



ის მოსაზრებანი, რაც მაკა ჯოხაძემ გამოთქვა ვაჟა ხორნაულის ბოლო პოეტურ კრებულთან – „სამოთხის წყალში ოქროს თევზი რომ გაიღვლებს“ – დაკავშირებით, ძალდაუტანებლად განზოგადდება კრიტიკის საერთო დასკვნად.

„ვაჟა ხორნაულს უცნაურად კეთილი მესხიერება აქვს. იმდენად კეთილი, რომ „ნარღვნამდელი სიყვარულის“ მოციქულებსაც კი მიაგებს პატივს, თუნდაც ეს მოციქული მგელი იყოს, რადგან ადამიანებისაგან განსხვავებით „მგელს უფლის ვენახებში ერთი ვაზიც ვერ წაუქცევია“.

ან კიდევ:

„... ვაჟა ხორნაულის ფიქრის ნაკადი ფილოსოფიური იჭვებისა და ვარაუდების მერყევ გრადაციებში აქეთ-იქით კი არ აწყდება და იტანჯება, არამედ გზადგაზა სიბრძნის მშვიდ ყვავილებს მოისხამს და უკიდურესი სისადავით გამახსოვრებს თავს“.

### ვაჟა ხორნაული

### სამოთხის ფილიალი

თითქოს ფოტოგრაფის მოლოდინში  
გარინდებულან ბელურები...

პოზა მშვენიერზე მშვენიერი –  
ერთნაირად რომ მოუხდებოდა  
პოეტებსა თუ მუსიკოსებს,  
სპორტსმენებსა თუ მოგზაურებს,  
შეშლილებს, მათხოვრებს თუ ყაჩაღებს.

პოზა უბრალოზე უბრალო –  
თავები ერთურთისკენ გადახრილი,  
მხრები ერთმანეთს სითბოთი შეხებულნი  
და არა ბუმბულით  
და ორი მზერა –  
სივრცის რომელიღაც ნაწილში  
ერთმანეთს შერწყმული...

ყველა დროის ნომერ პირველი  
მიჯნურები იხილე თითქოს,  
ალუბლის მწვანე ტოტზე  
ფოტოგრაფის მოლოდინში გარინდებულნი,  
და, აჰა, ისიც –  
ნისლის ბერიკაცი  
დილის მზით ხელში.  
...  
ნკაპ!  
...  
ფრრრრრ!

### პაპა და შვილიშვილი

ნიგნი – ძველი, დიდტანიანი,  
თითქოს ძვირფასი  
ქვისგან გამოთლილი  
და არა დასტამბული,  
უკვდავების  
წყაროთი ავსებულ  
სურასავით მძიმე და უბრალო.

და იქვე ბროშურა –  
თითქოს ციდან ჩამოფრენილი,  
ჩვილის პერანგით მსუბუქი,  
ვამლის ყვავილივით  
კრიალა ფურცლებით...

ორი ნიგნი – ორი სიცოცხლე,  
პაპა და შვილიშვილი,  
ერთ არსად ქცეული...

პირველი გაგიძღვება,  
მეორე ხელს ჩაგკიდებს  
და კიდევ ერთ აღმართს გადაივლით  
და კიდევ ერთი –  
უფრო მაღალი და მშვენიერი  
გალავნისას შეაღებთ კარს.

### ცხოვრება

პოემა

### თაფლობის თვე

ერთი ბალიში, ერთი სკამი,  
ერთი სასმისი...

### შუადღე

ორი ბალიში, ორი სკამი –  
შორიშორს, ზურგშექცევით.  
ორი სასმისი: ერთი – დიდი,  
მეორე – პატარა...

### ბოლოს

ახალი ბალიშები, ახალი სკამები,  
ახალი სასმისები...

სადღაც ორი.  
ფერმკრთალი სამარე –  
ერთი ბალიშიდან გამოყოფილ  
სითბოში მფეთქავი.

**ტრაგედია  
კომედიის მარცვლების გარეშე**

ხურდა ფულისათვის ხელგანვდილი  
ფერმკრთალი დედაბერი,  
უცხო კუნძულზე მოხვედრილი  
ყვავილივით დარცხვენილი  
და დაღონებული,  
კითხვის ნიშანივით მოხრილი.

არსებობს კიდეც ქვეყანაზე  
სხვა კითხვის ნიშანი,  
უფრო ხმამაღალი და ტკივილიანი?

ასე მგონია, ახლა რომ დაეცეს,  
ცა და დედამინა  
ისე მწარედ შეირხვეიან,  
თითქოს ორივეს ერთდროულად  
ჩაარტყეს მახვილი...

ფერმკრთალი დედაბერი,  
ხელგანვდილი ხურდა ფულისათვის –  
თითქოს უფლის კალთიდან გადმოხრილი  
დაუნდობელ, ამღვრეულ სივრცეში.

\* \*  
ფანდურის სიმებს ბავშვმა გაჰკრა  
ფუნჩულა თითები...

გაზაფხულის მზის ნაპერწკლებივით  
სიჩუმეში გაიბნა ბგერები...

ერთმანეთს შეერია  
ბავშვისა და ფანდურის ჩრდილები,  
რომლითაც დედის ჩრდილი  
აივსო და განათდა მერე.

\* \*  
მუსიკა სივრცის განათებისას  
ბალახზე ნამის აციმციმების.  
ბროლი და ვერცხლი ნაკადებისა,  
მბრწყინავი ფრთები და ცის სიმები.

მზე – მოლულუნე და რტომრავალი,  
ღვთიური ნათლის გზებზე დინება.  
ხმა – ქვესკნელიდან ამომავალი,  
რომელიც ზესკნელს შეეწირება.

\* \*  
გოგო – თვალელები  
თითქოს სანთლის ალამოვლებული.

ვაჟი – მერცხალივით  
ერთგული და თავგანწირული.

ღმერთო, რა ცოტანი არიან  
ასეთი წყვილები, –  
როგორც ყვავილები მოთიბულ ველზე,  
როგორც კალმახები ბრაკონიერისგან  
მონამლულ მდინარეში!

\* \*  
ცელ-ნამგალ-გუთნისაგან  
დავინყებულ,  
ჭალარახეხილიან ეზოში დალოდავდა  
ბეჭებში ნამგალივით  
მოხრილი მოხუცი,  
როგორც ნაზამთრალი ფუტკარი  
დაცარიელებულ,  
აქა-იქ თაფლის წვეთებ შემორჩენილ,  
დროისგან გახუნიებულ ფიჭაზე.

\* \*  
ორიოდე მსმენელის გარდა,  
ყველანი წასულან.  
ტყე აჩეხილია,  
მოლიავებულა უფრო ავი  
ხმებისა და ქარებისათვის...

ბულბული კი გალობს და გალობს.

\* \*  
გულმა თქვა, მერცხლისფრთიანმა:  
უფრო და უფრო მედება  
სახმილი სიყვარულისა  
და სივრცე უფრო მშვენიდება,  
არ ვიცი, როდის ღამდება,  
არ ვიცი, როდის თენდება, –  
თითქოს ერთი დღე დამდგარა  
და უსასრულოდ გრძელდება.

**გაბრკელება**

ამირან არაბულს

წუთისოფელი რა არი?  
სიტყვის ელვა და ჭრა არი,  
ხან ლოდზე მძიმე ფიფქია,  
ხან მგალობელი ფიქრია,  
ხან ცრემლიანი ხმა არი,  
წყაროს წყლისაა წკრიალი,  
ქარია ნარეკლიანი,  
იმ ქარში ორი ფრთა არი,  
სიცოცხლის ყვავილობაა,  
მზის სიმღერებით წვა არი,  
სიკვდილით ულამაზესი  
ლექსის და ლოცვის თქმა არი.

ჰორიზონტებზე ასვლა და  
ღმერთის ყანების მკა არი.

\* \* \*

შვიდი ცა – შვიდი ფურცელი  
უფლისეული წიგნისა –  
ფრთების ღებნა და ტკივილი,  
ქვაზე მომყვანი იფქლისა,  
სითბო სამოთხის ხმებისა,  
უსასრულობა გზებისა,  
მირქმა მზისა და მინისა,  
კოსმოსის ჭერზე იები  
გინდ შენთვის, გინდა სხვისთვისა,  
ქორნილი ვარსკვლავებისა,  
გაზაფხულობა სიბრძნისა,  
ნაპირთა მიუვალობა,  
ბინდში სინათლის გალობა,  
ფერთა ელვა და მკრთალობა,  
თავდავინწყება ფიქრისა...

სიკვდილ-სიცოცხლის ზეიმი  
ერთურთის კარზე მისვლისას.

**რას ეტყვი**

ვაჭი რომ ცეცხლად აქციე  
და შეატოვე ქარებსა, –  
დაიჩაგრება, ჩაქრება,  
ველარ დარეკავს ზარებსა,  
ველარ მიუვა წვიმად  
შენს დაღონებულ ყანებსა,  
ხრიოკ მინდვრებზე ბილიკებს  
ველარ აგინთებს მწვანესა...

სიზმრად რომ ნახავ, რას ეტყვი  
იმის სევდიან თვალებსა.

\* \* \*

უკვდავების წყალს დაგიტომბს,  
სანამლავს შეგეცილებს.

როგორც ბაღს წვიმის მუსიკა,  
გაგატობს, შეგენიერება...

სიკვდილის მერეც მოგნახავს,  
სივრცეში შეგენწყვილება.

\* \* \*

ჰორიზონტებზე ღრუბლების  
ხალისი დაიღვარაო.

მზემ გზები გაალამაზა,  
გულებში დაივანაო.

არ დაგივინწყებთ, მოვალო, –  
ნიავმა დაიბარაო...

შრიალმა ჩამოიარა,  
სიჩუმემ გაიხარაო.

**სიმათლეს ენიერებოდე**

არც შენი კურატ-ბატკანი,  
არც შენი ხვეწნა-მუდარა,  
არც ლოცვა განუწყვეტელი,  
არც დაჩოქება მუდამა.  
გიყვარდეს, გწამდეს, გახსოვდეს,  
სიტყვაში საქმეს აქსოვდე,  
ღმერთს მეტი არა უნდა-რა.

არც გულის ჟანგად ქცეული  
სიძულვილი და მუქარა,  
არც წყევლითა და გინებით  
მტრისთვის ნანატრი სუდარა.  
გიყვარდეს, გწამდეს, გტკიოდეს,  
მოყვასის გამო გციოდეს,  
ღმერთს მეტი არა უნდა-რა.

გეცოდებოდეს ავთვალი,  
უდარდელი და უქნარა,  
საშაროდ გამოჩენილი  
ზოგჯერ წინ, ზოგჯერ უკანა.  
გზას არ კარგავდე წინანდელს,  
ბნელში ვარსკვლავად ბრწყინავდე,  
ღმერთს მეტი არა უნდა-რა.

ქვესკნელში გადაგეყაროს  
ტყვია, ხაფანგი თუ დანა,  
სიმათლეს ენიერებოდე  
ყმად შეფიცული რჯულთანა.  
ცასა და მიწას შევენოდე,  
გულგაგლეჯილიც მღეროდე,  
ღმერთს მეტი არა უნდა-რა.

**იქ, სადაც სიყვარულია**

უსიყვარულო ტაძარი  
სკაა უსანთლო, უთაფლო,  
ნახავ და ვერ გაიხარებ,  
გაგახსენდება უდაბნო.

უსიყვარულო ტაძარი  
ზამთარ და ზაფხულ ცივია,  
ლიმილი ლიმის არა ჰგავს –  
თითქოს ყინულის სხივია.

იქ, სადაც სიყვარულია,  
სამოთხის ხმები ხარობსო,  
გულიდან ამოფრენილი  
უფლის ფრთოსანი გალობსო.



იქ, სადაც სიყვარულია,  
სიმღერა არა ბერდება,  
სიცოცხლე ცისკენ ფრენაა,  
წყაროს წყალივით დენაა  
და უსასრულოდ გრძელდება!

\* \* \*  
სიცოცხლე  
(ხანმოკლე თუ ხანგრძლივი)  
ყოველთვის შეწყვეტილი სიმღერაა.

\* \* \*  
ჩვენი ჩრდილების მოძრაობითაც  
დედამინა ღმერთს ესაუბრება.

\* \* \*  
სამყარო უფლისაგან  
მონწული ბუდეა  
და ამ ბუდეში ყვავილივით  
ანთია სამშობლო...

\* \* \*  
ყოფნა-არყოფნის სარეცლიდან  
ამდგარმა მევენახემ  
ახედა სივრცეს და მზის ნაცვლად  
მტევანი იხილა...

\* \* \*  
გულს შენი სიცოცხლე უხარია,  
როგორც ტაძრისაკენ მიმავალი  
ბილიკი დედამინას...

\* \* \*  
ქვიშაგახუნებულ, მტკაველა ადგილს  
(სადაც წყარო ეგულებოდა)  
ისე დაჰყურებდა,  
ვით უმშვენნიერესი დობილის სამარეს.

**ღაისი**

შენთვის თუ ჩავიდა,  
სხვისთვის ამოვიდა  
და მისი სიხარულით იხარე.

\* \* \*  
მათხოვარს – მათხოვრების ტაში.  
შენ – სამკალი ვარსკვლავთა შორის  
და უფლის ბილიკები ზღვაში.

\* \* \*  
ცა და ფიქრი  
ერთ ხმაზე დუმან.  
გული და დედამინა  
ერთ ხმაზე ფეთქავენ.

\* \* \*  
ფერდობის ერთ ადგილზე ბალახი  
სხვაგვარად მწვანეა, სხვაგვარად ბიბინებს,  
მიუახლოვდები  
და წყაროს იხილავ.

\* \* \*  
ღრუბელთა სიახლოვეს ავსება სურების,  
გულები – უფლის სიტბოთი დანამული,  
მზის ნაპერწკლიანი ხნულები.

\* \* \*  
მოყვასი იმეტებდა, უფალი სწყალობდა,  
გალობდა ხატში ამოსული იასავით,  
ცას ესაუბრებოდა წინაპრის კალოდან.

\* \* \*  
გული – კოსმოსი,  
დარდი და სიხარული –  
მისი პლანეტები...

\* \* \*  
და არც ისაა შემთხვევითი,  
ჯვარს რომ ემსგავსება  
ფრინველი ფრთებგაშლილი.

\* \* \*  
ღმერთთან ერთად დავინწყებული  
რა ხმები და რა მანდილები!  
სამშობლო – ერთი ყაჩაღისაგან  
მეორისთვის წართმეული ნანადირევი.

ალენ ტეიტი

# ეზრა პაუნდი და ბოლინგენის პრემია

რის თქმასაც აქ ვაპირებ, არ გახლავთ შემდგომი კომენტარი მრ. უილიამ ბარეტის 1949 წლის აპრილის „პარტიზან რივიუში“ გამოქვეყნებულ წერილისა; არც „რაციონალური, მიუკერძოებელი და მშვიდი გამართლება“ ეზრა პაუნდისათვის ბოლინგენის პრემიის მიანიჭებისა, რასაც მრ. ბარეტი საკმაო გულმონყალებით მოელის ჩემგან. ჩემი მიზანი უფრო იმ მიზეზთა წარმოჩენაა, თუ რატომ მივეცი ხმა „პიზურ სიმღერებს“. „პარტიზანის“ მიერ ჯილდოს გამო გამოთქმულ მიმოხილვებსაც ვითვალისწინებ, თუმც ვიმედოვნებ, მისი გავლენის გარეშე აღვადგენ გასული ნოემბრის თვალსაზრისს.<sup>1</sup>

მას შემდეგ, რაც ოცდაათზე მეტი წლის წინათ პირველად წავიკითხე პაუნდის ლექსი, იგი შერეულ პოეტად მიმაჩნდა. 1931 წელს<sup>2</sup>, პირველი ოცდაათი სიმღერის შესახებ დანერგულ ესეიში გამოვთქვი შეხედულებანი და მას შემდეგ დამოკიდებულება არ შემიცვლია: ნაწარმოები, რომელსაც ბოლინგენის პრიზის მიღებაში დავეხმარე, უფორმო, ექსცენტრული და სუბიექტურია. სიმღერები ახლაც, როგორც მაშინ ვამბობდი, „სრულებით არაფერზე არ არის“. მათ აქვთ ხმა, მაგრამ არ გააჩნიათ შინაარსი. როგორც მრ. ბარეტის წერილის ერთ-ერთი კომენტატორი ამბობს, მათ არ გააჩნიათ არც დასაწყისი, არც შუაგული და არც დასასრული. 1931 წელს იმავეს ვამბობდი. ნიშანდობლივია, რომ პაუნდის ნაწარმოებზე საუბრისას უნდა თქვა „სიმღერების XX სიმღერა“; ყოველთვის სიმღერის სიმღერა და არა სიმღერა თვითმყოფადი თხზულებისა სათაურით – XX სიმღერა განსაზღვრულია „ღვთაებრივი კომედიიდან“.


მრ. პაუნდს არ გააჩნია უნარი ხანგრძლივი ფიქრისა არც პროზასა და არც პოეზიაში. მისი მძაფრი სიტყვიერი მგრძობელობა „ანგელოზური ალღოს“ საალაბედო გაელვებათა წყალობა, წყალობა იკაროსული თავკერძა თვითშთაგონებისა, რასაც არ ზღუდავს დამორგუნველი საყოველთაო თვალსაზრისი. ამიტომ მისი ანტისემიტიზმი – რაც, როგორც მრ. ოდენმა თქვა, ყველა არისტოკრატმა შეიძლება განიცადოს (მე განმიცდია და დავუთრგუნე ვარ კიდევ) – მისი ანტი-სემიტიზმი არ არის განზრძობილი იმ ავბედითი შედეგებით, რაც ანტისემიტიზმმა რეალურ ადამიანურ სამყაროს

მოუტანა. არც მრ. პაუნდი და არც არავინ არ უნდა განვიკითხოთ პირადი განცდების გამო: მაგრამ თვითუღელმა ადამიანმა პასუხი უნდა აგოს, თუ როგორ ექცევა თავის გან-

ცდებს. ხშირად შეუნიშნავთ, რომ პაუნდს უჭირს ლექსებში სრულყოფილად გადმოსცეს კონკრეტული რეალობა. რაკი „სიმღერებს“ სიუჟეტი აქვს, ისტორიულ მასალაზე დაყრდნობით უნდა იყოს შექმნილი. მაგრამ თუკი შეიძლება ჩვენს ეპოქაში დაიძებნოს პოეტური თხზულება, რომელზეც, შეიძლება ითქვას, რომ სავსებით მოკლებულია ისტორიულ არსს, თუ როგორ წარმართავს იდეები ისტორიას, ეს პაუნდის „სიმღერები“ იქნება. მისი ლექსი ანომალიაა ჩვენს მძაფრი ისტორიული შეგნების მქონე საუკუნეში.

არ ვიცი რა მიზეზმა, მოტივმა თუ რწმენამ შეაგულიანა სხვები დადებითი ხმის მისაცემად. იყო საზოგადოებრივი აზრი ამ მოვლენის გამო, რაც სავსებით შეუსაბამოდ მიმაჩნია. კარგს ვიზამ თუ შევძლებ და გულწრფელად გამოვთქვამ ჩემს აზრს. გამოჭირდება დავეთანხმო შეხედულებას, რომ პაუნდის უპასუხისმგებლო შეხედულებანი მხოლოდ ახლოს ჩაუვლის მის პოეზიას, რაც შეურყეველი რჩება. მიუღებელი შეხედულებანი უშუალოდ პოეზიის შუაგულშია. და ისე უნდა აღვიქვათ, როგორც არის: სუბიექტური, კერპი და განყენებული;

და არც ახლანდელი თუ ოდინდელი ცხოვრების შესახებ მონიფული თვალსაზრისითაა შეკავშირებული. ჩემი აზრით, მონიფული თვალსაზრისის უქონლობა კაცში ფორმის არათანამიმდევრულობიდან მომდინარეობს; მაგრამ ეს ყველაზე ნაკლებ მანუხებს. გარდა სპეციფიკური სადავო საკითხისა პაუნდის ანტისემიტიზმისა და ფაშისმის გამო, ფორმალური პრინციპიც დაიძებნება, რაც, თუ მკაცრად მივუდგებით, საკმაოდ კარგი მიზეზი იქნება საიმისოდ, რომ „პიზური სიმღერების“ წინააღმდეგ მიმეცა ხმა. არა მხოლოდ ანტისემიტიზმი, არამედ ყველა დანარჩენი „ნიაღვრვა“ შეუთვისებელია შესაბამის ფორმასთან. მრავალთა ვარაუდი, რომ „პიზური სიმღერებისათვის“ ხმის მიცემა იყო „ფორმალისმის“ მხარდაჭერა „ცოცხალი“ პოეზიის



ეზრა პაუნდი

საწინააღმდეგოდ ჩემთვის სრულიად გაუგებარია.

ფორმის თანმიმდევრულობაში არავითარი საიდუმლოება არ იმალება. ეს გახლავთ წესრიგი ლიტერატურულ თხზულებაში, რაც შეგვაძლებინებს გავიზაროთ ერთი ნაწილი თხზულებისა სხვა ნაწილებისაგან მოუნყვეტლად. სიმღერებში სწორედ ფორმალური უპასუხისმგებლობა გვანუხებს; ხოლო ნაწარმოების მიღმა – ამ უპასუხისმგებლობის შესაძლებელი გავლენა საზოგადოებაზე (პაუნდის სიმღერებში ანტიფაშისტური მოსაზრებანი რომ ყოფილიყო გამოთქმული, ჩემი ფორმალური შენიშვნები იგივე იქნებოდა; მაგრამ უნდა ვიფიქროთ, რომ უფორმოება მას კომუნისტური პარტიის კარგ პოეტად გადააქცევდა). მაგრამ როგორც რომის რადიოთი პაუნდის გადაცემებს არავითარი ზეგავლენა არ ჰქონია ამ ქვეყანაში და მხოლოდ საკუთარი თავის საზიანო დაუდევრობად დარჩა, ვერ წარმომიდგენია, რომ სიმღერების ანტისემიტიზმი ვინმემ სერიოზულად აღიქვას, გარდა ლიბერალი ინტელექტუალებისა. ანტისემიტიზმი ვერ „გაბოიყენებენ“ პაუნდის შეხედულებებს. ძალზედ უმანკოა საამისოდ. მე თვითონ სერიოზულად იმიტომ ვუდგები, რომ არ მომწონს, და კაცს „პატივს ვერ მივაგებ“ ამის გამო, რასაც ბიბლიოთეკის საბჭოს წევრებს საყვედურობდნენ; მაგრამ არც ის მგონია, თითქოს პაუნდის შეხედულებანი ანტისემიტიზმს აძლიერებდეს.

პატივს ვცემ ამ საკითხის ირგვლივ არსებულ განსხვავებულ მოსაზრებებს, რის შესახებაც ბევრი არაფერი ვიცი. რაც უკვე ვთქვი, საკმარისია აღსანიშნავად, რომ ჩემთვის იოლი ნაბიჯი არ ყოფილა „პიზის სიმღერებისათვის“ ხმის მიცემა; შეიძლება წინააღმდეგაც მიმეცა ხმა. მაგრამ ამით არ თავდება ყველაფერი. როგორც მრავალ ადამიანს ჩემი თაობისა, შესაძლოა პიროვნული მიზეზებიც მქონდა მრ. პაუნდისათვის ხმის არმისაცემად. თუკი საერთოდ შეუნიშნავს ჩემი შემოქმედება საუბრებსა და მიმოწერაში – რასაც ყოველთვის ახმაურებენ საერთაშორისო ლიტერატურული ჟორიკები – ყოველთვის ათვალენებით შეუხედავს.

მიუხედავად ამისა, ხმა მივეცი შემდეგი მიზეზის გამო: ლიტერატურის სიჯანსაღე დამოკიდებულია საზოგადოების სიჯანსაღეზე და პირიქით; და მუდამ ფიზიკლად უნდა ვადევნოთ თვალი პროცესის ორივე მხარეს. მწერლის სპეციფიკური მოვალეობაა იზრუნოს საზოგადოების ჯანმრთელობაზე არა მთლიანად, არამედ ლიტერატურაში – ეს ნიშნავს, რომ მან გამუდმებით უნდა იცოდეს, თუ რა დღეშია ენა მის დროს. პაუნდის ენაზე ბოლო ოცდაათი წლის მანძილზე დაკვირვების შედეგად დავრწმუნდი, რომ მას ყველა სხვაზე მეტი წვლილი მიუძღვის ინგლისური ლექსის, თუ არა წარმოსახვითი ფორმებისა, ენის აღორძინებაში მაინც. თვალი უნდა გავუსწორო მიუღებელ ფაქტსაც, რომ იგი ამას აღწევს ლექსის იმ პასაჟებშიც კი, სადაც მისი შეხედულებანი ბავშვურობიდან საძაგლობამდე მერყეობს.

ლიტერატურაში, ცხოვრებისა არ იყოს, სუფთა სახით ვერაფერს მიიღებ. ცივილიზებული აზროვნების ამოცანაა ნადავლის გამუდმებული მოხელთება. შეუძლებელია გადაწყვეტოთ, რომ ჩვენი ყოველდღიური საზრუნავი იყოს ესთეტიკა ან პრაქტიკა – ხელოვნება ან ცხოვრება; ვერასოდეს მოახერხებ აირჩიო ან ეს, ან ის; ყოველთვის საჭიროა ორივე, ესეც და ისიც. მაგრამ რადგან გარკვეული ზნეობის, ჩვეულებებისა და ხასიათის პიროვნებანი ვართ, მოვალეობას ვინდობთ საზოგადოების წინაშე იმ სამუშაოს შეხედულებისამებრ, რა-

საც ვენევი. ჩვენი პროფესია მწერლობაა. არ უნდა გვეგონოს, რომ ბიზნესმენსა თუ პოლიტიკოსს, სახელმწიფო მოღვაწეს ეცოდინება, რომ არსებობს ჩვენთვის განსაზღვრული პასუხისმგებლობა; ვერ მოვთხოვთ ჩანვდნენ ფაქტის სირთულეს ჩვენი პასუხისმგებლობისა იმ ენის მიმართ, რასაც ისინი საერთო კეთილდღეობისათვის იყენებენ. ძნელად თუ წარმოუდგენიათ, თუ რა არის ენა; და რაც ვერ გაუგიათ, თითქმის აუცილებლად ამახინჯებენ. მაგრამ მედიუმი ვერ გაეყრება მასალას; როგორ ვერ გაეყრება რას: ჩვენი პასუხისმგებლობის ერთი ნაწილია სახელმწიფო მოღვაწის მონიზმის შესწორება; იგი ხომ ფიქრობს, რომ რასაც ამბობს, ძნელად თუ შეიძლება ენა ენოდოს, რომ მისი სათქმელი მედიუმისაგან განცალკევებით არსებობს „წმინდა“ მოქმედებაში, რასაც იგი „პრაქტიკულობად“ მიიჩნევს. მხოლოდ მწერალი თუ იზრუნებს მედიუმზე, სხვა არავინ. ნუ შეგვაშინებს ის აზრი, რომ პრაქტიკული ადამიანი მარცხს იწვევს – ენის სიჯანსაღის გამო – ჩვენი წუხილის არადწაგდებისას: ეს უკვე მოხდა, როცა დაადანაშაულა პაუნდი, თითქოს მასავით მონისტი იყო მოქმედებისას. პაუნდის ენა ჩვენთვის გარკვეულ, საგულისხმო მოვლენად რჩება. თუნდაც იგი სასჯელმისჯილი მოლაღატე იყოს, მაინც უნდა ვიფიქრო, რომ მეორე მიმართულებით, რაც ართულებს პრობლემას და ჩვენი აღქმის მიღმა ტოვებს, საზოგადოებას მან მეტად საჭირო სამსახური გაუწია.

შენიშვნები

1. ბოლინგენის პირველი პრემია 1949 წელს მიეკუთვნა ეზრა პაუნდს „პიზური სიმღერებისათვის“, 1948 წელს რომ გამოიცა; მაგრამ პრემიის მიკუთვნებას კენჭი ეყარა 1948 წლის ნოემბერში კონგრესის ბიბლიოთეკის ამერიკული მწერლობის საბჭოს ნევრების მიერ, ვინც პრემიის ჟიურის შეადგენდნენ. მეც ვიყავი ჟიურის წევრი. 1950 წლიდან ბოლინგენის პრიზი იელის უნივერსიტეტის ბიბლიოთეკის ეგიდით გაიცემა.

2. „ეზრა პაუნდი“ ხელმოწერედ დაიბეჭდა კრებულში „პოეზიის საზღვრები“ (ნიუ იორკი, 1948).

რედაქციისაზრს

ჯონ ორლი ალენ ტეიტი, ამერიკელი პოეტი, ესეისტი და მეცნიერი, კონგრესის ბიბლიოთეკის ლაურეატი და კონსულტანტი პოეზიაში 1943 – 1944 წლებში, დაიბადა 1899 წლის 19 ნოემბერს, უინჩესტერში, კენტუკის შტატი, ბიზნესმენ ჯონ ორლი ტეიტისა და ელინორ ფარკ ქასთის ვარწილის ოჯახში.

1916 – 1917 წლებში ვიოლინოზე დაკვრას სწავლობდა ცინცინატის მუსიკალურ კონსერვატორიაში.

1918 წელს სწავლა დაიწყო ვანდერბილტის უნივერსიტეტში. აქ შეხვდა პოეტ რობერტ პენ უორენს. უორენსა და ტეიტს შესთავაზეს შეერთებოდნენ სამხრეთელ პოეტთა ჯგუფს, რომელსაც ხელმძღვანელობდა ჯონ ქრაუ რენსომი და ცნობილი იყო განდევნილ პოეტთა ჯგუფის სახელით, მოგვიანებით მათ სამხრეთელი აგარები ეწოდათ. ტეიტმა ამ ჯგუფს მიუძღვნა ჟურნალი „ფუჯიტივი“ და მანიფესტი „დავიმკვიდრებ ადგილს“, რაც 1930 წელს გამოქვეყნდა. ამასთან ტეიტმა მუშაობა დაიწყო იქ, სადაც რენსომი მუშაობდა – კენიონის კოლეჯში, გემპიერში, ოჰაიოს შტატში.

1924 წელს ტეიტი გადადის ნიუ-იორკში, სადაც თანამშრომლობს ჟურნალბთან: „ნეშენალ მეგზინ“ და „ნეშენალ რივიუ“ – და ტრიალებს ნიუ-იორკის ლიტერატურულ წრეებში.

1928 წელს დაიბეჭდა ტეიტის სახელგანთქმული ლექსი „ოდა მკვლარ კონფედერატს“. ამავე წელს დაიბეჭდა მისი ბიოგრაფიული თხზულებაც „სთოუნუოლ ჯეკსონი: მამაცი მეომარი“.

1929 წელს მეორე ბიოგრაფიული თხზულება გამოაქვეყნა, – „ჯეფერსონ დევისი: ამაღლება და დაცემა“.

1930 წელს ტენესის შტატში თავისი აგარული ფილოსოფიის საფუძვლებზე მუშაობს, გარდა ამისა, წერს ნაშრომს „ვის ეკუთვნის ამერიკა“, რაც კონსერვატული გამომხაურებაა ფრანკლინ დ. რუზველტის ახალ პოლიტიკაზე. ამავე დროს ტეიტი ხდება ასოცირებული რედაქტორი ჟურნალ „ემერიქან რივიუსი“, რომლის გამომცემელი და რედაქტორი გახლდათ ფამისტი სიუარდ კოლინზი. ტეიტი „ემერიქან რივიუს“ იყენებდა სამხრეთელ აგარულთა პოპულარიზაციისათვის, მაგრამ შეუნიშნაღმდეგა კოლინზის მიერ მუსოლინისა და ჰიტლერის აშკარა მხარდაჭერას და დაგმო ფაშიზმი 1936 წელს გამოქვეყნებულ წერილში.

1938 წელს გამოაქვეყნა თავისი ერთადერთი რომანი „მაგები“.

1942 წლამდე იყო პრინსტონის უნივერსიტეტის ბინადარი პოეტი.

1942 წელს თავის მეგობარ ენდრიუ ლიტლთან ერთად ამერიკის უძველესი კვარტალური ლიტერატურული გამოცემა „სიუენი რივიუ“ მოკრძალებული ჟურნალიდან პრესტიჟულ ეროვნულ პერიოდიკად აქცია.

გარდაიცვალა 1979 წლის 9 თებერვალს ნეშვილში, ტენესის შტატი. მისი არქივი ინახება პრინსტონის უნივერსიტეტის ფაიერსტოუნის ბიბლიოთეკაში.

# ფრანგების 100 საყვარელი წიგნი

## სოციოლოგიური გამოკვლევა

„სოფრ“-ის მიერ საგანგებოდ საფრანგეთის რკინიგზისა და ჟურნალ „Lire“-ისთვის ჩატარებულ გამოკვლევას თან რამდენიმე სასიამოვნო სიურპრიზი ახლდა. პირველი ის, რომ 2 000-ზე მეტ ნაპასუხებ კითხვარში 2 000-მდე წიგნის სათაური ფიგურირებს. თითოეულ რესპონდენტს შეეძლო რამდენიმე ნაწარმოების დასახელება. გაღებულ ტომივით დაქსაქსული ფრანგები არც ამ შემთხვევაში აღმოჩნდნენ ერთსულოვანი და არჩევანის სიუხვემ და ეკლექტიურობამ ყოველგვარ მოლოდინს გადააჭარბა.

მიღებული მონაცემები იმდენად მრავალფეროვანი გამოდგა, რომ მათ შორის 100 საუკეთესოს გამოვლენა ადვილი საქმე არ აღმოჩნდა. ასე რომ, ბიბლიასა და „ანა ფრანკის დღიურს“ შორის ფრანგების უსაყვარლესმა 12 წიგნმა მხოლოდ 5%-დან 2%-მდე ხმა მოიპოვა.

ცხადია, XX ს-ის ფრანგული ლიტერატურის კორიფეებიც მოხვდნენ ამ ასეულში: ალბერ კამიუ („შავი ჭირი“ 27-ე, „უცხო“ 30-ე), ჟან-პოლ სარტრი („ცხრაკლიტული“ 40, „გულისრევა“ 81), ანდრე მალრო („ადამიანის მდგომარეობა“ – გონკურის პრემია და 49-ე ადგილი), სელინი თავისი რომანით „მოგზაურობა ლამის კიდზე“ სიის ბოლოში მოექცა (76-ე ადგილი). მაგრამ სად არიან პრუსტი, ჟიდი, მორიაკი, კოლექტი ან ჩვენს დროსთან უფრო ახლოს მყოფი იურსენარი, დიურა, მოდიანო? ისინი ან სულ არსად ჩანან, ანდა ბრწყინვალე ასეულს შორს, მიღმა დარჩენილან. რატომ? საქმე ისაა, რომ ამ გამოკვლევის მიზანი იყო არა მხოლოდ მსოფლიო ლიტერატურის შედეგების ანდა ბესტსელერების აღნუსხვა, არამედ იმ ნაწარმოებთა გამოვლენა, რომლებმაც მკითხველთა გულები დაიპყრეს. ამიტომაც ეს კლასიფიკაცია უფრო კერძო შეხედულებებს ასახავს, ვიდრე ავტორიტეტულ, კრიტიკულ აზრს.

პასუხების ასეთი უხვი პალიტრა იმანაც განაპირობა, რომ შეკითხვა საკმაოდ ნათლად მოითხოვდა პიროვნულ არჩევანს, სუბიექტურობას, ინტიმურობას: რომელია ის ნაწარმოებები, რომლებმაც თქვენს ცხოვრებაზე გავლენა იქონიეს, მიუძღვით ნვლილი თქვენს პიროვნებად ჩამოყალიბებაში; რომლებმაც განსაკუთრებული ხიბლი მოგანიჭეს და რომელთა გახსენებაც თქვენში ძლიერ გრძნობებს იწვევს, ვინაიდან ცხოვრების გამორჩეულ ეპიზოდს უკავშირდება.

კითხვარები მიაწვდინეს მოსახლეობის სრულიად განსხვავებულ ფენებს (რომლებიც ფრანგული საზოგადოების სტრუქტურის შესატყვისია) და მოიცავს უმაღლესი განათლების მქონეთა (3%), კოლეჯის (14%) და ლიცეუმის (10%) მოსწავლეთა, დაწყებითი განათლების მქონე ზრდასრულთა (17%) და სხვათა თვალსაზრისს. ამიტომ ის, რაც გამოკითხვის შედეგად გამოიკვეთა, უფრო ფრანგების გულისა და

მეხსიერების სურათია, ვიდრე საფრანგეთის ეროვნული ბიბლიოთეკისა.

კიდევ ერთი სასიამოვნო მოულოდნელობა: მხატვრული ლიტერატურის გვერდით 22-ე ადგილას დგას ფრანგული ენის ენციკლოპედიური და განმარტებითი ლექსიკონები: „პატარა რობერი“, „ლარუსი“, „აშეტი“ და სხვა. ფრანგებისთვის ისინი სანდო, ძველი მეგობრები არიან, რომელთა გარეშეც ძნელია გაძლება. ლექსიკონი, რომელიც საუკუნეთა მანძილზე განიცდის სრულყოფას, მხოლოდ დამხმარე სახელმძღვანელო როდია, არამედ აღმოჩენისა და შთაგონების ამოუწურავი წყაროსთვალისა.

დავუბრუნდეთ ჩვენს ასეულს. პირველი ნომერია ბიბლია – ყველა დროის უპირველესი წიგნი. ბიბლიას მოსდევს ვიქტორ ჰიუგოს „საბრალონი“; თუმცა იყო დრო, როცა ჰიუგომ ვერაფრით დაარწმუნა გამომცემელი ჰეტცელი, დაეხებდა მისი ლექსი სათაურით „ღმერთო!..“ ანტუან დე სენტ-ეგზიუ-პერის „პატარა უფლისწული“ მესამე ადგილზეა. წიგნი პირველად ნიუ-იორკში, 1943 წელს გამოიცა. შეეძლო კი მის ავტორს, რომელიც 1944 წელს დაიღუპა, ეწინასწარმეტყველა შემდგომი დიდება? ცნობილია, რომ თარგმნილი ეგზემპლარების მიხედვით „პატარა უფლისწული“ მსოფლიო რეკორდს ამყარებს და მის მიმართ ინტერესი ოდნავადაც არ განუღებულა. ეს წიგნი გამომცემლობა „გალიმარის“ ყულაბაა. შთამბეჭდავია ალენ-ფურნიეს რომანის „დიდი მოლნის“ გამძლეობა (მე-7 ადგილი). 2 გამოკითხვის შედეგად გამოირკვა, რომ საყვარელ წიგნთან პირველი შეხვედრა 10-დან 4 შემთხვევაში სიყმაწვილის პერიოდს ემთხვევა.

ყოველგვარ საზღვრებს სცილდება ემილ ზოლას პოპულარობა: 100 წიგნიდან 6 მას ეკუთვნის: „ჟერმინალი“ (მე-4 ადგილი!), „სათაგური“ (20), „რუგონ-მაკარები“ (50), „ნანა“ (63), „ქალთა ბედნიერება“ (79), „მინა“ (80). ზოლა მკითხველების ნებეირაა და თავისი „რეიტინგით“ სტენდალსა და ბალზაკსაც უსწრებს.

საყვარელ ნაწარმოებთა შორის შედარებით ნაკლებია დოკუმენტური პროზა; თუმცა ბეტი მაჰმუდი თავისი რეალისტური თხრობით „ნურასდროს მამყოფა (ჩემი) ქალიშვილის გარეშე“ მე-9 ადგილზე დგას. ამ წიგნის ღირებულება მისი აქტუალურობითაცაა გამაფრებელი: ამერიკელი ქალი ირანელს მისთხოვდება და აღმოჩნდება მეურლის ოჯახის უკიდურესად ტრადიციული შეხედულებების წინაშე, ორი განსხვავებული კულტურა ერთმანეთს უპირისპირდება.

ცოტაა ესეი და კიდევ უფრო ნაკლებია პოეზია (ბოდლერი 36-ე, პრევერი 32-ე) და დრამატურგია (ანუი 42-ე, სარტრი მე-40). კომიქსების ღირსება კი ერჟეს „ტენტენმა“ იხსნა. სამაგიეროდ, რომანის ჟანრი მთელი თავისი მრავალფეროვნებითაა წარმოდგენილი: ისტორიული, სენტიმენტალური, ინტელექტუალური და სხვა, თვით საგმირო ფანტაზიის ჩათვლით – საყოველთაოდ პოპულარულმა „ბექდების მბრძანებელმა“ საპატიო ჩამონათვალში მე-5 ადგილი მოიპოვა! სამეცნიერო-ფანტასტიკური ნაწარმოებებიც მრავლადაა: ჟიულ ვერნის 4 წიგნი შესაბამისად მე-8, 47-ე, 57-ე და 69-ე ადგილებს იწიან (მე-8 „ოთხმოცი ათასი კილომეტრი წყალქვეშ“). სუპერთანამედროვე ფრანგი მწერლის, ბერნარ ვერბერის „ჭიანჭველები“ 48-ე ადგილზეა. ამერიკულ ფანტასტიკას წარმოადგენენ ფრანკ ჰერბერტი („დიუნა“, 28-ე) და აიზეკ აზიმოვი („საფუძველი“, 82-ე).

ალექსანდრე დიუმას „სამი მუშკეტერი“ მე-10 ადგილზეა, რაც იმას უნდა ნიშნავდეს, რომ თავგადასავლების მაძიებელ ფრანგებს, მათი დამთმობი ხასიათის მიუხედავად, კინკლაობისა და ჩხუბისკენ მიდრეკილებაც არ დაუკარ-

გავთ. საქმე იქამდეც მისულა, რომ ალექსანდრის სიმტიციცის დასტურად ლამის დიუმას წიგნზე დაედოთ ფიცი. იმ უბრალო მიზეზის გამო, რომ დიუმა – საფრანგეთია, ისევე, როგორც მარსელ პანიოლი („მამაჩემის დიდება“ – მე-11 ადგილი). ყოველთვის, ასაკისა და თაობების განურჩევლად.

თაობათა ერთსულოვნების გამოხატულებად შემდეგი არჩევანის დასახელება შეგვიძლია: ერიკ ემანუელ შმიტის „ოსკარი და ვარდისფერი ქალბატონი“ (67-ე ადგილი), ფრანსუაზა საგანის „გამარჯობა, სევდავ“ (85-ე), მარკ ლევის „და თუ ეს მართალი იყო“ (75-ე), განსაკუთრებით კი, რეჟინ დე-ფორჟის „ცისფერი ველოსიპედი“ – ფაშისტების მიერ ოკუპირებულ საფრანგეთში მცხოვრები ახალგაზრდების მღელვარე და ტრაგიკული ისტორია.

ამ საერთო საფუძვლის გარდა, ყველას თავისი რჩეული გააჩნია: განსხვავდება 50 წელს გადაცილებულთა და 35 წლამდე ასაკის მქონეთა გემოვნება და სიმპათიები. იმათ, ვისი წლოვანებაც 35-დან 49-მდე მერყეობს, ნეტარებით ახსენდებათ „სუნამო“ (პატრიკ ზიუსკინდი, 35) და „ბოროტების ყვავილები“ (შარლ ბოდლერი, 36). ახალგაზრდა თაობას კი მასწავლებლებმა „კანდიდი“ (ვოლტერი, 41) და „ცხრაკლიტული“ (სარტრი, 40) შეაყვარეს.

მაგრამ არის ერთი წიგნი, რომელიც ყოველგვარ წლოვანებაზე, კამათზე, ცვალებადობაზე და ჯილდოებზეც მაღლა დგას. ეს „ანა ფრანკის დღიურია“. მას შემდეგ, რაც 1950 წელს პირველად გამოიცა ფრანგულ ენაზე, იგი მუდამ ხელიდან ხელში გადადიოდა, თაობიდან თაობას გადაეცემოდა. დანიელ-როჰი თავის წინასიტყვაობაში ასეთ კითხვას სვამ-

და: ნეტავ რა დადგებოდა ამ საოცარი ბავშვისგან, რომელმაც შედეგის მაგვარი რამ დაწერა ისე, რომ არცკი უწყობდა ამის შესახებო?

საერთოდ კი გასაკვირია, რომ „დიდი რუსული ლიტერატურიდან“ (ამ უკანასკნელ თარგმანს თუ არ ჩავთვლით) მხოლოდ სოლჟენიცინის „კიბოს კორპუსი“ გვხვდება და ისიც 94-ე ადგილზე.

და თუმცა რჩეულ 100 ნაწარმოებს შორის მეოთხედზე მეტს უცხოური ბესტსელერები შეადგენს (როგორცაა „ჯინ ეარი“, „მრისხანების მტევნები“ ანდა საყმანვილო: „რობინზონ კრუზო“ და „ბიძია თომას ქოხი“) დასკვნა ნათელია: ფრანგები კითხულობენ თავიანთ კლასიკოსებს.

**შენიშვნები:**

1. ზუსტი სახელწოდებაა SNCF საფრანგეთის სარკინიგზო ხაზების ეროვნული საზოგადოება.
2. რომანი მთავარი გმირის, ოგიუსტენ მოლნის სახელს ატარებს. მისი მთავარი თემებია ბავშვობისდროინდელი, დაკარგული სამოთხის გახსენება და საერთოდ, ბედნიერების რაობაზე ფიქრი.
3. ტექსტში გამოყენებულია ინგლისური ტერმინი heroic fantasy.

მომამზადა  
ალინა ქადაგიშვილი-ოქროპირიქმა

**ქრონიკა**

პირველ მაისს ავსტრიული ბიბლიოთეკის შენობაში მოენყო თანამედროვე ავსტრიული პოეზიის ოცდაათმეოთხეულის პირველი და მეორე წიგნების პრეზენტაცია.

ეს პროექტი, რომელიც პოეტისა და მთარგმნელის დათო ბარბაქაძის ინიციატივითა და ავსტრიული მხარის თანადაფინანსებით ხორციელდება, მიზნად ისახავს ამ გერმანულენოვან ქვეყანაში XX საუკუნესა და თანამედროვე ეტაპზე განხორციელებული უმნიშვნელოვანესი პოეტური პროცესების შედეგთა ქართულ ენაზე გადმოღებასა და სისტემატიზაციაში.

ბიბლიოთეკის თითოეული ტომი თითო ან რამდენიმე მნიშვნელოვან პოეტს დაეთმობა და ბევრი რამ პირველად სწორედ ამ ბიბლიოთეკისათვის ითარგმნება, ხოლო ბევრი ნიმუში, რომელიც აქამდე ქართულ სალიტერატურო პრესაში იყო გაბნეული, თავს გამომცემლობა „სარის“ მიერ შესანიშნავად დასტამბულ წიგნებში მოიყრის.

„ბიბლიოთეკის“ I ტომში შეტანილია გეორგ თრაკლის ლექსები, ხოლო მეორე ტომი რიხარდ ფონ შაუკალისა და ჰუგო ფონ ჰოფმანსთალის ნიმუშებს ეთმობა.

წარდგინებაზე, რომელსაც უფრო ერთგვარი ლიტერატურული აღსარების სახე ჰქონდა, მხოლოდ პროექტის კოორდინატორმა დათო ბარბაქაძემ ისაუბრა. იგი დაწვრილებით შეეხო ქართული სალიტერატურო ცხოვრებისათვის ავსტრიული პოეზიის ბიბლიოთეკის მნიშვნელობას და აღნიშნა, რომ ეს შეიძლება კარგი მაგალითი იყოს სხვა ევროპული ენებიდან მთარგმნელებისათვის, რათა მათაც გამოიჩინონ მსგავსი ინიციატივა და ეგებ წლების მერე გვექნება არა მხოლოდ ავსტრიული, არამედ ვთქვათ ფრანგული, ინგლისური, იტალიური თუ ესპანური პოეზიის მრავალტომეულები, რომელიც ქართველ

მთარგმნელთა არაერთი თაობის ძალისხმევასა და შრომას მიზანდასახულად გააერთიანებს.

ამის გაკეთება მეტად და მეტად აუცილებელია ჩვენი კულტურისთვის, თუმცა იოლი რომ არ არის, დათო ბარბაქაძე უკვე პირადი მაგალითითაც შესანიშნავად დარწმუნდა. უპირველესი პრობლემა ამ შემთხვევაში მაინც მწირი ფინანსებია, რომლის მოძიებაც ადვილი არაა და რომელიც გარდა გამოცემის ხარჯებისა მთარგმნელთა და პნკარედის ავტორთა ჰონორარზეც უნდა გადაიხადოს.

ამით დათო ბარბაქაძემ დელიკატურად მოუხადა ბოდში კოლეგებს, რომელთაც ავსტრიული ბიბლიოთეკის I-II წიგნზე ფაქტობრივად სიმბოლური გასამრჯელოს ფასად იმუშავეს.

თუმცა რამდენიმე ავტორის გარდა უკმაყოფილო მაინცდამაინც არავინ ჩანდა, რადგან ქართველ მთარგმნელებს შესანიშნავად ესმით, რომ „არა პურითა ხოლო ცხოვნების კაცი.“ ამის მიუხედავად, მაინც ძნელია ალტრუიზმი მოსთხოვო მშვიერ ადამიანს, რადგან მშვიერი კაცი ქველმოქმედებას დიდი სურვილის შემთხვევაშიც კი ვერ შეიძლება.

ალბათ, ამას გულისხმობდა დათო ბარბაქაძე, როცა აღნიშნა, რომ რაღაც უნდა დაუჯდეს, XX საუკუნის ავსტრიული პოეზიის ბიბლიოთეკის პროექტს ბოლომდე – თუნდ მხოლოდ საკუთარი ძალით ან რამდენიმე თანამოაზრის ამარაგ – მიიყვანს.

როგორც იტყვიან, ღმერთმა ხელი მოუმართოს. მით უმეტეს, მკითხველს მადლობის მეტი არაფერი გვეთქმის იმ მშვენიერი ორი ტომისათვის, რაც დათო ბარბაქაძის დაუღალავმა ენერგიამ და შრომისმოყვარეობამ გვაჩუქა.

იმედია, შემდეგი წიგნებიც ასევე ოპერატიულად და ასეთივე ხარისხიანი გამოვა.

კონსტანტინე ზ. გამსახურდია

## ჩემი შვეიცარიული დრო

ემიგრაციაში მიმავალ ადამიანს გზაზე შესაძლოა სხვადასხვაგვარი გრძნობები მიაცილებდნენ: თუ ემიგრაცია ნებაყოფლობითია, კავშირი მშობლიურ მიწასთან და მის გარემომცველ საზოგადოებასთან ბოლომდე განწყვეტილია, თანაც ამ ადამიანის არჩევანზე, დატოვოს თავისი ქვეყანა და წავიდეს სხვაგან, უმალ დადებით ფაქტორს მოუხდენია გადამწყვეტი ზეგავლენა, იგი შესაძლოა თავის მიზანს განიცდიდეს, როგორც მგზავრობას აღთქმული ქვეყნისაკენ.

ასე არ იყო 1992 წელს, როდესაც სამშობლო დავტოვე და ოჯახთან ერთად უცხოეთისკენ მიმავალ გზას დავადექი ჯერ ბაქოს, შემდეგ კი მოსკოვის გავლით. ეს გადაწყვეტილება ცხადია არ ყოფილა ნაკარნახევი დადებითი ფაქტორებით. ჩემს სულს, ისევე როგორც თითოეული პატიოსანი და სინდისიერი ადამიანის სულს უმძიმეს კომარად აწვა 1992-ის იანვარ-თებერვლის ნესტიანი, ცივი და ბნელი დღეები. ქუჩების ქუჩები არეული სისხლი და აღმოდებული შენობები. ისეთი შეგრძნება მქონდა, რომ ვტოვებდი ერთ გაურკვეველობას და მივექანებოდი მეორე გაურკვეველობისაკენ.


შვეიცარიის კონფედერაციაში მანამდე ნამყოფი ვარ, დავათვალიერე რამოდენიმე ქალაქი. აღმართოვანა მანდაურმა ნესრიგმა და სილამაზემ. მაგრამ ტურისტული მოგზაურობისას ვერაფრით ვერ წარმოვიდგენდი, რომ ძალიან მალე პოლიტიემიგრანტად მოვხვდებოდი ამ ქვეყანაში და მომიწევდა მანდ დარჩენა თითქმის 14 წლის განმავლობაში. მიამიტობაა ეს? შესაძლოა იკითხოთ თქვენ. დიახ, ასეა.

მიუხედავად იმისა, რომ განაგონი მქონდა ამბები პირველი ქართული ემიგრაციის ცხოვრებისა აქაც და სხვა ევროპულ ქვეყნებშიც, ეს ლანდშაფტები, თუნდაც მშვენიერი, ჩემს გულს ვერ შეეხო. ყოველთვის მაინტერესებდა და ვიკვლევდი ადამიანის ხვედრს ანუ ბედს, მაგრამ კარგა ხანს ვერ დავაკავშირე ისინი ჩემს არსებასთან, ვერ გავისივრებე, სულიერად ვერ გადავამუშავე.

ადამიანური ხვედრი მექანიკური ხდომილებებისგან როდი შედგება, ბრმად რომ გვეჯახებიან. სწორედ ხვედრმა მაქცია იმად, რადაც ვიქეცი, ხვედრივე მაქცევს იმად, რადაც უნდა ვიქეცი. რაც უფრო ცნობიერად ვიღებ ამას და ვცდილობ აქედან რაღაც ვისწავლო, მით უკეთესი ჩემთვის. ხვედრის საშუალებით ჩემზე მუშაობს ჩემივე ადამიანური არსების საუკეთესო, უმაღლესი წევრი. და არამარტო – იგი მოქმედებს მაკროსამყაროს წინამძღოლ გონიერ ძალებთან ერთად. მათი განზრახვის სიბრძნესა და სიკეთეში თუ ეჭვი შემეპარება, ჩემი ქრისტიანობა არარა ყოფილა.

ვიცოდი, რომ ციურისში მოღვაწეობდა პროფესორი კიტა ჩხენკელი, რომლის ქართულ-გერმანული ლექსიკონი 3 ტომად

მად ალბათ სულხან-საბა ორბელიანის „სიტყვის კონის“ ტოლფასი ნაშრომია; ვიცოდი, რომ შენევაში კითხულობდა ლექციებს დამოუკიდებელი საქართველოს ხელისუფლების წარმომადგენელი ერთა ლიგაში ხარიტონ შავიშვილი, რომლის გაეროს ბიბლიოთეკაში შენახულ არქივთანაც მომიწია შეხება იქ ყოფნისას. ვიცოდი, რომ შენევაში გაატარა თავისი სიცოცხლის უკანასკნელი 15 წელიწადი დამარცხებული გერმანიიდან ლტოლვილმა გრიგოლ რობაქიძემ, ემიგრანტულ მანსარდში, როგორც თავად იტყოდა ხოლმე.



და მაინც, რა იყო შვეიცარია მაშინდელი ქართველებისთვის და რა არის ახლა ჩვენთვის? მე-19 საუკუნეში ეს მრავალეროვანი ქვეყანა დიდი ევროპული კულტურების პროვინციას წარმოადგენდა, ამავე დროს ითვლებოდა პედაგოგიკის დედაქალაქად, მის პანსიონებში და უმაღლეს სასწავლებლებში მსოფლიოს სხვადასხვა კუთხეებიდან ჩამოდიოდნენ. მე-20 საუკუნეში იგი მსოფლიო პოლიტიკის თვალსაზრისით ჩინი იყო, სამაგიეროდ შესაძლოა მისთვის გვეწოდებინა ჰუმანიტარულ-საქველმოქმედო მოძრაობების და ორგანიზაციების მექა. ესაა ქვეყანა, სადაც სტაბილობა და ცხოვრების დონე აღემატება ევროპის ყველა ქვეყანას და სადაც ეს ყოველივე ორსაუკუნოვანი მშვიდობის და თაობათა მიზანმიმართული, თავაუღლებელი შრომის შედეგია; ქვეყანა, სადაც ძალიან დიდი ხნის მანძილზე პროფესიის არჩევნისას კარგ ტონად ითვლებოდა მხოლოდ ბანკირობა, კომერსანტობა, ხელოსნობა და სახელმწიფო მოხელის სტატუსი, ხელოვნების ან მეცნიერების სფეროში მოღვაწეობა კი ცუდ ტონად. ეს შეხედულება იმდენად ძლიერად იყო საზოგადოებაში გამჯდარი, რომ უკანასკნელ ათწლეულში თუ გადაისინჯა მეტ-ნაკლებად.

შვეიცარიაში ყოფნისას მალე დავრწმუნდი, რომ წარმოსადგენადაც კი ძნელია სხვა რომელიმე თუნდაც დასავლეთ, შუა ან აღმოსავლეთ ევროპული ქვეყანა, რომელიც ასე არ ჰგავს საქართველოს. ჩემს თვალში ეს ოდნავადაც არ ამცირებს შვეიცარიის და მის მაცხოვრებელთა ღირსებას. ცხადია არც საქართველოსა და ქართველებს აკლდება ამით რაიმე. კონტრასტი დიდია არამარტო ადამიანებს, მათ ტემპერამენტს, გეოგრაფიულ მდებარეობებს და განვლილ ისტორიულ გზებს შორის, არამედ ამ ქვეყნების ბუნებას შორისაც კი, რაც ერთი შეხედვით მსგავსებასაც უნდა ატარებდეს. დატკბით მართლაც უმშვენიერესი ბუნების დიდებულებით, მაღალი გემოვნებით და იშვიათი ოსტატობით გაფორმებულ თეატრალურ დეკორაციას რომ წააგავს, მაგრამ ალპების უთეთრესი გლექჩერების მიღმა ვერ განსჭვრეტთ მყინვარწვერის ქიმს, აქაური მთის მდინარეების ხმაურში არ მოგესმებათ არაგვისა და ენგურის ჯავრით გულამღვრეული გრგვინვა-გრაილი, და ანკარა ტბების მკერდზე არეკლილ ფერებში ქართულ ციონს ვერ ამოიცნობთ.

შვეიცარიული ცხოვრება მართლმადიდებლური აღმოსავლეთიდან – გენბავთ ევროპა უწოდეთ ამ აღმოსავლეთს – ჩასული ადამიანისთვის შესაძლოა სრულიად უცხო და ძნე-

ლად აღსაქმელი აღმოჩნდეს, ხოლო მანდატური ცხოვრების წესი ასევე მიუღებელია. ამას ჯერ კიდევ დოსტოევსკი აღნიშნავდა, რომლის „იდიოტის“ პერსონაჟი თავადი მიშკინი სწორედ ბაზელში გამოალიცა სახედრის ხმამ.

ამ ქვეყანაში სიმშვიდის იმდენად მაღალი ხარისხია, განვითარებული მოვლენების შინაგანი წინააღმდეგობრიობა იმდენად განწინასწორებულია, შესაბამისად დრამატიზმი და დაძაბულობა იმდენად განმუხტულია, რომ დრო შესაძლოა თვალსა და ხელს შუა გაგვიპაროს. ისე, როგორც ამაზე ერთ თავის ლექსში წერდა გერმანულ-შვეიცარიული ლიტერატურის კლასიკოსი მე-19 საუკუნისა კონრად ფერდინანდ მაიერი:

**არც არაფერმა მომანყინა, არც გამახარა!  
უმტკივნეულო დღემ ფრთები უხმოდ დახარა!**

საქართველოში დრო არ მიედინება თანაბარ რიტმში. მისი სვლა ზოგჯერ შეუმჩნეველი რჩება. იგი რალაციტო ნაგავს ნაკადულს. ქვებს შორის გზას რომ მიიკვლევს, მერე დაგუბდება, ქაფს მოიყენებს, დაბრკოლებას გადალახავს და ერთბაშად გადადინდება სხვა კალაპოტში, რომ მომდევნო ღრმულამდე სწრაფად გაიბრინოს ერთი მონაკვეთი. მოსახვევში კი ისევ შენელებს. მაგრამ ეს ნაკადული შესაძლოა ერთხელაც გაგიჟებულ ღვარცოფად იქცეს, რომელიც ერთბაშად შეცვლის მთელს ლანდშაფტს. სრულიად თავისებური განცდაა დროისა ქართულ ლხინში, მგზავრობისას, კამათში ანდა თავყრილობაზე. ზედროული ელემენტი აქ იმდენად ძალუმი ხდება, რომ ძნელია ზუსტი განსაზღვრა დროისმიერი ჩარჩოებისა.

შვეიცარიული დრო კი სხვაგვარად მიდის. მისი გათვალსაზრისითვის კარგი მაგალითია ბოროვსკის მიერ დადგმული ქანდაკება ბაზელის ცენტრში, UBS-ის ბანკის შენობის წინ. ქანდაკება წარმოადგენს დაახლოებით 10-12 მეტრის სიმაღლის მამაკაცის ფიგურას, რომელიც რკინისგანაა გამოჭედილი. მას ცალ ხელში ჩაქუჩი უჭირავს, მეორეში კი გაურკვეველი საგანი. აქ ყველაზე საინტერესო ისაა, რომ ქანდაკება სპეციალური მექანიზმის საშუალებით დღე და ღამე მოძრაობდა და ცალი ხელით რალაცას აჭედებს საგანში, რომელიც უჭირავს მეორე ხელში. აქ მომბა, როგორც უწყვეტი პროცესი თითქოს დროს ეჯიბრება. წესით სამუშაო დღე დროით იზომება, ამ შემთხვევაში კი ყველაფერი შებრუნებულია: მუშაობა არამარტო დროის საზომია, არამედ გაიგივებულია დროსთან.

მეორე ასევე მნიშვნელოვანი სიმბოლოა: აქ თითქმის ყველა სოფელში, ქალაქების ყველა უბანში თუ კათედრალი არა, აუცილებლად დგას საყდარი თავისი სამრეკლოთი. სამრეკლოს ზარი მიერთებულია საათის მექანიზმთან და რეკავს ყოველ 15 წუთში. თითქოს თავად დროის უმუსგრელი არსი წარამარა ამცნობს ადამიანებს თავისი გამოზომილი და ზუსტად აღრაცხული სრბოლის შესახებ ზათქითა და გრიალით. აქ მიწიერი დრო თითქოსდა საკრალიზებულია, მის გადასვლას მარადისობის საუფლოში გამუდმებით შეგვახსენებს ასობით სამრეკლო, ხან დაბალი, ხანაც მაღალი ტონებისგან წარმოქმნილი ჰანგით. სამრეკლო ჩვენს ქვეყანაში ჩვეულებისამებრ მორწმუნებს შეახსენებს ლოცვის დასაწყისს, მაგრამ არა ასეთი სიხშირით. ზარის რეკა საათში ოთხჯერ? ახსნა ამასაც მოეძებნება: ვისაც აქვს მიწიერი ვალის შეგნება, ზარის ხმა ამცნობს მისთვის მომიჯნილი დროის გასვლაზე და მის სულში წამოჭრის კითხვას: ასრულებ თუ არა შენს მისიას, რისთვისაც აქ ხარ?

მესამე ეს არის ბაზელის სამდლიანი კარნავალი, იგივე ფაშინგი, რომელიც მონიშნავს ზამთრის გასვლას და გაზაფხულის დადგომას. იგი ჩვეულებრივ ღამის 4 საათზე იწყება. ამავე დროს ქუჩებში ათეულ ათასობით ადამიანი გამოდის, რომ თვალი ადევნოს მის დაწყებას. ამ დროს იწყება კოსტუმირებული, ნიღბიანი პროცესიების მსვლელობა, დოლების გრგვინით, პიკოლო ფლეიტების მაღალი ხმებით, საყვირების, ვალტორნების და ფაგოტების გუგუნით გადაადგილებიან ისინი ქუჩიდან ქუჩაზე, სერავენ სხვადასხვა უბნებს. ფაშინგი არაფრით ჩამოჰგავს ანტიურობის მწერლებთან აღწერილ დიონისურ პროცესიებს, თავიანთი მენადებით და ბაქკანტებით, სატირებით და ფაგნებით, ექსტაზი და გაგიჟება რომ დაუფლებოდათ. არა, ფაშინგის პროცესიების მოძრაობა და თავდაჭერა უფრო სამხედრო შენაერთების მწყობრ, მონესრიგებულ გადაადგილებას ჰგავს. თავისი ხასიათით იგი უფრო აპოლონურია, ვიდრე დიონისური. ესაა ზეიმი ექსტატიურობის გარეშე, სადაც თითქმის არ შემოდის ზედროული ელემენტი. ეს ისევ ამქვეყნიური დროა, რომელიც კოსტუმირებული სახით იძვრის საკრავების ხმებისა და რიტმების თანხლებით და რომელიც ამბობს: „წესრიგი ეს მე ვარ“.

სწორედ ჩემი სამშობლოს ამდენად არამსგავს გარემოში ვინყე იმ პოლიტიზებული წარსულის და აწმყოს ანალიზი, რომელიც საქართველოში დარჩა. თითოეული წერილი პასუხია კონკრეტულ შეკითხვაზე. აი, ისინიც:

- საიდან დაიწყო ეროვნული მოძრაობა?
- როგორ გაიმარჯვა?
- რაში მდგომარეობს მისი აღმშენებლური და არა დამანგრეველი მუხტი?
- რა სულიერება იდგა მის უკან?
- რატომ მიაგებენ ხოლმე საქართველოში განსაკუთრებულ პატივს სხვა ქვეყნის გენიოსებს?
- რატომ არ გვიცნობენ ხშირად უკიდურესობამდე?
- რა გადაგვარჩენს?
- რა არ გვაგინყდება იმ ბოზოქარი დღეებიდან?
- როგორი შეიძლება იყოს ჩვენი იდეოლოგია ანუ თაურ-მოძღვრება?
- რას ნიშნავს უღირსებო კაცი ქვეყნის სათავეში?
- რა არის ისტორიული სიმართლე დღეს ოკუპირებულ ქართულ ტერიტორიებთან მიმართებაში?
- როგორ შეიძლება საქართველოს ტერიტორიული მონყოლა?

რაშია ჩვენი, როგორც კულტურნაციის ძლიერება? ცდილობდნენ თუ არა გარკვეული ძალები უკანასკნელი 14 წლის მანძილზე ქართული საზოგადოების ჩატოვებას სულიერი სიდუხჭირის და პოლიტიკური რეგრესის პირობებში?

ქართული საზოგადოება ეგუება ტოტალიტარიზმს? ქართული დრო სიახლის გარდა წარსულის განმეორებასაც გულისხმობს. აქ თითოეულ ისტორიულ მოვლენას თავისი არქეტიპი მოეძებნება. შუაგულ ევროპაში კი ასეთი რამ არ შეიმჩნევა. ის, რაც ერთხელ მოხდა, აღარ უნდა განმეორდეს. „ჩემო შვილო, დრო აქ სივრცე ხდება“ – ასე ეტყვის ვაგნერის ცნობილ ოპერაში ბებერი რაინდი გურნემანცი გრაალის ტაძართან მოსულ ჭაბუკ პარსიფალს. შვეიცარიული დრო ჩემი სივრცე გახდა, ოლონდ ისე, რომ მოგონებადქცეული ქართული სივრცე არ დამიკარგავს, რადგან ვიცოდი: ამ გზითაა შესაძლებელი თანდათან იგრძნო ცოტაოდენ სულის სისავსე და განუსაზღვრო საკუთარ თავს ამსოფლიური ყოფნის მართალი და წრფელი საზრისი.

შიო მღვიმელი

## ალექსანდრე ყაზბეგი

ალექსანდრე ყაზბეგის გაზეთ „დროებაში“ ფელეტონებად მოთავსებული მოთხრობები ძალიან ღრმად ჩასწვდა ჩემს ნორჩ გულს და სულმუდამ მენატრებოდა ამ კაცის ნახვა. ეს იყო 1884 წელს. მაშინ ჯერ ისევ გორის ოთხკლასიან სამოქალაქო სასწავლებლის მოწაფე გახლდით.

1887 წელს დავამთავრე ეს ჩემთვის უმდაბლესი და უმაღლესი სასწავლებელიც და ჩამოვედი თბილისში. ამავე წლის დამლევს მიმიღეს წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებაში, ვითომდა მდივნის თანაშემწედ, მაგრამ უფრო კი ნოქრად. საზოგადოება ის იყო ახლად ხსნიდა წიგნის მალაზიას და გამომცემლობაც ნელ-ნელა, უფრო და უფრო ფეხს იდგამდა და ვრცელდებოდა ამ საზოგადოების მეოხებით ხალხში წიგნები.

აი, ამ წიგნის მალაზიაში, ყოველდღე, თითქმის ერთსა და იმავე დროს შემოდოდა ნაბადწამოსხმული, მალალ-მალალი, გამხდარი, არწივისებურად ცხვირწამოდგმული კაცი. შემოვიდოდა ჩუმიად, დაჯდებოდა უხმოდ მაგიდასთან ნიდაყვდაყრდნობილი და იყო ასე, ვიდრე სადილობა არ მოვიდოდა...

ამ კაცის ჩუმად მოსვლა და წასვლა დიდხანს მეორდებოდა ასე. მე, როგორც ყველასათვის უცხო და მორცხვი, არავის არაფერს ვეკითხებოდი.

ერთხელ, რამდენიმე ხნის შემდეგ სულ, რაც ამ ნაბადიანი კაცის მხოლოდ და მხოლოდ სიჩუმემ და სევდიანმა „სახემ“ მეც გული მომიკლა და დამანალვლიანა, ვიკითხე ვინაობა. ჩემს გაოცებას და მერე სიმწუხარეს საზღვარი არა ჰქონდა, როდესაც გავიგე, რომ ეს ის საყვარელი კაცი იყო, რომლის ნახვაც დიდი ხანია შორიდან მენატრებოდა – ყაზბეგი.

გავიდა მარტი, დათბა დღეები და ალექსანდრე აღარ შემოვიდა წერა-კითხვის საზოგადოების მალაზიაში. უქვევლია, მთაში წავიდა. ასეც მოხდა.

მეტად დიდი მოუთმენლობით ველოდი ალექსანდრეს. დავინახავდი თუ არა მომავალს, მაშინვე ნამოვხტებოდი, გავაღებდი კარებს და შემოვიპატიჟებდი, მაგრამ ის მაინც ჩუმად მივიდოდა მაგიდასთან, დაჯდებოდა სკამზე და დაინწყებდა შიგადაშიგ ოხვრას. მხოლოდ წყალს თუ მომთხოვდა, სხვა არაფერზე გამცემდა ხმას. საშინელი ნალვლიანი და სევდიანი იყო იმ დროს მისი სახე და გამომეტყველება.



შიო მღვიმელი

შემოდგომის შუა რიცხვებში ისევ გამოჩნდა ალექსანდრე, მხოლოდ ისე დაღვრემილი და ჩუმი კი არა, უფრო სახეგამილი, მხიარული და მოლაპარაკე. იშვიათად შემოდოდა საზოგადოებაში. მიუხედავად იმისა, რომ საშინელი ბეცი იყო, ისე ამოირბენდა ხოლმე კიბეებს, როგორც მერცხალი...

ერთთავად და თითქმის მუდამ, გინდაც ციებულისყო, ალექსანდრეს მხოლოდ ცალი ხელი ჰქონდა გაყრილი ჩოხის სახელოში და ისე დადიოდა. საერთოდ ლაპარაკი არ უყვარდა, ეს ეხლა, წინათ – არ ვიცი.

ორი-სამი წლის შემდეგ ჩემი ჩამოსვლიდან ნელ-ნელა დაეტყო უცნაურობა. მოუმატა ლაპარაკს. ქაშუეთის ქუჩაზე „პეტერბურგის“ ნომერში ეჭირა ოთახი. დილით შემოვიდოდა საზოგადოებაში და ისეთ უგემურ რამეს იტყოდა ხოლმე, რაც მისგან ყოველად მოულოდნელი იყო და, რასაკვირველია, დაუჯერებელიც.

მთელი მისი მამულის გამგედ იყო ლადო აღნიაშვილი. ჩვენი წიგნის მალაზიის რიგობას ჰქონდა ენიკოლოპოვის სხვადასხვა ნივთეულობის მალაზია. ნოქრად ჰყავდა ვინმე უმიკოვი. ალექსანდრე შესულიყო ჩოხაში ყუფთად გამოწყობილი და მოეთხოვა სხვადასხვა ნივთები, ცოლს ვირთავ და მინდა ოთახი მოვანყო. გადმოვლაგებინა ნივთები და როდესაც დასწვდა ერთ იმათგანს ხელში ასაღებად, უბრალო ჭიქის დასადები ლამაჯი გადმოუვარდა. ატყდა ერთი აურზაური და ყვირილი. ზედ დატანებაზე მოვიდა აღნიაშვილი. უმიკოვს დაუჭერია ალექსანდრე, ეწევა გარეთ და ის არის უნდა შემოჰკრას, რომ ეცა კიდევაც ლადო.

პირველად აქედან დაიწყო სანდროს უცნაურობა. იყო კიდევ ერთი ასეთი შემთხვევა: გოლოვინის პრისპექტზე, სასადლო „პურჯვარის“ ახლოს, სადაც ეხლა აშენდა უზარმაზარი შენობა, ხილით ვაჭრობდა ხუზიანიძე. მაშინ თაბახები იყო მოდამი ხილეულობის დასაწყობად. სხვათა შორის, ერთ თაბახზე ელაგა ფორთოხლებს გაუფლის ალექსანდრე, აიღებს ერთ ცალს, ჩაიდებს უბევეც გამოივლის, გაიმეორებს ამასვე. სრულიად შემთხვევით ამ გარემოებას თვალს მოჰკრავს ლადო აღნიაშვილი. მივა ხუზიანიძესთან და ეტყვის: სანდრო, აი, ის კაცი, რომელმაც ეხლა შენ ორი ფორთოხალი აგაცალა და ვერ გაიგე, ჩვენთვის დიდი პიროვნებაა. არ ვიცი, რა ამბავია ამ ადამიანის თავს და, თუ ღმერთი გწამს, უხეშად ნუ მოეპყრობი, მხოლოდ ადევნე ყური ხილის ნალებას და ფული ჩემგან მიიღეო.

ამ ამბების შემდეგ სანდრო დიდხანს აღარ გამოჩენილა. აღარ მახსოვს დაბეჯითებით, რომელ წელში იყო, გიორგი ჩაგუნავასთან სადილად მივიდოდი. ლორის მელიქოვის ქუჩაზე გრიგოლ ჩარკვიანს ჰქონდა წიგნის მალაზია. იქითკენ ჩავიარე, ცოტა რამ საქმე მქონდა გრიგოლთან. შევედი მალაზიაში და ვხედავ, ალექსანდრე დგას. უშველებელი მეცხვარის მსხვილი ჯოხით, აცვია ტყაპუჭი და ახურია უშველებელი მეცხვარის ქუდი.

მოვიკითხე სიამოვნებით, მომიკითხა მანაც და მკითხა, სად მიდიხარო. მეც ვუპასუხე, გიორგი ჩაგუნავასთან-მეთქი.



გიორგი ჩაგუნავა მაშინ სასულიერო სემინარიის ეკონომად მუშაობდა და როგორც ნათესავთან, ხანდახან სადილად მივდიოდი. ჩემს დუქნის სადილს მათი სადილი უფრო სჯობდა. ეს იყო მიზეზი, რომ იმ დღესაც მასთან მივდიოდი, მაგრამ სემინარიას ავუხვიე და ალექსანდრე ავიყვანე ჩემს ამორჩეულ სასადილოში – სარდიონ სანიკიძესთან. დავსხედით საერთო მაგიდის გრძელ სკამზე. აქ მოსადილებს ჰკითხა, ვინ რას შეექცეოდა და თითქმის სამი-ოთხი საჭმელი მოითხოვა და ყველა ერთად მოაქცია. ის იყო ლუკმა უნდა ამოენო, რომ დაატრიალეს მეორე ოთახში არლანი.

გადაიძრო ალექსანდრემ ტყაპუჭი, მოიგლიჯა ქუდი და გავარდა. დაუარა ელვის სისწრაფით და აღარ გაათავა თამაშობა. სარდიონს ვუთხარი ვინც იყო. მაყურებელი ხალხი გაოცებას იყო, რომ ეს კაცი კი არ უვლიდა, პირდაპირ დაფრინავდა.

როგორც იქნა მოიქანცა, ჩემმა თხოვნამაც გაჭრა და მოვიყვანე როგორც იყო სასადილო მაგიდასთან, მაგრამ მას აღარაფერი უჭამია.

ამ დღიდან და შემდეგ დღეებშიც სრულად დადასტურდა, რომ ალექსანდრე თავის ჭკუაზე აღარ იყო და იშვიათი მოვლა-პატრონობა უნდოდა, მაგრამ მაშინ, თურმე, გვიანდა იყო.

წერა-კითხვის საზოგადოებამ გამოსცა ცალკე წიგნად მისი „ელისო“. ყოველი ფურცლის ორივე მხარეს ეწერა „ელისო“. ერთხელ შემოიძო ფეხი ფეხზე, აიღო მაგიდის ახლო ვისტავკაზე დადებული წიგნი „ელისო“ და დაუნყო შლა. გადაშალა-გადმოშალა და თქვა: სულ ელისო, სულ ელისო, სულ ელისო. რა უცნაური კაცია, ვითომ სულელისო? – და გაიცინა.

ხანდახან გავაღებდი თუ არა მალაზიას, ჩაჯდებოდა შუაგულ მალაზიაში, დაიწყებდა სიმღერის ზმუილს, მერე წამოვარდებოდა, გაშლიდა მალაზიას ხელებს და ცოტა აუშაღლებდა ხმას. რომ ვკითხავდი, რას შვრები ალექსანდრემეთქი, მეტყოდა – მთის ხმებს ვიგონებო.

ერთხელ დაიჩემა კიდეც ყუთებიდან წიგნების გადმოლაგება. უეჭველად დიდი „ვეფხისტყაოსნის“ თხუთმეტომიანი გამოცემა ყველაზე წინ უნდა გადმოელო. პეტერბურგში ვიღაცა ნათესავი ჰყავდა და ყოველდღე იმას უგზავნიდა, ქართული არ დაავინყდეს და არ გარუსდესო.

ისე მხოლოდ უწყინარი იყო და არავის არაფერს უშავებდა, იჯდა ჩემს ახლოს მაგიდასთან და შლიდა წიგნებს. თხოვნა არაფრისა არ იცოდა, უჭირდა თუ ულხინდა, ამაზე სრულებით ხმას არ იღებდა, არაფერზე დაიჩივლებდა.

უყვარდა საშინლად ტკბილეულობა. თუ ფული ჩაუვარდებოდა ხელში, სულ ხილზე ხარჯავდა. წინათ სვამდა თუ არა ღვინოს, არ ვიცი, ჩემ დროს კი არ მინახავს ის ღვინოდალეული.

ერთ დღეს, ზაფხულში, როცა ყველა წასულ-წამოსული იყო საზაფხულოდ, შემოვიდა ჩემთან და შემოიტანა ნახევარი ხელისგულისოდენა ნახატებიანი, ძალიან წერილი და

წმინდა ხელით დაწერილი სახარება. მითხრა – ფული მიჭირს და იყიდეთო. დამიფასა სამი თუმანი.

გამგეობის წევრებიდან მხოლოდ ვანო მაჩაბელი იყო თბილისში. მაშინვე გადავედი სათავადაზნაურო ბანკში, სადაც ის დირექტორად იყო და გადავეცი ეს ამბავი.

– შიო, ეს დიდი ფული არ არის. მიეცი მხოლოდ 15 მანეთი. დანარჩენი ორი-სამი დღის მერე. ფულის ერთბაშად მიღება არ იქნება, იმიტომ, რომ ერთ წუთში დახარჯავსო.

მივეცი ისე, როგორც მითხრა, მაგრამ ალექსანდრე მერე დღესვე დილაადრიან დამადგა თავზე და გამომართვა მეორე 15 მანეთიც და იმ დღიდან აღარც გამოჩენილა, მთავი თუ სადღაც წასულიყო.

არ გავიდა დიდი ხანი, ვარშავიდან ჩამოვიდა გიორგი ყაზბეგი, ბიძაშვილი ალექსანდრესი. რომ გაეგო სახარების შინიდან წამოღების ამბავი, შემოვიდა წერაკითხვის საზოგადოებაში და იკითხა ვინ არის თავმჯდომარეო.

– ილია ჭავჭავაძე, – ვუბასუხე.

– სად შეიძლება მისი ნახვა?

– სოფელშია იგი წასული.

– ვინაა მისი თანაშემწე?

– ვანო მაჩაბელი.

– ის სადღაა?

– სოფელში.

– მდივანი ვინღაა?

– კარიჭაშვილი, მაგრამ არც ის არის

აქ, სააგარაკოდ არიან წასულები.

– ბეზობრაზიე! – ჩაილაპარაკა ლენერალმა

და ბრძანების კილოთი მომმართა:

– თქვენ რა თანამდებობას ასრულებთ?

– მდივნის თანაშემწედ ვითვლები.

– ალექსანდრემ მოიტანა აქ სახარება?

– დიახ, მოიტანა.

– რა მიეცით?

– სამი თუმანი.

– აი, თქვენი სამი თუმანი და მიბოძეთ სახარება, ის მართო ალექსანდრესი არ არის, საგვარეულოსია და მისი აქ დატოვება არ შეიძლება, მოიპარა და ისე წამოიღო.

– სანამდის გამგეობა არ დაადგენს ან გამგეობის თავმჯდომარე არ მიბრძანებს, მანამდე მე არ შემოიძლიან ჩემ თავად არც ფულის მიღება და არც სახარების დაბრუნება.

– გიბრძანებ!

– როგორც უნდა მიბრძანოთ, არ შემოიძლიან.

გაბრაზდა გენერალი, დამიბრაზუნა ფეხები და გავიდა გარეთ.

– მე თქვენი სალდათი არ გახლავართ-მეთქი, – მივაცოლე. შემოტრიალდა, უარესად დამიტყაპუნა დეზებიანი ფეხსაცმელი და „მე შენ გიჩვენებოს“ თქმით გატრიალდა.

როცა ყველანი ჩამოვიდნენ, სახარება მართლაც დაიბრუნა.

ალექსანდრე თბილისის სულით ავადმყოფთა სახლში მოათავსეს. იცოდა ყველამ, რომ იქიდან გაჯანსაღებული და ჭკუაზე მოსული აღარ გამოვიდოდა. როცა სულმთლად



ვაჟა-ფშაველა და ალექსანდრე ყაზბეგი

დაკარგა ცნობიერება, ის უიმედოთა ჯგუფში გადაიყვანეს. მე მანამდე დავიარებოდი ხოლმე და როდესაც ზემოხსენებულ განყოფილებაში მოათავეს, ნავედი კიდეც სანახავად. ნავეულე მისი საყვარელი საქმელი – პეროჟინი.

რომ მივედი და ვნახე, თავიდან ვითომდა მიცნო კიდეც, მაგრამ სრულიად არ შეეფერებოდა სინამდვილეს. გულკეთილობა და კეთილშობილება კიდეც შერჩენოდა. კარდონის ყუთით მიტანილი პეროჟინი ყველას მისთავაზა და ბოლოს ჩემთანაც მოიტანა – მიირთვიო.

მივუტანე აგრეთვე ოქროს ასოებით დაბეჭდილი, დასურათებული მისი თხზულება, რომ იქნება სიამოვნებოდა და გახარებოდა, მაგრამ მას აინუნშიაც არ მოსვლია და არც უკითხავს თუ რა ნიგნები იყო.

ეს იყო ჩემი უკანასკნელი ნახვაც და გამოთხოვებაც ამ ძვირფას ადამიანთან. რამდენიმე კვირის შემდეგ, ყოველივე ცნობიერების გრძნობას მოკლებული გარდაიცვალა საავადმყოფოში.

გაიარა ალექსანდრე ყაზბეგის სიკვდილის შემდეგ საკმაოდ კარგა ხანმა და მხოლოდ მას შემდეგ ატყდა მითქმამითქმა და ჩურჩული, ეს თხზულებები ალექსანდრეს კი არა, დიმიტრი ყაზბეგს, მის ბიძაშვილს ეკუთვნისო.

თავისთავად ცხადია, რომ ეს იშვიათი თხზულებები ძვირფასი განძია ქართველებისთვის. ალექსანდრეს ეკუთვნის თუ დიმიტრის, ეს ბოლოსდაბოლოს, მე მგონი, სულ ერთი გახდება, მხოლოდ, პირადად მე ერთი რამ მაკვირვებს:

კოლა ყაზბეგი, დიმიტრის შვილი, ვაჟა-ფშაველამ გამაცნო ჯერ ისევ სრულიად ახალგაზრდობაში გორის სემინარიის ბაღში. ეს იყო 1882-1883 წელს. აი, მას შემდეგ, ვიდრე 1924 წლამდე ერთმანეთს შევაბურდით და არც მაშინ, რაც თავზე ხელი მოვისვით ადამიანურად და მართლა დიდ მეგობრებად შევაბურდით ერთმანეთს და არც მას შემდეგ, რაც ლაპარაკი დაიწყო პლაგიატორობაზე, ერთხელაც არ უთქვამს ჩემთვის, რომ, შიო, ეს მამაჩემისა იყო და ალექსან-

დრემ მიითვისაო. მაკვირვებს ამიტომ, რომ ერთმანეთში არაფერი გვექონდა დაფარული. თუ შეიძლება ითქვას, სულ ერთად ვიყავით. მახლობელ ადამიანად მივჩნდი ჯერ მაშინაც, როცა პატარა შიოს მეძახდნენ და შემდეგაც, როცა დაცვოლშივლიდი. ბევრჯერ ავკარგავინობაზე გვექონია ლაპარაკი და არც არაფერი მას უთქვამს ამის შესახებ ჩემთვის. და ანკი რად უნდა მომრიდებოდა, როდესაც ალექსანდრე დიდი ხნის მკვდარი იყო და მე მას ამბავს ვერ მივუტანდი.

დაბოლოს, თავად გიორგი ყაზბეგმა საგვარეულო სახარება რომ მოიკითხა, რატომ მამის ძმის ნაწერები არ გაიხსენა იმ დროს და არა სთქვა, მასაც ამგვარი საქმე დამართაო.

რაც შეეხება იმას, სად, ვისთან და ვისი თვალის წინ წერდა ყაზბეგი მოთხრობებს მთლად თუ ნაწილობრივად, ამის მოთხრობელი იყვნენ ვანო მაჩაბელი, სოფრომ მგალობლიშვილი, სოსო მელიქიშვილი, გრიგოლ ტატიშვილი (გრიგოლი – მეტსახელად ფიგარო), ქართული სცენის ოსტატი – კოლა გალუსტოვი და, უეჭველია, სხვებიც იქნებოდნენ, რომელნიც დღეს აღარ არიან და მათი მოწმობა ჩვენ დღეს აღარ მოგვაგდება.

ცოცხლებში არის მხოლოდ დარჩენილი არტემ ახნაზაროვი, რომელსაც შეუძლია სთქვას რამე ამ კაცის შესახებ, მით უმეტეს, რომ ამ კაცს ჩაუკეტნია ერთ-ერთ საღამოს ოთახში და დაუნერინებია იქვე სრულიად ახალი სააღდგომო მოთხრობა, ვგონებ, „ფატი“.

ჩემ დროს ალექსანდრე უკვე სულით ავადმყოფი იყო და მისი წერის შესახებ მე არაფერი შემიძლია ვთქვა.

ზემთ ნათქვამი გალუსტოვისგან არის გაგონილი. კოლა გალუსტოვი იტყოდა ხოლმე: ალექსანდრე სუსტი იყო და ხშირად ავადმყოფობდა. იდგა ქაშუეთის პირდაპირ, „პეტერბურგის“ ნომრებში. ხშირად დამიძახებდა ამ ნომერში და რადგან თავად არ შეეძლო მკლავის ამოღება, ის მეუბნებოდა და მე ვწერდი რომელიმე მოთხრობის დასაწყისსა თუ დასასრულსო.

**70 წლის წინ, 1933 წლის 28 დეკემბერს, ერთი ლამაზი სიცოცხლე გარდასახლდა სულთა საუფლოში; უკვდავების შარავანდედმოსილი კიდეც ერთი სახელი შეუერთდა მარადისობას. სახელი, რომელიც დღემდე შუქურად აღმართულა მომავალი თაობების გზასავალზე სიკეთის, სათნოების, კეთილშობილების, კაცთმოყვარეობის სიმბოლოდ.**

„ბავშვთ გულის მესაიდუმლე“ – ასე მონათლა დიდმა ვაჟამ ქართული საბავშვო პოეზიის კლასიკოსი – შიო მღვიმელი, რომელსაც „ძია შიოდ“ მოიხსენიებდა დიდ-პატარა. ჩუმი, უწყინარი, მორიდებული, თავმდაბალი, თბილი, კეთილი, ალერსიანი, მშვიდი, ყურადღებიანი – ასეთად შემორჩა ერის მუხსიერებას ეს „პატარა, მაგრამ ამავე დროს დიდი კაცი“.

სიცოცხლის უკანასკნელ წლებში ცხოვრების ახალ რიტმს, ახალ პანგებს მიუჩვეველი პოეტი ძირითადად მოგონებების წერით იყო დაკავებული. საზოგადოებას ახსოვს მისი სათუთი მოგონებანი იაკობ გოგებაშვილზე, ვაჟა-ფშაველასა და სხვა ცნობილ ადამიანებზე. მოსაგონარი მართლაც ბევრი შქონდა. ის ხომ წლების მანძილზე წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების წიგნის მაღაზიაში მუშაობდა და ყოველდღიურად უხდებოდა ურთიერთობა მრავალ გამოჩენილ პიროვნებასთან. თავისი მორიდებული ხასიათის მიუხედავად ადვილად პოულობდა მათი გულებისაკენ მიმავალ გზას თავისი ერთგულებითა და საქმისადმი კეთილსინდისიერი დამოკი-

**მინაწერი**

დებულებით. მისი გულისხმიერება და სითბო შორეულ იტალიასა და ინგლისამდეც კი აღწევდა. ის იყო ერთ-ერთი დამაკავშირებელთაგანი იტალიაში გადახვეწილი მიხეილ თამარაშვილისა და ინგლისელი ქართველოლოგის მარჯორი უორდროპისა ქართულ კულტურასთან.

ერთ-ერთი იმ პიროვნებათაგან, რომელთაც შიო ეთაყვანებოდა და რომელთა ხსოვნა მის მესხიერებაში განსაკუთრებული ხიბლით იყო შემორჩენილი, ალექსანდრე ყაზბეგი იყო. შიოს მოგონება მასზეც დაუნერია, თუმცა არსად გამოქვეყნებულა და დღემდე ხელნაწერის სახითაა შემორჩენილი მის პირად არქივში.

მკითხველს კარგად ახსოვს ალექსანდრე ყაზბეგის შემოქმედებითი უნარის ირგვლივ ატეხილი დავა-კამათი, იმდროინდელი პრესის ფურცლებზე გამართული პოლემიკა მის პლაგიატორობაზე. შიო მღვიმელის მოგონება სწორედ ამ საკითხს ეხმაურება.

მართალია, დიდი ხანია სადავოს აღარ წარმოადგენს და ეჭვიც აღარავის ეპარება ალექსანდრეს ნიჭიერებაში, მაგრამ, ვნიჭრობთ, 70 წლის წინ დაწერილი შიო მღვიმელის მოგონება ინტერესმოკლებული არ იქნება ქართველი მკითხველისთვის, ვინაიდან მასში ბევრი რამ საგულისხმოსა და საფიქრალის ამოკითხვა შეიძლება.

**სოფიო მახაჭაშვილი**

როსტომ ჩხეიძე

# მკვლელი-ჭირისუფალი

როდესაც ჭიბი ჭიპუნტირადეს ანდერძს აუგებენ, გაჭრილ საფლავთან ლაპარაკს კვაჭი კვაჭანტირადე დაიწყებს და ეს იქნება მისი პირველი საჯარო სიტყვა – ახალ საქართველოში ნათქვამი:

– ძმაო ჭიბი, შენ მუდამ ქართველი იყავი სულით და გულით. ქართველი იყავი და სამშობლოსთვის იბრძოდი. და ამ ბრძოლაში დაილია შენი უსაზღვრო გული და ჯვარცმული ცხოვრება. ვერაგმა მტერმა მუხთლად მოსპო შენი ლამაზი სიცოცხლე, მაგრამ შენი წმინდა ხსოვნა უკვდავი იქნება შენი მეგობრების და ხალხის გულში, ხოლო მადლიერი სამშობლო ოქროს ასოებით ჩასწერს შენს სპეტაკ სახელს თავის მატია-ნეში და შენ გმირულ სიკვდილს საშვილიშვილო მაგალითად გადააქცევს. შენ კი, დაუვინყარო ძმაო, მოისვენე შავს მინაში, რამეთუ მინა ხარ და მინად იქეცე! ჩვენ კი...

სიტყვას ქვითინით დაასრულებს და ბარბაცით შეერევა ხალხში.

მსმენელს იქნებ ჰიპერბოლური მოსჩვენებოდა ეს სამგლოვიარო გამოცხადება, მაგრამ იმ ნუთას ვერაგინ დაუკარგავდა კვაჭს უზომო მწუხარებასა და გულისტკივილს მეგობრისა და თანამებრძოლის დაღუპვის გამო. იქნებ მთლად მკაფიოც არ იყოს ნათესავ-ახლობლებისათვის, ვის გულისხმობს „ვერაგი მტერი“, მაგრამ მთავარია, რომ ჭიბს სამშობლო მანინც გაუხდება მადლიერი და, მისი სპეტაკი სახელი და გმირული სიკვდილი ოქროს ასოებით რომ შევა მატიანეში, სამვილიშვილო მაგალითად ხომ დარჩება და დარჩება.

ცრემლიანი სიტყვა ჰაერში არ გაიბნევა.

მეორე დღეს გაზეთს გადაშლის და ჭიბის ნეკროლოგსაც გადაიკითხავს და თავის სიტყვასაც ჩააბუღებულს.

ეს გამოსვლა ისტორიულ დოკუმენტადაც უნდა დარჩეს.

ისტორიულ დოკუმენტადვე უნდა დარჩეს ნეკროლოგის ის ფრაზაც, ბესო შიქის რომ ჩაუწერია ჩვეული სიმარჯვით: ჭიბის გვამი ერთგულმა კვაჭმა შუა ზამთარში კიევიდან ადესამდე ზურგით და მარხილით გადმოიტანაო.

მანინც ვინ არის ის ვერაგი მტერი, ვინც მუხთლად მოსპო კიდევ ერთი ლამაზი სიცოცხლე?

შუაგულ ბრძოლაში მოყოლილი კვაჭი კვაჭანტირადე და მისი მეგობრები დიდი დანაკლისით რომ გამოვლენ ცაცხარებულ შერკინებიდან და კვაჭი ხუთ ერთგულსა და ერთად შეზრდილ ამხანაგს დასტირის, უეცრად მოაგონდება, რომ ჭიბი ისე წაიქცა, როგორც მოკლული ან მძიმედ დაჭრილი. ახლა კი აღარც მიცვალებულთა შორისაა და აღარც ცოცხლებში. იმ ალაგას, სადაც ჭიბი წაიქცა, წვეთი სისხლიც არსადაა, თოვლში კი ნაფეხური მოჩანს – ეტყობა, სადაც დაიშალა. კვაჭს უცებ ეჭვი შეიპყრობს, ქოხში შევარდება და განძეულს ეცემა... განძი გამქვალა.

სიბრაზით ანთებული კვაჭი უღმობლად დაემუქრება მოლაღატე მეგობარს:

– ჰოი, უმადურო! ორგულო!.. მოლაღატე! შერცხევეს კვაჭი თუ დედაშენი შენს საფლავზე არ ვატირო.

მუქარის შესრულების საშუალება რამდენიმე დღეში მიეცემა, როდესაც მის ოთახში ჯალილა ძალით შემოაგდებს

ჭიბს: კვაჩი-ალა, ჩიბი მოგიხვანე. ფისი რომ დასდე, ეხლა გააკეთე შენი საქმეო.

ის კნავის და ვერხვის ფოთოლივით ცახცახებს, თავს ვერ იმართლებს, აღიარებს, დამნაშავე ვარო, მაგრამ თურმე ის განძი მისთვისაც წაურთმევიათ და ცარიელ-ტარიელი დაუტოვებიათ.

კვაჭის რკინის მკლავები თავისთავად მოსხლტება და ჭიბის ყელზე ტკაცუნს მოიღებს. იმავე ნუთს ჯალილაც ისკუპებს. სუთიოდე ნუთის შემდეგ ორივე მოშორდება ჭიბს, რომელიც, გაგუდული და თვალეზამოვარდნილი, გაჭიმული ნევეს იატაკზე.

უნდა სავილოთ გურჯისტანში, – მოაგონებს ჯალილა, – ფისი მიეცი ალაჰსა, რომ დედამ უნდა ჩიბის საფლავზე იტიროსო, ამიტომ...

მაგრამ არც კვაჭს დავინყნია თავისი მუქარა და თანამებრძოლს უბრძანებს: შეახვიე, დედას უნდა ჩაუტანოთო.

მერეა, კუბოში ჩაჭედელ გვამს კვაჭი ბათუმში რომ გაუგზავნის იქ გადმოსულ მშობლებს, მეორე დღეს კი... დასაფლავებასაც დაესწრება.

ნუ ნახვალო, – მორიდებით ურჩევს ბესო შიქია.

მაგრამ კვაჭი ცივად აირიდებს რჩევას: ფიცია ბოლომდე უნდა შესრულდეს, დედის ტირილი უნდა ვნახოო.

მოხუცი დედ-მამა დარდისაგან ფეხზე ძლივს დგას, დედის კივილი ცასა სწვდება, მამა რალაც გაუგებარს ლულულებს, ეს კი ამცნობს, ხულიგენმა დაახრჩვეს, გვამი ძლივს ვიპოვე და წამოვიღეო.

მერე კი –

სამშობლოსათვის ბრძოლაში დაილია შენი უსაზღვრო გული და ჯვარცმული ცხოვრებაო.

ვერაგმა მტერმაო.

შენი წმინდა ხსოვნა უკვდავი იქნებაო.

მადლიერი სამშობლო ოქროს ასოებითო.

შენი გმირული სიკვდილი საშვილიშვილო მაგალითადო.

და სამგლოვიარო სიტყვის აუცილებელი ფინალური აკორდი – განყვეტილი ფრაზა და ქვითინი. უამისოდ მის „მწუხარე“ გამოსვლას რალაც მნიშვნელოვანი მოაკლდებოდა.

შემადრწუნებელი სურათია, გამაოგნებელი და დამაფიქრებელი.

„კვაჭი კვაჭანტირადე“ 1923-24 წლებში ინერებოდა და ფრაგმენტულად იბეჭდებოდა კიდევ, ნიგნად 1925 წელს გამოიცა და, თუ დაუკვირდები, უეცრად ნათელი გახდება, რომ ჭირისუფლად გარდასახული მკვლელის სახე და მოტივი პირველად აქ ჩნდება ჩვენს მწერლობაში.

ალუდა ქეთელაური რომ გლოვობს მისივე ხელით მოკლულ მუცალს, ეს გულწრფელი გლოვა და მონანიებაა, რაც ნუთისოფლის ტრაგიზმის სიღრმეში გახედებს და არა ცხოვრების ფარსში, ამაოების ბაზრის ლაბირინთებში. ამიტომაცაა, რომ ალუდა არ ფარავს მუცალის მოკვლას, მაშინ, როდესაც კვაჭი კვაჭანტირადე ჭიბის დაღუპვა იდუმალებით მოცულ ვერაგ მტერს უნდა გადააბრალოს, თვითონ კი გულმტკივნეულ და სულაც იმ „ვერაგი მტრის“ მიმართ შურისგებით აღვსილ ადამიანად გამოჩნდეს ხალხის თვალში.

მის საქციელში მთავარი სწორედ ესაა – ხალხის გაბრეყება, გაცუცურაკება, ის მოჩვენებითობა, რაზეც აგებულა მისი ბიოგრაფია, რაც წარმართავს მის ყოველ ნაბიჯს.

მკვლელი-ჭირისუფლის ასეთი ხასიათი არ დაუხატავს არც ილია ჭავჭავაძეს, არც აკაკი წერეთელს, არც ალექსანდრე ყაზბეგს, არც ვაჟა-ფშაველას, არც გიორგი წერეთელს, არც ხალხოსნებს, და არამცთუ ჯავახიშვილისებური რელიე-

ფურობით, გაელვებით, მინიშნებითაც კი. თვით გროტესკულ სურათებშიც არსად მოჩანს ამ ყაიდის მგლოვიარე მკვლელი.

ის მწერლები – განსაკუთრებით მაინც აკაკი წერეთელი – სხვა მუნათს სდებდნენ საზოგადოებას, სძრახავდნენ, რომ სიცოცხლეში სულ არავითარ ან ნაკლებ პატივს მიაგებდნენ ღირსეულ მოღვაწეს, გარდაცვლილს კი დიდი ზარ-ზვიმითა და ცრემლთა ფრქვევით მარხავდნენ. ისინი ეჭვითა და ირონიით შეჰყურებდნენ ამ ცრემლთა სინრფელეს – არა სწამდათ გულგრილ ადამიანთა, მითუმეტეს, ფეხისხმას აყოლილთა ჭირისუფლობა და წინასწარმეტყველთა სიმკაცრით შეაგონებდნენ მგლოვიარეთა პროცესიას, ემჯობინებოდა ამის მე-ასედი პატივი სიცოცხლეშივე მიეგვოთო.

მათ თვალში მოჩვენებითობა, ფარისევლობა ესაა, სხვათა თუ – იქნებ არანაკლებ – საკუთარი თავის მოტყუების მცდელობა, ყოფითობაში, პრაგმატიზმში ჩაძირულ სულთა ხელოვნური საბურველი, ზიზილ-პიპილებში გამოხვეული.

მაგრამ ამ სამგლოვიარო პროცესიაში არსად მოჩანს უშუალო მკვლელი.

ნუთუ მოერიდნენ ასეთი „ჭირისუფლის“ წარმოსახვას?

ეს ოთხნი მაინც რას შეიძლება მორიდებოდნენ – წინასწარმეტყველისათვის ყოველთვის უცხო ყოფილა რაიმესათვის თვალის არიდება თუ შელამაზება.

მაშ რა ხდება?

რა და:

ის ხანა, ის ეპოქა არ იცნობს ასეთ ხასიათს, არამცთუ არსად დააბიჯებს კუბოსთან თუ სამარესთან ცრემლიანი ნიღბით ასვეტილი მკვლელი, მათი გონება ვერც წვდება მის მოვლინებას. ის მხოლოდ რევოლუციებმა შეიძლება შობოს, ბოლშევიზმის გაბატონებამ ამოავლოს თავის ემბაზში და მიმოფანტოს ხალხთა საპყრობილეში. რეალობად აქციოს ის, რაც უკიდურეს მხატვრულ წარმოსახვებშიც არ გაელვებულყო.

მიხეილ ჯავახიშვილის თვალდათვალ ამოიზარდა ეს ტიპი, მის თვალწინ დალაგდა ჭირისუფალი მკვლელის სცენები, და მისი კალამი ამ ახალ ხასიათს ხელიდან არაფრისდიდებით არ გაუშვებდა, სატირული სტილისათვის სწორედაც შესაფერისს.

დითირამები და ალექმანი შუა ფრაზაზე წყდება და ქვითინი ახშობს გულიდან ამოხეთქილ ხმას.

წინა ეპიზოდის გამოისობით მკითხველისათვის ნათელია ნამდვილი მკვლელის ვინაობა, მაგრამ ჭიპი ჭიპუნტირადის საფლავთან შეკრებილი ადამიანების თვალში კვაჭი ინარჩუნებს მიცვალებულის ერთგული მეგობრის სახესა და იერს, იქ ჯერ ეჭვი არავის ეპარება, რომ შესაძლო მკვლელი იქნებ სულაც ეს ათას ნემსის ყუნწსა თუ ხლართში გამოიმძვრალი ჭირისუფალიც იყოს.

საზოგადოება ჯერ ისევ გულუბრყვილოა და მალემრწმენი, რევოლუციების ნამდვილმა შედეგებმა ჯერ ისე ვერ გამოაფხიზლეს და ვერ დაანახვეს რეალობა, რასაც თანდათან კიდევ და კიდევ მწარედ იწვნივენ ეიფორიის გაფანტვის კვალობაზე და მგლოვიარე მკვლელის სახეზეც აღარ იქნება იდუმალებით შემოსილი.

ის, რაც 10-იანი და 20-იანი წლების შესაყარზე გამაოგნებელ და თავზარდამცემ სიახლედ გამოჩნდა საზოგადოებრივ ცხოვრებაში, საბჭოურ რეალობაში თანდათან ნორმად დამკვიდრდება და აღარავის გაუკვირდება, თუკი მიცვალებულს უპირველეს მგლოვიარედ სწორედ მკვლელი დაადგება თავს.

მურმან ლებანიძის ერთ უსათაურო – სხვათა შორის, 1977 წელს შექმნილ – ლექსში ეს რეალობა ერთხელ კიდევ შემოტანილი საზოგადოებრივ ცნობიერებაში:

**მინახავს ასე: ნამდვილი მკვლელი  
ძვირფას კუბოსთან  
იდგა თვალსველი,  
არ ჰყავდა პირში სიმართლის მოქმელი  
და ჩურჩულებდნენ:  
„ვინ ჰყავს დამშლელი!“**

ეს მკვლელი ისევ ისაა, კვაჭის ნაირსახეობა, რომელსაც თავი ვეღარ დაუმალავს, მაგრამ... არც ანალვლებს, რადგანაც მისი მხილება შეუძლებელი გამხდარა. საზოგადოება თავის თავს აღარ ეკუთვნის, ის მძევალია, და მძევალი კი ვერავის ამხელს, ვერავის მიახლის პირში სიმართლეს, რაკილა ეს საქციელი თავის მოკვეთად დაუფდება. მხოლოდ უღონოდ შეუძლია ჩაიკლას ბრაზი გულშივე, დიდი-დიდი ჩურჩული გაბედოს.

მკვლელისთვის კი კუბოსთან თვალსველი დგომა აუცილებლობაა, ისევე, როგორც სამგლოვიარო სიტყვის წარმოთქმა თუ ნეკროლოგზე ფაქსიმილეს აღბეჭდვა, ის ფორმალობა, რომლის აღსრულებაც საბჭოთა მორალისა და ყოფის რომელიღაც წესით ევალება და ისიც მიზანდასახულად აღსრულებს ამ მოვალეობას.

იჩურჩულებენ? ჩუმად დაძრახავენ?

რამდენიც უნდათ იჩურჩულონ, გუნებაში დაგმონ, ვიდრე მოენწყინებოდეთ.

ნიმანდობლივია:

როდესაც ილია ჭავჭავაძეს მოკლავენ, სოციალ-დემოკრატიული პარტია ერთ კურცხალსაც არ გადმოავდებს, მაშინვე გაემიჯნება ჭირისუფალთ და მოსაჩვენებლადაც არ შეადგენს სამგლოვიარო დეპეშას და პროცესიასაც არ გაჰყვება.

როდესაც ტყეს ჭრიან, ნაფოტები ცვივაო, – ასე შეაფასებენ ამ საბედისწერო აქტს ერის ცხოვრებაში.

საბჭოთა სინამდვილეში კი მკვლელთა უშუალო შთამომავალნი დაუდგებიან მის ხსოვნას უპირველეს ჭირისუფლებად და ლამის ნააჭარბებენ კიდევ მისი ანდერძის ერთგულთ, მისი იდეალისა და ბაირალის გულწრფელად მალიარებელ თაობებს.

ჯერ ესეც ფარსია, მკვლელთა პირიდან რომ იღვრება ილიაზე: სამშობლოსთვის ბრძოლაო, ჯვარცმულიო, წმინდაო, უკვდავიო, ოქროს ასოებითო, სპეტაკიო, გმირულიო, საშვილიშვილო მაგალითიო, – ჯერ ესეც ტრაგიკომიკურობის უკიდურესი ნაირსახეობაა, და რა შეიძლება დაერქვას ამ ეპითეტთა გადატანას უგვანთა, ზნედაცემულთა და ავაზაკთა ცხოვრებასა და „ღვანლზე“?..

ასე იქმნება ახალი ცნება, თავისებური ნეოლოგიზმი: მკვლელი-ჭირისუფალი. სწორედ ცნებად და სწორედ ნეოლოგიზმად.

ის, რაც თავიდან ანომალიად გამოჩნდა, ნორმად დამკვიდრებულა, უჩვეულო გარჩეულებრივებულა და საზოგადოებას, ასეთ სინამდვილეს შეგუებულს, ისღა დარჩენია, თავისი ბედისწერაც – კერძო ადამიანის ბედივით – ამ ფარსის, გროტესკის, ტრაგიკომედიის განზომილებაში განვჭრიტოს:

**არა იმისთვის ვწუხ წინწინ სიკვდილს,  
რომ მოყვასს, თვისტომს,  
ხალხს დაატყდება,  
არამედ მისთვის – პირველი მტერი  
რომ ჭირისუფლად  
თავს დაგადგება!**

აქეთ მიექანებოდა ყველაფერი უღმობელი თანმიმდევრობით – ქვეყნის დალუპვას დასდგომოდა ჭირისუფლად თავისი უპირველესი მტერი, რუსეთს ეფრქვია ცრემლები და გამოეტირებინა მისი განაპირა პროვინციის მოსპობა-განადგურება.

ალიკვეთებოდა ეს სწრაფვა, თუმც სურვილი სურვილად შერჩებოდა საბჭოთა იმპერიის მემკვიდრეს.

დამოკლეს მახვილი კვლავაც ეკიდებოდა ჩვენს თავზე – მოსალოდნელ სისხლსა (ჩვენი) და ცრემლში (მტრისა) აზელილი, მკვლელის შესაძლო ჭირისუფლობით დალდასმული.

პოეტურ ხილვებში ძალდაუტანებლად იჭრება განგაშის ზარი, აპოკალიფსის სურათის ანარეკლი, მოსალოდნელი წარღვნის სუნთქვა – და ამ ლექსის სათქმელიც ამიტომ განზოგადდება ადამიანის ხვედრიდან ქვეყნის ბედისწერად.

... გზას მოიკვლევდა ახალი ხასიათი, ღონეს იკრებდა, სივრცეს იპყრობდა, ჩამოსდიოდა კურცხალზე კურცხალი და მისტიროდა მეგობარს, თანამებრძოლს, ქვეყნის გადარჩენისა და ამაღლებისათვის დამაშვრალს, ემუქრებოდა ვერაგ მტერს და გულს იმით ინუგეშებდა, რომ გარდაცვლილის ჯვარცმული ცხოვრება და წმინდა სსოვნა უკვდავი იქნებოდა ხალხის გულში და მადლიერი სამშობლო ოქროს ასოებით ჩანერდა მის სპეტაკ სახელს მათიანეში და გმირულ სიკვდილს საშვილიშვილო მაგალითად გადააქცევდა.

მეორე ჯვარცმული, სპეტაკი სახელის მქონე და ისტორიულ მათიანეში ოქროს ასოებით შესატანი – იგულისხმება –

თვითონაა, თანამებრძოლის სახელს ძალაუნებურად რომ შეავინროვებს და დაამცრობს, სქოლიოში უფრო ჩააჩოჩებს და ესეც საკმარისი იყოს მისთვის, ტაქტიკური მოსაზრებით ნამიერად განდიდებულისათვის, თუ სულ არ ამოიშლება.

სამგლოვიარო სიტყვა ბესო შიქიას სიმარჯვემ ლეგენდითაც უნდა განამტკიცოს და ასე შემოიბლანდოს ახალი ისტორიის კონტურები.

არადა:

ერთი ჭიპი ჭიპუნტირაძეა და მეორე კვაჭი კვაჭანტირაძე, როგორც უნდა გაიჭიმონ და გამოიჭიმონ, ჭიპიდ და კვაჭიდ დარჩებიან, სულ ესაა, სადამდეც განვდება მათი მოჩვენებითობა, წაგექ-უკუჯექობა და ფართი-ფურთი და ცრუმატიანის მონშობა-დადასტურებანი.

ჰოი, უმადურო, ორგულო, მოლაღატი, შერცხვეს კვაჭი თუ დედაშენი შენს საფლავზე არ ვატიროო, – მრისხანებს კვაჭანტირაძე, კიდეც მალევე მიწვედება რკინის მკლავებით და გაგუდულსა და გაჭიმულს დაადებს იატაკზე, ვიდრე მუქარით შემართავდეს მუშტს მის სამარესთან: ვერაგმა მტერმა მუხთლად მოსპო შენი ლამაზი სიცოცხლეო.

... ჩვენს წინასწარმეტყველთ კი ეს ხასიათი, ეს ტიპი ყველაზე გროტესკულ სურათებშიც არ მოსჩვენებიათ, ჰამლეტის გაოტებისა არ იყოს: ბევრი რამ ხდება, ჰორაციო, ზეცად და ქვეყნად, რაც ფილოსოფოსთ სიზმრად არც კი მოლანდეზიათო.

დეტაქტივი

ჯეიმზ ტარბერი

ტრაგედია „მაკბეტის“ საიდუმლოება



– ასეთი სისულელე ნეტავი რამ ჩამადენინა, – მითხრა ამერიკელმა ქალბატონმა. ჩვენ ინგლისის ტბებზე, ერთსა და იმავე ოტელში, ვისვენებდით. – ეს წიგნი დახლზე იდო სხვა „პინგვინთა“ გროვაში – ხომ იცით, პანია წიგნები რომაა, რბილი ყდით, ექვსპენსიანი – ჰოდა ვიფიქრე, ესეც დეტექტივია-მეთქი. დანარჩენები სულ დეტექტივები იყო. ისინი წაკითხული მქონდა ყველა და ზედ არც კი დამიხედავს, ამას ვტაცე ხელი. ხომ გასაგებია, როგორ გავცოფდებოდი, როცა ვნახე, რომ შექსპირი წამომიღია!

ცოტა არ იყოს, გაურკვეველად გამოვხატე ჩემი თანაგრძნობა.

– არ მესმის, რა ჭირად უშვებენ შექსპირს ზუსტად იმავე ყდით, როგორც დეტექტივებს, – განაგრძობდა ჩემი თანამოსაუბრე.

– მე მგონი, დეტექტივებს სხვა ფერის ყდა აქვთ, – ვთქვი მე.

– აი, სწორედ მაგას კი აღარ მივაქციე ყურადღება, – მომახალა ქალბატონმა. – ერთი სიტყვით, მყუდროდ მოვ-

კალათდი სანოლში, წინასწარ ვტკებობოდი, ამაღელვებელ ამბავს წავიკითხავ, მკვლელობებითა და სისხლისღვრით თავს შევიქცევ-მეთქი, – და უცებ რას ხედავს ჩემი თვალები, თურმე „მაკბეტი“ მიყიდა, საკითხავი წიგნი პირველკურსელ სტუდენტათათვის!

– „აივენჰოს“ ანდა „ლორნა დუნის“ მსგავსი, არა? – შევნიშნე.

– აი, სწორედ ეგრეა, – თქვა ამერიკელმა ქალბატონმა. – მე კი პირდაპირ ვკვდებოდი, ისე მწყუროდა ძვირფასი აგატა კრისტი ანდა რამე ამგვარი წამეკითხა. ერკიულ პუარო – ჩემი საყვარელი მაძებარია.

– ეგ ის არის, ბოცვერს რომ წააგავს? – ვკითხე.

– არა, რას ბრძანებთ! – წამოიძახა დეტექტიური რომანების მოყვარულმა. – პუარო ბელგიელია. თქვენ იგი აგერიათ მისტერ პინკერტონში, რომელიც ეხმარება ინსპექტორ ბულს, – ისიც მაგარი ვინმეა!

მეორე ჭიქა ჩაის რომ გეახლებოდით, ჩემი თანამოსაუბრე შეუდგა იმ დეტექტიური რომანის თხრობას, რომელმაც სახტად დატოვა: როგორც ირკვევა, თავიდანვე ეს ყოფილა ძველისძველი ოჯახის ექიმი. სიტყვა გავანყვებინე:

– მითხარით გეთაყვა, ბოლოს და ბოლოს წაკითხეთ თუ არა „მაკბეტი“?

– მეტი რა ჩარა იყო? – მიპასუხა მან. – დაბჭდილი ტექსტის ერთ ნამცეცსაც კი ვერ იპოვიდი ოთახში – ვერაფერს, გული რომ გადაგეყოლებინა.

– მოგეწონათ? – ვკითხე.  
 – არა, არ მომეწონა, – გაგულისებით მომიჭრა. – დავინ-  
 ცოთ იქიდან, რომ ერთი წამითაც ვერ დავიჯერე, თითქოს-  
 და მაკბეტი იყოს მკვლელი.  
 გაოგნებული შევყურებდი.  
 – მაკბეტი არ არის მკვლელი? – ჩავეკითხე.  
 – ერთი წამითაც ვერ დავიჯერებ, რომ მან გაასალა მე-  
 ფე, – გაიმეორა ჩემმა თანამოსაუბრემ. – დარწმუნებული  
 ბრძანდებოდეთ, რომ მისი ცოლიც არაფერ შუაშია. რა  
 თქმა უნდა, ყველაზე მეტად ისინი იწვევენ ეჭვს, მაგრამ  
 სწორედ ისინი, ვინც ყველაზე მე-  
 ტად იწვევს ეჭვს, არასოდეს არ  
 აღმოჩნდებიან ხოლმე მკვლელე-  
 ბი – ასეა თუ ისე, დეტექტივებში  
 ამგვარი რამ არაა მიღებული.

– ვშიშობ, – დავინწყე, – რომ  
 მე...

– ნუთუ თქვენთვის გაუგება-  
 რია? – წამოიძახა ამერიკელმა  
 ქალბატონმა. – მთელი სიამოვნე-  
 ბა პირწმინდად წახდებოდა, თუ-  
 კი თავიდანვე მიხვდებოდით  
 მკვლელის ვინაობას. შექსპირი  
 ეგეთი არიფი როდია. ჩემი თვა-  
 ლით წამიკითხავს, რომ „ჰამლე-  
 ტის“ საიდუმლოება დღემდე ვე-  
 რავის ამოუცნია. ასე რომ, შექ-  
 სპირი ნაღდად შეეცდებოდა,  
 „მაკბეტშიც“ ისე დაეტრილები-  
 ნა საქმე, პირდაპირ თავბრუ დაგ-  
 ხევოდა. იქ მხოლოდ ერთი შე-  
 ხედვითაა ყველაფერი ნათელი.

ჩიბუხს ვტენიდი და ვუფიქ-  
 რდებოდი ამერიკელი ქალბატო-  
 ნის ნათქვამს.

– მაშ, თქვენი აზრით, ვინ  
 არის მკვლელი? – ჯიქურ დავუს-  
 ვი კითხვა.

– მაკდუფი, – ისე მიპასუხა,  
 თვალც არ დაუხამხამებია.

– ღმერთო დიდებულო! – ჩა-  
 ვილულულე.

– ცხადზე ცხადია, რომ მაკდუფი არის მკვლელი, – თქვა  
 მკვლელობათა სპეციალისტმა ქალბატონმა. – ერკიულ პუ-  
 არო, ვითომც არაფერიო, ისე გამოტეხავდა.

– თქვენ როგორღა მიხვდით? – ვკითხე.

– სიმართლე რომ გითხრათ, მაშინვე ვერ ვიაზრე, – მი-  
 პასუხა მან. – თავდაპირველად ეჭვი მივიტანე ბანქოზე.  
 ჰოდა, რასაკვირველია, ის მყისვე მოკლეს. ეს მეორე  
 მკვლელობა ბრწყინვალედ არის მოგონილი. ის, ვისაც პირ-  
 ველ მკვლელობას აპყიდებთ, უსათუოდ ხდება მსხვერპლი  
 მეორე მკვლელისა.

– ნუთუ ეგრეა? – გაოცებით ვთქვი.

– დიხაც, ეგრეა! – თქვა ჩემმა თანამოსაუბრემ. – ავტორს  
 გამუდმებით დაძაბული უნდა ჰყავდეთ და სიუპრიზებით გი-  
 მასპინძლდებოდეთ. ჰოდა, მეორე მკვლელობის შემდეგ ერ-  
 თხანს ველარაფერს ვხვდებოდი, მკვლელი ვინ არის-მეთქი.

– ეგებ მალკოლმი და დონალბენი არიან, მეფე დუნკა-  
 ნის ვაჟიშვილინ? – ვთქვი მე. – ხომ გახსოვთ, როგორც კი

პირველი მკვლელობა მოხდა, მაშინვე გაიქცნენ. უთუოდ  
 დაეჭვდები.

– ძალიანაც საეჭვოა! – აიტაცა ჩემი ნათქვამი ამერი-  
 კელმა ქალბატონმა. – ნამეტანი საეჭვოა! მხოლოდ ისინი  
 გარბიან ხოლმე, ვინც არაფერშია დამნაშავე. დარწმუნებუ-  
 ლი ბრძანდებოდეთ.

– კონიაკი რომ დავლიო, ურიგო არ იქნება, – ვთქვი და  
 ოფიცინტი მოვიხმე. ჩემი თანამოსაუბრე გადმოიხარა  
 ჩემკენ და მაგიდას დაეყრდნო. თვალები ციებ-ციხელეზა-  
 შეყრილივით უგიზგიზებდა. მაგიდაზე მდგარი ფინჯანიც  
 კი აკაპუნდა.

– პირველმა ვინ იპოვა დუნკა-  
 ნის გვამი? – ჯიქურ მკითხა. ვა-  
 ლიარე, სამწუხაროდ, აღარ მახ-  
 სოვს-მეთქი.

– მაკდუფი პოულობს, – გა-  
 ნაგრძო უკვე ანწყე დროში. – მე-  
 რე კისრისტეხით ჩარბის კიბეზე  
 და ყვირის: „მკვლელმა, სიკვდი-  
 ლის შემლახველმა, დღეს შეუნ-  
 გრია უფლის ცხებულსა ტაძარს  
 კარი და წარიტაცა მისი სიცოც-  
 ხლე სულის მდგმელი!“ – და სხვა  
 მისთანანი. – ამ დიდებულმა  
 ქალბატონმა ხელი მომიტათუნა  
 მუხლზე. – ამ ყველაფრის რეპე-  
 ტიცია წინასწარ ჩაატარა. თქვენ  
 მოგივიდოდათ თავში სახელდა-  
 ხელოდ ამდენი რამ მოგეჩმახათ?  
 წარმოიდგინეთ ერთი, თითქოს  
 თავად თქვენ იპოვეთ გვამი!

– აბა, მე... – დავინწყე.

– მართალსა ბრძანებთ! – წა-  
 მართვა სიტყვა. – თქვენ არაფერს  
 ამის მსგავსს არ დაიყვირებდით –  
 რასაკვირველია, თუკი ლაზათია-  
 ნად არ წაივარჯიშებდით. „ღმერ-  
 თო ჩემო, აქ გვამია!“ – აი, რას იყ-  
 ვირებდა უდანაშაულო კაცი.

და კმაყოფილი გამომეტყვე-  
 ლებით სკამზე უკან გადაიხარა.  
 ცოტა ხნით ჩავფიქრდი.

– მესამე მკვლელზე რაღას იტყვი? – ვკითხე. – იცით,  
 ამ მესამე მკვლელის თაობაზე შექსპიროლოგები, უკვე სა-  
 მი საუკუნეა, თავს იმტვრევენ.

– ეს ყველაფერი იმის ბრალია, რომ მხედველობიდან  
 გამორჩათ მაკდუფი, – თქვა ამერიკელმა ქალბატონმა. – მე  
 კი ეჭვიც არ მეპარება, რომ ეს არის მაკდუფი. ასე არასო-  
 დეს ხდება, რომ მორიგი მსხვერპლი ორმა უბრალო კაცის-  
 მკვლელმა მოკლას – მკვლელი, უსათუოდ, მთავარ გმირ-  
 თავგან ერთ-ერთი უნდა იყოს.

– ნადიმის სცენას როგორღა განმარტავთ? – ვკითხე  
 მცირეოდენი დუმილის შემდეგ. – როგორ ახსნით მაკბეტის  
 ქცევას, როცა ბანქოს აჩრდილი გამოჩნდება და მის ად-  
 გილზე ჯდება?

ქალბატონი დაიხარა და ხელი ისევ მომიტათუნა მუხ-  
 ლზე.

– არავითარი აჩრდილი არ ყოფილა! – თქვა მან. – ასე-  
 თი ზორბა, ჯანიანი კაცია და განა შეიძლება მას რაღაც აჩ-



ილუსტრაცია შექსპირის „მაკბეტისათვის“ მხატვარი სერგო ქობულაძე

რდილები მოელანდოს – მით უმეტეს გაჩახჩახებულ დარბაზში, ყველას თვალწინ! მაკბეტი ვილაცას ესარჩლებოდა!

– ვილაცას ესარჩლებოდა? – ვკითხე.

– ცხადია, მისის მაკბეტს, – მიპასუხა. – მას ეგონა, რომ მკვლელი მისი ცოლის ნახელავი იყო და ენადა, საკუთარ თავზე გადაეტანა ეჭვი. ქმრები მუდამ ასე იქცევიან, როცა ცოლი დანაშაულში ეჭვმიტანილია.

– მაშინ იმ სცენას როგორღა ახსნით, სანთლის სცენას რომ ეძახიან?

– იგივე ამბავია, ოღონდ უკულმა, – თქვა ჩემმა თანამოსაუბრემ. – ამჯერად ცოლი ესარჩლება ქმარს. მას სულაც არ სძინებია. გახსოვთ, იქ წერია: „შემოდის ლედი მაკბეტი. ხელში სანთელი უჭირავს“.

– დიახ, მახსოვს, – ვთქვი მე.

– და თუკი ადამიანი ძილში დაძრწის, მას არასოდეს არ დააქვს სანთელი, – ამიხსნა მან. – მთვარეულნი ბნელშიც მშვენივრად ხედავენ. ოდესმე გსმენიათ, რომ მთვარეულს თავისთვის გზა გაენათებინოს?

– არა, – ვთქვი მე. – ჩემს სიცოცხლეში ერთხელაც არ მსმენია.

– აი, ხომ ხედავთ! ცხადია, რომ მას არც უფიქრია ძილი. თავს იკატუნებდა, დამნაშავე ვარო, ეჭვი რომ აეცდინა მაკბეტისგან.

– მოდი, კიდევ დავლევ კონიაკს, – ვთქვი და ოფიციალტი მოვიხმე. როგორც კი მომართვა სასმელი, მყისვე გადავკარი და ფეხზე წამოვდექი.

– მე მგონი, რალაცას მიაგენით, – ვთქვი მე. – მაგ წიგნს ხომ არ მათხოვებდით? დღეს საღამოს გადავათვალიერებ. ისეთი გრძნობა გამიჩნდა, თითქოსდა ეს ტრაგედია სერიოზულად არასოდეს წამიკითხავს.

– სიამოვნებით გათხოვებთ, – თქვა მან. – თავად დაინახავთ, რომ მე საკსებით მართალი ვარ.

პიესა მთელი გულსყურით წავიკითხე და მეორე დღით, ნასაუზმევს, ამერიკელი ქალბატონი მოვძებნე. მდებლობაზე გოლფს თამაშობდა. უჩუმრად მივეპარე უკნიდან და ხელი მოვუჭირე იდაყვზე. მან შეჰკვივლა.

– შეიძლება, რომ პირისპირ დაგელაპარაკოთ? – მოგუდული ხმით ვკითხე.

მივხვდი, რაც გნებავთო, თავი დამიქნია და გამომყვა ქალაკის მახლობელ მყუდრო კუთხეში.

– თქვენ რალაც გამოიცანით? – ძლივს გასაგები ჩურჩულით მკითხა.

– გამოვიცანი! – საზეიმო ხმით წარმოვთქვი. – მე უკვე ვიცი სახელი მკვლელისა.

– რაო, თქვენ იმის თქმა გნებავთ, რომ მაკდლუფი არაა მკვლელი? – მკითხა მან.

– მაკდლუფი აქ არაფერ შუაშია, ისევე, როგორც თავად მაკბეტი და მისი ცოლიც.

წიგნი წამოღებული მქონდა, გადავფურცლე და ვუჩვენე მოქმედება მეორე, სურათი მეორე.

– შეხედეთ! – ვთქვი მე. – ხედავთ, აქ ლედი მაკბეტი ამბობს:

**ეს რა ხმა ისმის? ხანჯლები იქ აკი დავუნყე, უნდა ეპოვნა მას უთუოდ. ძილის დროს იგი მამაჩემს რომ არ ჰგვანებოდა, იმ საქმეს მე თვით შევასრულებდი.**

ახლა გესმით?

– არა, – დაბნეულად თქვა ამერიკელმა ქალბატონმა. – არაფერი მესმის.

– ეს ხომ ცხადზე ცხადია! – წამოვიძახე. – საოცარია, რომ ამდენი ხანია ვერავინ მიმხვდარა, დუნკანი რატომ აგონებს ლედი მაკბეტს – მამამისს, იმიტომ აგონებს, რომ სწორედ ის იყო მისი მშობელი მამა!

– ღმერთო ჩემო!.. – ჩაიშრიალა ჩემმა თანამოსაუბრემ.

– ლედი მაკბეტის მამიკომ მოკლა მეფე, – განვაგრძობდი, – მერე მოესმა ვილაცის ნაბიჯების ხმა, გვამი სწრაფად შეჩურთა სანოლქვეშ, თვითონ კი ქვეშაგებში შეძვრა.

– არა, არა! – შემომეპასუხა თანამოსაუბრე, – შეუძლებელია, რომ მკვლელი მხოლოდ და მხოლოდ ერთხელ გამოჩნდეს სცენაზე! ასე არაა მიღებული.

– ვიცი, – ვთქვი მე და ვუჩვენე მოქმედება მეორე, სურათი მეოთხე. – აი! აქ ნათქვამია: „შემოდის როსი და ბერიკაცი“. სხვათა შორის, ამ ბერიკაცის ვინაობა დღემდე არაა დადგენილი, და მე მტკიცედ მჯერა, რომ ეს იყო ბებერი მისტერ მაკბეტი: ის მარტო იმას ოცნებობდა, ჩემი ასული გადედოფლდესო. ესეც თქვენ დანაშაულის მოტივი.

– ვთქვით, ეგრეა! – შემომღალადა ამერიკელმა ქალბატონმა. – მაგრამ ის ხომ სულაც ეპიზოდური სახეა!

– არაფერი შეგეშალოთ! – საზეიმო ხმით მივუგე. – თქვენ ვერ ხვდებით, რომ ის გადაცმული იყო ერთ-ერთ საზარელ დად?

– თქვენ იმის თქმა გნებავთ, რომ ერთ-ერთი იყო სამკუდიანთაგან?

– სწორედ რომ ეგრეა! აბა, ყური დაუგდეთ, რას ამბობს ბერიკაცი:

**... სამშაბათს კიდევ, როცა ამაყად შავარდენი ცაში ცურავდა, თავიჭამია ბუ უეცრად დაეცა თავსა და მოჰკლა იგი.**

ეს სიტყვები არაფერს გაგონებთ?

– სამი კუდიანის ლაპარაკსა ჰგავს, – ჭოჭმანით თქვა ჩემმა თანამოსაუბრემ.

– სწორედ ეგრეა! – მკაფიოდ წარმოვთქვი.

– კეთილი. შესაძლოა მართალიც ბრძანდებით, ოღონდ...

– ეჭვიც არ მეპარება! – მოვუჭერი. – იცით თქვენ, ახლა რას ვაპირებ?

– არა, – თქვა მან. – მითხარით, რას აპირებთ?

– ვიყიდი „ჰამლეტს“ და ამ საიდუმლოებასაც ამოვიცნობ!

ჩემს თანამოსაუბრეს ისევე აუელვარდა თვალეტი.

– მაშასადამე, თქვენ არა გჯერათ, რომ ჰამლეტი მკვლელია?

– ასი პროცენტით ვარ დარწმუნებული, რომ იგი არაფერ შუაშია, – ვთქვი მე.

– მამ ვინ... ვისზე მიგაქვთ ეჭვი? – მკითხა ამერიკელმა ქალბატონმა.

იდუმალეებით აღსავსე მზერა ვესროლე.

– ყველაზე და თვითუღზე! – და ისევე უჩუმრად, როგორც გამოვჩნდი, ხეებს შორის მივიმალე.

მთარბმენლისაბან

ჯეიმზ ტარბერი (1894-1961) გახლავთ ამერიკელი ნოველისტი, ესეისტი, დრამატურგი და... კარიკატურისტი.

1913 წელს დაიწყო სწავლა ოჰაიოს შტატის უნივერსიტეტში. პირველი მსოფლიო ომის დროს ჯარში არ გაუწვევიათ სუსტი მხედველობის გამო, მაგრამ მოხალისედ წავიდა და შტაბში მსახურობდა მშიფრავად.

შემდგომში ყურნალისტიკას და მწერლობას მოჰკიდა ხელი. ამერიკულ ლიტერატურულ ენციკლოპედიაში ვკითხულობთ, რომ ტარბერი, ალბათ, ერთადერთია XX საუკუნის ამერიკელ იუმორისტთაგან, ვისი შემოქმედებაც იმსახურებს შეტანას ეროვნული ლიტერატურის საუნჯეში.

ჯეიმზ ტარბერი ავტორია არაერთი იუმორისტული კრებული: „აუცილებელია თუ არა სექსი?“, „ჭოტი სხვენზე“, „ჩემი ცხოვრება და მძიმე დრო-ყამი“, „მოასვენე შენი გონება“, „მამაკაცები, დედაკაცები და ძაღლები“ და სხვ.

გაზეთ „ჩვენი მწერლობის“ ფურცლებზე (2003, №31) გამოქვეყნდა ტარბერის პატარა ნოველა უცნაური სათაურით „გენერალი გრანტი მთვრალი რომ ყოფილიყო აპომატოქსში“ (აპომატოქსი – ასე ჰქვია დაბას ვირჯინიის შტატში, სადაც 1865 წლის 9 აპრილს მოხდა სამხრეთელთა არმიის კაპიტულაცია და, ამრიგად, დასრულდა სამოქალაქო ომი (1861-65).

როგორც ცნობილია, ჩრდილოელთა არმიის მთავარსარდალი, გენერალი გრანტი უზომოდ ეტანებოდა ალკოჰოლს და ამ ფაქტის საფუძველზე ტარბერი თხზავს ფანტასტიკურ ნოველას, სადაც აღწერილია ამბავი, რომელიც სინამდვილეში არ მომხდარა და არც შეიძლება მომხდარიყო.

მწერალი მოგვითხრობს, თუ როგორ იღვიძებს ნაბახუსევი გენერალი 1865 წლის 9 აპრილს, იღვიძებს და დაუყოვნებლივ

აგრძელებს სმას – მიუხედავად ადიუტანტის გაფრთხილებისა, გენერალი ლი (სამხრეთელთა არმიის მთავარსარდალი) წუთი-წუთზე აქ იქნება, კაპიტულაციაზე ხელი რომ მოანეროსო. მაგრამ გენერალი გრანტი აინუნშიაც არ აგდებს ადიუტანტის ჩიჩინს და კარგა ლაზათიანად გამოთვრება. და როდესაც ბრწყინვალე მუნდირში გამოწყობილი გენერალი ლი, მრავალრიცხოვანი ამაღლის თანხლებით, ეახლება გამარჯვებულ გენერალ გრანტს, თვალწინ წარმოუდგება წარმოუდგენელი სურათი: მასპინძელს ცალი ფეხსაცმელი არ აცვია და კიტელის ღილები შებნეული არა აქვს. ადიუტანტი ყურში ჩასჩურჩულებს, კაპიტულაცია უნდა გაფორმდესო. ჩრდილოელთა არმიის მთავარსარდალი მწუხარე სახით შეიხსნის ხმალს და გაუწვდის გაოგნებულ გენერალ ლის. ალკოჰოლით გაბრუნებულს ჰგონია, რომ ოთხწლიანი სამოქალაქო ომი სამხრეთელთა გამარჯვებით დამთავრდა და გენერალი ლი კი არ ნებდება მას, არამედ – პირიქით!

მსოფლიო ლიტერატურაში, ალბათ, ძნელად მოიძებნება ნაწარმოები, რომელიც ესოდენ უცერემონიოდ თავდაყირა აყენებდეს ისტორიულ სინამდვილეს... და სწორედ ამით არის მომხიბლავი.

დეტექტიური ნოველა, რომელსაც ამჯერად ვზექტავთ, გვიხატავს მასკულტურის ბანგით გონებაარეულ ამერიკელ ქალბატონს, შესაშური დაჟინებით რომ ატარებს შექსპირის შემოქმედების რევიზიას და, მისდამი ირონიულად განწყობილ ავტორთან ერთად, თავისი წვლილი შეაქვს დიდი ინგლისელი დრამატურგის ნაწარმოებთა თვითნებური ინტერპრეტაციის საქმეში.

უბრალო მგზავრი – ბესო ხვედელიძე და ჩვენც, ყველანი, მოგავლის მოლოდინში

რიგში რა იქნება შემდეგი, რას დაგვიდებს განსასჯელად..

ალგვაფრთოვანებს თუ იმედს გაგვიცრუებს მისი ორი მომდევნო ნიგნი, ამას ბესო ხვედელიძის მკითხველი რამდენიმე დღეში გაიგებს, რადგან გამოსაცემად მზადაა რომანი „უზარმაზარი ბაზარი“ და ე. წ. „გრძელ მოთხრობათა“ კრებული „ესტაფეტა“.



– შენი ნიგნი გამოდის. ვინ გამოსცემს და რა შევა ამ ნიგნში?

– საუბარია ჩემს რიგით მერვე ნიგნზე, რომანზე, რომელსაც უფრო მიკრო-რომანს დავარქმევდი, ვინაიდან ვერც „სამი მუშკეტერისა“ და თუნდაც „ოსტატი და მარგარიტას“ სისქის აშკარად ვერაა. მომცრო ტანის, თანამედროვე, დატოტვილი, მძაფრსიუფეტიანი რომანია. მოგესხენება, აჩქარდა დრო, დაინახა სათქმელი და შესაბამისად დავიწროვდა ნიგნის ტანიც. ჰქვია რომანს „უზარმაზარი ბაზარი“ და თავის დროზე იბეჭდებოდა აქა-იქ, შარშან კი გაგრძელებებით თავიდან ბოლომდე გამოქვეყნდა „ლიტერატურულ პალიტრა-

ბესო ხვედელიძის პროზა „პროუნის მოძრაობის“ პრინციპით იქმნება. მისი მოთხრობები ქაოტურად იბადებიან და მოძრაობენ ლიტერატურულ სოციალურ, პერიოდულად ეხლებიან და უბრუნდებიან ავტორს, როგორც სანყისს, რომელიც ხანდახან ახალ მიმართულებას, ახალ სახელსა და იმიჯს სძენს მათ და ხელახლა ბადებს..

ამ გამოზომილნაბიჯებიანი, მშვიდი ბიორიტმების მქონე მწერლისგან, ისევე, როგორც ცხოვრებისგან, ყველაფერს უნდა ელოდე – ნიჭიერებასა და უნიჭობას, სიყვარულსა და გულგრილობას, სიბრძნესა და სისულელეს.. და რაც მთავარია, არ გინელდება მოლოდინი და ინტერესი – ამ ქაოტურ



ში“. ამასობაში „კვირის პალიტრამ“ გამომცემლობა დააარსა, გამოცემის გადამწყვეტილება რომ მიგველო, დაგვჭირდა რამდენიმე შეხვედრა-მოლაპარაკება. ახლა უკვე ყველაფერი მზად არის და ნაწარმოებიც სადაცაა წიგნად იქცევა. ჩემი კიდევ უფრო სხვა (მეცხრე) წიგნიც გამოდის, ოღონდ შემოდგომისკენ, რომელსაც სავარაუდოდ გამომცემლობა „სისტა“ გამოსცემს. ეს იქნება ე. წ. „გრძნულ“ მოთხრობათა კრებული. რაც ამ ბოლო ორ წელიწადში მოთხრობები დამიგროვდა, ავარჩიე იქიდან ასე ვთქვათ ყველაზე „მემარცხენეები“, ანუ საუკეთესოები. 7-8 მოთხრობაა. კრებულს სახელად ერთ-ერთი მოთხრობის სათაური ვარქვი – „ესტაფეტა“. მერე კი ესტაფეტას გადავცემ ლიტერატურულ არდადეგებს, ანუ ცოტას დავისვენებ და დანარჩენისთვისაც მოვიცლი. რომანები მაქვს დასამთავრებელი, სამოდე. მოთხრობებიც – ასე რომცამდე, თუ მეტი არა. კონვერტული პრინციპით ვმუშაობ. სულ არაა აუცილებელი, რამეზე მუშაობა დავინყო და მაინც დამაინც ბოლომდე გავიდე. ძირითადად რამდენიმე რაღაცას ერთდროულად ვწერ. აგურ-აგურ – ხან ერთს მივამატებ, ხან მეორეს, ხან მესამეს. ერთ საღამოს ერთის განწყობაზე ხარ, მეორე დღით – მეორის. შედეგსაც სხვანაირს იძლევა, ანუ შეიძლება რამდენიმე მოთხრობა უცებ, ერთდროულად დამთავრდეს. ალბათ ამიტომ ამბობენ ჩემზე – პროდუქტიულიაო. ასეთ რეჟიმში მუშაობა, მაგას შვრება ზუსტად...

**– სულ პირველ წიგნზე მინდოდა დაგლაპარაკებოდი (იგ. „გაფრინდინელა“. მოთხრობების კრებული. გამომცემლობა „მერანი“. 2000 წელი.)**

– მაგ წიგნს ცოტა არ იყო და ეჭვის თვალთ ვუყურებ. როგორც სხვები ამბობენ ეფექტური მოთხრობები კია, მაგრამ როგორ არის გაკეთებული – ეს კიდევ საკითხავია. თავიდან რომ დამანერინა, სულ სხვანაირად დავწერდი. ეს ბუნებრივიცაა. მაშინ 23-24 წლის ბიჭი ვიყავ, და ბევრ რამეს სხვანაირად ვუყურებდი. ამ გადმოსახედიდან კი სამყაროც, ადამიანებიც, მოკლედ ყველაფერი განსხვავებული ჩანს. ანუ, მაგ პირველ წიგნს, როგორც ჩემი გზის მკვახე ნაწილს, იგივე ყმანვილურ ეტაპს, ასე განვიხილავ.

**– ყოველ შემთხვევაში აქ ბევრი სიახლეა. ზოგან ფოლკნერის ქრონოლოგიაც კი იგრძნობა, და მისეული კარკასი, „მინდვრის ყვავილებში“ კი იმდენი პოეზიაა და თან ძალიან უცხო ქართული პროზისთვის. თუნდაც იმ პროზისთვის, რომელსაც ყოველ ნაბიჯზე ბეჭდავენ დღეს პერიოდულ ლიტერატურულ გამოცემებში, რა თქმა უნდა იმ კარგთან ერთად, რომელიც ძალიან იშვიათად, მაგრამ მაინც მოიძებნება.**

– კი, მაგრამ ამ „განურჩევლობაში“ უამრავი საინტერესო დებიუტი შედგა და მათ შორის ბევრი კარგი ავტორი სწორედ ასე აღმოაჩინეს. ისე კი, დებიუტანტი მწერლის პოზიციიდან თუ შევხედავთ, მართლაც მიძიეა, როცა მთელ შენს ენერჯის ჩაანთხვევ ნაწარმოებში, სადღაც მიიტან და არ დაგიბეჭდავენ. ამ მხრივ, მე პირადად, ამ რვა წლის წინათ ძალიან გამომართლა – მივიტანე „არილში“ მოთხრობა – ეგრეთე დაბეჭდეს. მერე „ციხისკარში“ – იქაც. მერე – „ალტერნატივაში“ – ასევე. მაშინ ჩემთვის, როგორც დამწყებისთვის, ეს სერიოზული სტიმულატორი იყო... ამ კეთილგანწყობამ ძალიან დადებითად დამმუხტა. მაშინვე უარი რომ ეთქვათ, არ ვიცი, რამდენი ხნით დავმუხრუჭდებოდი... ახალბედობა ძნელია მაინც...

**– როგორ, ესე იგი თვითშეფასების მომენტი არ უნდა მუშაობდეს ახალბედაში? მე შეიძლება სახლი დავანგრიო, ძალიან დიდ ენერჯიას დავხარჯავ ამაში, მაგრამ პრეტენ-**

**ზია უნდა გამიჩნდეს, რომ რაღაც ფასეული შევქმენი და ჯილდო მოვიტხოვო? შენ რომ იყო რედაქტორი, ასე რბილად მიუდგებოდი საკითხს?**

– რედაქტორობა კიდევ საშინლად დამლელი და უმადური საქმეა. მომინია ერთი-ორჯერ მაგ გაუგებრობაში ყოფნა და მივხვდი, რომ ჩემი საქმე ნამდვილად არაა. თუნდაც, რაც შენ აღნიშნე იმ მომენტების გამო. თან ხომ გართმევს უამრავ დროს – უნდა ნაიკითხო, შეარჩიო, ვილაცას უარი უთხრა, ვილაცას პირიქით, თან პარალელურად შენც წერ, ყოველდღე მუშაობ და ამ ყველაფერს შენი ნერვებიც მიაქვს. მერე კიდევ რა მომენტია იცი? ადამიანს ხან ასე გამოუვა ესა თუ ის ნაწარმოები, ხან უარესად. ძნელია განაჩენი გამოუტანო ერთბაშად და ხელი ჰკრა. ძალაუნებურად მუხრუჭდება... იქნებ და რა დანეროს მომავალში. საკუთარ ნაწარმოებს რომ ეკიდები მწერალი პასუხისმგებლობით და ასე ვთქვათ, გარეთ გადიხარ და გვერდიდან უყურებ – ეს უბრალოდ გამოცდილების და ასაკის ბრაღია. სადა აქვთ დამწყებებს მაგის თავი და ნებისყოფა...

**– ჰო, მაგრამ ნიჭიერება ხომ არის მთავარი კრიტერიუმი. ის კი ხანდახან ერთ წინადადებაში ჩანს.**

– ნიჭიერები, საბედნიეროდ, მრავლად არიან დღეს, ახალ თაობაში. რა, რა და ეს უფრო არ არის სანთლით საქებარი. მაგრამ ეს ერთია და მეორე კი ისაა, რომ ლიტერატურას უნდა იცნობდე და უნდა იცოდე, როგორ წერო იგი... ანუ, მარტივად და ზოგადად რომ ვთქვათ, წერისას ძირითადად მუშაობს ორი მომენტი – „რა“ და „როგორ“. „რა“ – ეს არის მწერლის სათქმელი და – „როგორ“ – რა ფორმით მოგვანოდოს ის. შეიძლება ძალიან ნაღდი და ორიგინალური სათქმელი გქონდეს, მაგრამ ელემენტარულად არ იცოდე, როგორ გადმოსცი, ანუ წერდე ცუდად. პროზა, მაგალითად, მე თუ მკითხავთ, ყოველდღიურ მუშაობას მოითხოვს. აგერ მე, ერთ მომენტამდე კი მივედი – სხვისი არ ვიცი და მე არ შემიძლია, არ ვწერო. ასე რომ ყოველდღიური სამუშაოც მაქვს, ანუ ყოველდღე ვწერ. შეიძლება ყოველდღე არ გქონდეს ადამიანს სათქმელი, ანუ იგივე „რა“ მომენტი, მაგრამ „როგორ“ მომენტს დიდად რგებს სისტემატურობა. „როგორ“ მომენტი ზუსტად რომ დახვეწადი რამეა და ამ მხრივ ყოველდღე შეიძლება გაიზარდო, წინ წახვიდე. ბევრი ჩვენი თანამედროვის ნაწარმოები ნამიკითხავს, რომელშიც ძალიან მაგარი იდეა იდო, მაგრამ ცუდად იყო დაწერილი, არადა შეიძლებოდა უკეთესად თქმა. ამას უნდა გრძნობდე და იმასაც, რომ ძირითადი სათქმელი უკვე თქვი.

**– მაგალითად დოჩანაშვილმა „სამოსელი პირველი“ რომ დაწერა, ვიფიქრეთ, რაღა უნდა დანეროსო ამაზე მეტი.**

– ჰო, პრინციპში თავისი დიდი საქმე გააკეთა, სულ სხვა შტრიხი შესძინა ქართულ ლიტერატურას. ჩემი საყვარელი მწერალია, სხვა რომ არაფერი. მერე თავისუფლად შეეძლო აღარც დაენერა, მაგრამ ასე ადვილად არ გამოდის ეგ ამბავი. უბრალოდ, ალბათ მაგ კაი ადამიანსაც არ შეუძლია, რომ არ წეროს. და შეიძლება ხვალ კიდევ რაღაც გენიალური დაგვიდლოს ეგეთმა მწერალმა, მაგრამ...

**– მაგრამ როცა მწვერვალი „დიადი ვერასოდეს“ დალაშქრულია, შეჩერება დიდი ცოდვა არ არის.**

– თუ მაგ პრინციპით მივუდგებით, მაშინ მარკესს „მარტოობის ასი წელიწადის“ მერე აღარაფერი არ უნდა დაენერა, მაგრამ შენ ვერაფერს გახდები თუ რამენაირად შეწირული ხარ ამ საქმეს. ანუ, მგონია, რომ ადამიანი, რომელსაც შეუძლია არ წეროს, ვერ არის მთლად მწერალი. როგორც ერთმა თქვა, თვეში ხუთასი დოლარი რომ გადამიხადონ – საერთოდ აღარაფერს დავწერო. ელაპარაკე ამის მერე... მე რაც შემეხე-

ბა – იმდენად ჩემი გახდა ეს საქმე, რომ ამის გარეშე ვერ ვცხოვრობ. ჟანგბადივითაა.

**– სხვა სულ არაფრით არ ხარ დაკავებული?**

– მთავარი რედაქტორი (ისევ!) კი გახლავართ ლიტერატურული ალმანახისა „ახალი თარგმანები“. ალმანახი დიდი ხანია არსებობს, მაგრამ ხან გამოდიოდა, ხან ვერა. ბოლო ხანებია ავანცეთ რალაც დონეზე მისი პერიოდულობა. ჰოდა, გამოდის კიდევ. ამ ალმანახის ფარგლებში მთარგმნელობითი კონკურსებიც გვაქვს ხოლმე. ბოლო ნომერში ბროდელსკის ლექსის თარგმნაზე გვეკონკურსი. ბათუ, რომ ჩემიც ვაპირებდი და გია ჯოხაძემ აჯობეს სხვებს და დაჯილდოვდნენ კიდევ. კიდევ ახალგაზრდა მთარგმნელთა კონკურსი ჩავატარეთ. იქ გოგონებმა იმარჯვეს. სტუდენტები თარგმანებზე მუშაობენ და სხვათა შორის ძალიან კარგად.

**– აკი მძიმეა რედაქტორის ტვირთიო...**

– რა არის, იცი? ეგ ალმანახი მაინც კვარტალში ერთხელ გამოდის. საკმაოდ დიდი შუალედი აქვს ლიტერატურულ ალმანახს-თქვისაც კი. ამიტომ დრო თავზესაყურელად მრჩება, რომ ჩემიც ვწერო – ხან ხელით, ხან კომპიუტერზე. სხვადასხვანაირად იწერება. ხელით როდესაც ვწერ, იმის გამო რომ საშინლად მეზარება გადაწერა, უფრო ვაკონტროლებ, რამე არ შემეშალოს და უფრო მეტი პასუხისმგებლობით ვეკიდები სათქმელის ქალღმერთზე ზუსტად გადატანის მომენტს. კომპიუტერი კი თავზეხელაღებული ვინმეა. უამრავი შესაძლებლობა აქვს და იმედით აღვავსებს. ნაწერის იქვე გადაკეთება-გადმოკეთების შანსს გაძლევს, იქვე, იმავე ფურცელზე. მოკლედ, ორივენაირად წერა ნაცადი მაქვს. ხელით სხვანაირია – ნამდვილი, და-ძაბულიც, მობილიზებულიც, დაკვირვებულიც. ჩემი ნაწერები ყველა მახსოვს, მაგრამ რომც არ მახსოვდეს და დავხედო, მივხვდები, რომელია ხელით ნაწერი და რომელი კომპიუტერზე აკრეფილი. შინაარსით კი არა, ხასიათის ნიშნებს დავიჭერ. ისე კი, კომპიუტერი ნამდვილად არ არის ცუდი მეგობარი. ხანდახან წარმოვიდგენ ხოლმე, რამე რომ დაემართოს ჩემს კომპიუტერს... არ ვიცი რა მოხდება. ამიტომ ჩემივე დანყებულ და დაუმთავრებელ ტექსტებს ჩემსავე თავს ვუფრავინ ხოლმე ელექტრონული ფოსტით. რალაც თუ მოხდა, ეს მაინც გადარჩეს-მეთქი. სხვათაშორის მეც ჟურნალისტი ვარ, განათლებით. საღამოზე ვსწავლობდი. მაგრამ საღამოს ლექციებზე არ დავდიოდი, დღისას ვესწრებოდი. სტუდენტობისას ვმუშაობდი პასუხისმგებელ მდივნად გაზეთში, ასეთი გაზეთი იყო – „ფაქტი, აზრი კომენტარი“. თან ვწერდი რალაც სტატიებს. მერე „იბერვიზიაში“ ვიყავი თანაავტორი და თან ნამყვანი ერთი ანალიტიკური გადაცემის.. მერე ომი დაიწყო. თავდაცვის სამინისტროს პრესსამსახურში ვმუშაობდი და გადამისროლეს ფრონტის ხაზზე სამხედრო კორესპონდენტად. იქიდან რომ ჩამოვედი, ჟურნალისტიკას ვუთხარი „პაკა“ და მუსიკალურ რადიოში დი-ჯეობას მივყავ ხელი. ჟურნალისტიკის ფაკულტეტზე შემთხვევით აღმოვჩნდი. ბავშვობიდან ვწერდი, და იყო მსჯელობა, სად ჩამებარებინა და ალბათ ჟურნალისტიკა წერასთან ახლოს რომ იდგა, ამიტომ მიირჩიეს. სიმართლე გითხრა, სასცენაროზე მივდიოდა, მაგრამ ოთხ წელიწადში ერთხელ იყო მიღება და ეს აღმოჩნდა ხელისშემშლელი. არადა, წერა სწორედ რომ პატარა კინო-სცენარებით დავინწყე. ისე, უკვე კი აპირებენ ჩემი მოთხრობების ეკრანიზება-გადაღებას, ვნახოთ, რა გამოვა. დღეს ხომ სენია ეგეთი, ხშირად რეჟისორი თვითონ წერს სცენარს, და როგორც წესი, ამით ბევრს ვერაფერს აღწევს. მერე იმ თავისი გადაღებული ფილმის ნახვის სურვილიც აღარ უჩნდება არც მას და საერთოდ არავის. სცენარისტობა ცალკე პროფესიაა და იმ ადამი-

ანის საკეთებელია, ვინც ლიტერატურასთან ახლოს დგას. ჰოდა, ერთმა კაი რეჟისორმა შემომთავაზა თანამშრომლობა. ახლა ერთად ვწერთ სცენარს ჩემი რამდენიმე მოთხრობის მიხედვით საახალწლო მხატვრული ფილმისთვის. გვინდა, ისეთივე მასობრივად სანახაობრივი სურათი გამოვიდეს, როგორც თავის დროზე საბჭოთა „ბედის ირონია“ იყო.

**– მე ისევ ბესო ხვედელიძეს დავუბრუნდები. თავდაპირველად ძალიან პოეტური პროზა გქონდა, მერე პროზა გაპროზაულდა. ახლა სცენარებზეც ავლაპარაკდით. რა დაგვემართა, გავუხეშდით და გავპროზაულდით?**

– სულ პირიქით! ანუ ადრე იმ ზემოთნახსენებ „რა“ და „როგორს“ შუა ვიდექი. იმ „როგორს“ მაინცდამაინც არ ვუკვირდებოდი, და როცა დაკვირვება დავინწყე, ის პოეზია ზედმეტი აღმოჩნდა, თუმცა ახლაც არის, რალაც დღით.

**– შენი გმირები თითქოს პირდაპირ ლიტერატურიდან მოდიან, მაგრამ მაინც აქვთ რალაც ყოფითობის შარში. რამდენად ჰგავხარ მათ, თუ ისინი შენი პიროვნების არ-შემდგარი სახეები არიან და მათით ხორციელდები..**

– რაც აქამდე დამინერია, იქ საკმაოდ დიდი კი ურევია ავტობიოგრაფიული – ასე ვთქვათ, მიცხოვრია და მიტანჯია მაგ ცხოვრებით. შეიძლება ტექსტში დოკუმენტური სიზუსტით არ ვყვები ამბებს, მაგრამ სიტუაციები, ფონი, მაინც ჩემს ცხოვრებაში გავლილი ხანაა და საკუთარ ტყავზეა ტკბილ-მწარედ გამოცდილი. თან ერთი მომენტია აღსანიშნავი – მე არასოდეს მხიზლავს იმის აღწერა, თუ რა მოხდა. ჩემთვის გაცილებით საინტერესოა – რა შეიძლება მომხდარიყო. მულამიც მაქვს ხოლმე – ისეთი დამაჯერებლობით მოვეყვე ამბავი, რომ მკითხველიც დავაჯერო. პუბლიცისტური პროზა მშვენიერი ჟანრია და ზოგს მართლაც კარგად გამოსდის, მაგრამ ვთვლი, რომ ის უფრო ჟურნალისტიკასთანაა ახლოს, ვიდრე მხატვრულ ლიტერატურასთან. ძალიან კარგი თაობა მოდის მწერლობაში, მაგრამ მათ არ კითხულობენ. ამას ნინათ ტელევიზიაში ვიყავი მიწვეული და იქ ერთი ძველი თაობის ადამიანთან მომიწია საუბარი. ასეთი აზრი ჩამოაყალიბა, რომ ახალგაზრდა ქართველ მწერალთა ტექსტებში იმატა უხამსობამ. როცა ვკითხე, კონკრეტულად რომელ ავტორს გულისხმობდა, პასუხი ვერ გამცა. ბოლოს გაირკვა, რომ „ბოლო თანამედროვე მწერალი“, ვინც მას ჰქონდა ნაკითხული, ნოდარ დუმბაძე იყო. აი, ასე, ყურმოკრულა ამბებით უყვართ ხშირად „მეტრებს“ მსჯელობა და კითხვა კი ეზარებათ. არადა ბევრი კაი რამ იწერება. შესაბამისად ავტორებიც საინტერესო არიან პიროვნულად, განათლებით, თავისუფლებით.

**– და ვის ჩამოთვლიდი მაგ სიაში?**

– რა ვიცი, ბევრია, გინდა პოეტები აიღე, გინდა პროზაიკოსები. იგივე ზვიად რატიანი, ნიკა ჯორჯანელი, რატი ამაღლობელი, გაგა ნახუცრიშვილი, შალვა ბაკურაძე. პროზაში – დათო ქართველიშვილი – ახლა მშვენიერი რომანი დაწერა, ანა კორძაია-სამადაშვილი, რეზიკო თაბუკაშვილი, არჩილ ქიქოძე... ეს ის ხალხია, ვისი დიდი იმედიც უნდა ჰქონდეს ქართულ ლიტერატურას. ასევე, არსებობენ მწერლები, ოსტატობის იმ ზღვარს რომ აღწევენ, რომ მათი უკვე ყველაფერი საინტერესოა. მაგალითისთვის, ისევ გურამ დონანაშვილმა რაც არ უნდა დაწეროს, ყველაფერი საინტერესო იქნება ჩემთვის. ასევეა ოთარ ჭილაძე, ჭაბუა ამირეჯიბი. კიდევ არიან თანამედროვეთა შორის სხვებიც ასეთები. ზოგის კონკრეტული ნაწარმოები შეიძლება სუსტი კი იყოს, მაგრამ ეს არაა მთავარი. მთავარია, რომ ავტორი უკვე შედგა როგორც ოსტატი და ეს უზრალოდ მისი მორიგი სიტყვა და ნაბიჯია. უცხოეთში მომინია სამიოდ წლის წინათ ყოფნა, რობერტ პლანტის კონცერ-

ტი იყო – უფასო. შევედი, იმდერა ძველი სიმღერები ბებრულად და ისე ვეღარ, როგორც ახალგაზრდობაში, მაგრამ მაინც ძალიან საინტერესო იყო, რადგანაც მისი ნამღერი იყო, ანუ თვითონ სად არის, როგორ არის, ეს დაფიქსირდა. გამომჩნა დიდების ჩამონათვალში ბესიკ ხარანაული, რომელმაც თავისი გემრიელი პოეზიის მერე დაწერა რომანი-შედეგური ჩემი აზრით. აი, პოეტური პროზა ეგ არის თუ არის, ჩემი რა პოეტური პროზაა... ჩემთან არის რალაც ნასხლეტები. ხარანაულის რომანი კი დიდი პოეტის დაწერილი დიდი რომანია. ასეთი ადამიანისგან სულ ყოველთვის ელი ახალს. შეიძლება არც მოგეწონოს ყველაფერი, მაგრამ საინტერესოა, ახლა სად არის, სადაა გაჩერებული, რითი სუნთქავს და რითი ცხოვრობს. თეონა არის კიდევ, ახალგაზრდობში, დოლენჯაშვილი, ხომ იცი თეონა. ისიც მაგრად უბერავს. კიდევ, იცი რას დავაკვირდი? გოგოებს გათხოვებამდე აკრფილი აქვთ, წერენ კაი-კაი რალაცებს, მერე ბავშვი გაუჩნდებათ და მორჩა. თეონას შემთხვევაში პირიქითაა და ძალიანაც კარგია...

**– ან ძირითადად, არშემდგავის პირადი ცხოვრების შემთხვევაში აგრძელებენ ხოლმე ბოლომდე...**

– ჰო, ეგრეც ხდება. მაგალითებია ოხრად. სამაგიეროდ, მერე უტყვენ ბოლომდე სერიოზულად და კარგად, ანუ ის ენერგია ცირკულირებს მათში წინა პლანზე, რაც შემოქმედებითაა ადამიანში და თუნდაც იგივე შეილებთან და ასე შემდეგ საოჯახო ორომტრიალებში უნდა გახარჯულიყო. რაკი ეს მხარე არ არსებობს, ფურცელზე მელნის სახით პოულობს გამოსავალს. „გველისმჭამელი“ მახსენდება, ანუ ან აქეთ ხარ და ან იქით. ორივე ერთად არ გამოდის. ძალიან რადიკალურად აქვს ეს ვაჟას ნათქვამი. აქეთ თუ ხარ, ბოლომდე უნდა იყო და როგორც კი ცოტას მოაკლებ, არაფერი გამოდის. ერთი მწვრთნელი იყო, ძოძუაშვილი, ფეხბურთელებს ცოლის მოყვანას უკრძალავდა, და სადაც მართალიც იყო, რადგანაც სხვა მხარეს მიდის მერე შენი ენერგიები და აქ უკვე ბოლომდე ვეღარ იხარჯები. ჩემი პირადი მაგალითითაც კარგად ვხვდები ხოლმე ამას. გადავს ეს დალი და როგორც კი რალაცას მოაკლებ, იქნები და ივლი მერე ნახევარქათამასავით...

**– საპირისპირო ხომ უამრავი მაგალითია – რომ სამაგალითოდ მრავალშვილიანებიც ყოფილან და არც ნახევარქათამობას ჩიოდნენ... შორს რომ არ ვეძებო, აგერ, ტოლსტოი გავიხსენოთ, ან უფრო შორს მარკ ტვენი მშვენიერი ტკბილი ოჯახით, ჩემო ბატონო და ა.შ...**

– წერა როდესაც პროფესიად გექცევა, მერე თითქოს კანონივითაა მასთან ბოლომდე ყოფნა შენთვის. თუ ვინმესთვის ეს გასართობი საქმე და ჰობია, თავისუფლად შეუძლია სხვა რამით შეცვალოს, ვთქვათ, ყოველდღე ჭადრაკი ითამაშოს. მაგრამ როცა იცი, რომ ეს (წერა) შენთვის მთავარი და პირველია, და რომ არ შეგიძლია, არ წერო, ამით ავად ხარ, მაშინ ნებისმიერი სხვა რამ შენთვის ძალიან მეათეხარისხოვან რანგში გადადის. ჩემს შემთხვევაშიც ასეა. ხომ ყველაფერს განაგებს ბედისწერა? ხანდახან ვგრძნობ რომ შენირული ვარ ბოლომდე. როგორ გამოვა, ეგ სხვა საქმეა, მთავარია ჩემთვის, რომ ესაა მთავარი და ამის მერე მოდის ოჯახი, მეგობრები და სხვა...

**– კიდევ სხვა რა ხდება?**

– კიდევ ის ხდება, რომ სოკოებივით იყო მომრავლებული ლიტერატურული ჟურნალ-გაზეთები და ახლა თითქმის აღარაფერი გამოდის. კულტურის სამინისტრომ აიღო თავზე შეფობა-დაფინანსება ლიტ-გამოცემების. ერთის მხრივ კაი იყო – ჰონორარებმა იმატა, მაგრამ როგორც კი დროებითი პაუზა გაჩნდა სამინისტროს მხრიდან, დეკემბრიდან მოყოლებული

„ჩვენი მწერლობის“ და „ლიტერატურული პალიტრის“ გარდა აღარაფერი გამოსულა. სადღაა „არილი“, „ალტერნატივა“, „პარნასი“, „წიგნები“... რალაც სხვანაირადაა ეტყობა საჭირო ამ დაფინანსების დარეგულირება, თორემ...

**– მაგის პასუხი სულაც არ არის, მაგრამ მაინც დაუბრუნდება. შენს მოთხრობებში არის ძალიან მოზომილი ტემპი, რომელიც არსად ჩქარდება და იმუხტება, არ არის ე. წ. მკვეთრი შეგრძნებები, თითქოს აკლია სიმძაფრე. ამას არა როგორც ნაკლს, არამედ როგორც ხასიათს აღვნიშნავ. შენ ხარ ასეთი გამომომილი ტემპის ადამიანი თუ მხოლოდ მოთხრობებში ბრძენები?**

– ეგ ალბათ ისევე ჩემიდან გამომდინარე ხდება, ანუ არასდროს არსად მეჩქარება. უფრო ზუსტად რომ ვთქვა, ვჩქარობ ნელა, ანუ „ჩქარე ნელას“ პრინციპით მივდი-მოვდივარ. ჰოდა, მეორე კი ის ემატება, რომ ჩემი პერსონაჟები და ასევე მეც, ყველაფერს, რაც ირგვლივ ხდება, ვიღებთ როგორც აუცილებლად მოსახდენს. ჩემი პერსონაჟებისგან შეიძლება გულგრილობა და ცინიზმიც კი იგრძნო თავს დამტყდარი ამბების მიმართ. ნებისმიერნაირ ცხოვრებას ისე ეპყრობიან, როგორც ნორმას, ანუ იციან, რომ აჩქარება და ნერვიულობა, რალაცებზე ზედმეტი ფოკუსირება არ მოუტანთ არაფერს მნიშვნელოვანს. სიმშვიდე მისი ყველაზე თვალშისაცემი თვისება და საყრდენია, ის თოკია, რომელზეც ყოველთვის მშვიდად და ღიმილით დაიარება.

**– შენც ასეთი ხარ? მშვიდი, მოზომილი და განონსწორებული?**

– ადრე კი მქონდა, როგორც ნებისმიერ ადამიანს, ჩემებური გაფრენები, მაგრამ მერე რალაც ამბები მოხდა, კათარზისული ამოყირავებანი, რაც ყოველთვის ზუსტად განახევებს, სად ხარ, რატომ ხარ და როგორ ხარ. გიხსენის ამ ცხოვრების გამოცანებსა და ამოცანებს. მერე და მერე, ამ ყველაფერთან თუ ახლოში დარჩი და გაიაზრე სინამდვილეში რა ხდება ირგვლივ, ძალიან ძნელია რამეზე გაბრაზდე, ან გააკვირდეს. შეიძლება გააკვირდეს, მაგრამ უტყებე გამართლებას უძებნი ამ გაკვირვებას, ანუ ყველა კითხვას იმთავითვე სცემ პასუხს... ამის გამო, ბევრი რამ ირგვლივ ერთფეროვანიც კი ხდება და მოსაწყენი, მაგრამ მაინც ვუძღვებ, არ მბეზრდება. ესაა ალბათ შინაგანი სიმშვიდე. უკვე მალიზიანებენ ადამიანები, მუდმივად რომ სვამენ კითხვებს – ეს ან ის რატომაა ისე ან ასე. არადა, ადრე, ზუთიოდე წლის წინ მეც ხომ ასეთი ვიყავი? მაგრამ რალაცები ჩემში თავისით გადალაგდა. მეც შესაბამისად ავუნწყე ფეხი – არსად არ მეჩქარება, ყველაფერი ისეა, როგორც უნდა იყოს. მე რაც არ უნდა ვიხტუნაო, ვერაფერს შევცვლი, დიდი-დიდი, ვთქვათ, ეს გიტარა გადავლო იქით და მორჩა. ანუ, მართლ არ ვარ, ჩემთან ერთად ვილაც ჩემზე მეტიცაა ყოველთვის, ვინც მმართავს და განმაგებს, მაკონტროლებს კიდევ. რამდენჯერაც მოუკრეფავი ან კიდევ უფრო სხვაგან გადავუხვიე, იმდენჯერ მივიღე საკადრისი პასუხი.

**– პრეტენზიული განცხადებაა – ყველა კითხვაზე პასუხის ქონა, როგორც მინიმუმ ფილოსოფიურ პლანში...**

– სიმართლეა და... ისე კი, ერთი უბრალო მგზავრი გახლავართ, ხან ავტობუსს ველოდები, ხან სამარშრუტო ტაქსს. საინტერესო კია მოლოდინებით ცხოვრება. მერე რა იქნება (რა ნომერი მოვა) – ეგეც მაინტერესებს. ისე კი, ბევრი არაფრის შეცვლა არ შემიძლია, უბრალოდ, ხანდახან, თუ ვიხრჩობი ან მახრჩობენ ხელ-ფეხსაც ვიქნევ...

ესაუბრა  
ლელა კოდალაშვილი

# მაინც რას გულისხმობს დემოკრატია?

\*

დეივიდ ლორენსის  
ინსაიზის განხილვა

### მაია ჯალიაშვილი:

„ვაგრძელებთ ახალი თარგმანების განხილვას და დღეს წარმოგიდგენთ დევიდ ჰერბერტ ლორენსის წიგნს „ესეები კლასიკური ამერიკული ლიტერატურის შესახებ“ – შესანიშნავი კრებულია და თარგმანიც შესანიშნავი.

ლიტერატორებისთვის კარგად არის ცნობილი თამარ კოტრიკაძის სახელი და ნამდვილად იმსახურებს აღმატებით ეპითეტებს მისი საქმიანობა.

თავს არ შეგანწყენთ ჩემი შეფასებებით და სიტყვას გადავცემ მომხსენებელს“.

### როსტომ ჩხეიძე:

„მართლაც, ლიტერატორებისთვის კარგად არის ცნობილი თამარ კოტრიკაძე, უფრო ვინრო წრისათვის, რადგანაც ის მიეკუთვნება იმ ლიტერატორებს, ვინც უჩუმრად აკეთებენ მნიშვნელოვან საქმეებს.

ამას წინათ მე და ლევან ბრეგვაძე ვსაუბრობდით, ლევანმა რაღაცასთან დაკავშირებით ახსენა ქრისტიან ლავანტი და იქვე დაამატა – რომელიც აღმოგვიჩინა ტატა კოტრიკაძემო; და მართლაც აღმოგვიჩინა შესანიშნავი მწერალი და ასეთი აღმოჩენები მის სახელს სხვანიც უკავშირდება.

მისი მონოგრაფია, შეიძლება ყველამ არც იცოდეს, ერთ-ერთ მნიშვნელოვან თემას ეძღვნება: ანგელოზის სახე დასავლურ ლიტერატურაში.

თარგმნის ინგლისურიდან, გერმანულიდან, რუსულიდან და რასაც თარგმნის და რასაც წერს, ყველაფერი ალბათქდინლია ნამდვილი პროფესიონალიზმით.

ლორენსის ესეები საუკეთესო წიგნია, რომლის უთარგმნელობაც ხარვეზია ყველა ეროვნული ლიტერატურისათვის. ასეთ წიგნს მოკიდა ხელი ტატამ და განახორციელა ისე, როგორც შეეფერება ჩვენს მთარგმნელობით ტრადიციებს.

ახლა რაც შეეხება თვითონ წიგნს“.

გთავაზობთ ზოგიერთ ამონარიდს მოხსენებიდან:

„ლორენსს მიაჩნდა, ამერიკელ კლასიკოსთა წიგნებს შერჩენილი აქვთ ის ახალი გრძნობა, რისგანაც შემდგომი ხანის გამოცემები სრულიად დაცლილი არიან, და კლასიკოსთა ეს ახალი გრძნობა რაღაც სხვანაირია: მათ ძველი ფსიქე მიატოვეს და სხვა, ახალი სამყოფელისაკენ გადაინაცვლეს, გადაინაცვლება კი ყოველთვის მტკივნეულია. ამიტომ ვცდილობთ ზედ ჭინჭი მაგრად შემოვიხვიოთ, თითქოს გაჭრილი თითი იყოსო.

მასაც სჯეროდა – და, ცხადია, არც საკუთარ თავს გულისხმობდა გამოწკლისათა შორის – ყოველი შემოქმედი, როგორც წესი, საზიზღარი მატყუარააო.

მაშ ქეშმარიტება არც უნდა ვეძიოთ წიგნებში?

აუცილებლად უნდა ვეძიოთ, რადგანაც „მისი ხელოვნება“, თუკი ის მართლა შემოქმედი, მისი დროის ქეშმარიტებას გაუწყებთ“.

ლორენსი ირონიული ლიმილით მიგვანიშნებს, რომ მირაჟების გამოდევნებამ ვაითუ არაფერი შეგვარჩინოს, ამიტომაც აუცილებელია მარადიულისაკენ სწრაფვისას ჯერ იმ ქეშმარიტებაში გავერკვეთ, ჩვენს თვალწინ რომ ტრიალებს და უშუალოდ ჩვენგან მოითხოვს სახელის დარქმევას, საფეხურადაც მხოლოდ მაშინ გამოგვადგება იმ მარადიულისაკენ.

როგორც ყოველივე ამქვეყნიად, ქეშმარიტებაც შეფარდებითია – ცნობიერი „მე“-სათვის ხელმისაწვდომი, თორემ ცნობიერის მიღმა არაცნობიერ „მე“-თა ისეთი გაუვალი ტევრია, ტყუილუბრალოდ ნურავინ შეეცდება მათ გაღწევას, მოვალენი ვართ მხოლოდ, შესაფერისი მორიდებითა თუ მონწივებით მოვეყვრათ მათ სიუხვესაც და სულიწმინდასთან უშუალო სიახლოვესაც, რათა არ შევცოდეთ უზენაესის წინაშე.

გადავლილია მამა-ღმერთის ეპოქა.

გადავლილია ძე მისი – იესო ქრისტეს ეპოქაც.

და ამჟამად სულიწმინდის ეპოქაში გვინევს სიცოცხლე, სამება ერთარსების მესამე დრო-ჟამულ განზომილებაში.

ასეთია დევიდ ლორენსის მხატვრული ქრონოლოგიაც და ზნეობრივი მრწამსიც, და რომანებში განფენილი ეს თვალთახედვა და სისტემა ესეების ციკლშიც გადაინაცვლებს, რომელიც ადრე თუ გვიან ქართულ ენობრივ სამოსელშიც მოექცევა თამარ კოტრიკაძის ჩინებული თარგმანის წყალობით და წარმოგიდგება არა მხოლოდ სახელმძღვანელოდ და გზისმკვლევად ამერიკული მხატვრული აზროვნების უმრავალფეროვანეს სამყაროში, არამედ ჩვენი საზოგადოებრივ-პოლიტიკური ცხოვრების უშუალო მონაწილედაც, რაკილა ლორენსის ტკივილები ჩვენთვისაც არანაკლებ მახლობელია და ისევე გვაქვს გადასალახი ჩვენს სულიერ სინამდვილეში, როგორც ამ თვალსაჩინო ინგლისელ მწერალს, ვინც ამერიკული კლასიკური მწერლობის შესწავლა-გააზრებისას უპირველესად თავისი სამშობლოს ბედისწერას უტრიალებს.

რაკილა ლორენსს საკუთარი მითოლოგია შეუმუშავებია და მის მთავარ საყრდენად მაგიური შუაგული თუ სული უქცევია, კუპერსა თუ ჰოთორნზე, მელვილსა თუ უიტმენზე მსჯელობისას ძალაუბრებურად ინგლისის თანადროულ რეალობასაც უნდა გადანედეს და დაუფარავად განაცხადოს: კუნძულ დიდ ბრიტანეთის ნიადაგს საკუთარი სასწაულად დიდ მაგნეტიზმი ჰქონდა და ამას უნდა ვუმადლოდეთ ინგლისელი ხალხის წარმოშობას. დღეს ეს ძალა თითქოს იმსხვერვა. ნეტავ შეიძლება ინგლისი მოკვდეს? და თუ მოკვდა, რა გაჩნდება მის ადგილასო?

აპოკალიფსური შეგრძნება უფორიაქებს სულს ლორენსს და სწორედ ეს ფორიაქი და დაუშომინებლობაა გამოკვეთილი მთარგმნელის წინასიტყვაობაში, როდესაც „ესეების“ გამომწვევი ტონი ფრიდრიჰ ნიცშეს „ესე იტყოდა ზარატუსტრას“ მემამობურ სტილსაა შედარებული: ორივე ეს თხზულება სახარებისეულ სტილშია შექმნილი, ორივე უმოწყალოდ ანგრევს მოძველებულ სტერეოტიპებს და ახალ ქეშმარიტებაზე გველაპარაკებაო.

ლორენსს ეამაყებოდა, რომ სწორედ მან აიყვანა ხელში ამერიკის ნაშიერი – ჩრებში გახვეული ქეშმარიტება, მოუვლელიობით გამხდარი და დაუძლურებული. ჩრებში კი იმ იმედით გაეხვიათ, დაწნულ კიდობანში ჩაენწინათ და ლელიანში დაემალათ, ოდესმე ეგვიპტელი ფარაონის ასული მოვა ბავშვის გადასარჩენადო.

ნაცვლად ფარაონის ასულისა, სწორედ ლორენსი გამოცხადებოდა ჩრებში გახვეული ქეშმარიტების მხსნელად,

თუმც ვერც ევროპის დანრეტას შეეგუებოდა სისხლისაგან და ძველ ფასეულობათა რღვევისას დაუნდობლად გაამიშვლებდა ყველა იმ სიახლეს, რაც ძველის ადგილს ეპოტინებოდა.

ამიტომაც გამოსდევს „ესეების“ ამ წიგნს მძაფრი კვილი, რათა ევროპამ არ დათმოს თავის ნაშიერთან – ამერიკის შეერთებულ შტატებთან – ჭიდილში:

– აინყვიტე, ევროპავ, აინყვიტე და კუთვნილი დაიბრუნე!“

**მაია ჯალიაშვილი:**

„ბ-ნმა როსტომმა პროფესიონალიზმითა და ექსპრესიით წარმოაჩინა ლორენსის ესეების მნიშვნელობა და კიდევ ერთხელ დაგვიმტკიცა, რომ ესეი მისი სტიქიაცაა.

ახლა კი მინდა ვკითხო მთარგმნელს, თუ როგორ მივიდა ლორენსამდე, როგორი იყო მისი დაოსტატების გზა ამ წიგნის თარგმნამდე?“

**თამარ კოტრიკაძე:**

„ლორენსის ესეები ჩემი პირველი სერიოზული თარგმანია. მანამდე მქონდა ცალკეული მოთხრობები თარგმნილი, არც ისე მნიშვნელოვანი.

მინდა დიდი მადლობა გადავუხადო მომხსენებელს, არაჩვეულებრივად გაიაზრა და თქვა ყველაფერი. თავიდანვე, როცა „კავკასიური სახლის“ გაზეთში ვაქვეყნებდი ამ ესეებს, იგი ყურადღებით, გაფაციცებით კითხულობდა „ალტერნატივას“ ამ ნომრებსაც და შთაბეჭდილებებს, შენიშვნებს მეუბნებოდა. ძალიან მახარებდა ასეთი ყურადღება და ძალიან მეხმარებოდა კიდევ, რადგან, როგორც ვთქვი, ეს ჩემი პირველი სერიოზული თარგმანია.

რატომ მაინცდამაინც ეს წიგნი? სრულიად შემთხვევით მოვიძიე ამერიკული ლიტერატურის ბიბლიოთეკაში, მანამდე ლორენსი ჩემთვის უკვე მნიშვნელოვანი ავტორი იყო.

ლორენსი, როგორც ინგლისური მოდერნიზმის წარმომადგენელი, ლორენსი, როგორც რომანისტი, მოთხრობების ავტორი, პოეტი – ეს კიდევ ცალკე დიდი თემაა. ერთ-ერთი თვითმყოფადი და არაჩვეულებრივად საინტერესო შემოქმედაა.

ხოლო ლორენსი, როგორც ესეისტი, რაზეც დღეს ვსაუბრობთ, სრულიად სხვა ჰიპოსტასია მისი.

იგი ძალიან უშუალოა, ცოტა თავხედიც, ხშირად მიმართავს ეპატაჟს, შეიძლება მავანმა იკითხოს კიდევ, რატომ არის ეს კაცი ასეთი აგრესიული? ყველას აკრიტიკებს, ქვას ქვაზე არ ტოვებს... ბოლოსდაბოლოს რას ერჩის ამ პოს, უიტმენს, კუპერს?..

ერთი მხრივ ეს არის ის, რაც თუნდაც ჩვენ, ქართულ ლიტერატურაში, ძალიან გვაკლია – შტამპების, სტერეოტიპების, ის რაც კლასიკად მიგვანჩნია, იმის ნგრევა და ახალ ხედვას გვთავაზობს. ამ მხრივ არც არის ესეისტი, რადგან ესეისტი, მგონი, უნდა რჩებოდეს გარკვეულწილად ობიექტური. ლორენსი კი უკიდურესად სუბიექტურია. ზოგჯერ ბავშვურად მაქსიმალისტიც. მაქსიმალისტია თავის აღფრთოვანებაშიც და მამინაც, როცა ვინმეს აკრიტიკებს. ალბათ, ეს საუ-

კუნეთა მიჯნის სულისკვეთებაა, ისევე, როგორც ნიცშეს პათოსი...

ლორენსის ხედვა გაცდა ლიტერატურის სფეროს და, როგორც მომხსენებელმაც აღნიშნა, გვიზიარებს თავის სულიერ გამოცდილებას და მისეული მაშინდელი დიაგნოზი დღეს ძალზე აქტუალურია და მნიშვნელოვანი ჩვენთვის. დასრულდა მზა ნორმებისა და რეცეპტების დრო. ყოველი ადამიანი უნდა იყოს გულწრფელი საკუთარი თავის წინაშე და თვითონ აირჩიოს თავისი გეზი. დღეს ჩვენ ვიმყოფებით არა საუკუნეთა, არამედ ათასწლეულების გზაგასაყარზე და ეს წიგნი თითქოს გვზრდის შინაგანად და მიგვანიშნებს გეზს, გვასწავლის, თუ რამდენი რამეა დამოკიდებული პიროვნების არჩევანზე“.

**მაია ჯალიაშვილი:**

„წიგნს ორი რედაქტორი ჰყავს და შოთა იათაშვილს – თუ არ ვცდები, ერთ-ერთი რედაქტორი სწორედ ისაა – ვთხოვთ მოგვახსენოს, თუ რა ღვანლი გასწია...“

**როსტომ ჩხეიძე:**

„მგონი ეჭვქვეშ დააყენეს, შოთა, შენი რედაქტორობა, როგორც ლორენსი აყენებს ეჭვქვეშ ყველაფერს“.

**შოთა იათაშვილი:**

„ეს წიგნი ახალი გამოსული არ არის, მაგრამ დღეს, მგონი, ამ წიგნის შეფასება-გააზრება დაიწყო და მინდა მოვულოცო ტატას ეს მნიშვნელოვანი მომენტი. რადგან ხშირად ხდება, რალაც მნიშვნელოვანი საქმე შესრულებდა, მერე კი ის იყინება და არ ხდება

საზოგადოებრივ ცნობიერებაში შეტანა და გააზრება. რაც დრო გავა, ლორენსის ეს წიგნი ქართულ რეალობაში უფრო დიდ როლს შეასრულებს და მადლობა ბ-ნ როსტომს, რადგან ის ცდილობს არ ჩაიკარგოს არაფერი – კარგი წიგნი ან თარგმანი იქნება თუ საქმე.

თავიდანვე ერთად ვისხედით და ვასწორებდით თვითეულ ამ ნიმუშს „ალტერნატივაში“ გამოქვეყნების წინ, და მაშინვე გაჩნდა სურვილი წიგნად გამოცემისა და „კავკასიურმა სახლმა“ გამოსცა კიდევ, როგორც კი გაჩნდა საშუალება.

ტატა არაორდინარული ადამიანია და მისი მიდგომაც ლიტერატურისადმი შეიძლება არც იყოს ტიპური. დღევანდელ დღეს, როცა ამდენი ინფორმაცია შემოდის, ამდენი ავტორია ნასაკითხი, ძირითადად კალიბრით დაფხტივართ ხოლმე ამ უზარმაზარ ლიტერატურულ სივრცეში... ერთია, რომ ვილაცა დახტის და ვილაცას შეუძლია მოიცვას ეს სამყარო – თავისი წარსულითა და აწმყოთი. ასეთი ადამიანები ძალზე ცოტანი არიან. ისინი პოულობენ თავიანთ ავტორებს... ტატასაც ჰყავს ასეთი ავტორები: ლორენსი, ქრისტინა ლავანტი, მერეუკოვსკი...

ლორენსის წიგნი საინტერესოა არა მხოლოდ ლიტერატორებისთვის, არამედ პოლიტოლოგებისა და კონფლიქტოლოგებისთვისაც, რადგან ლორენსის პრობლემატიკა სწორედ ისაა, რაზეც დაეფუძნა თანამედროვე ადამიანის ცნობიერება...“



თამარ კოტრიკაძე

**ლევან ბრეგაძე:**

„ტატასნაირი თანამშრომელი უნდა ინატრო რედაქციაში, უპირველესად როგორც ავტორი, გაჭირვების ტალკვესიო, რომ იტყვიან, აი, ის არის.“

ცოტა ხნით წავიდა ავსტრიაში და იქიდან გზავნიდა სისტემატურად მასალებს ფაქსით, ვინ გააკეთებს ამას, რომელი ჩვენგანი?

რამხელა ამაგი მიუძღვის ლავანტის მიმართ? ამ არაჩვეულებრივი პოეტისა და ბელეტრისტის შემოყვანა ქართულ სინამდვილეში ხომ მისი დამსახურებაა.

მისი დამოკიდებულება სიტყვასთან, მწერლობასთან, ხელოვნებასთან – სანიმუშოა.

მას აქვს გამორჩეული ტალანტი თავის საქმეში და მიხარია, რომ როსტომ ჩხეიძის გაზეთშიც შინაური ავტორია.

მხოლოდ ის მაინტერესებს, გამოცემულია თუ არა ტატას მონოგრაფია?“

**როსტომ ჩხეიძე:**

„ბ-ნმა ლევანმა იკითხა, გამოცემულია თუ არა ტატას მონოგრაფია. მინდა გითხრათ, რომ არა თუ გამოცემულია „ანგელოზის თემა და მოტივი თანამედროვე დასავლეთეუროპულ ლიტერატურაში“, არამედ უკვე გამოყენებულიც არის. გარკვეული პასაჟები თავის დისერტაციაში ძალიან გამოადგა ავტორს – ირმა ჩახმაზაშვილს – ამ მონოგრაფიის ცალკეული პასაჟები თუ დასკვნები ვაჟა-ფშაველასთან საინტერესო პარალელების დასაძებნად“.

**ელისო კალანდარიშვილი:**

„ეს არის წიგნი სკანდალური მომენტებით, ის ანადგურებს და თავდაყირა აყენებს ძველ შეხედულებებს ამა თუ იმ ავტორზე.“

მაგრამ ეს არის იმ სახის დამოკიდებულება მწერლისა, როცა განადგურებით კი ანადგურებს, მაგრამ ამ განადგურებაში რალაცას თვითონვე აღმოაჩენს ხოლმე. ეს კარგად ჩანს ლორენსის ერთ წერილში, როდესაც ავტორი წერს:

„შემოქმედების ენა ერთადერთი ჭეშმარიტებაა. შემოქმედი, როგორც წესი, საზიზღარი მატყუარაა, მაგრამ მისი ხელოვნება, თუკი ის მართლა შემოქმედა, მისი დროის ჭეშმარიტებას გაუჩყებთ. შემოქმედის განზრახვა მუდამ ერთია, მორალზე მიგვივითოს და ამბავი მოგვიკაზმოს. ამბავი კი, როგორც წესი, საპირისპირო მიმართულებით მიუთითებს. ორი აშკარად პოლარული მორალი – შემოქმედისა და ამბავისა. შემოქმედს ნურასოდეს ენდობთ, ენდეთ ამბავს...“

და აი, აქ მივაქციოთ ყურადღება, ამ ვითარებაში ლორენსი როგორ განსაზღვრავს კრიტიკოსის როლს: „კრიტიკოსის ნამდვილი მოვალეობაა გადაარჩინოს ამბავი მისივე შემოქმედისაგან“ – თითქოს პარადოქსულია – როგორ შეიძლება შემოქმედი გაყო მისი მონათხრობისაგან, მაგრამ, ვფიქრობ, ეს ძალიან კარგი ფსიქოლოგიური დაკვირვებაა, რადგანაც ყოველი ადამიანი გარკვეულწილად ნიღაბს იფარებს და შემოქმედიც ყოველთვის ცდილობს მოგაჩვენოს თავი იმაზე უკეთესად, ვიდრე სინამდვილეშია.

ეს პროცესი ხდება წიგნშიც. ლორენსი განძარცვავს ყველა შემოქმედს მოჩვენებითიგან, სიყალბისგან, იმისგან, რაც აგებულია ცრუ მორალზე და ტოვებს მათ ნამდვილი, ჭეშმარიტი სახით და მერე თვითონვე აღიარებს მათ.

მიმაჩნია, რომ მთარგმნელი არის დაჩაგრული ადამიანი და მისი ლევანიც არ არის სათანადოდ დაფასებული. არადა, იგი თანაშემოქმედა. მან თავისი სული უნდა ჩადოს თარგმანში. ისეთივე შემოქმედებითი პროცესია თარგმნა, როგორც ლექსისა თუ მოთხრობის წერა. ამიტომაც მთარ-

გმნელს დიდი მადლობა, რომ ასე გვაგრძობინა და ახლობელი გახადა ლორენსის სამყარო და განსაკუთრებული აღნიშვნის ღირსია მისი შესანიშნავი წინასიტყვაობა, რომელიც მწერლის სულიერ პორტრეტს წარმოადგენს“.

**მაია ჯალიაშვილი:**

„ამ წიგნს აქვს განსაკუთრებული ძლიერი მუხტი. როცა წავიკითხე, იმდენად მოვექეცი მისი გავლენის ქვეშ, რომ რალაც წერილს ვწერდი და ძალიან ბევრი ციტატა ჩავრთე აქედან, ცოტა უხერხულიც იყო, მაგრამ იმდენად კარგად გამოხატავდა ლორენსის ციტატები ჩემს სათქმელს...“

**გიორგი ლობჯანიძე:**

„ტატა არაჩვეულებრივი ადამიანია, შესანიშნავი ლიტერატორი, რომელშიც თანაბრადაა შერწყმული ევროპული ენების სიღრმისეული ცოდნა და ქართული ენის ბუნებისა და ნიუანსების ძალიან ღრმა და ფაქიზი გააზრება. ამის შედეგია სწორედ ის წიგნი, რომელსაც დღეს განვიხილავთ და ასევე ტატას თითქმის ყველა ნამუშევარი, რაც კი მისი ხელიდან გამოსულა, იქნება ეს ქრისტიან ლავანტი, მერეჟკოვსკი თუ მისი დისერტაცია, რომელიც იმითაც არის მნიშვნელოვანი, რომ ძალიან კარგი ქართული ხმანებს მასში, ბევრი სამეცნიერო ნაშრომისაგან განსხვავებით.“


რაც შეეხება ლორენსის წიგნს, ახალს ვერაფერს დავამატებ, უზრალოდ ჩემთვის ძალზე მნიშვნელოვანი წიგნია იმ თვალსაზრისით, რომ აქედან ძალიან კარგად შეიძლება ისწავლო, როგორ იკითხო კლასიკა და რა დამოკიდებულება გქონდეს საკუთარ კლასიკასთან, როგორ შეიძლება დაამსხვრიო ლიტერატურული ცნებები, კერპები, საყვარელი ავტორები ისე, რომ მათ არაფერი დააკლდეთ და, პირიქით, შეემატოთ ანუ ნამსხვრევებიდან გამორჩედს შიშველი სული, სწორედ ის, რასაც ლორენსი უწოდებს ამბის გადარჩენას ავტორისაგან.

ასეთი ტიპის ქართული ლიტერატურის ისტორია ჩვენში ჯერ კიდევ დასაწერია...“

**მაია ჯალიაშვილი:**

„ბევრ საინტერესო რამეზე დავგაფიქრებს ლორენსი, მაგალითად ლორენსის მსჯელობა თავისუფლებაზე. და ამ მსჯელობაშიც დავინახე ნიცშეანური. ლორენსი ამბობს, თავისუფალი მაშინ კი არა ვარ, როდესაც რასაც მინდა, იმას ვაკეთებ, არამედ მაშინ, როდესაც იმას ვაკეთებ, რაც ჩემს უღრმეს მეს სურს, მაგრამ როგორ გავაცნობიერო ეს უღრმესი მე? ამისთვის არის ყვინთვის ოსტატობის ცოდნა საჭიროო. მთელი წიგნი სწორედ ამისკენაა მიმართული – ამერიკის თავისუფლება არ არის შეცნობილი და ნამდვილი თავისუფლება, იმიტომ, რომ ამერიკა შეიქმნა გაქცეულებისგან. ესენი იყვნენ არა მხოლოდ ევროპიდან გაქცეულები, არამედ საკუთარი თავისგანაც, მთელი ჩვენი საზოგადოება ამერიკანიზაციის პროცესში ჩართული საზოგადოებაა. ჩვენც გავურბივართ საკუთარ თავს და ამიტომაც არა ვართ თავისუფლები.“

ლორენსი გვეუბნება, რომ თუ ცოცხალი ხარ, თუ ადამიანი ხარ, ყოველთვის, აი, ამ გზაზე უნდა იდგე, შეცნობის გზაზე და შენი სულიც უნდა იყოს შარავნაზე მოხეტიალე, ისევე როგორც სული უიტმენისა“.



ვახტანგ დავითაია

## ცხოვრების ფურცლები

17. VIII. 1988. მოსკოვი – პარიზი – სერჟი პონტუაზი – ქალაქგემარების საზაფხულო უნივერსიტეტი. დე გოლის აეროპორტში დამხვდა არქიტექტორი ვოიცეკ ლეშიევიკი. ნახევარ საათში სერჟი-პონტუაზში ვართ (პარიზის სატელიტია). ვოიცეკი მეუბნება, გუშინ თქვენს სტუდენტებსაც მე დავხვდი, კარგი ახალგაზრდები არიან, ყველა სახელითა და გვართ ჩამომითვალა. ნინო ჩხეიძე, თამარ კვეციხაძე, ლევან ლომინაშვილი, გიორგი გელაშვილი. ნატიფი ხელოვნების სკოლაში, სადაც ერთი თვე იმუშავეს „ქალაქგემარების საზაფხულო უნივერსიტეტი“, ყველაფერი მზადაა. სტუდენტების უმრავლესობა ჩამოსულია. 32 სტუდენტი მონაწილეობს წლევეანდელ საზაფხულო უნივერსიტეტში: ჰოლანდიიდან – 2, სენეგალიდან – 2, ალჟირიდან – 2, ბელგიიდან – 1, ესპანეთიდან – 2, საფრანგეთიდან – 7, იტალიიდან – 3, პოლონეთიდან – 4, შვეიცარიიდან – 3, სსრკ-დან (საქართველო) – 4 და სხვა. ჩამოვყავალიბეთ 6 ინტერნაციონალური ჯგუფი.

მასპინძლებმა საცხოვრებლად ორი ვარიანტი შემომთავაზეს. სასტუმრო და ოჯახში, პონტუაზში; ფრანგულ ოჯახში ცხოვრება ვარჩიე.

სალამოს არქიტექტორმა მიშელ ჟავენმა მიმიყვანა ჩემს მასპინძლებთან. ორსართულიანი სახლია მაღალი მანსარდის და ნახევარსარდაფის სართულით. წინ პატარა ყვავილანარია, უკან კი დიდი ეზო, ხეხილის ბაღით, მასპინძლები მელოდნენ, ჰოლში შემომეგებნენ. აღმოჩნდა ქ-ნი მიშელ ტოიონის ოჯახი მასპინძლობს. ქ-ნი მიშელი საფრანგეთის დელეგაციის წევრი იყო იუნესკოს სიმპოზიუმზე პრალაში, მეუღლე – ბერნარდ ტოიონი, ცნობილი ქირურგი – ორთოპედი. ჰყავთ სამი ვაჟიშვილი, უფროსი ჟან ბატისტი 20 წლის, იურიდიული ფაკულტეტის სტუდენტი, საშუალო ქრისტიანი და უმცროსი ჟიულიანი, შესანიშნავი ბიჭები არიან, თვალს ვერ მოაშორებ, მათთან ცხოვრობს გოგონა ქ. ლიონიდან – კორინა, ქ-ნი მიშელის ნათესავი, სერჟი-პონტუაზის ნატიფი ხელოვნების სკოლის სტუდენტი. ბიჭებმა ბარგი მანსარდის სართულზე „ჩემს ოთახში“ აიტანეს. ქალბატონმა მიშელმა კი სუფრის განწყობა დაიწყო, ეხმარება სამივე ვაჟი და მეუღლეც. მასპინძლებს უამრავი კითხვა აქვთ სსრკ კავშირის ცხოვრებაზე, საქართველოზე, პერესტროიკაზე.

18. VIII. 1988. დილით ადრე შემოვივრბინე ჩვენი სახლის მიმდებარე უბანი. პონტუაზი ერთ-ერთი უძველესი ქალაქია საფრანგეთში, ვინრო ქუჩებით, შუასაუკუნეების პატარა მოედნებით, ყველაფერი თანამასშტაბურია, მხოლოდ პირველი სართულის ინტერიერი და ვიტრინა გათანამედროვებული. ჩინებულად გადაწყვიტეს ქალაქის მესვეურებმა და არქიტექტორებმა ქალაქის ზრდის პრობლემა, საერთოდ გავიდნენ პონტუაზიდან, არ შეანუხეს მისი დაღლილი სხეული ქირურგიული ჩარევით, 2-3 კმ-ზე სრულიად ახალი ქალაქი

გააშენეს – სერჟი. ძველსა და ახალს შორის განსხვავების 2 კმ-იანი მწვანე ზოლიც კი დატოვეს.

სერჟი-პონტუაზის ერთ-ერთი უბანია სანტ-ქრისტოფი. აქაა რკინიგზის და მეტროს სადგურები, რომლითაც სერჟი-პონტუაზიელები უსწრაფესად უკავშირდებიან პარიზს. სანტ-ქრისტოფი იმითაცაა აღსანიშნავი, რომ აქედან იწყება ცნობილი „ექს მაჟორი“ („დიდი ლერძი“), რომლის ავტორია ისრაელელი მოქანდაკე დანი კარავარი. სანტ-ქრისტოფი, სულ რაღაც 30 წელიწადში გაშენდა, ის „ახალი არქიტექტურის“ პირმშობა, მაგრამ მისი ერთსტილიანობა სრულებით არაა შემანუხებელი და დამთრგუნველი. 3-4 სართულიანი განაშენიანება, შიდა ეზოები და კურდონერები, ფეხით მოსიარულეთა ზონები, მრავალფეროვანი არქიტექტურული თემები, ბუნებრივი მასალები, გამწვანება, დახვეწილი მცირე არქიტექტურული ფორმები და პირველი სართულის ვიტრინები, ინტერიერები, ღია კაფეები და ორიგინალური განათება – ყველაფერი ეს ქმნის არქიტექტურისა და ადამიანის საოცარ ჰარმონიას და არც განიცდით ისტორიული სტილებისადმი ნოსტალგიას. მეორე მხრივ, არც ის არის შემთხვევითი, რომ ქალაქის ცენტრალური მოედნის დასაპროექტებლად მიიწვიეს არქიტექტორი რიკარდო ბოფილი, ახალი კლასიციზმის აპოლოგეტი. მართლაც, ეს „სვეტებიანი მოედანი“, თავისი განწყობილებით, არქიტექტურით, შენობების გეომეტრიულობით და დეტალების ცნობადობით, განსხვავებული სამყაროა, ზომიერად ოფიციალურია და მიმდებარე უბნების რომანტიულობასთან, ერთიანობაში აყალიბებს ქალაქის საინტერესო ემოციურ ატმოსფეროს. მოედნის ცენტრში დგას კვადრატული კვეთის „ბელვედერის კოშკი“, რომლის თავზე მოწყობილია სამზურნი მოედანი. აქედან, თქვენ შეგიძლიათ დახედოთ ქალაქს, ასევე მთლიანად ალიქვით „დიდი ლერძი“, რომლის საწყისი ნერტილიც ბელვედერის კოშკია. ძალზე საინტერესოა ღამით ბელვედერის კოშკის წვერზე მოწყობილი ლაზარის სხივის „ატრაქციონი“. სხივი ვინრო ზოლად ხან ვერტიკალურად, ხანაც სხვადასხვა კუთხით კვეთს ღამის წყვიდადს და ქმნის მშვენიერ სანახაობას.

„მირაპოლისი“ საფრანგეთის დისნეილენდია. იგი სერჟი-დან 10-15 კმ-ზე მდებარეობს. მისი მშენებლობა დააფინანსა მრავალმა ქვეყანამ და ფირმამ, მათ შორის ისეთმა ეკონომიკურად ძლიერმა ქვეყნებმა, როგორცაა კუვეიტი და საუდის არაბეთი. ეგონათ, რომ „მირაპოლისი“ რამდენიმე წელიწადში ამოიღებდა დანახარჯს, მაგრამ ეს ასე არ მოხდა. „მირაპოლისის“ ეფექტიანობის ძირითად ფაქტორად ატრაქციონთა სიმრავლე, სიახლე, მომსახურეობის მაღალი დონე და პარიზის სიახლოვე იყო მიჩნეული. ეს განსაცვიფრებელი სამყაროა და არა მარტო პატარებისათვის, მაგრამ, მისი ექსპლოატაცია საკმაოდ ძვირია, რის გამოც საშუალო სიდიდის ოჯახს (მშობლები და ორი ბავშვი) ერთდღიანი ვიზიტი, თითქმის 500-600 მარკამდე უჯდება. სწორედ ეს განაპირობებს მის არარენტაბელობას.

19. VIII. 1988. დღევანდელი პროგრამით, პარიზის ახალი მშენებლობების გაცნობაა, ე.წ. „დიდი პროექტების“ მარშრუტით. „დიდი პროექტები“ პრეზიდენტ მიტერანის არქიტექტურული პროგრამაა, ზოგიერთი კრიტიკოსის აზრით კი „პრეზიდენტის ამბიციის“ და ფარაონული მისწრაფებაა, ღმერთმა ყველა ქვეყნის პრეზიდენტს გაუჩინოს ასეთი „ამბიციის“ და „ფარაონული მისწრაფება“. ოპონენტების არ ვიცი, მაგრამ რაც ბ-ნ მიტერანს უნდოდა, თვითონვე თქვა: „ჩემი სურვილია, რომ „დიდი პროექტები“ დაგვეხმარონ ჩვენი ფესვებისა და ისტორიის შეცნობაში, მომავლის განჭვრეტასა და დამორჩილებაში. „დიდი პროექტები“ თვალნათლივ

დასაწყისი იხ. „ჩვენი მწერლობა“ №9


მონობენ იმ მუდმივ პატივმოყვარეობაზე, რომლითაც გამსჭვალულია მთელი ერა“.

პირველი ობიექტი დე-ფანსია. ის საფრანგეთის მანჰეტენია, მისი საქმიანია ცენტრი, სრულიად ახალი მასშტაბის არქიტექტურული წარმონაქმნი. სწორად მოიქცნენ ფრანგი არქიტექტორები, როდესაც ეკონომიკური აღმავლობით გამოწვეული მრავალი ახალი შენობის კონცენტრაცია მოახდინეს ერთ კვანძში – „დე ფანსია“ და ამით გადაარჩინეს პარიზის ტრადიციული სილუეტი ქაოტური ვერტიკალებისგან. ცხადია, დე-ფანსმა ნაწილობრივ შეცვალა პარიზის სილუეტი, მაგრამ არა უარესობისკენ. პირიქით, ახალი ძლიერი აქცენტი და ორიენტირი შესძინა მას, ისეთნაირად, რომ არ შელახულა ეიფელის კოშკის ჰეგემონია. ბუნებრივია, ყველას გვაინტერესებდა დანიელი არქიტექტორის ფონ ოტტო შპეკელსონის ე.წ. „დიდი თალი“, რომელიც მან მოიგო საერთაშორისო კონკურსით. ფრანგები რომ დიდი და გონიერი ერია, ეს ამ ქვეყნის მთელი ისტორიით დასტურდება, მაგრამ მე ხაზი მინდა გავუსვა მათი სიდიდის კიდევ ერთ მხარეს. ფრანგები, როგორც ისტორიულად, ასევე დღესაც თავისუფალნი არიან ეროვნული შეზღუდულობისაგან. ისინი არასდროს ზღუდავდნენ სხვა ერის შეილებს, გამოველინათ თავიანთი შესაძლებლობები. სწორედ ამ გონივრული ტოლერანტობით გახდნენ აპოლინერი, კორბუზიე, ვან გოგი, პიკასო და სხვა მრავალნი, დიდ ფრანგ პოეტად, არქიტექტორად, მხატვრად. ფრანგული კულტურა მთელი მსოფლიოს უნიჭიერესი ადამიანების მიერაა შექმნილი.

შპეკელსონის „დიდი თალს“ გზა პრეზიდენტმა დაულოცა. ტრადიციისამებრ ყოური პრეზიდენტს წარუდგენს სამ საუკეთესო პროექტს, ხოლო მათგან ერთ-ერთს ირჩევს პრეზიდენტი. ასე მოხდა ამჟამადაც. მიტერანმა ზუსტად ამოიცნო „დიდი თალი“. ის საუკეთესოთა შორის საუკეთესო იყო. ნატიფი, ელეგანტური, რაღაცნაირად ფრანგული. ჩემი პროფესიული ცხოვრება ისე წარმართა, რომ ახალგაზრდობის წლებიდან ვმონანილებობდი არა მხოლოდ შემოქმედებით, არამედ საზოგადოებრივ საქმიანობაშიც. ბუნებრივია, საქმის კურსში ვიყავი პროფესიული ცხოვრების ნიუანსებისა. ჩვენს პრაქტიკაში, არცთუ იშვიათად, იყო წინადადება არ შემოვფარგულიყავით რესპუბლიკური კონკურსებით, არამედ ჩაგვეტარებინა საკავშირო კონკურსებიც (საერთაშორისოზე არც კი ვოცნებობდით), ამას დიდი წინააღმდეგობა ხვდებოდა. – რა საჭიროა ეს? რა იცის რუსმა, უზბეკმა და ლიტველმა ქართული არქიტექტურის, იტყოდა რომელიმე უფროსი თაობის წარმომადგენელი და ამით მთავრდებოდა ყველაფერი. ეს შეუვალბი არგუმენტი იყო. მართლაც, ჩვენში არ ჩატარებულა არცერთი საკავშირო კონკურსი. რომც ჩატარებულყო, „უცხო“ ამ კონკურსში ნამდვილად ვერ გაიმარჯვებდა. როგორც ჩანს, ეს მცირერიცხოვანი ერის ფსიქოლოგიაა, თვითდაცვის ინსტინქტი. ჩვენ ვერაფრით დავარწმუნეთ საკუთარი თავი იმაში, რომ ეროვნულობა ხელგნებაში არ არის მექანიკური შედეგი დაბადების ადგილისა და ეროვნული წარმომავლობისა, რომ ის, უპირველეს ყოვლისა, მსოფლმხედველობაა, ფილოსოფია,

პოზიცია და მრწამსია. ამის ათასობით მაგალითის მოყვანა შეიძლება. პარიზის „დიდი პროექტების“ სერიიდან გარდა ლუვრის „მინის პირამიდისა“ ყველაზე საერთაშორისო კონკურსი იყო გამოცხადებული. ეს იმას როდი ნიშნავს, რომ დღეს ფრანგული არქიტექტურული აზროვნება ჩამორჩება სხვებს. მაგრამ ისიც ხომ ცხადია, 500-1000 პროექტიდან, რომლებშიც „დევს“ მთელი მსოფლიოს გამოცდილება, უფრო დიდი შანსია საუკეთესოს არჩევისა.

თვალი მივადევნოთ ბოლო 15-20 წლის პარიზის არქიტექტურულ პროცესს. პომპიდუს ცენტრის კონკურსი მოიგეს და გააშენეს ინგლისელმა რიჩარდ როჯერსმა და იტალიელმა რენძო პიანომ (1977 წ.), დე-ფანსის „დიდი თალის“ ანუ როგორც მას უწოდებენ „ფანჯარა სამყაროში“ კონკურსი მოიგო (1982 წ.) და გააშენა (1989 წ.) დანიელმა არქიტექტორმა იოჰან ოტტო შპეკელსონმა. სამწუხაროდ ის ვერ მოესწრო ამ შენობის დამთავრებას, გარდაიცვალა 1987 წლის მარტში, 58 წლის ასაკში. ორსის მუზეუმის კონკურსში გაიმარჯვა (ორსის რკინიგზის სადგურის რეკონსტრუქცია მუზეუმად) იტალიელ არქიტექტორთა ჯგუფმა ქ-ნი ჯოე აულენტის ხელმძღვანელობით (გაიხსნა 1986 წ.), ბასტილიის ოპერის კონკურსი მოიგო (1983 წ.) კანადელმა არქიტექტორმა კარლოს ოტტმა. მშენებლობა



„დედაქალაქის კარიბჭე“ (II ვარიანტი) – 2005

დამთავრდა (1986 წ.), პარკ ლა ვილეთის კონკურსი მოიგო ამერიკელმა არქიტექტორმა (წარმოშობით ფრანგმა) ბერნარდ ჩუმიმ. „ლუვრის პირამიდის“ პროექტის შესაქმნელად, პრეზიდენტმა მიტერანმა პირადად მოიწვია ამერიკელი არქიტექტორი იოჰ მინგ პეი. ეს მაგალითები კიდევ ერთხელ მინიშნებენ იმაზე, რაც ზემოთ აღვნიშნე, რომ უმთავრესია შედეგი და არა კუდაბზიკური პატივმოყვარეობა.

ლუვრის ეზოში არავის უშვებენ. აქ სამშენებლო სამუშაოები მიმდინარეობს. შესასვლელთან დაგვხვდა მშენებლობის ერთ-ერთი ხელმძღვანელი მიშელ ვინსენტი. ის იქნება ჩვენი მეგზური ახლახან აღმოჩენილ ლუვრის უძველეს მინისქვეშა გალერეებში და ლუვრის ახალი ვესტიბიულის, „ლუვრის პირამიდის“ მშენებლობაზე. დედაქალაქის ახალი შენობების მიმართ პარიზელების აზრი განსხვავებულია. არიან რადიკალური მონინაღმდეგეები (განსაკუთრებით ზოგიერთი ობიექტის მიმართ), არიან მომხრეები და არიან ნეიტრალურნიც. პარიზელების აქტიური დამოკიდებულება, განსჯა, პოლემიკა იმაზე, რაც მათ ქალაქში ხდება, ეს თავისებური ტრადიციაა. გავიხსენოთ ეიფელის კოშკის გარშემო ამტყდარი შეხლა-შემოხლა, ასევე, სულ ახლახან, პომპიდუს ცენტრის არქიტექტურით გამოწვეული დებატები. დღეს კი პარიზელების უმთავრესი „არქიტექტურული თემა“ – ლუვრის პირამიდაა. მასაც ბევრი მონინაღმდეგე ჰყავს. მართლაც, პასუხისმგებლობა დიდი იყო. წარუმატებლობის შანსი დიდად სჭარბობდა წარმატებისას, მით უმეტეს, რომ პარიზელთა აბსოლუტური უმრავლესობა წინააღმდეგი იყო რაიმე ფორმით შეხებოდნენ ლუვრს. პრეზიდენტმა მიტერანმა პირადად სთხოვა უნატიფეს არქიტექტორს ი.მ. პეის ლუვრის ეზოში „შემოსვლა“.



„როდესაც პრეზიდენტმა მიტერანმა დამირეკა ლუერის თაობაზე, ჩემი პირველი რეაქცია იყო მეთქვა მისთვის, რომ ლუერის ხელის ხლება არ შეიძლება, ის ხომ საფრანგეთის უმნიშვნელოვანესი არქიტექტურული ძეგლია. შეუძლებელია რაიმე გააკეთო მის შესაცვლელად“ – იგონებს ი.მ. პეი.

ხელისუფლება იძულებული შეიქნა საზოგადოებრივი აზრის დასაშოშინებლად წასულიყო არცთუ მცირე ხარჯებზე და 1985 წლის შემოდგომაზე მშენებლობის ადგილას აიგო ნატურალური ზომის მაკეტი, რამაც საზოგადოებრივი აზრი „პირამიდის“ სასარგებლოდ შემოაბრუნა და მშენებლობაც დაიწყო. ი.მ. პეის შუშის პირამიდა, ლუერის ეზოს ცენტრში, ეს მინისქვეშა ვესტიბიულის „ხუფია“, ძალზე ელეგანტური და ლოკოკური. ლოკოკური იმდენად, რამდენადაც მშვენივრად ასრულებს თავის პირდაპირ ფუნქციას, ამავე დროს, არ ფარავს ლუერის სასახლის არცერთ ფრაგმენტსაც კი. ქვემოთ კი ვრცელი, ქათქათა ვესტიბიულია.

20. VIII. 1988. 9.00 საათზე, ნატიფი ხელოვნების ინსტიტუტში დანიშნულია შეხვედრა მოქანდაკეებთან შარლ სემსერთან და ჟან ჰაბერთან. ორივე მშვენივრად ლაპარაკობს ინგლისურად, განსაკუთრებით შარლ სემსერი, თუმცა რა გასაკვირია, ის ხომ აშშ-ში, ფილადელფიაშია დაბადებული. ამერიკაში, ბარნის უნივერსიტეტში (პენსილვანია) მიიღო სამხატვრო განათლება და 1949 წელს, 27 წლის ასაკში გადმოვიდა საფრანგეთში საცხოვრებლად და სერჟიდან 20 კმ-ზე სოფელ ტუმბრელში დაიდო ბინა.

შეხვედრამ ორ საათზე მეტხანს გასტანა, სტუდენტებს უამრავი კითხვები ჰქონდათ ფერწერაზე, ქანდაკებაზე, პოეზიაზე, თეატრზე, პოლიტიკაზე, არქიტექტურულ პროცესებზე, განსაკუთრებით, პომპიდუს ცენტრზე, ლუერის პირამიდაზე. სტუდენტები მოთმინებით პასუხობდნენ ყველა კითხვაზე, მათ შორის მიაბიტურზეც და საკმაოდ უხერხულზეც. ოფიციალური ნაწილის შემდეგ უჩვენეს 20-20 წუთიანი ფილმები სემსერისა და ჰაბერის შემოქმედებაზე. მასპინძლებმა მე წარმადგინეს სტუმრებთან. სემსერმა სურვილი გამოთქვა ვნევეოდი მის სახელოსნოს ტუმბრელში. დასძინა, აქედან სულ რაღაც 20 კილომეტრია. მე სიამოვნებით დავთანხმდი და ქ-ნ მიშელთან ერთად დავაზუსტეთ ვიზიტის დრო – ხვალ, კვირას, 1.00 საათზე.

21. VIII. 1988. არქიტექტურული ძეგლები, რა თქმა უნდა, მნიშვნელოვანია ყოველი ქალაქისათვის, ისინი აქცენტებია, მაგრამ უმთავრესი მაინც მისი განაშენიანება და განწყობილებაა. დადინარ პონტუაზის ვინრო, დროის მიერ გაკვალულ ქუჩებში, ყოველი სახლი რაღაცით საინტერესოა. აი, მძიმედ იღება მდიდრულად ორნამენტირებული, ბრინჯაოს ბარელიეფებით მორთული სადარბაზო კარები და გგონია, რომ იქიდან გამოვლენ შენთვის კინოებიდან და ნახატებიდან კარგად ნაცნობი პერსონაჟები. არა, ამ კარებს მიღმა, ამ მაღალჭერიან რენესანსულ დარბაზებში დღევანდელი ცხოვრობს. აი, ეს ქერათმანი, მკერდმოღელი ქალბატონი შორტებში, რომელიც ამ სადარბაზოდან გამოვიდა, ამ სასახლის ბინადარია. საოცრად მომხიბვლელია ისტორიულ არქიტექტურულ ფონზე თანამედროვე ყოფა.

დღეს კვირაა, ძალიან ადრე გავედი ქალაქში, თითო-ორი კაცი დადის ქუჩაში, ორი პატარა აქვარელი გავაკეთე, სანტ მარკოუს უძველეს გოთურ ტაძარში დავესწარი დილის წირვას და მოლაპარაკების თანახმად 12.30 ს. სახლში მოვბრუნდი. ქ-ნი მიშელი და ბ-ნი ბერნარდი მანქანასთან ფუსფუსებენ, საბარგულში რაღაცეებს ალაგებენ, ხელცარიელი არ

მიდიან სტუმრად, ბ-ნ სემსერთან ჩვენთან ერთად მოდიან კორინა და ჟიულიანი. გზად სამი საკმაოდ მორბილი სოფელი გავიარეთ. ყველგან, სოფლის კომპოზიციური ცენტრი ეკლესიაა, სხვადასხვა არქიტექტურული ღირებულების და სიძველის, ეკლესიაა სოფლის განაშენიანების მასშტაბის განმსაზღვრელი, ამიტომ, ძირითადად 2-3 სართულიანი სახლები ჭარბობენ. სახლები კონცენტრირებულია კომპაქტურად, პატარა ეზოებითა და ყვავილნარებით, სახნავ-სათესი მიწები კი სოფელს გარს აკრავს, ამიტომაც სოფელს შორის 4-5 კმ დაუსახლებელია. სასოფლო სამეურნეო ტერიტორია კვადრატებადაა დაყოფილი, შიდა გზებით, სასოფლო, სამეურნეო ტექნიკის სამოძრაოდ. ბ-ნი სემსერი და მისი ბუღლოგი კლეოპატრა ჭიშკართან შემოგვეგებნენ. ვრცელი ეზო სავსეა ქანდაკებებით, სახლი-სახელოსნო მკაცრად გეომეტრიული ფორმისაა, ორმხრივი დაქანებული სახურავით და ფორტონებით. კედლები მთლიანად სურითა და ფარული, რამდენიმე ადგილას ქიშკრებს აქვთ თავი გამოყოფილი. კარმიდამო სოფლის განაპირასაა, ოდნავ შემალღებულ ადგილზე და გადაპყურებს მზესუმზირის თვალუნდენელ „პლანტაციას“, მთელი მიდამო გადაყვითლებულია. ეზოს დიდი ნაწილი ხეხილის ბაღს უჭირავს, სადაც უამრავი კურდღლები და ბაჭები დახტინ. ეტყობა კლეოპატრას ძალიან მოაბეზრეს თავი და მათ გამოშვებ სითამამეზე არავითარი რეაქცია არა აქვს.

შარლ სემსერმა პირველი ქანდაკება 1964 წელს, 42 წლის ასაკში შექმნა. მანამდე ის ცნობილი იყო როგორც ფერმწერი. ფერწერის პერიოდს უშედეგოდ არ ჩაუვლია. შეიძლება ითქვას ის ფერმწერია ქანდაკებაში, მისი პოლიქრომიული ქანდაკებების სხვაში არევა შეუძლებელია. სემსერის ქანდაკებებს ცნობადობის უმაღლესი მუხტი აქვს. აი, რას ამბობს ის თავის თავზე: „ხელოვნების ტრადიციული ფუნქცია დღესასწაულია. მე არაფერი მქონდა სადღესასწაულო. მოგვიანებით აღმოვაჩინე, რომ სასაცილო, რაც ჩემი აზრით, საკმაოდ ჰუმანური გამოვლინებაა, ჩემთვის კარგი მოტივი იყო ქანდაკებისათვის“. „ობიექტური რეალობა არ არსებობს, იგი ყოველთვის უაღრესად პირადულია. ხელოვნების ნაწარმოებში კი საერთოდ არ არსებობს რეალობა. ფოტოგრაფსაც კი, თავისი პირადული ხედვა აქვს, რაც განასხვავებს მას სხვებისაგან“. დადინარ ამ ღია ცის ქვეშ ქანდაკების მუხუშემი და ფიქრობ:

– თუ ერთი ფრაზით გინდათ სემსერის შემოქმედების არსის შეფასება ეს სამყაროს ალქმანა სატირით, გროტესკით. ისეთი გრძნობა გეუფლებათ, რომ მისი პერსონაჟები სადღაც გინახავთ, შეხვედრიხართ, ვილაცას გაგონებთ („თალითი“, „ბალერინა“, „მოკრივე“, „მაცდური“, „ლოთი“ და სხვა).

– სემსერი თავის შემოქმედებაში აღწევს განუსაზღვრელ თავისუფლებას და პირობითობას. მას ხელოვნების ისტორია არაფერს არ ავაღდებულებს, მას თავისი გზა აქვს, საკუთარი ფილოსოფია, საკუთარი ხედვა.

– მისი პერსონაჟები სასაცილოები არიან, ზოგჯერ საცოდავებიც, ხანაც უმწიფონიც, რეალურნიც და არარეალურნიც.

– სემსერის ქანდაკებებში არის რაღაც ისეთი, რაც გვიადვილებს ცხოვრებას.

– სემსერის კომპოზიციები, სიუჟეტები ერთი შეხედვით მარტივია, მაგრამ მხოლოდ ერთი შეხედვით.

ქანდაკებების ძირითადი მასალა პოლიქრომიული ბეტონია, კომპოზიციის თითოეული ნაწილი ცალკეა ჩამოსხმული და შემდეგ აწყობილი, სემსერმა დაამუშავა ქდობის სპეციალური დეტალი უფანგავი ფოლადისაგან, მოქანდაკეს, ხშირად, თავის კომპოზიციებში შეაქვს რეალური საყოფაცხოვრებო საგნები. არცთუ იშვიათად, მთელი კომპოზიცია, მისი მასშტაბი ამ რეალურ საგანზეა მორგებული. სემსერი ზოგი-

## ფიქრები

ერთ თავის კომპოზიციას ამრავალფეროვნებს დეკორატიული მცენარეებით. ახლა მოვუსმინოთ ხელოვნებათმცოდნე კარელინ კორს (1984 წელი). „თუ დამჭირდება ჩემი ეპოქის მხოლოდ ორი ქანდაკების შენახვა, მე ყოველგვარი ყოყმანის გარეშე, ამოვირჩევდი ჯაკომეტის და სემსერს!“

როდესაც 1967 წელს მე შარლ სემსერის ნამუშევარი ვიხილე – ეს იყო შოკი, ახალი დაბადება. ეს შოკი გრძელდება ჩემში, მისი ძალა მე მაძლიერებს, მისი თავზედობა მე მანცვიფრებს, მისი პერსონაჟები ჩემში ჟრჟოლას ინვევენ, მაგრამ მართობენ კიდევაც. ეს თეატრა? მიუხედავად ყველაფრისა, საფუძვლიანად ეს თეატრა. იგი მუდმივ ძიებაშია.

ქარივით თავისუფალია.

შეხედეთ მის ქანდაკებებს, როგორც აბსტრაქტულ ფორმებს,

რომლებიც სიცარიელეს ეთამაშებიან,

კუნთებიანნი,

უცნაურნი,

თავიანთი საზეიმო იერით, ისინი სკდებიან ჯანმრთელობისგან!

ფენომენალური შარლ!

მე თქვენი ფანატიკოსი ვარ სამუდამოდ!

ქ-ნმა მიშელმა და კორინამ სუფრა ტერასაზე გაშალეს, ხოლო ბ-ნი ბერნარდი მაყალის გაღვივებას შეუდგა. ამინდი ზომიერად თბილია, მზე კი ცელქობს, ხან ღრუბლებში იმალება, ხანაც აცხუნებს. ბ-ნი სემსერი იბოდიშებს, მეუღლე სამი დღის წინათ პარიზს გაემგზავრა, ყვავილებია მისახედო. საუბრის თემა ფართია, მედიცინა, ხელოვნება, ეროვ-

ნული ფსიქოლოგია (ამერიკელები, ფრანგები, გერმანელები, ინგლისელები, ჩინელები, რუსები, იაპონელები) როგორც ვატყობ, ეს საკითხი ბ-ნ შარლის მეორე პროფესიაა, ბევრიც აქვს ნაკითხული და ბევრიც უმოგზაურია. ჩამავალმა მზემ ახალი დიდებულებით წარმოადგინა მზესუმზირის ველი. ბ-ნი სემსერი ყანებში გასეირნებას გვთავაზობს, ეზოდან, ვინრო ბილიკით ფერდობზე დავეშვიტ. სასოფლო-სამეურნეო მანქანების მიერ გაკვალულ ამ სტრიტებსა და ავენიუმზე ხალხი დასეირნობს, უმეტესობა ეროვნულ კოსტუმებშია გამოწყობილი. იქნებ რაიმე ხალხური დღესასწაულია? არა, ეს ტრადიციაა.

– რა ჰქვია ქართულად მზესუმზირას? მეკითხება ბატონი სემსერი, მზეს უმზერს-მეთქი, ზუსტად იგივეა ფრანგულადაც, შემდეგ ხელი შემავსებლა, ჯინჭრის ბუჩქებს ამარიდა, საშინელი მცენარეაო, ციდან ჩამოფრენილი ვგონივარ, ჩემს სოფელში ამის პლანტაციებია, სოფლელები ინდაურის საკვებად იყენებენ-მეთქი. ეს კი ნამდვილად გაუკვირდა. სეირნობამ ერთ საათზე მეტხანს გასტანა, შესალამოვდა, აგრილდა. სახელოსნოში გადავიწვინაცვალეთ. სახელოსნოს ცენტრში ძველებური მაგიდა დგას. კედლებზე მოქანდაკის ადრინდელი ფერწერა, გრაფიკული ფურცლები და საოჯახო ფოტოებია გამოფენილი. ბ-ნმა შარლმა თავისი ალბომიდან ერთ-ერთი მისი ცნობილი ქანდაკების „ცხოვრების სიხარულის“ ტუშით შესრულებული ესკიზი ამოიღო, საავტორო წარწერა გაუკეთა და საჩუქრად გადმომცა. ეს დიდი მოულოდნელობა იყო. ღამის განათებაზე ეზო და ქანდაკებები ახლებურად აჟღერდა, ზღაპრული სამყაროა, სავეს სასაცილო პერსონაჟებითა და ცხოველებით.

## პრიტიკა

მაია ჯალიაშვილი

# ლექსები – ანთიბული სანთლები

\*

ფიქრები  
გიორგი ლოპხანიძის  
პოეზიაზე

როგორ შეიძლება დაუდგრომელ დროს გამოსტაცო ძვირფასი ნუთები, სიხარულითა თუ ტკივილით აღბეჭდილი, ნუთები, რომლებიც ოდესღაც განცდილსაც იტყვენ, ანმყოსაც აფერადებენ, ამდიდრებენ და მომავალსაც სინათლით ავსებენ. გიორგი ლოპხანიძემ ამ სასწაულისთვის სიტყვები აირჩია. თავისი ცხოვრება პოეზიას შეაფარა, შთაბეჭდილებანი და გამოცდილებები, სიყვარული, სინანული, სიმართლე თუ უსამართლობა, შეცდომები და გამარჯვებანი ლექსებში

დააუნჯა. ეს არის მისი ყველაზე ძვირფასი ქონებაცა და საგზალიც მარადიულობის გზაზე. გიორგის ლექსები ანთებულ სანთლებს ჰგვანან, რომლებიც რწმენის, სიკეთისა და სიყვარულისთვის განგანყოფენ, წარმავალს წამიერად მოიხელოებენ, მის სურნელსა და სიტკბობას განგაცდევინებენ და სულსა, გულსა და გონებაში აღბეჭდავენ ულამაზეს სურათს: „ბაბუანვერების თაიგულს“, ასე ჰქვია მის კრებულს, რომელიც 2004 წელს გამოსცა. ბაბუანვერების თაიგულს რეალობაში ვერ შეკრავ, რადგან ოდნავ მიკარებაზე, შერხევასა თუ უბრალო ამოსუნთქვაზე გაიფანტებიან. ეს თაიგული მხოლოდ წარმოსახვაში ან ნახატზე. ეს არის არაჩვეულებრივად ნაზი და ლამაზი სიმბოლო პოეზიისა, რომელიც ასეთივე ფაქიზია და მხოლოდ ოცნებაში მოსახელთებელი. პოეზიის შექმნა და განცდა ღვთისგან ადამიანისთვის მონიჭებული ყველაზე მნიშვნელოვანი უნარია, რომლის ძალითაც ცხოვრების ამოება დაიძლევა, მახინჯი მშვენიერდება და წარმავალი მარადიულობის საბურველში ეხვევა. ამ თაიგულის თითოეული ბაბუანვერა პოეტის განვლილი და გასავლელი დღეებია. ამ თაიგულს პოეტი მკითხველს უძღვნის და ხდება სასწაული, ხელში გიჭირავს ბაბუანვერების თაიგული, კითხულობ სტრიქონებს, რომლებიც ბუსუსებივით იფანტებიან, მაგრამ არ ქრებიან. ეს ბუსუსები ფიქრებია, რომელიც ლექსების კითხვისას ჩნდება. კრებულში ამ სახელწოდების ლექსიცაა, რომლითაც მთავრდება წიგნი. ლექსში ჩანს გულწრფელი და დაუჩოქებელი პოეტი, რომელსაც სიამაყე უშლის, ბრბოს კაცად იქცეს და გადაქელოს ლამაზი და სათუთი. მან იცის:

**ნუ გეგონება-  
ცეცხლია ტრფობა.  
იგი უფერო ბაბუნაწვერას თაიგულია,  
არ შეცდე: სული არ შეუბერო!**

ნიგნში გიორგი ლობჯანიძის ორი ადრინდელი კრებულ-ცაა შეტანილი (1991 წ. გამოცემული „ობლის კვერი“ და 1997 წ. გამოცემული „დუღილის ტემპერატურა“) და ბოლო 1997–2004 წლებში დაწერილი ლექსები საერთო სახელწოდებით „ჩრდილები შუადღისას“. ნიგნს წამძღვარებული აქვს ოთარ ჩხეიძის წერილი „გიორგის ნიგნი“. ეს არის თბილი და სიყვარულით სავსე გამომხმარება გიორგის „დუღილის ტემპერატურაზე“. „მეამაყება, რომ ოთარ ჩხეიძის რანგის მწერალმა ჩემი ლექსებისთვისაც მოი-ცალო“, – მაღლიერებით აღნიშნავს გიორგი. ამ სიტყვებში გამოსჭვივის მისთვის ჩვეული თავმდაბლობა, თუმცა საკმაოდ ახალგაზრდას, უკვე ბევრი რამ აქვს გაკეთებული სალიტერატურო საქმეში, ყველასთვის ცნობილია მისი ჩინებული თარგმანები და წერილები.

მართალია, გიორგის თავისი ძველი ლექსები „გულუბრყვილოდ“ ეჩვენება და თითქოს თავს იმართლებს მკითხველის წინაშე, ერთად იმიტომ მოვუყარე თავი ყველაფერს, რომ „საკუთარი ნაწერებისთვის თვალი გადამეწლო“, მაგრამ ესეც თავმდაბლობის გამოხატულებაა, თორემ „ობლის კვერის“ გულუბრყვილობა ის ღვთაებრივი თვისებაა, რომელიც მხოლოდ ჭეშმარიტ პოეტებს ახასიათებთ. ეს გულუბრყვილობა გიორგის პოეზიის ღირსებაა, რომელსაც დღემდე ინარჩუნებს. მისი ლექსების ეს გულუბრყვილობა უპირველესად მხატვრულ სახეთა ერთგვარ სისუფთავესა და გამჭვირვალეობაში მჟღავნდება. ის აღარ არის ბავშვი, მაგრამ სამყაროს მისიული აღქმა მაინც წმინდაა და უშუალო. სწორედ ამიტომაც ახერხებს იგი გონებისთვის მიუწვდომელი საიდუმლოებების პოეტურ ხატებში მოხელთებას. ამიტომაც მაგონებენ მისი ლექსები ანთებულ სანთლებს, რომლებიც არა მხოლოდ ღამეში ანათებენ, არამედ დღისითაც, რადგან მათ მხოლოდ ფიზიკური სიბნელის გარღვევა კი არ შეუძლიათ, არამედ, უპირველესად, სულიერი წყვდიადისა. ამ წყვდიადს კი ქმნის ნაცრისფერი ყოველდღიურობა, რომელიც ადამიანის თვალსა და ყურს საგნებისა და მოვლენების ზედაპირისკენ მიმართავს და მათ მიღმა გადახედვას აბრკოლებს. ეს ლექსები კი სწორედ იმ „მიღმურს“, პირველქმნილსა და შეურყვანელს მიანათებენ, რათა მკითხველმა იგრძნოს მარადისობასთან შენება, ეზიაროს რაღაცას ისეთს, რაც, მართალია, სიტყვით სრულყოფილად ვერ გამოითქმება, მაგრამ მხოლოდ სიტყვის საშუალებით განიცდება.

„ობლის კვერში“ პოეტის მზერა გარეთ არის მიმართული, თითქოს ნელ–ნელა, ნაბიჯ–ნაბიჯ ითვისებს სამყაროს და ხვდება თავის გამორჩეულობას, რადგან პოეტია და ამიტომ „ზეცის მოწაფე“. მზე, მთვარე და ვარსკვლავები მისი „თანაკლასელები“, რომლებიც კარნახობენ, რადგან მასზე ბევრად მეტი იცანა. გიორგი ახლაც „ზეცის მოწაფელა“, რადგან ეს არის მისი ბედისწერა და ახლაც ზეცის მეგობართა კარნახით წერს.



გიორგი ლობჯანიძე

პირველ კრებულში არის „გაოცებები“ და ბუნების საიდუმლოთა ჩანვდომის წყურვილი. გარემო პოეტისთვის მშობლიურია და სულიერი, უფრო მეტადაც, ვიდრე ადამიანური, რადგან პირველში მეტია სილამაზე: „რას ეუბნება ქარი ზღვას ისეთს, უმალ გრუზა თმას შიშისა და მოულოდნელობისაგან ყალყზე რომ უყენებს?“.

ქარი, ზღვა, ვარსკვლავები მისი ახლობლები არიან, რომელთა შესახებაც უფრო მეტი სურს გაიგოს, ისინიც არ ღალატობენ და თვითონვე უყვებიან. პოეტი იმისკენ კი არ ისწრაფვის, რომ ზეცა მინაზე „ჩამოიტანოს“, პირიქით, ადამიანურსაც რაღაც ბუნების-მაგვარი მიანიჭოს, ამიტომაც ისინი „ფშაური ფარდაგებივით ჭრელაჭრულა ამბებად“ იქცევიან. ეს ლექსები გვახსენებენ ბარათაშვილისეულ „არს ენა რამ საიდუმლო უსაკოთაც და უსულთ შორის და უცხოველეს სხვათა ენათა არს მნიშვნელობა მათი საუბრის“. გიორგის ამ ენის მოსმენა და გაგება სურს, ამიტომაც განერიდება ყოველდღიურსა და ნაცნობს: „თქვენ როგორ ფიქრობთ, ლურჯი ცის ტატნობს სხვაფერი კაბა მოუხდებოდა?“ ამგვარი რიტორიკული შეკითხვებით სავსეა მისი პოეზია. ის მკითხველს მხოლოდ იმაში არწმუნებს, რომ: „ყანაში ყაყაჩო – ივლისის განაჩენია“, ან კიდევ „ყაყაჩოებს გახელილ თვალეში ესხმებათ წვიმა“. აქ თითქოს თვითონაც ერთი ყაყაჩოთაგანია და მათთან ერთად განიცდის შხაბუნა წვიმის მაცოცხლებელ სიგრილეს. მას უფრო მეტად აინტერესებს, რას ფიქრობს შეშინებული კურდღელი, ვიდრე ადამიანი, მასზე მონადირე.

ამ ლექსებში სწორედ ღვთაებრივი უშუალობით არის განცდილი, რომ ნოეს კიდობანი „გვირილისთვალეა მინდორია“, რომელიც „კლდეებს ჩაჰყვავა, მერე სიპზე ფეხი დაუცდა და... მდინარეში გადავარდა“. ტალღებზე აგორებული მისი სხეული, დღეს უკვე სიმბოლო ეკოლოგიური კატასტროფებისა, თუ არ გადარჩება, მაშინ ადამიანაც დაიღუპება. თუმცა ლექსს ისეთი ძლიერი რწმენა გამსჭვალავს, მკითხველიც შვებით ამოისუნთქავს: „რაკი კიდობანს ვამსგავსე, უსათუვე გადარჩებოდა, თავისი ღვთაურმუქფენილი ხიზნებით – უმწყო გვირილებით და ყაყაჩოებით“.

ეს პოეტური მზერა არ არის მხოლოდ ემოციურ-ესთეტიკური, არამედ ფილოსოფიურიც. ამ ლექსთა სტრიქონებში აზრი და ემოცია ერთმანეთს ერწყმის, როგორც ელიოტი იტყოდა და, იბადება რაღაც უჩვეულო, იქსოვება სამყარო, რომელიც მკითხველს რეალობიდან სწყვეტს და აგრძნობინებს: „ფერები უკვე გადაღლილან მიწიერებით და სადაცაა, წმინდანებით ზეცისკენ გაფრინდებიან“.

ერთ ლექში აქლემის სახე იხატება. აქ არის პოეტური გადაჭახილი გრიგოლ რობაქიძის მიერ დახატულ აქლემ ბეხანთან. გიორგისთვის აქლემი „უდაბნოეთის მშვიდი ხიზანია“, რომლის ნალველიც „მექარავენთა მზერის სიღრმეშია ჩამარხული“. „თავისუფლებას გამოიხსნი გზაში დავარდნი და მერე მარტოს, სიცხისა და ქარის ამარა მიგატოვებენ“. თავისუფლება დიდი მსხვერპლით, სიცოცხლის შეწირვით მოიპოვება. ამ „მიტოვებულობაში“ არის დიდი სევდა და ნალველი. ადამიანი ხომ ხშირად დგება ამგვარი არჩევანის წინაშე: თავისუფლება, ანუ მარტოობა თუ უღელი, ანუ საზოგადოებაში

ყოფნა, თუმცა ადამიანი სულიერად მაინც ყოველთვის მარტოა, ამიტომაც რჩეულნი მუდამ თავისუფლებას ირჩევენ. გიორგი თავისუფლებას პოეზიით მოიპოვებს. გრიგოლ რობაქიძის ბეხანიც გზაში ვარდება: „კლდეებში კვდება აქლემი ბეხან-დავარდნილი-მიტოვებული“ („გველის პერანგი“). აქლემი მწერალმა მარადმედინი ცხოვრების სიმბოლოდ აქცია: „და უშნო ცოხნით ოდეს ერთვი მელანქოლიას – დორბლიან ტუჩზე გიობდება სამყაროს დარდი“ („გველის პერანგი“). სხვაგან გიორგი პირდაპირ ახსენებს ბეხანს: „შემრჩა ბეხანის მოხრილი კუზი, ქვეყნიერების დარდის დამტევი“.

საგულისხმოა, რომ პოეტი ფიქრებს აღიქვამს, როგორც ხაროს, საიდანაც ამოაღწევს ლექსით. მითოლოგიურ-პოეტური თუ რელიგიური ტრადიციით, ხარო სიმბოლოა ადამიანური ვნებებისა და ცოდვებისა. პოეზიის გზით ხაროდან ამოსვლა (გურამიშვილმა „მტერი იმით მოიგერა“) ყველაზე ნაცნობია ქართველი მკითხველისთვის, ამ შემთხვევაშიც, გიორგი ამ ტრადიციას ეხმარება. ხაროს თავდაღწეული პოეტი დედამიწისკენ ფანტელივით მოიხარის, ე.ი. თვითონ უკვე განწმენდილი ლექსებში გამოთქმული აღსარებებით ახლა სხვათა საშუალებით მოსაწარავის. თოვლი ხომ სინმინდისა და უმანკოების სახეა. ფანტელები ფარავენ მახინჯსა და ჭუჭყიანს და სისპეტაკით მოსავენ ყოველივეს. პოეტიც თავისი ლექსებით, წარმოსახვებით განწმენდს სამყაროს, გააკეთილშობილებს და მკითხველსაც განაცდევინებს ამ „კათარზისს“.

გიორგის ყოველი ლექსი ახლოს მოდის შენტან, თითქოს შენს სათქმელს ამბობს, შენს ტკივილსა და სინანულს გამოხატავს, მგრძნობიარედ ათროლოებს სულის სიმებს, ყოველი ლექსი აღგძრავს ფიქრისთვის, სიხარულისა თუ ნაღველისთვის.

**მე გავიხდი სხეულს,  
იგია კვართი სიცრუისა,  
ძალას რომ მართმევს,  
იგია კვართი არაფრობისა,  
და კიდევ იმის,  
რასაც ვერავის ვერ გაუმხელ...**

ვერავის გაუმხელ, რადგან აღარ გყავს დედა, რომელიც პოეტის „სევდიანი თვალების იქით“ მოჩანს შვილისკენ ხელგანწვდილი. პოეტი „იხდის სხეულს“, რათა კვლავ ჩაეკრას დედას თბილ მკერდში და იგრძნოს, რომ მარტო არაა. სტრიქონთა გაუქარვებელ ტკივილში შემოიჭრება ბიბლიური მოტივები. ეს ყველაზე მძაფრია პოემა „ბრმა ჩიტებში“, სადაც ადამიანის სამოთხიდან გამოდევნა ფრთების დაჭრად და დაბრმავებად გაიაზრება. „მაშინ სხვა იყო, მაშინ სხვა იყო, მაშინ მე ღმერთთან ახლოს ვიყავი“. „ბრმა ჩიტები“ მარტოობისა და ტკივილის ლაბირინთებში ამაოდ მოხეტიალე ადამიანების სიმბოლოა. დაკარგული ედემი მხოლოდ სიყვარულით მოიპოვება, თუმცა ევა, იგივე ცხოვრება, ყოველთვის „გარეთ“ უბიძგებს ადამიანს, ამიტომ პოეტს „ბნელ ახლაში“ ყოფნას „სიზმრების დრო“ ურჩევნია, სადაც ირღვევა სამყაროს კანონზომიერებანი და მხოლოდ მის ნებაზეა ვინმეს სიკვდილი თუ სიცოცხლე. „ბრმა ჩიტებში“ არის წყურვილი ხელახლა შობისა, „ძველი“ ცხოვრებისაგან უკვე შეღახული „მეს“ სიკვდილისა. ამიტომ ჩნდება ასეთი უჩვეულო და შთაბეჭქდავი პოეტური ხატი პოემის ბოლოს: „და დედაჩემი – ჩემზე ორსული – ჩემს საფლავს იებს აწყობს გულგრილად“.

სამოთხეში დაბრუნებისა და ხელახლა შობის წყურვილი კიდევ ერთი ზღაპრულ-მითოლოგიური სახის, ფასკუნჯის, პოეტური ვარიაციით არის გამოხატული. გიორგი ლექსში

ქმნის ფასკუნჯის თავისებურ მითოპოეტურ სახეს. თითქოს პარადოქსი ჩნდება. ცხოვრება ფასკუნჯია, რომელიც, ერთდროულად, თან აშორებს სინათლეს, მაგრამ თანვე მხოლოდ მისი გზით შეიძლება წყვდიადიდან გაღწევა:

**ვზივარ შენს მხრებზე  
და მიფვრინავ სინათლისაკენ,  
იმ უხილავი მიჯნისაკენ,  
რომლის იქითაც დაიწყება მარადისობა...  
ვზივარ შენს მხრებზე,  
და რამდენჯერაც თავს მოიბრუნებ,  
იმდენჯერ თბილ ლექსს გაჩრი ხახაში,  
რათა თავი გადავირჩინო.**

თბილი ლექსები, როგორც პოეტის არსების, მისი სიცოცხლის ნაწილები, მსხვერპლია მარადიული სინათლისკენ გზაზე. ამ პოეტურ ხატში გიორგიმ ჩაატია შემოქმედის მიერ გაღებული უდიდესი ტანჯვით მოგვრილი სიხარულიც და გადარჩენის რწმენაც, რომელიც მისთვის მხოლოდ პოეზიით ხორციელდება.

პოეტის მზერა სულისკენ ჩაღრმავდება და სამყაროს სილამაზეებს გადასწონის ცხოვრების ჭუჭყი და მისგან თავდაღწევის წყურვილი. ლექსების მთავარი მოტივიც ხსნის ძიება ხდება, ჩნდება ღვთისა და ნშიდა გიორგის სახეები:

**დიდება შენდა!  
შენ ერთს მიგენდე,  
შენ თუ მიმიყვან არსთამრიგემდე.**

გიორგის ლექსებში, რომლებიც 90-იან წლებშია დაწერილი, თუმცა პირდაპირ არ იხატება დრო, მაგრამ იგრძნობა ის კვალი, რომელიც მაშინდელმა სისხლიანმა მოვლენებმა პოეტის სულზე ალბეჭდეს. მოჩანს მაშინდელი გულგრილობა, შუღლი და გაუტანლობა. თითქოს იესო ხელახლა ეცმება ჯვარს:

**ეს იყო მაშინ, როცა ჩვენ უკვე  
ერთმანეთისა აღარ გვჯეროდა.**

პოეტს ეუფლება არარაობის გამანადგურებელი განცდა და დავით მეფსალმუნესავით იმეორებს: „მეუფევე ჩემო, მატლ ვარ, არა კაც“, „დარღვეულია ღმერთთან კავშირი“ და გრძნობს პოეტი დამოილ სამყაროსა და დახლებილ „მეს“ მხოლოდ „სიყვარული გამთლიანებს“.

„ობლის კვერის“ ბოლო ლექსები სრულყოფილად ამხელენ პოეტის დაბზარული სულის ტკივილს, რომელიც მთელ კოსმოსს სწვდება, მასაც შლის და ანგრევს:

**რადგან მზე – მიწის მოჭრილი თავი –  
გასისხლულა და კვდება ხარივით**

ან კიდევ:

**მე ზმანებაზე უხმოდ დამაკლეს  
და საკუთარ თავს ვუხდი პარაკლისს.**

ამ პირქუშ სტრიქონებში გადაძახილია „აბოს წამების“ იმ პასაჟთან, წმინდანი საკუთარ სხეულს ცხედარივით რომ მისდევს და ას მეთვრამეტე ფსალმუნს უგალობს. ეს არის გამომწვიდობება ღვთაებრივ გულუბრყვილობასთან, რადგან „ზღაპრებშიც ათასჯერ მომკლეს“ და ხორციელი ობლობა

მძიმდება უფრო მტანჯველი და უკურნებელი სულიერი ობ-  
ლობით: „მწუხრის ღვთაების საგალობლებით ხეები დგანან,  
როგორც ობლები“.

„დუღილის ტემპერატურაში“ უფრო მეტი დიალოგებია  
საკუთარ სულთან. პირველ კრებულში პოეტი მეტს „ურთი-  
ერთობდა“ გარე სამყაროსთან, ახლა კი მისი მზერა მთლიან-  
ნად სულში ჩაპირქვავდა. ხსნისა და გადარჩენის მოტივები  
აქაც მთავარია, მაგრამ იგრძნობა „ახალი ტკივილები“. შეძ-  
ლებს კი ამ ქვეყანაზე თავისი არსებობა რაიმეთი გაამარ-  
თლოს? „ვარ დაუწერლად დაქმუჭნული თეთრი ქალაღი“. სიტყვები ვერ იტევენ გამოსათქმელს, „რადგან სათქმელი –  
მოგიზგიზე არყოფნის ცეცხლით – მკვდარი სიტყვების სიცი-  
ვეში ვერ ჩაეტია“. ერთი შეხედვით, არაპოეტურად შეიძლება  
მოგვეჩვენოს კრებულის სახელწოდება, მაგრამ გიორგი, რო-  
გორც ნამდვილ პოეტს შეეფერება, პროზას დაძლევს პოეზი-  
ით და ერთი შეხედვით არაპოეტურ სიტყვებს, მაგალითად,  
„დუღილსა“ და „ტემპერატურას“ პოეტურ ხატად აქცევს.  
კრებულში არის ამ სახელწოდების ლექსი, სადაც ნახსენებია  
„შეკავებული ცრემლების დუღილი“ – საოცარი და ტევადი  
სახე შინაგანი მღელვარებისა, ტკივილისა, მწვერვალს რომ  
აღწევს. „მდულარე ცრემლები“ ნაცნობი პოეტური სახეა,  
უპირველესად, „გეფხისტყაოსნის“ მდულარე ცრემლებით  
მოტირალი გმირები გვახსენდება, მაგრამ „ცრემლების დუ-  
ღილი“ თითქოს დინამიკაში წარმოაჩენს დუღილს. მდულარე  
სტატიკურია, მას ცეცხლი აღარ აქვს შენთებული, დუღილი-  
სას კი ცეცხლი ჯერ კიდევ ანთია და ტკივილიც კი არ ყუჩდე-  
ბა, არამედ, პირიქით, მძაფრდება. ლექსში სასონარკვეთის  
ზღვარზე მისული პოეტი იხატება, რომელსაც „უიმედობის  
სუსხი და ავდარი“ სტანჯავს, არადა სიცოცხლე სწყურია,  
რადგან „ღამის ალუბალს ჩამოტეხილი სიზმრების ტოტი“ ახ-  
ვევს თავბრუს, მაგრამ მაინც მზად არის, „ფანჯრიდან გადახ-  
ტეს“. დუღილის ტემპერატურა შეიძლება ცხოვრების მეტა-  
ფორადაც გავიაზროთ, შინაგანი წვის სიმბოლოდაც. თუ არ  
დაინვი, ვერც დაინახავ („რაც არ იწვის, არ ანათებს“ – აკაკი.  
სულხან-საბა ღმერთის განმარტავდა, როგორც „წვასა და  
ხედვას“). მთავარია გაუძლოს ამ ტემპერატურას და გადარჩე-  
ვადი ტემპერატურა ხომ სხეულის ბრძოლაზე მიუთითებს.  
გადარჩენისთვის კი უპირველესი ნამალი სიყვარულია, რო-  
მელიც ყველა ამქვეყნიურ საზრუნავს აფერმკრთალავს: „რა  
პატარა ჩანს ეს ქვეყანა, როცა სიყვარულს ფრთამოხატული  
ბუმბულივით მიჰყავხარ ზემოთ“.

პოეტს სურვილი აქვს, მის ღია კარშიც შემოვიდეს ის, ვი-  
საც ეკუთვნის ადამიანთა გულის გასაღებები. პოეტი წუხს,  
რომ მისი ოთახი, ე.ი. მთელი მისი არსება, საესე არ არის  
თვალ-მარგალიტით, ე.ი. მადლით, სასოებით, რწმენით, ფან-  
ჯარაზე ქოთანში უბრალო ბალბა მხოლოდ, მაგრამ:

**ეგებ ჩემში შემოსვლაც ღირდეს,  
ერთი უმწეო, სუსტი ბაღბის გადასარჩენად.**

ეს დაეჭვება კარგად ამხელს, რომ ცხოვრების გაძლება  
მადლის გარეშე შეუძლებელია. რწმენის გარეშე ადამიანი ცა-  
რიელდება და სასიცოცხლო ძალებისგან იცლება, სუსტდება.  
ცხოვრების კრეტსაბმელის იქით „უფლის დანახვა“ რჩეულთა  
ხვედრია, მაგრამ ადამიანს ღვთის შეწევნით შეუძლია ამგვარ  
რჩეულად ქცევა. მამ, რა უმლის ხელს რომ მთლიანად ზეცას  
მიენდოს? პოეტი ქმნის საკუთარი მეს, როგორც მთაზე ამავე-  
ლი კაცის სახეს, რომელსაც უჭირს ზემოთ სიარული, რადგან  
მოვალეობის თოკზე ჩაბმული ჰყავს ყველა, „ვინც უყვარს“. მთაზე ასვლა ხომ ტრადიციულად უფლისკენ სვლაზე მიაინი-

ნებს. რა აბრკოლებს პოეტს? „მაგრამ მიყვარდით და მე ეს თო-  
კი დღემდე ამიტომ ვერ გადავჭერი“. აკაკის „აღმართ-აღ-  
მართ“ გაგვახსენდა. იქაც პოეტი მთიდან ეშვება, რადგან „სატ-  
რფო“ ქვემოთაა და მარტო კი მწვერვალზე „თავს ვერ გრძნობს  
ნეტარად“. ქალაქი პოეტს ყველაზე მძიმე განსაცდელად წარ-  
მოუდგება, უდაბურებისა და ქაოსის სივრცედ, რომელიც

**თითქოს ცეცხლზე შედგმული  
კუპრის ქვაბია,  
აქ თუ მოხვედი, აქ უნდა მოკვდი,  
ამ ქალაქს ერთი კარი აბია.**

ეს არის გამოუვალი უსაშველობის განცდა. ამ ლექსებში  
ღვთისკენ სწრაფვა, სიშორის სევდა უღამაზეს პოეტურ  
სტრიქონებადაა ქცეული. სხვა მრავალ სიმბოლოსთან ერ-  
თად, პოეტი ქმნის ჭინჭრის, როგორც ცოდვის სიმბოლოსაც:  
„ჩემი ყოფის ციხის ნაშალთან, რომ საკუთარი თავი ვგლიჯო,  
როგორც ჭინჭარი“. „დუღილის ტემპერატურაში“, მართლაც,  
უმძაფრესად არის წარმოჩენილი ცხოვრების დუღილი და  
ტანჯვის ნამდვილი თუ ყალბი გრიმასები. ლექსებში გამუდ-  
მებით შეიგრძნობა დაწყვეტამდე მისული სულის სიმების  
ხმოვანება. პოეტი საკუთარ თავს ადანაშაულებს, რა თქმა  
უნდა, რწმენის სისუსტესა თუ მადლის ნაკლებობაში, ამიტო-  
მაც „მეს“ ხატავს, როგორც ნავაგასყრელს. ამ სახეში იგ-  
რძნობა გაუცხოება სამყაროსგან, მისი აგრესიულობა, თუმ-  
ცა პოეტი თავს მოხვეულ ჭუჭყსა და სიმახინჯეს არ ეგუება  
და სჯერა „ჩემი თავიდან ამოხეეთქო ალუბლის ყლორტი“. აქ  
ალუბლის ყლორტის ერთგვარად გაცვეთილი ხატება ნედ-  
ლდება და ახალი ემოციურ-აზრობრივი სინათლით იმოსება,  
რადგან ახალ პოეტურ კონტექსტში ნებისმიერი სიტყვა თუ  
ნაცადი სახეები ახლებურად იმუხტებიან და განსხვავებუ-  
ლად იხატებიან.

ამ ლექსებში არის ერთგვარი გამამხნეველი შეძახილე-  
ბი საკუთარი თავისთვის, რათა უხინჯოდ გაუძლოს ყოფის  
სისასტიკეს. პოეტის გაორება, გასამება თუ მრავალ „მედ“  
დაშლა, მათ შორის გამართული დიალოგები, კონფლიქტები  
საინტერესოდ წარმოაჩენენ პოეტის შინაგან ბრძოლებს, შე-  
გუებებსა და წინააღმდეგობებს, გამარჯვებებსა და დამარ-  
ცხებებს. ეს დაშლილი მეები, როგორც სარკეები, ისე აირეკ-  
ლავენ ცხოვრებას, წარმავლობასა თუ მარადისობას. პოეტს  
არწივისა შურს და არა ხნარცვისა, რადგან ურჩობაში სულის  
ამოხდომა ურჩენია მორჩილებას, თუმცა ამან შეიძლება  
ახალი ტკივილები შემატოს. მას კი ის ეიმედება, რომ

**ხომ დამტიროდა ნეკერჩხალი  
მეგობარივით  
ტოტებზე ჩუმად შემონახულ წვიმის წკაპუნით.**

აქაც გაისმის რუსთველისეული „თუ სანუთრომან დამამ-  
ხოს“ გამძაფრებული ბარათაშვილისეული „მივალალებენ  
სვავნი მყივარნი“. მარტოობას პოეტი განიცდის, როგორც  
ჯვარცმას: „მე ვარ კედელზე დარჩენილი ძველი საათი, ვარ  
საკუთარი მარტოობის ჯვარზე გაკრული“. ამან გაგვახსენა  
ვალერიან გაფრინდაშვილის სტრიქონები: „ვარ მარტოობის  
ჯვარზე გაკრული, მხოლოდ ღამეა ჩემი სტუმარი“.

გიორგის პოეზია ექსპრესიონისტულ ლირიკას მოგვაგო-  
ნებს. საზოგადოდ, პოეტის ნებისმიერ წარჩობილ ჩასმა უსარგებ-  
ლო შრომაა, ყოველ შემთხვევაში, პოეტს არაფერს ჰმატებს,  
თუმცა კრიტიკოსს კი სახეთა ინტერპერტაციის ახალ საშუა-  
ლებებს უქმნის. ექსპრესიონისტი ლირიკოსები უბრალოდ კი

არ ასახავდნენ საგანს, ან პირველ შთაბეჭდილებას, არამედ მათ სურდათ „სულიერი გარდაქმნა და ფერისცვალება საგანთა. ექსპრესიონიზმი ზედმინეწი აქტიურია. საჭიროა ქაოსის დაძლევა, ამიტომ აუცილებელია პათეტიკური მისვლა საგნებთან, რომ მოვიტაცოთ ისინი ქაოსიდან“ (ვალერიან გაფრინდაშვილი). გიორგის ლექსებში შეიგრძნობა ექსპრესიონისტებისთვის დამახასიათებელი ინტენსიური გრძნობა ქაოსისა და მისი დაძლევის სურვილი. „ექსპრესიონისტებს არ უნდათ ადამიანი, ეს „მოაზროვნე ლერწამი“, იყოს მოვლენათა მონა, მათ სურთ გააბატონონ აბსოლუტური „მე“ მთელ მსოფლიოში“. (ზემოთ დასახელებული ნერილი). „ჩვენ ვდგავართ უდაბნოსა და დაპირებულ ედემს შუა“ (რუდოლფ კაიზერი).

გიორგის ლექსებში საგნები და მოვლენები პოეტურ სახეებად აღიბეჭდებიან მას შემდეგ, რაც მისი სულის პრიზმაში გადატყდებიან, გარდაიქმნებიან, სახეს იცვლიან. მასთანაც, როგორც ექსპრესიონისტებთან, არის არა ნიცემანურ ზეკაცთან შეთანატოლების სურვილი, არამედ „ნაზარეველის იდეალი“. ამაზე მეტყველებს ბევრი ლექსი, მათ შორის, ეს სტრიქონებიც:

**შენით ვარ სავესე,  
სხვა რაღა ვთქვა,  
უფრო ნათელი  
დღეს რაღა უნდა წამოდინდეს  
ჩემი კოკიდან.**

ეს „იდეალი“ ვლინდება სხვათა, თუნდაც მტერთა სიყვარულში და ქვების მსროლელთა მიმართ პატივისცემაში. „ქვას კი მესროდი, მაგრამ ვხედავდი, ხელები როგორ გიკანკალებდა“. ამ სტრიქონებში ჩანს იმედი სიძულვილის დაძლევისა. მოკანკალე ხელებით ნასროლი ქვა თითქოს კარგავს ძალას და შეიძლება დანიშნულებამდეც ვერ მიაღწიოს. ქვის ხელში ალებისას ადამიანი არ მორჩილებს თავის შინაგან ნებასა და სინდისს, მაგრამ ხელების აკანკალებისას ხდება ერთგვარი „განათება“. მკითხველსაც სჯერა, რომ ეს ხელები ქვას მეორედ აღარ დასწვდებიან.. ამ ლექსებში არ არის ფოტოგრაფიულად არეკლილი გარემო, ეს უპირველესად, „სულის პეიზაჟებია“. „წვიმს, პენელოპე... მე ხსოვნის ტაბლას შემოჩვეული ნადველით ვუზნი, მე თვითონა ვარ ობობას ქსელიც და ამ ქსელშივე ვაბმული ბუზი“.

პოეტმა იცის, რომ ყოველდღიურობა უხეშად და სასტიკად სასაცილოდ იგდებს ამალმებულსა და შორეულს, ამიტომაც ცდილობს ლექსებით გამოსტაცოს ამ უღმობელ ნაცრისფერობას ფერადოვანი და წარუვალი. „სიცილის ოთახში“ „მე“ წარმოდგენილია, როგორც სარკეები, სადაც სამყარო ირეკლება ფორმამეცვლილი და სასაცილო. თუმცა პოეტს ეს სიცილიც მხოლოდ იმისთვის უნდა, რომ „ყოფიერების აუტანელი სიმსუბუქე“ დააძლევინოს ადამიანებს და მხიარული ბუშტებივით ზეცისკენ გაუშვას, „რომ წუთით მაინც იგრძნოთ ედემი“. ერთადერთი, რაც არ შეიძლება არანაირ სარკეში დეფორმირდეს, ეს სიყვარულია, ამიტომაც მხოლოდ მას არ ევატიუება პოეტი სასაცილო სარკეებში ჩასახედად.

კრებულში აზრითა და ემოციით დამუხტული ულამაზესი სტრიქონებია. „მე მინდა წვიმის ზარად ვეკიდო და ნოემბერმა გუგუნით მრეკოს“ („წამოცდენილი სიტყვების გამო“), „მე მიყვარს წუთი—ჩამომჯდარი ზეცის კიდესთან“ („ერთგაჩერებიანი სიყვარული“).

აზრისა და გრძნობის ექსპრესიით გამოირჩევა ლექსი „დიდება ნაცარს“. აქაც, ერთი შეხედვით, პროზაული და უფერო ნაცარი პოეტის წარმოსახვის წყალობით ყოველივეს განმცდელისა და მრავლის მნახველის სიმბოლოდ იქცევა

**ვინც უკვე იცის სიკვდილის ფასი  
და აღარასდროს დაიღუბება.**

მაგრამ სანამ ნაცრად იქცევი, უნდა იგიზგიზო და დაინვა, შეიცნო ცხოვრება მთელი თავისი სისასტიკითა და სიძულვილით. ნაცრად ქცევა პოეტისთვის დასასრული კი არა, დროებითი მიყუჩებაა, ამოსუნთქვის პაუზაა, თვითგადარჩენაა, „თავისთავს თვითონ გადაეფარა“, რადგან ცხოვრებაში, დიდ სპექტაკლში, უამრავი მაცურებლის თვალწინ, სხვების დასანახავად არ შეიძლება გიყვარდეს გულწრფელად და ალაღად, რომეო და ჯულიეტა ერთმანეთის წინაშე გულწრფელნი მხოლოდ კულისებში არიან.

**და ასე – ნაღდი სიყვარულით,  
ნაღდი ცრემლებით,  
გადავმალეთ მოლოდინით მოთენილ დარბაზს.**  
*(„ვიდრე ერთმანეთს მოვებევოდეთ“).*

წინის მესამე ნაწილში 1997-2004 წლებში დაწერილი ლექსებია საერთო სახელწოდებით „ჩრდილები შუადღისას“. ეს ლექსები მეტყველებენ გიორგის პოეტური წარმოსახვის მრავალფეროვნებასა და სიძლიერზე. თითოეულ ლექსზე შეიძლება ცალკე წერილის დაწერა, მაგრამ ამჯერად მხოლოდ საერთო შთაბეჭდილებები გამოვხატავთ. არც ერთი სტრიქონი არ არის ნაძალადევი, ყალბი, არამედ საოცარი გულწრფელობითა და ენერგიით დამუხტული, თითქოს პოეტის აღსარებებიან დღიურს კითხულობდე, ისეთი განცდა გეუფლება. აქ არის ალიტერაციებიც, მეტაფორებიც, რიტმული მონახაზის ცვალებადობანიც, რალაცნაირი გადაძახილიც „შუა საუკუნეების ებრაული პოეზიის“ ჯემლი აჯიამვილისეულ თარგმანებთან, მთლიანობაში კი ეს პოეზია თავისთავადია და პოეტიც დღევანდელ „მელექსეთა რუხ არმიში“ ნამდვილად გამორჩეული. გიორგის ლექსს სხვათაგან აუცილებლად გამოარჩევ, მიუხედავად იმისა, რომ იგი არ ეძებს მარგინალურ თემებს პოეტური ინტერპრეტაციისთვის, მისი საფიქრალი ჰამლეტისეული ყოფნა—არყოფნა, ბიბლიური ძიება ღმერთისა და სიყვარულისა, ხსნისა და გადარჩენისაა, ის მაინც არ ჰგავს სხვებს. მისი ლექსები „დროის ლადარში“ შენახული გრძნობებია, მკითხველი კი მათ „აგიზგიზებულ ცეცხლებად“ გადაშლის და მოგზაურობს პოეტთან ერთად ერთდროულად ლამაზ და მახინჯ ცხოვრებაში, რათა დარწმუნდეს, რომ „უნდა მოვიდეს, უნდა ეტკინოს, მერე დაჯდეს და ლექსები წეროს“. გიორგისთვის ადამიანები წიგნები არიან. „ღრმად დაფარული, უცხო სიტყვებით, თუმც გკვითხულობენ, მაგრამ ნამდვილი აზრით ცოცხალი თუ წავეკითხებით“. ასე რომ, ამ წიგნში, უპირველესად, თვითონ პოეტია გაშლილი, გადატანილი დღეებით, ლაღატივითა და ერთგულებით, სიხარულითა და ტკივილით. ადამიანი მისთვის „მოხეტიალე მინაცაა“, რომელიც ყველაფერს იტევს: „მადლსა და ცოდვას, პურსა და მარილს“, ამიტომ არ ეუცხოება არაფერი ადამიანური, პირიქით, ცდილობს, გაეცნოს, ჩასწვდეს, რადგან შეცნობილი ტკივილი სიმძაფრეს კარგავს და ფერმკრთალდება. პოეტის აზრით, ადამიანები „ქალაქის ჩიტებს ჰგვანან“, რომელთაც წუგეში, მოფერება, გაფრთხილება და, რაც მთავარია, სულის ჩაბერვა, სიყვარული სჭირდებათ. სიყვარული სიკვდილსა და წარმავლობას მარადიულობის მოლოდინად გარდაქმნის და გაამშენიერებს.

**ცხოვრება მორჩა,  
მაგრამ შეხედე,  
რა მშვენიერი ფარდა დაეშვა.**

„მშვენიერი ფარდა“ გადასწონის სიკვდილის ელდასა და შიმშს, არ შეიძლება ამ ფარდის იქით წყვიდადი და არარაობა იყოს, პირიქით, მშვენიერი ფარდა ახალი ცხოვრების დასაწყისზე, სულის უკვდავებაზე მინიშნებს. ნიკო ლორთქიფანიძის მოთხრობაში „ზღაპარი მეფის სასახლეში“ აქვს ასეთი ეპიზოდი, კაცი ზღვაში ქვევს ყრის და უფლისწულის შეკითხვაზე, რას

ირჯებო, პასუხობს, ჩიტების დასასვენებელ ციხე-კოშკს ვაშენებო. გაშლილ ზღვაში ამ კოშკის მშენებლობა ისეთივე ლამაზი ილუზიაა, როგორც პოეზიით ცხოვრების შემსუბუქება, მაგრამ ეს სასწაული ხდება. გიორგის ლექსებიც ამგვარ ციხე-კოშკს ემსგავსება, ცხოვრების უკიდევანო ზღვაში ჩადგმულს, ადამიანთა დაღლილი სულების შესანენად.

გამოხაზვა

# ისტორია თანამედროვე ირანელთა თვალში

„ჩვენი მწერლობის“ წლებიდან მე-7 ნომერში გამოქვეყნდა თანამედროვე ირანელი მწერლის აჰმად არაბლუს იუმორისტული ნოველა „ალა-მაჰმად-ხან ყაჯარი“. ამ პუბლიკაციით ჟურნალმა განაგრძო ტრადიცია და კიდევ ერთი, ქართველი მკითხველისთვის უცნობი, ახალგაზრდა ავტორი წარმოგვიდგინა. მე, როგორც ირანისტს, მახარებს ის ფაქტი, რომ უკანასკნელი წლების ლიტერატურული პერიოდიკა („ჩვენი მწერლობა“, „არილი“, „ნიგნები...“) სულ უფრო მეტ ყურადღებას უთმობს თანამედროვე ირანელ პოეტებსა და მწერლებს, მათ შორის, ისეთებსაც, რომლებსაც, ახალგაზრდა ასაკის გამო, შესაძლოა, სამშობლოში ჯეროვანი პოპულარობა ჯერ კიდევ არ მოუპოვებიათ. კლასიკური სპარსული პოეზიით ხანგრძლივი გატაცებისა და, ცხადია, ისტორიულ-პოლიტიკური ვითარების მიზეზით, უკანასკნელ ხანებამდე ქართველი მკითხველისთვის თითქმის უცნობი რჩებოდა უახლესი სპარსული ლიტერატურა და ირანში მიმდინარე საინტერესო ლიტერატურული პროცესები. „ჩვენმა მწერლობამ“ მოახერხა ამ ხარვეზის შეძლებისდაგვარად აღმოფხვრა და თანამედროვე სპარსულ (და, ზოგადად, აღმოსავლურ) ლიტერატურას ფართოდ გაუფიქროვო. ამასთან, არ არის დავინტერესებული უანრული მრავალფეროვნებაც. სასიხარულოა ისიც, რომ ქართულ ენაზე თარგმნილი ნიმუშების გარდა, მკითხველს აქვს საშუალება, გაეცნოს ინტერვიუს ავტორებთან, მათ საჯარო გამოსვლებს და ა.შ. ამ გზით, ცხადია, ესა თუ ის მწერალი უფრო ახლობელი და გასაგები ხდება ქართველი მკითხველისათვის.

„ალა-მაჰმად-ხან ყაჯარი“ ჩინებულად აქვს თარგმნილი ირანისტ ნიკოლოზ ნახუცრიშვილს, რომელიც ამჟამად დიპლომატიური მივლინებით თეირანში იმყოფება. ვფიქრობ, მთარგმნელის თეირანში ყოფნა კარგი შანსია „ჩვენი მწერლობის“ მკითხველისთვის აჰმად არაბლუს უკეთ გასაცნობად. ალბათ მთარგმნელს არ გაუჭირდება მწერალთან დაკავშირება და მასთან სახელდახელო ინტერვიუს ჩაწერა. მე პირადად, როგორც მკითხველს, რამდენიმე კითხვა უკვე გამიჩნდა:

1. რამდენად ორიგინალურია აჰმად არაბლუს სტილი, ხომ არ განიცდის იგი რომელიმე ავტორის გავლენას?

ეს კითხვა შემთხვევით არ დამებადა. საქმე ის გახლავთ, რომ რამდენიმე წლის წინათ ხელში ჩამივარდა ერთი საინტერესო კრებული სახელწოდებით „ასე იქცევიან დიდი ადამიანები“. მას ორი ავტორი ჰყავს: უილიამ კაფი (William Jacob Cuffy (1884-1949)) და ნაჯაფ დარიაბანდარი. ეს უკანასკნე-


ლი ძალზე ცნობილი ირანელი მთარგმნელი და მწერალია. ნ. დარიაბანდარის სპარსულ ენაზე თარგმნილი აქვს სოფოკლეს, ბ. რასელის, მ. ტვენის, ს. ბეკეტის, ე. კასირერის, უ. ფოლკნერის, ე. ჰემინგუეის და სხვ. ნაწარმოებები. იგი ცნობილია იმიტაც, რომ თარგმნისას მეტისმეტ სილალეს იჩენდა. ზემოხსენებული კრებულის შემთხვევაში ამ „სილალემ“ ისეთი მასშტაბები მიიღო, რომ ნ.დარიაბანდარი უ.კაფის თანავეტორად მოგვევლინა. კრებულში, რომლის დედნისეული სახელწოდებაა „პრაქტიკულად ყველას დაცემა და კრახი“, შესულია სატირულ-იუმორისტული ნოველები, რომლის გმირებიც ისტორიული პიროვნებები არიან (ალექსანდრე მაკედონელი, კლეოპატრა, ჰანიბალი, ქრისტოფერ კოლუმბი, პეტრე დიდი და სხვ.). თხრობის მანერა აჰმად არაბლუს სტილს მომაგონებს. არ ვიცი, ეს მანერა მოთხრობების ავტორის, უილიამ კაფისეულია, თუ ნ. დარიაბანდარის ჩარევას უნდა მივანეროთ. თავად მთარგმნელი ნიგნის წინასიტყვაობაში აღიარებს: „მთარგმნელმა ამ ნიგნში არა მხოლოდ ფეხქვეშ გაათევა თარგმანში კეთილსინდისიერების შენარჩუნების პრინციპი, არამედ, შეიძლება ითქვას, საერთოდ არც ერთი პრინციპისთვის არ უერთგულია... დედნის ტექსტის უამრავი მონაკვეთი ხომ ამოვარდა და ამოვარდა, თარგმნილ ნაწილებშიც კი არაერთი წინადადება და ფრაზა გაქრა და მათ ნაცვლად, სრულიად უადგილო ადგილას, ურიცხვი ყალბი წინადადება და ფრაზა ჩაისვა, რომლებიც სწორედ ფალსიფიცირებულია“. დედნის ტექსტში ვერანაირად ვერ აღმოჩნდება“.

ასე რომ, მკითხველს დანამდვილებით ვერ ვეტყვი, აჰმად არაბლუს ნოველამ უ. კაფის ხელწერა მომაგონა თუ ნ. დარიაბანდარისა. იქნებ მთარგმნელმა თავად ა. არაბლუსთან გაარკვიოს. „ჩვენი მწერლობის“ მკითხველს კი ჩემი მოსაზრების გასამყარებლად შემიძლია შევთავაზო ერთ-ერთი ნიმუში კრებულიდან „ასე იქცევიან დიდი ადამიანები“, რომელიც ეგვიპტის დედოფალ კლეოპატრას ისტორიის ახალ ვერსიას წარმოადგენს. ეს ნოველა დიდი ხნის წინათ ვთარგმნე და გამოსაქვეყნებლად „არ მეღირსებოდა“. ახლა უბრალოდ არ გუშენტად მოვიშველიებ.

2. ა. არაბლუს შესახებ მთარგმნელის მიერ მონოდეტული ინფორმაცია მაფიქრებინებს, რომ შესაძლოა, ამ ავტორს ჩვენთვის ნაცნობი სხვა ისტორიული პირობიც, მაგალითად, შაჰ აბასიც, ექცია საკუთარი ნოველების გმირად. საინტერესოა, კიდევ რომელი ისტორიული პირობის თაობაზე დაუნერია ა. არაბლუს და როგორია მისი დამოკიდებულება მათ მიმართ (შაჰ აბასისადმი ირანელების დამოკიდებულება, წესით, განსხვავებული უნდა იყოს – არცთუ უსაფუძვლოდ).

არ გამოვრიცხავ, რომ სხვა მკითხველებსაც გაუჩნდათ კითხვები და თუ ეს ასეა, იმედს ვიტოვებ, რომ „ჩვენი მწერლობის“ უახლოეს ნომერში აჰმად არაბლუსთან ინტერვიუსაც ვიხილავთ.

თაა შურღაია



პოეტი და მთარგმნელი დათო ბარბაქაძე მუშაობს დიდ პროექტზე, რომელიც მიზნად ისახავს ავსტრიული პოეზიის ოცდაათტომეულის გამოცემას ქართულ და გერმანულ ენებზე. ერთ ინტერვიუში იგი ამბობს, რომ მთარგმნელებისთვის ისევე არჩევდა ავტორებს, როგორც სცენარი ინერება მსახიობისათვის. ამ მთარგმნელებს შორის მეც აღმოვჩნდი და წილად მხვდა პატივი მეთარგმნა უაღრესად საინტერესო პოეტი ფელიქს ბრაუნი.

მე თარგმანში უკიდურესი სიზუსტის მომხრე ვარ, ჩემთვის საკმარისი არ არის თარგმანი „კარგად უღერდეს ქართულ ენაზე“. ამ პრინციპით ვიმუშავე ბრაუნის ფილოსოფიური ლირიკის თარგმანზე და შემიძლია ვთქვა, რომ ეს არის ახალი ეტაპის დასაწყისი ჩემს მთარგმნელობით საქმიანობაში.

ქვემოთ მოგაწვდით მოკლე ცნობებს ფელიქს ბრაუნის შესახებ.

\*\*\*

ავსტრიელი პოეტი, დრამატურგი, პროზაიკოსი და ესეისტი ფელიქს ბრაუნი (1885-1973) ვენაში სწავლობდა ხელოვნების ისტორიას და გერმანიისტიკას. 1928-1938 წლებში მუშაობდა პრინც-დოცენტად პალერმოსა და პადუაში. 1939 წელს ემიგრაციაში მიდის ინგლისში. 1951 წელს ბრუნდება ვენაში და განაგრძობს სამეცნიერო და შემოქმედებით მოღვაწეობას. არის ავსტრიის დიდი ლიტერატურული პრემიისა და გრილპარცერის პრემიის ლაურეატი.

ფელიქს ბრაუნის მსოფლმხედველობასა და ლიტერატურულ გემოვნებას აყალიბებს ანტიკური კულტურა, კათოლიკური ჰუმანიზმი და ავსტრიული ლიტერატურული ტრადიციები. შემოქმედებით საქმიანობას იწყებს ნეოკლასიციზმის, ნეორომანტიზმისა და ვენური იმპრესიონიზმის გარემოცვაში. შემოქმედებაში უზვად იყენებს ბერძნულ მითოლოგიას, ბიბლიურ და ისტორიულ თემებს.

მისი ფილოსოფიური ლირიკის სალექსო ფორმაა ვერლიბრი.

მთარგმნელი

## ფელიქს ბრაუნი

გაშლილ პალტოზე

კბოდესთან ახლოს, ჯერაც ფხიზელ ბალახებს შორის.

## შემოდგომის ოდა

ჩიტის კვერცხივით წითელ-ყვითელი  
ჭინჭრებქვეშ ყრია ბალახში მსხალი.  
ჩაცუცქებულან ბავშვები ხის ქვეშ,  
იტკბარუნებენ პირს მწიფე მსხლებით.  
მათ თითებშუა მოწვეთავს წვენი,  
რომელიც უკან, მიწაშივე ჩადენება,  
როგორც სურვილი უკვე დამცხრალი.

მოტეხილ ბალბას, ზაფხულიდან  
შემორჩენილს ჯოხზე ვამაგრებ,  
რათა ლაფანმა უფრო დიდხანს გააძლებინოს,  
თუნდაც დილამდე აცოცხლოს იგი  
დამსხვრეული ცხოვრების წიად.

ლიმილით მიმზერს ვინმე მოხუცი, უცხო მებაღე,  
ცელს აღარ იქნევს, რადგან ფეხებთან  
შეუნიშნავს მქრქალი ყვავილი,  
იმ ყვავილიდან სიმღერ-სიმღერით  
პეპელას სახემიდებული ჩემი სული  
მეტად აღარ ამოფრენილა,  
უნაყოფობის სამყაროში თითქოს ძილი მონდომებოდეს.

## ოდა წყლისპირას

ხალისიანად მოცეკვავე ახალგაზრდობის  
ხმაურიანი ზემიდან გამოვიპარე.  
ტირიფების ქვეშ, წყლის ნაპირას  
ჩამოვჯექი

ტბის წიალიდან ერთი შეხე, როგორ გადმოდის  
და მოდგაფუნებს ლამის ტრაუნი.  
როგორ ლაპლაპებს შუანელზე,  
ვარსკვლავთა შუქით ოდნავ, ოდნავ განათებული.  
მაგრამ

ტალღები ტბაში ბრუნდება,  
ლაჩარი ტალღა, კიდევბზე ჩამუქებული.

კენწეროებში ქარი აღარ დანავარდობდა,  
მხოლოდ ბალახი ირხეოდა ქარის ქროლაზე,  
შუქის არილი სადაც ჯერაც არ ჩამქრალიყო,  
თრთოდა ნიავი.

იქ, სადაც ჩალის ლერო ჩემი ხელით

ცვარს ისრუტავდა,  
ლამის სიო საითკენდაც გარბოდა ჩუმად.

უსახელოა ო, მეგობრებო, მამის სიცოცხლე  
მისგანვე ქმნილში. სახელარმქონე  
არის ვარსკვლავი, სახელარმქონე არის ყვავილი.  
უსახელოა მთა და წყალი და შუქში ზემოთ  
რომ შეფრთხილდა, ის  
მოფარფატე, გრძნობაგრძელი, ჰაერში მფრენიც.

უსახელოა ადამიანიც. მე აქ,  
ლამის ბრწყინვალეობაში

ვსუნთქავ და ვხედავ, ხშირად მამისგან უკუგდებულს  
მკერდში ტირილი მიქვავდება

მე, ანუ იმ კაცს, აღარაფერზე რომ არ ტირის  
დიდხანია.

ჰოდა, ნუგეშად რალა უნდა დამრჩენოდა,  
თუ არა მხოლოდ



ძმადნაფიცობა იმ უსახელო  
ვარსკვლავქართან და ტალღების ჩქამთან?

**წვდომა**

ისწავლე ცნობა საიდუმლო წერილისა,  
იმ ათას ამბავს რომ მოგვითხრობს,  
რაც თავს ოდესმე გადაგვხდენია.  
უფალი ღმერთი სიტყვებით ხომ არ ლაპარაკობს,  
ის ქმნილებებში ცხადდება მხოლოდ  
მარადიული, წინარეგონი,  
სულ მცირედიც რომ არ ავიწყდება.

ნეტავი იმას, ვისაც კითხვა შეძლება  
არკადიაში!  
ჩვენ კი ჭენება გვახარებდა ბედაურების,  
ქვემოთ, ჭალასთან, ბობოქარი მდინარის პირას  
ფართოდ გადაშლილ იალაღებზე,  
სადაც ღარიბი გოგონები  
ლონიერი თეთრი ხელებით  
ან ავლებდნენ ან მზის გულზე  
გასათეთრებლად აფენდნენ სარეცხს.  
ან მღეროდნენ მწუხრის სიმღერას,  
მათი მთელი დღის ნაჯაფარი ფორნებში რომ  
იტვირთებოდა

ანდა ეკიდა ხეებს შორის  
ღუნედ გაბმულ გრძელ-გრძელ თოკებზე.

აქ დაგვეძგერა ნაპერწკალი, ნასროლი თვალით,  
აქ მოგვჭრა თვალი მკლავების და კეფის კანის თეთრად  
კიაფმა.  
ტკბილ-მწყაზარი ხმით ეს თავისკენ მოხმობას ნიშნავს.  
მეც ხომ ყოველდღე ვუთვალთვალე საქმის დროს  
გახსნილ გულისპირიდან გამომკრთალი მკერდის  
სითეთრეს,  
აქედან მერგო ეს ბედისწერა, რომელსაც დღემდე  
მოვათრევ და მოვეზიდები.

ბრძენი რომ ვიყო, მაშინ ხომ არ გამომრჩებოდა  
დალი, ნიშანი უტყუარი ძუნწი ტუჩ-პირის,  
რადგანაც ნდომას ამ ცისქვეშეთში  
საფრთხეზე ტკბილი არაფერი მოუგონია.  
სიყვარულიც ხომ სიკვდილია, ოღონდ სხვაგვარი,  
არა ისეთი, სამუდამოდ თან რომ წაგვიყვანს.

ბევრი რამ იყო საცდუნებელი, შენ კი ხუმრობას არ იშლიდი,  
მასხრად იგდებდი ვითომ ცრურწმენას, გული კი შიშით  
გენურებოდა  
და შენსას მაინც არ იშლიდი, ბრმა სიჯიუტით  
უკეთურებას შენ სჩადიოდი. ამაო იყო ღმერთების გარჯა  
უკეთურებას განრიდებოდი.

მაგრამ რას იზამ, ალბათ ესეც ღვთის ნება იყო,  
თორემ გული უფრო ნამცეცა, უფრო ზვიადი გაგიხდებოდა,  
გულზვიადობა, რაც პოეტებს მუდამ თანა სდევს,  
გარდაქმნის ძალას გიადამბლავებდა.

გნამდეს მარადის, ყველაფერ ამას  
ღვთიური ძალა სიკეთით სჩადის,  
თუნდაც იმით, რომ ხშირად გვაფრთხობს,  
თავისსავე ქმნილს სუდარას რომ გადაგაფარებს.

ო, მე რომ კითხვა შემძლებოდა  
გვიან, როდესაც ღამის ჰაერი  
ჩაშავებულ წყლის ზედაპირზე დალივლივებდა,  
როცა ლერწამში უცხო ხმების დუდუნი ისმის,  
იქ, შიგნით ნეტავ რა მოძრაობს, რა იმალება,  
აჩრდილებია თუ ჩიტები, ვინ რას გაიგებს?

ეს ყველაფერი კარგად უწყის ერთმა მოხუცმა,  
რომელიც მტკიცე ნაბიჯებით ორჩხომელისკენ  
მიემართება,

პალოდან ჯაჭვს ხსნის გაუჭირვებლად,  
უნიჩბო ნავში გულმშვიდად ჯდება.  
ნავს არც საჭე აქვს, მაგრამ მოხუცმა იგი  
ღია ზღვაში უკვე ზვირთებზე გადაატარა.

**სიტყვა**

პირველად იყო სიტყვა.

მაგრამ იმ სიტყვებს,  
წარმოთქმა რომ არ შემიძლია, განა არა აქვთ  
ნაზი გრძნობა დედების მიმართ?  
ანდა ნაზ გრძნობას დედისადმი  
სიყვარული არ გააჩნია?  
დედა არა ჰყავს სიყვარულს, რადგან  
იგი მთლიანად უფალს ეკუთვნის  
და ამიტომაც მხოლოდ ანგელოზს შეუძლია  
მას მიესალმოს; ჩვენ კი არა გვაქვს ამის უფლება.  
სიტყვები ჩვენი ეხ, ნეტავი რაებს შეთხზავენ  
გლოვას არა. ისინი  
სიყვარულთან არიან ახლოს და ამიტომაც  
უსიტყვოდ ვდგავართ საფლავის პირას.

უცრემლოდ ვდგავართ. რა? გრძნობები მალე კვდებიან?  
კვდება უკვდავი სიყვარული მოყვასთ გულებში,  
იქ დაბოტებს შენიღბული მოთქმა-ვაება, როგორც  
მოხუცი,

დანაშაულს მრავალს რომ მალავს;  
მაგრამ სიკვდილთან როცა წარსდგება,  
ალიარებას ვერსად წაუვა.  
და ასე დაძრწის ცრემლგამშრალი მინანაყრილ ბორცვის  
გარშემო,  
ზედ გვირგვინების ყვავილები რომ აჭკნებიან. ქვემოთ კი  
ის წევს,

ჩაძინებული ჩვენი სატრფო, სული უეცრად  
გაშეშებულ ღია პირიდან საითკენლაც რომ გაფრენია.  
საით, რომელი ვარსკვლავისაკენ, ოქროსლელიან  
სანაპიროზე

იისფერი ცის შუქის ზვირთი რომ ენარცხება?  
ვითომ დგანან კი იქ სახლები, სადაც ისინი იცხოვრებენ  
შორს გაფრენილნი? იყურებიან ვითომ სარკმლიდან

გათეთრებული მათი თვალები?  
და დედამინა მათთვის ახლა არის ვარსკვლავი?  
ვითომ იქიდან გვითვალთვალევენ,  
ჩვენ კი ისინი იშვიათად თუ გვაგონდება?  
არც შედღონება ჩვენი გულის და არც სისუსტე ჩვენი ნებისა,  
სიყვარულისთვის ძალის არქონა  
ჩვენი შერცხვენის და შეცბუნების არის მიზეზი.  
თავს იმიტომაც იზურავდა ბერძენთ ხელმწიფე, რომ ასული  
შენი რული ღმერთების მსხვერპლად  
მან ცხარე ცრემლით ვერ დაიტირა.  
ღრმად დაფლული, დაბეჭდული ცისტერნებიდან  
სიხარულს უფრო ეიოლება ამოხაპოს ცრემლი მრავალი,  
ვიდრე ტკივილს, ღონე მალე რომ ეშრიტება.  
და აი ასე ვდგავართ საფლავთან,  
უძვირფასესი ნეშტი ნელა ქვევით ეშვება  
და ჩვენც მივყურებთ კუბოს მაგარ, გამხმარ გოროხებს,  
იმ გოროხებს, ჩვენ თვითონ რომ ვართ.  
და დამალული ჩვენი დაიკო  
საკუთარი სულია ჩვენი,  
მან მიგვატოვა და იქვე დგას როგორც უცხო, გადამთიელი,  
ჩვენსკენ გულგრილად ზურგშექცეული.  
გაოცებული სახით ჩვენსკენ თუ მოტრიალდა,  
მას აღენთება თვალში შუქი მკაცრი ვარსკვლავის.

ნეტავი ვინ ვართ,  
ვინც ჯერაც ვსუნთქავთ? ანდა ისინი ვინ არიან,  
ვინც აღარ სუნთქავს? ვარსკვლავთსიმრავლე  
საცხოვრისად ვისთვის მომზადდა?  
მოკვდავნი სულთა საუფლოში მარტოდმარტო,  
მძიმედ შედიან. სასაფლაოზე დარჩენილი მგლოვიარენი  
ხრიოკ კუნძულზე გადმოსხმულთ ჰგვანან.  
მათ ეშინიათ, რადგან უწყიათ  
მალე თვითონაც გაშეშებულთ და თვალდახუჭულთ  
პირზე ხროტინი შეაცვიფრებთ და პირი მათაც დარჩებათ  
ღია.

ამბორს ისინი ველარ იგრძნობენ  
გამოსათხოვრად გაყვითლებულ შუბლზე აღბეჭდილს.  
ველარც ხელებს, გაღურჯებულთ, გულზე დაკრეფილს  
ვერა ამბორი ველარ შეაკრთობს.  
აღარაფერი იმათ ხელებს აღარ უჭირავთ.

ნეტავ ხელებში ჩვენ რა გვიჭირავს? სიყვარულს  
არ სურს რამე ეჭიროს. მას ხომ ამქვეყნად ყველაფერი  
აქვს.

სილატაკეს კი ხელი ფართოდ გაუშვებია, მაგრამ ამაოდ.  
გულში ვერც სულებს, ვერც სხეულებს ის ვერ ჩაიკრავს.  
მხოლოდდამხოლოდ ნაყოფიერს მოსდის ცრემლები  
და სიტყვა იგი ეფურჩქნება ძალის სისავსით.  
როგორც პირველად, ისე ბოლოს იქნება სიტყვა  
და მას შესაქმე კვლავ ღმერთის გულში მიუჩენს ბინას.

**გულისკმარა**

იყენ ანტუანი † 1947 წლის 15 ოქტომბერს

ნეტავ ვიცოდე მიცვალებულებს,  
ახსოვთ თუ არა

ტყის ნაკადულის ჩუმი რაკრაკი? ან ვარდისფერი  
ღრუბლების წყება მწუხრის ეთერში?  
ან მარწყვის სიტკბო, პირში რომ დნება?  
მათ უსასრულო არარაში გაქცევიათ თავისი ყოფა.  
სამაგიეროდ ის არარა ხომ სავსეა  
იმ პირველქმნილი სიყვარულით,  
მის წინაშე მოკვდავთ შიშით რომ აცახცახებთ.

ჭექა-ქუხილი –  
ოდესლაც რომ წამიკითხავს ჰუმბოლტის წიგნში –  
ჩვენს ანტიპოდებს ფეხქვეშ გრუხუნით ემუქრებოდა.  
ოლონდ რომელი ღრუბლებიდან გამოსხლტება  
უეცრად ელვა? არა ოქროსფრად, არამედ შავად  
რომ დაგელავს კენწეროებში.  
აღის ენები არ ავარდება, იგი ისე დაეძგერება  
ჩახლართულ ფესვებს.

ეჰ, ჩვენი ფესვი რომ არ ვიცით, საით მიილტვის?  
ხეს აქვს ძარღვები, შიგ უდგას წვენი. ჯიუტთხიერად  
რომ მოწანწკარებს, ის კი სისხლია, ოლონდ თუ ვიცით,  
იგი მტკიცედ რას ეჭიდება?  
ფესვები არის ჩვენი გული. ვაი რომ ფესვებს  
მუხანათურად ეპარება ვეება გველი,  
ხის ძირს ყვითელი ღრუბელივით, ვითომ მთვლემარე  
რომ ახვევია.

შენ კურთხეული სახლის კარი გამოიხურე,  
გულს გიხარებდა მადლიერი დამშვიდობება.  
მრუმე ღამეში, ფარნების შუქზე  
ქუჩა ზუსტად იქ გადაკვეთე,  
სად ბოძკინტებზე ეკიდა ფარი და თეთრ-წითელ  
ტრამვაის ვაგონს გაჩერებას აიძულებდა.  
გაჩერებაზე რამდენიმე თუ იდგა მგ ზავრი. გიჟმაჟმა ქარმა  
კვლავ ლოყაზე მოგიალერსა. ცაზე გაბნეულ  
ვარსკვლავთაგან

ერთი ვარსკვლავი ნაღვლიანად ჩამოგცქეროდა.  
ყრუდ ჩაგესმოდა შორეული ფორნის რახრახი.  
შენი ნატიფი, თლილი თითებით პირიდან ფერფლით დამ-  
ძიმებულ  
სიგარეტს იღებ, ფერთხავ ჰაერში, რაც დღეს უკვე  
შენ თვითონა ხარ.  
ბუნდოვან ფიქრებს ვერ გაექცი, ზაფხულის დამდეგს იალაღებს ნათლად ხედავდი  
დანაფებულთ ალპური ტბის დატალღულ წყალზე.

თუ მიმოდინ კვლავ გოგონები ჟინით აღსავსე  
გაშტერებულ თვალთა წინაშე?  
აღბათ მოგიკრავს ჩემთვის თვალი, როცა წყლის პირას  
მარტოდმარტო დავეხეტები, მანამ სანამ ჩემს ხატებაში  
რალაც უცხო და ცოცხალი არ გამოკრთება. შენ ფიქრობდი:  
ბოლოსდაბოლოს ხვალ მივწერ წერილს. ანდა გრძნობდი:  
რომ დღეს ძილის წინ შევშინდებოდი და ვერაფრით  
ავხსნიდი მიზეზს.

ტკივილი ჩემი შენ ხომ თვალთ ვერ დაინახე.  
ვინ არის ნეტავ ის ბებრული, მომცრო ფიგურა,  
უხმოდ, უჩინრად თავის თავში რომ ჩაძირულა?  
რუხ ფილაქანზე დაეცა იგი. შენ კი მაშინვე

## ჰომეოსის მერიდიანებზე

შეშინებულთა რკალმა დაგფარა. მათგან ერთ-ერთი ახლა უკვე შენსკენ დახრილა. ახ, იმ უცნობმა უკვე იცოდა, უხილავ ელვას მეძებარავით რომ ეპოვა ერთი ბილიკი, შენს გულისგულში რომ მიდიოდა.

ის გული იყო, იმედით სავსე მოდარაჯე ყურს ასე ბრეყვულად რომ გაუჩუმდა. და ახლა თვალის მან სხვებს მიაპყრო. მხრებმა მაშინვე ჩიტებივით შეიფრთხილეს. რადგან შენ უკვე

გაფრენილიყავ და ახლა ნევხარ ქვაზე, ვით უსახლკარო, ვით მათხოვარი და ღრმა ძილით, ქვასავით გძინავს.

ო, მეგობრებო! ვის ძალუძს ნეტავ, რომ გაზომოს სამყაროს წამი უზარმაზარი, რომელშიც ჟამი მარადისობას კვლავ უბრუნდება? რომელსაც მხოლოდ ჩვენი სხეული ემორჩილება?

(რადგან ჩვენს სხეულს გამართულად მხოლოდ სული გვატარებინებს).

ო, წამო, წამო, მოუსავლეთში შენ გადაგვტყორცნი! რაც თავი მახსოვს, თოვლის სიოზე არის იგი უფრო მსუბუქი. ისე მსუბუქი, რომ ვინც ჯერაც ისევ ამტკიცებს, თითქოს კვლავ ცოცხლობს, ანდა სადმე არსებობს ანმყო, რომელსაც იგი დაჰკანკალებს, გრძნობებს ახარჯავს, ცრუობს! რადგანაც აღარაფერი აღარ არსებობს.

მამ ჩამივარდით, მეგობრებო, გაშლილ მკლავებში, მკლავი ღამისკენ მაქვს გაშვერილი!

ჩაახშეთ სიტყვა იმ პირიდან გადმონთხეული, მეტისმეტად ხმამაღლა რომ მოთქვამს და გოდებს!

თუკი სისხლის წვეთს, გზაბნეულს შეუძლია მზის დაბნელება, თუკი ჩერდება

ჩვენი გული სიცოცხლის მჩენი, თუკი შესაქმეს შეჩერება ვარსკვლავედთა დალუპვას

ნიშნავს,

მამინ ჩვენ რალა დაგვრჩენია, უნდა განვიხვნეთ და ორფეოსის დარად, ოლონდ

სიმების აუჟღერებლად, ხელის ცეცებით შთავიდეთ მღვიმეს.

მარტოდენ ეს თუ აგვაშორებს ცოცხლადყოფნის დამორგუნველ სირცხვილს.

მამინ ხომ აღარ განვერიდებით ჩვენს საკუთარ საბრალო გულებს,

რომლებიც ძვერას განაგრძობენ, მამინ როცა წინარე გულში ბევრი ძვირფასი

რამ განისვენებს, რასაც ამრეზით ყურს ვუვადებთ ხოლმე?

**გერმანულიდან თარგმნა  
დალი შანჯიკიძე**

## უცხოური ნოველა

ანა მარია მატუტე

### ბიჭები

სულ ხუთნი თუ ექვსნი იყვნენ, მაგრამ ჯგუფურად დადიოდნენ. გზის გაღმა ცხოვრობდნენ. მაგრამ გვერვინებოდა, თხუთმეტი-ოცნი არიანო. ჩვეულებრივ სიესტის პაპანაქებისას გამოჩნდებოდნენ, როდესაც მზის სხივები პირდაპირ ძველი გზის მტვერსა და ჩამოშლილ ხრემს აცხუნებდა და აღარც სატიერთო, აღარც მსუბუქი, და, საერთოდ, არანაირი მანქანა არ მოძრაობდა. გამოჩნდებოდნენ და ცხენის ფლოქვებივით ააგორებდნენ მტვრის ბორიას. ვხედავდით, როგორ მოდიოდნენ. გული გამაღლებით გვიცემდა. ერთ-ერთი ჩვენგანი კი ჩუმად იტყოდა: „ბიჭები მოდიან!“ ჩვეულებისამებრ ვიმალებოდით და ქვეს ვესროდით, ან გავრბოდით.

იმიტომ, რომ ეს ბიჭები ჩვენთვის ეშმაკეულნი იყვნენ; ჩვენი გაგებით, მართლაც რომ ეშმაკის ნაშიერთაგანნი. დაძინებულნი და ბოროტნი, შავი ქინძისთავივით მუქი და ელვარე თვალებით. ფეხშიშველნი და დაკოჟრილნი, შორ მანძილზე უზუსტესად ისროდნენ ქვებს, უფრო სასტიკად და მძლავრად, ვიდრე რომელიმე ჩვენგანი. ლაპარაკობდნენ რალაც უცნობი, ნყვეტილი ფრაზებით, რომელიც

მოქნეული მათრახივით განუილებული სიტყვებისა და ტალახის შხეფების დარი სიცილისაგან შედგებოდა.


უფროსებისაგან მკაცრად გვექონდა აკრძალული ყოველგვარი ურთიერთობა ამ ბიჭებთან. უფლება არ გვექონდა, ნებისმიერი მიზეზით გავცდენოდით ჩვენს მიწოდორს (თუმცა არაფერი იყო იმაზე მაცდური, გადავძვრალიყავით ქვის გაღავანზე და დავშვებულიყავით იქითა მხარეს, სადაც მწვანესა და ოქროსფერში, ლერწმებსა და ალვებს შორის, მდინარე მიედინებოდა). იმის იქით კი გადიოდა ძველი გზა, საიდანაც თითქმის ყოველთვის მოდიოდნენ ის ბიჭები, განსხვავებულები, ჩვენთვის აკრძალულნი.

ბიჭები ციხის ზონის ახლოს ცხოვრობდნენ. ისინი იმ პატიმართა შვილები იყვნენ, რომელთაც ჭაობებში ამუშავებდნენ. ბიჭებმა დედებთან ერთად ააშენეს მინურებისა და გამოქვაბულთა რალაც უცნაური სოფელი, კლდეს რომ ეყრდნობოდა; სოფელში ხომ ვერც საცხოვრებლის ქირას გადაიხდიდნენ და არც არავინ ელოდა იქ. „ბრბო, ყაჩაღები, მკვლელები...“, იძახდნენ ადგილობრივები. არც არავინ მიაქირავებდათ ოთახს. ასე რომ, იქ უნდა დარჩენილიყვნენ. ქალები და ბავშვები თან მიჰყვებოდნენ თავიანთ პატიმრებს. და ეს იმიტომ, რომ მსჯავრდებულთა დღიური ანაზღავრებით ცხოვრობდნენ.



ჩვენთვის ბიჭები ნამდვილი უბედურება იყო. შეურაცხვეყოფდნენ, ქვებს გვიშენდნენ, როგორც კი დაეპატრონებოდნენ ქვის პატარა ბაღებსა და სათამაშოებს, გვინადგურებდნენ. ჩვენთვის ისინი სხვა ჯურის არსებანი იყვნენ, ნახევრად მაიმუნები და ნახევრად ჭინკები. მათი დანახვაც კმაროდა, რომ კანკალს ავეტანეთ; თუმცაღა ვცდილობდით, დაგვემალა ეს.

ადგილობრივი მმართველის უფროსი შვილი, ცამეტიოდე წლის, მაღალი და ჩაფსკენილი ბიჭი იყო, რომელიც ქალაქში სწავლობდა. იმ ზაფხულს, შინ, არდადეგებზე ჩამოსულმა, ჩვენი მეთაურობა იკისრა. ეფრენი ერქვა. მისი მონითალო, კომბალივით მუშტები მონინებას იწვევდა. რადგანაც ჩვენზე ბევრად უფროსი, გამბედავი და ბაქია იყო, როგორც მოესურვებოდა, ისე გვატრიალებდა.



მხატვარი გეგა პაქსაშვილი

როდესაც პირველ დღეს გამოჩნდა მტვერში ამოგანგლული ქოხმანთა ბიჭების ჯგუფი, ეფრენს ძალიან გაუკვირდა, რომ სამალავის საძებნელად გაეჯანდით და გალაგანს გადაეველეთ.

– მშიშრებო! – მოგვაძახა, – ესენი ხომ პატარები არიან!

ვერაფრით დავარწმუნეთ, რომ სხვანაირნი, რალაც ბოროტი სულის მავგარნი იყვნენ.

– სისულელეა! – ჩაილაპარაკა და რალაც ცალყუბად, დამცინავად გაილიმა.

ჩვენში ამაღ ალფროთოვანება გამოიწვია!

მეორე დღეს, სიესტის საათებში, ეფრენი მდინარისპირა ლერწმებში დაიმალა. ჩვენ, გალაგნის იქით ჩამალულენი, სულმოუთქმელად ვიცდიდით.

არემარე რალაც საშინელის მოლოდინით აივსო (მახსოვს, როგორ ვლრღნიდი მედალიონის ძენკვს და ვგრძნობდი მეტალის უცნაურად ცივ გემოს, ბალახებში კი ჭრიჭინების ჭრიჭინი ისმოდა). მინაზე გართხმულთა გულისცემას მინა ისმენდა.

მოვიდნენ თუ არა, ბიჭებმა მდინარის სანაპიროს დაზვერვა მოინდომეს: სურდათ ენახათ, ჩვეულებისამებრ ბაყაყებს თუ ვეძებდით. გამოსანვევად სტვენა და რალაც თავისებური, დამამცირებელი და ავისმომანსაწვებელი სიცილი დაიწყეს. ეს იყო მათი თავხედური თამაშის წესი: გამოვენვიეთ, თუმცა იცოდნენ, რომ არ გამოვჩნდებოდით. ჩვენ კვლავ სამალავში ვიყავით გასუსულები. ბოლოს ბიჭებმა შეცვალეს გეგმა და გზაზე გავიდნენ, ცოცვით აუყვნენ მინაყრილს. ცნობისმოყვარეობისაგან ძლივსლა ვსუნთქავდით. არ ვიცოდით, რას აპირებდა ეფრენი.

ჩემი უფროსი ძმა წამოინია, ქვებიდან რომ ეთვალთვალა. ჩვენც მას მივბაძეთ. და დავინახეთ ეფრენი, რომელიც გველივით გასრიალდა ლერწმებში. ძალიან ფრთხი-

ლად აცოცდა მინაყრილზე, ბიჭებიდან ბოლოს წამოენია და ზემოდან დაახტა.

ბიჭმა გაოცებისაგან ვერაფერი მოიმოქმედა. ამასობაში დანარჩენებმა მიაღწიეს გზამდე და ქვებიც მოიმარჯვეს, თან ყვიროდნენ. მე შიშისაგან მუხლებში ჩავიკეცე და მთელი ძალით დავასე კბილები მედალიონს. ეფრენს არც კი შეშინებია. იგი ბევრად უფროსი და ღონიერი იყო, ვიდრე ის გამურული ჭინკა, მკლავებში რომ მოემწყვდია.

ეფრენი მდელს სამალავისაკენ გამოექანა, იქ, სადაც ჩვენ ველოდებოდით, თან თავის ტყვეს მოათრევდა, ქვები ცვიოდა მის გარშემო და მდინარეში, საიდანაც შხეფები მზისგან გახურებულ ჰაერში იფანტებოდა. ეფრენი მარჯვედ ახტებოდა ფონიდან ფონს და თან მოათრევდა ბიჭს, რომელიც გააფთრებული ენინალმდეგებოდა. ბოლოს ეფრენი გადაეკლო ღობეს და მდელზე აღმოჩნდა. როდესაც ბიჭებმა

იგი თვალთახედვიდან დაკარგეს, გზიდან შემოტრიალდნენ და დამფრთხალი ბაჭიებივით მოკურცხლეს ქოხმანებისაკენ.

იმის გაფიქრებამაც კი, რომ ეფრენმა მოიყვანა ერთერთ იმ ეშმაკთაგანი, ძრწოლვა მომგვარა. დარწმუნებული ვარ, ჩემს ძმებსაც იგივე განცდა დაეუფლათ. ზურგიით კედელს ავეკარით, საოცარმა სიცივემ წაგვიჭირა კისერში.

ეფრენმა ჩვენს დასანახავად კიდევ რამდენიმე მეტრზე ათრია ბიჭი. იგი სასონარკვეთილი წრიალებდა და ცდილობდა ფეხზე ეკბინა დამჯახნელისათვის. მაგრამ ეფრენმა ასწია თავისი დიდი და მონითალო მუშტი და გამეტებით დასცხო სახეში, თავში, ზურგზე. კვლავ და კვლავ, საშინელი შხუილით ატყდებოდა ეფრენის მუშტი ფეხქვეშ გაგდებულს. მზე სქლად და მძიმედ ეფინებოდა ბალახსა და მინას. დიდი სიჩუმე იდგა. მარტო ბიჭის ხროტინი ისმოდა. დარტყმის ხმა და მდინარის ტკარცალი, საამური, მაცოცხლებელი და გულგრილი. სხვა ხმებთან ერთად ჩვენს ზურგს უკან თითქოს ჭრიჭინებიც დადუმებულ იყვნენ.

ეფრენი კარგა ხანს ურტყამდა ბიჭს თავისი დიდი მუშტით. ბიჭი ნელ-ნელა ნებდებოდა. ბოლოს მუხლებით დაეცა მინაზე, ხელებით ბალახს ჩაებლაუჭა. მუქი, გამომშრალი თიხისფერი სახე ჰქონდა და ღია ფერის ძალიან გრძელი თმა, შიგადაშიგ მოშავო, თითქოს მზით დამწვარიყო. არაფერი უთქვამს, მუხლებზე იდგა. მერე ბალახზე დაეცა, მაგრამ თავი მაინც მაღლა ეჭირა, გული რომ არ წასვლოდა. ჩემი უფროსი ძმა ნელა მიუახლოვდა, მერე ჩვენც მივყვეით.

ბიჭი დაუჯერებლად პატარა და გამხდარი იყო. „გზაზე უფრო მაღლები ჩანდნენ“ – გავიფიქრე. ეფრენი გვერდით ედგა, ნატის სქელი, მაღალყელიანი ფეხსაცმელი ეც-

ვა, იდგა ფეხებგალაჯული. რა უზარმაზარი და სასტიკი ჩანდა იმ წუთას.

– რა, არ გეყო? – იკითხა დაბოლმილი ხმით, თან იღიმებოდა. მისი კბილები, წინ გამონეული ეშვებით, მზეზე ელავდნენ.

– აბა, ერთიც...“

ჩექმიანი ფეხი ზურგში ჩასცხო. ჩემმა უფროსმა ძმამ უკან დაიხია და ფეხზე დამაბიჯა, მაგრამ მე განძრევაც ვერ შევძელი: თითქოს მინას ვიყავი მილურსმული. ბიჭმა ხელი ცხვირთან მიიტანა. სისხლი სდიოდა, გაურკვეველი იყო, პირიდან თუ საიდან.

ეფრენმა შემოგვხედა.

– წავიდეთ! – თქვა, – მან უკვე მიიღო თავისი!

და კიდევ ერთხელ ჩასცხო წიხლი.

– ნაეთრიე, ღორო! ახლავე ნაეთრიე!

ეფრენი შინისაკენ შემობრუნდა, დიდი, მძიმე და ზანტი, საესკებით დარწმუნებული, რომ გაეყვებოდი.

ჩემი ძმები, შეშინებულები, უნადინოდ დაემორჩილნენ. მარტო მე ვერ შევძელი განძრევა. არ შემეძლო ეს ბიჭის გვერდით. უცბად რალაც აუხსნელი რამ მოხდა ჩემში.

ბიჭი იქვე იყო, ცდილობდა წამომდგარიყო, არ ტიროდა, ახველებდა. დამცირებული მზერა ჰქონდა, ფართო და მიტკეპნილი ცხვირი რალაც უცნაურად უკანკალებდა. სისხლში ამოთხვრილიყო. ნიკაპიდან ჩამოღვრილ სისხლს მისი ძონძები და ბალახი გაეჟღინთა. უეცრად შემომხედა. და დავინახე მისი თვალები, გაფართოებული გუგებით, რომლებიც შავი კი არა, მკრთალი ტოპაზის ფერი იყო, გამჭვირვალე, სადაც თითქოს მზე ჩაძირულიყო და ისინი ოქროსფერი გაეხადა. თვალები დავხარე მწარედ დარცხენილმა.

ბიჭი ნელა წამოდგა. ლობისაკენ კოჭლობით წავიდა. ეტყობა ფეხი დაშავებოდა, როდესაც ეფრენი მოათრევდა. ვერ გავბედე, შემეხედა მისი ზურგისთვის, შიშველისა და გადაშავებულისათვის, ძონძებიდან რომ მოჩანდა. ტიროლი მომინდა, რისთვის, ზუსტად არ ვიცოდი. მარტო ამის თქმა შევძელი: „იგი ხომ ბავშვია. მხოლოდ ბავშვი, ისეთივე, როგორც სხვები“.

ესპანურიდან თარგმნა ელემონრა კუჭავაძე

მთარგმნელისაბაზა

ანა მარია მატუტე, ერთ-ერთი ყველაზე პოპულარული ესპანელი მწერალი, ომისშემდგომ (იგულისხმება 1936-39 წლების ესპანეთის სამოქალაქო ომი) შემოქმედთა თაობას მიეკუთვნება. ლიტერატურათმცოდნეები მას კრიტიკული რეალიზმის მიმდევრად მიიჩნევენ. დაწერილი აქვს 8 რომანი, მოთხრობები, ნოველები, ზღაპრები. დაჯილდოებულია მრავალი ლიტერატურული პრემიით.

მისი შემოქმედება (განსაკუთრებით ადრეული) ტრაგიზმითაა განმსჭვალული და ახასიათებს ღრმა ფსიქოლოგიზმი. მატუტეს შემოქმედების ძირითადი თემა სისპეტაკისა და სიკეთის შეჯახებაა რეალობასთან, სადაც ძალადობა, ლალატი, ტყუილი, შური მეფობენ.

დაიბადა 1926 წლის ივლისში, ბარსელონაში, საკმაოდ შეძლებულ ოჯახში: მამამისი ფლობდა ქარხანას, სადაც ქოლგებს აწარმოებდნენ. ოჯახში ხუთი შვილი იზრდებოდა.

განსაკუთრებული ურთიერთობა პატარა ანა მარიას მამასთან ჰქონდა, რომელიც ბევრს მოგზაურობდა და შინ დაბრუნებული საოცარ ამბებს უყვებოდა გოგონას. ერთ-ერთი მოგზაურობიდან მან ანა მარიას შავი თოჯინა ჩამოუტანა, რომელიც მოგვიანებით რომანში „პირველი მოგონებანი“ პერსონაჟის სახით წარმოგვიდგება. სწორედ მამისაგან ერგო მემკვიდრეობით სიყვარული მოგზაურობისადმი და მდიდარი ფანტაზია. 4 წლისამ მძიმე ინფექციური დაავადება გადაიტანა, ხოლო ერთი წლის შემდეგ დაწერა თავისი პირველი ზღაპარი და თვითონვე დაასურათა.

ანა მარია მატუტე მადრიდის რელიგიურ კოლეჯში სწავლობდა. 10 წლისამ შექმნა ჟურნალი და საკუთარი ილუსტრაციებიც დაურთო, ხოლო 17 წლისამ დაწერა პირველი რომანი „პატარა თეატრი“. ერთ-ერთმა გამომცემლობამ შესთავაზა კონტრაქტი და სოლიდური ჰონორარი. ანა მარიამ წინადადება მიიღო, მაგრამ, მიუხედავად ამისა, „პატარა თეატრი“ მხოლოდ რვა წლის შემდეგ გამოიცა.

1949 წელს დაწერა „ციცინათელები“ და პრემია „ნადალის“ ნახევარფინალში გავიდა, მაგრამ, ცენზურამ რომანი აკრძალა. ეს წიგნი, გადამუშავებული და სათაურშეცვლილი („ამ მინაზე“) 1955 წელს დაისტამბა.

1952 წელს ცოლად გაჰყვა ეუხენიო გოიკოეჩეას, 1954 წელს შეეძინა ვაჟიშვილი ხუან პაბლო. მისი ქორწინება 1963

წლამდე გაგრძელდა. 1953 წელს გამოაქვეყნა რომანი „პატარა სიცოცხლე“, რომელსაც მოგვიანებით შეუცვლის სათაურს: „დრო“. ამავე ხანში იწყებს მუშაობას ტრილოგიაზე „ვაჭრები“ („პირველი მოგონებანი“, „ჯარისკაცები ტირიან ღამით“, „ხაფანგი“).

1965-1966 წლებში კითხულობს ლექციებს ბლუმინგტონში (შტატი ინდიანა), ხოლო 1978-ში ნორმანში (შტატი ოკლაჰომა).

დაჯილდოებულია შემდეგი პრემიებით: 1947 – პრემია „ნადალი“, რომანისათვის „აბელები“; 1952 – პრემია „კაფე ხიხონი“, რომანისათვის „ზეიმი ჩრდილოდასავლეთში“; 1954 – პრემია „პლანეტა“, რომანისათვის „პატარა თეატრი“; 1958 – კრიტიკოსთა პრემია რომანისათვის „მკვდარი შვილები“;

1959 – ნაციონალური პრემია ლიტერატურაში; 1959 – პრემია „ნადალი“ რომანისათვის „პირველი მოგონებანი“; 1962 – ესპანეთის სამეფო აკადემიის პრემია რომანისათვის „ჯარისკაცები ტირიან ღამით“. აგრეთვე მიღებული აქვს რამდენიმე პრემია საბავშვო ლიტერატურის განვითარებისათვის. 1976 წელს წარდგენილი იყო ნობელის პრემიაზე ლიტერატურის დარგში და კონკურენციას უწევდა ვისენტე ალიექსანდრეს.

წარდგენილი იყო პრემიაზე „ანდერსენი“. ვერ გაიმარჯვა მხოლოდ იმიტომ, რომ ჟიურის მისი ნაწარმოებები მხოლოდ ესპანურ ენაზე გაეგზავნა. 1996 წელს აირჩიეს ენის სამეფო აკადემიის წევრად. 300 წლის მანძილზე იგი გახდა მესამე ქალი წევრი ამ აკადემიისა.

არის ამერიკის ჰისპანო საზოგადოებისა და ესპანური და პორტუგალიური ენების მასწავლებელთა ამერიკული ასოციაციის საპატიო წევრი. არსებობს მისი სახელობის ლიტერატურული პრემია. ბოსტონის უნივერსიტეტში დაარსებულია მისი სახელობის ფონდი.

ანა მარია მატუტეს ნაწარმოებები თარგმნილია 23 ენაზე.

\* \* \*

50-იანი წლებია და აკაკი წერეთლის თხუთმეტკომეული მზადდება გამოსაცემად. ჯერი უკვე მესამე ტომზეა მიმდგარი. კოლეგიის სხდომა და ამ ტომის რედაქტორი და შენიშვნების შემდგენელი გიორგი აბზიანიძე სხვა წევრებს აცნობს დასაბეჭდად გამზადებულ მასალებს და ცალკეულ მოსაზრებებსაც უზიარებს შენიშვნებთან დაკავშირებით.

თუნდაც ის ლექსი – „პასუხი ლ. თარხნიშვილის ქალს“.

და ჰყვება, თუ რამდენი ჯაფა დასჭირდა ლექსის ადრესატის დადგენას, ეპისტოლეებისა თუ მემუარული ჩანაწერების საგანგებოდ გადაკითხვა, ურთიერთშეჯერება, გადარჩევა-დაზუსტება, რათა ცხადი გამხდარიყო, ვინ იფარებოდა ამ ინიციალის ქვეშ „ლ“. დადგენას ართულებდა ისიც, რომ ლექსი უთარილოა. მაგრამ მეცნიერულმა კვლევა-ძიებამ მაინც თავისი გაიტანა და ვარაუდად უკვე შეიძლება გამოითქვას, რომ ინიციალი გულისხმობს აკაკის მეგობარ ქალს ლიზა, იგივე ელისაბედ, თარხნიშვილს, დაბადებულს 1864 წელს, გარდაცვლილს 1935 წელს, ვისაც ეძღვნება აკაკის სხვა ლექსიც „წარწერა წიგნზე“ ჩამოგვირისტებული „ჩემი თავგადასავლის“ ძვირფას ხავერდგადაკრულ ეგზემპლარზე, ასეთი მინაწერიც რომ მოსდევს: „ჩემს ძვირფას და სულიერ მეგობარს ელისაბედ თარხნიშვილის ქალს“. რასაკვირველია, შემდგომი ძიება კიდევ უფრო დააზუსტებს და დაამტკიცებს ადრესატის ვინაობას, ჯერჯერობით კი ვარაუდი უნდა ვიკმაროთ.



ჩანახატი ვახტანგ ბერიძისა

გიორგი აბზიანიძე ამ ლექსზე მსჯელობას მოთავევულად მიიჩნევს და ახლა სხვა პოეტურ ნიმუშს მოიმარჯვებს, მაგრამ იოსებ გრიშაშვილი რატომღაც არ აცლის:

- ერთი... ერთი ეგ ლექსი წაიკითხე, თარხნიშვილის ქალისადმი მიძღვნილი.
- წაიკითხვა რა საჭიროა, – გაცხებულა რედაქტორ-კომენტატორი.
- წაიკითხე, წაიკითხე, – ის არ ეშვება. კეთილი, იყოს ნება მისი:

**მომივიდა მე წერილი  
შტემპელ-შვეიცარიელი.  
გადვიკითხე, უსულ-გულო  
სიტყვა იყო ცარიელი.**

და შეჩერდება, ღირს კიდევ გაგრძელებაო?  
– წაიკითხე, წაიკითხე, – იოსებ გრიშაშვილი თავისაზეა. კეთილი, ჩაამთავრებს, რა გრძელი ნიმუში ეს არის, რომ დაიღალოს:

**გამიკვირდა: საიდან სად?!  
სიზმარია? თუ არაკი?  
სად ყენევა? სად საჩხერე?  
ვინ ლიზა და ვინ აკაკი?!**

– აგერ – ლიზა, შიგ არა წერია?  
მესამე სტროფის წაკითხვა სავალდებულო აღარ არის. ისე რას ერჩი – მეცნიერული კვლევა-ძიებაც დაახლოებით იქამდე მისულა, რაც აკაკის ტექსტშივე აღენიშნა.

\* \* \*



მაკა ლდოკონენის ილუსტრაცია მაია დე გრაფის წიგნისათვის

მაკა ჯოხაძეს იმ დღეს ცოტა შეაგვიანდება რედაქციაში მოსვლა და მაგიდაზე წიგნი დახვდება, მინიატურებისა და ჩანახატების კრებული, ევროპული სახელწოდებით „ვოკალიზები“ – უცნობი პატივისმცემლისგან მოძღვნილი.

გარეკანს დახედავს – ავტორია მაია დე გრაფი. გადაფურცლავს – მხატვარია მაკა ლდოკონენი. წიგნზე წარწერა ქართულია, ეს სახელებიც ქართულია – მაიაც, მაკაც... და მათ გვერდით უცნაურად გამოიყურება ევროპული გვარები. „მაგიყებენ თუ რა არის?“ – ფიქრობს „ორი ცხოვრების“ ავტორი. ის, ეტყობა, ფრანგია – დე გრაფი. ეს ალბათ ფინელი – ლდოკონენი. ნეტა სად შეხვდნენ ერთმანეთს? ან მაკა ჯოხაძე საიდანღა მოძებნეს? მაგრამ... არც ერთი ყოფილა ფრანგი და არც მეორე ფინელი. თურმე ორივენი – ბედკრული საქართველოს შვილები არიან. საუკუნე გავიდა „მამელუკის“ შექმნიდან. ეს ბედკრული კი მაინც არ ამოიშალა საქართველოს ეპითეტთა რიგიდან.

\* \* \*

ორი გულია გამოჩნდება ქუჩაში – დიმიტრი და გიორგი.

ასე ერთად მომავალნი ბევრს დაუნახავს სხვადასხვა დროს, მაგრამ ისეთს არაფერს გაუელვია მათ გონებაში, რაც იმ წუთას კარლო კალაძეს შინაგან მზერას გაკვესავდა:

– დასაბამი და დასასრული აფხაზური ლიტერატურისა.

ჰუმორი ანათებდა ამ მზერას და მის ჭავლში აფერადებოდა აფხაზური ლიტერატურის ისტორია ანიდან ჰოემდე – ამ ორ... ამ ორ კაცში გასიმბოლოებული. და მარილი კი ისაა ამ თავისთავადაც ფრთიანი ფრაზისა, რომ რუსულად წარმოითქმოდა, სწორედაც რუსულად და არა ქართულად:

– Вот, начало и конец абхазской литературы.

ისევე, როგორც ილია ჭავჭავაძის ის ისტორიული



მეგობრული შარჟი გიგლა ფირცხალავასი

ფრაზა თუ დასკვნა გიორგი მუხრან-ბატონის ყბადაღებული ბროშურისა, ქართულ ენას გარდუვალ აღსასრულს რომ უქადოდა და მზრუნველი ხელით აფარებდა ზედ მკვდრის სუდარას, სწორედ რუსულად უნდა გახმინებულიყო პეტრე უმიკაშვილისადმი 1872 წლის 30 აგვისტოს დუშეთიდან გამოგზავნილ ბარათში:

– Лишь право сильного раб свято почитает.

კალმის ნევრზე მიზიხართო, – აფრთხილებდა მოპირისპირეებს მიხელილ ჯავახიშვილი.

ენის ნევრზე მიზიხართო, – ასე ალბათ კარლო კალაძე გააფრთხილებდათ, საამისო საბაზი რომ მისცემოდა.

ქუჩაში კი მოდიოდა ფენადგმული ლიტერატურის ისტორია.

\* \* \*

„სამანიშვილის დედინაცვლის“ სიუჟეტი მას შემდეგაც არაერთხელ განმეორდებოდა ქართულ რეალობაში, რაც დავით კლდიაშვილი მხატვრული აზროვნების მწვერვალზე აზიდავდა ამ ოჯახურ დრამას.

განმეორდებოდა ჩხეიძეთა იმ ოჯახშიც, რომლის ვაჟიც განთქმულ სახელად ქცეულიყო რუსეთის იმპერიაში და ისტორიის ჩარხსაც მისტანებოდა ამოსატრიალებლად.

კარლო ჩხეიძის გავლენა იმხელა იყო რუსეთის სახელმწიფო სათათბიროში, ეჭვი აღარავის ეპარებოდა, ქვეყანა თუ გადაბრუნდა, ძალაუფლება სწორედ მის ხელში გადაინაცვლებსო.

ისიც მთელი არსებით ჩაბმულიყო პარტიულ ბრძოლებსა და უკიდურეს დაპირისპირებებში და... შინიდან ამბავიც მოუვიდოდა პეტერბურგში: არიქა, დროზე ჩამოგვხედე, მამაჩვენმა ცოლის შერთვა აიტეხა და ვერაფრის დიდებით ვერ გადავათქმევინეთ, თორემ შენ როგორ შეგანუხებდით, ახლა კი შენს იქით სხვა გზა არ დაგვრჩენიაო, – ძმები მისწერდნენ და ისიც მაშინვე ჩაიჭრებოდა მშობლიურ სოფელში, ამდენი ხალხი მიჯერებს, ჩემს სიტ-



მხატვარი დათო თოთიბაძე

ყვას ძირს ვინ დაუშვებს და მამაჩემის გადარწმუნება რა გამიხდებაო. თან ცოტა ძმებზეც გალიზიანდებოდა: უჩემოდ როგორ ვერ მოაგვარეს ასე იოლი საქმეო.

ხუმრობა-ხუმრობაში გაატარებდა შინ დაბრუნების მიზეზს, მამას ისე შეეეტილიკებოდა, არც დაეჭვდებოდა, ფრაზა დამთავრებული არც მექნება, რომ ცოლის შერთვის განზრახვაზე ხელს ავალებინებო, მაგრამ თავისდამოულოდნელად

ისეთ ციხე-ბურჯს გადააწყდებოდა, ერთი ფრაზა კი არა, ასი და ათასი ფრაზა კი არა, ვერაფერი ვერ მოდრეკდა.

დღე დღეს მიჰყვებოდა და კარლო სულ უფრო გულმოსული ადგა თავზე მამას: რალა დროს შენი ცოლია, სასაცილოდ გინდა თავი გაიხადო? მეც გამიშვი, სათათბირო მელოდებაო.

და გაიკვირვებდა ბერიკაცო:

– მე როდის გიჭერ, გზა დამილოცნია, შენ შენს სათათბიროს მიხედე და მე ჩემს სათათბიროს მიგხედავ. შენ შენი სათათბიროს ამბავი იცი, თორემ ჩემი სათათბიროსი არაფერი გაგეგებაო.

### რას ნიშნავს კინოპარსკვლავობა

როდესაც შეიტყობთ, რომ 1946 წელს ჰოლივუდში გადაიღეს ფილმი „მკვლელები“ (ერნესტ ჰემინგუეის ცნობილი მოთხრობის მიხედვით), რომელსაც კრიტიკა მოწონებით შეხვდა, ხოლო ოცდაოთხი წლის ავა გარდნერმა ჟურნალ „ლუკის“ პრემია დაიმსახურა, როგორც წლის ყველაზე იმედისმომცემმა ახალბედა კინომსახიობმა, შესაძლოა გაკვირვებამ შეგიპყროთ, ვინაიდან ჰემინგუეის ზემოხსენებულ მოთხრობაში ქალის ჭაჭანებაც არ არის, თუკი არ ჩავთვლით მისის ჰერსს, იმ სახლის პატრონს, სადაც ნიკი მიდის სასიკვდილოდ განწირული ოლე ანდრესონის გასაფრთხილებლად, და მისის ბელს, კარს რომ გაუღებს ნიკს და ორიოდე ფრაზას წარმოთქვამს იმავე ოლე ანდრესონის კარჩაკეტილობის თაობაზე.

ავა გარდნერს, რა თქმა უნდა, არავინ დააჯილდოებდა უჩინარი, უტყვევი მისის ჰერსისა ან ერთი წუთით გამოჩენილი მისის ბელის განსახიერებისათვის.

ამბობენ, რომ ბრიტანეთის პარლამენტს ყველაფერი ხელეწიფება ამქვეყნად, გარდა ერთისა – მამაკაცი გადააქციოს დედაკაცად ანდა პირუკუ.

როგორც ჩანს, ჰოლივუდში ამგვარი მეტამორფოზებიც ხელეწიფებათ.

აბა საიდან გაჩნდა ავა გარდნერის შესაფერი როლი ჰემინგუეის, თუ შეიძლება ასე ითქვას, უქალო მოთხრობაში?

„მკვლელებს“ ტექსტი სიტყვისიტყვით, ყოველგვარი კინემატოგრაფიული ფანტაზიებისა და ტრიუკების გარეშე, ეკრანზე რომ გადაეტანათ და თითქმის მთლიანად დიალოგებზე აგებული მოთხრობის რეალისტური ილუსტრაცია განეხორციელებინათ, ამით არაფერი დაშავდებოდა. მაგრამ ჰოლივუდი თავისი ადათ-წესებით ცხოვრობს და კარგადაც ცხოვრობს.

ამ კერძო შემთხვევაში კი, ეტყობა, ასე განსაჯეს: უქალოდ და უსიყვარულოდ კინო ვის გაუგონიაო და ჰოლივუდის ამომავალი ვარსკვლავი ავა გარდნერი ამოუყენეს მხარში ჰემინგუეის მოთხრობის ნირშეცვლილ გმირებს.

ხუმრობა იქით იყოს და ნუ დაგვაინწყდება, რომ ფილმი „მკვლელები“ კრიტიკოსებმა მოიწონეს, განსაკუთრებული ქება შეასხეს ავა გარდნერს და, რაც მთავარია, ჰემინგუეის ბიოგრაფის კარლოს ბეიკერის სიტყვით, ეს იყო პირველი ფილმი მისი ნაწარმოებების საფუძველზე შექმნილ ფილმთაგან, რომელსაც მწერლის გულწრფელი აღტაცება გამოუწვევია.

მაინც როგორ შეასხეს ხორცი ჰემინგუეის ცნობილ მოთხრობას?

ერთ პატარა და მიყრუებულ ქალაქში შვედი განგსტერი (ე.ი. მოთხრობისეული ოლე ანდრესონის ერთგვარი სახესხვაობა) ელოდება მკვლელებს, რომლებიც საგანგებოდ ჩამოსულან ნიუ-ჯერსიში მასთან ანგარიშსწორებისათვის. რაც შეეხება ქალს, ეს არის ამ შვედი განგსტერის სატრფო, სახელად კიტი, ერთი სიტყვითაც რომ არაა მინიმუმებული ჰემინგუეის მოთხრობაში.

ფილმში გამოყვანილი კიტი მომხიბლავი, ცბიერი და მარიფათიანი გოგოა, რომელსაც ფრიად ემარჯვება ხრიკები და მამა-ძალღობა. მის ჟუჟუნა თვალებს არაფერი გამოეპარება, მაგრამ ქურდულ სამყაროში გამინაურებულმა ქალმა ენაზე კბილის დაჭერაც იცის.



ფრენკ სინატრა და ავა გარდნერი

ავა გარდნერმა საუცხოოდ გაართვა თავი როლს. მისი პარტნიორი იყო ოცდაცამეტი წლის დებიუტანტი, შემდგომში სახელგანთქმული ბერტ ლანკასტერი, რომელსაც მანამდე გა-

მოუცვლია უამრავი ხელობა – აკრობატისა, ნოქრისა, მაძებრისა, ოფიცინტისა და ა.შ.

რეჟისორი რობერტ სიომმაკი ახალბედა მსახიობებს ისეთი მონივნებით ეპყრობოდა, თითქოს კინოვარსკვლავებთან ჰქონდა საქმე. თუკი ისინი ცოტას გადაამლაშებდნენ, მშვიდად უხსნიდა, რომ კინოკამერა – ესაა გამადიდებელი შუშა და ემოციების გაზვიადება საჭირო არ არისო. სანდომიანი რჩებოდა მაშინაც კი, როდესაც უკმეხი უნდა ყოფილიყო.

ამ ფილმის შემდეგ ავა გარდნერი და ერნესტ ჰემინგუეი დამეგობრებულან. მეტი არაფერი იფიქროთ! ყვითელი პრესაც კი ალიარება, მართალია მწერალს ხშირად ეზმანება ავას მშვენიერი ფიგურა, მაგრამ ისინი საყვარლები არ გამხდარანო.

ჰემინგუეი თავის რეპორტაჟში ესპანეთში მოგზაურობაზე („სახიფათო ზაფხული“) მოგვითხრობს, რომ 1954 წლის მაისში მადრიდის სასტუმროში ეწვია პოპულარული ესპანელი მათადორი ლუის მიგელ დომინგინი. საშინლად გამოიყურებოდაო, ამბობს მწერალი და იქვე დასძენს, როდესაც იგი ფორმაშია, სანახევროდ დონ-ჟუანსა ჰგავს, სანახევროდ – ჰამლეტსო. იმ საღამოს კი პირ-გაუპარსავი, ქანცგანყვეტილი, გამხდარი და დათრგუნული ყოფილა. საავადმყოფოში იწვა ავა გარდნერი, რომელსაც აწუხებდა სასტიკი ტკივილები, გამოწვეული რაღაც კენჭებით, სხეულიდან რომ გამოდიოდნენ თუ პირიქით – ვერ გამოდიოდნენ.

ჰემინგუეი წერს: „მერე შეეიტყვე, რომ მიგელი ლამებს უთევდა ავას და აკეთებდა ყველაფერს, რაც უნდა გაეკეთებინა ექიმს ანდა მომვლელ ქალს ტკივილის გასაყურებლად. ავა მეც მოვიჩახულე და მან თავად მიაშბო, როგორ გულისამაჩუყებლად უვლიდა მიგელი“.

თვალწარმტაც ავა გარდნერს, თურმე, ჭკუაც საკმაოდ უჭრიდა. 1957 წელს წაუკითხავს „ფისსტას“ კინოსცენარი. დაიწუნა და თავისი აზრი მოახსენა ჰემინგუეის, რომელმაც გაიზიარა მისი შეფასება. გაერთიანებული ძალებით აიძულეს სცენარისტი, რომ გადაემუშავებინა მასალა.

ამ ფილმში ავა გარდნერმა შეასრულა ლედი ბრეტ ემლის როლი (მანამდე გადაუღეს ჰემინგუეის კიდევ ერთ კინოვერსიაში. ეს იყო „კლიმანჯაროს თოვლი“).

ავა გარდნერი ამტკიცებდა, რომ კინოვარსკვლავობა სულაც არ ნიშნავს განცხრომას, მოცალეობას, პიკანტურ სკანდალებსა და ფერად-ფერად თავგადასავლებს. კინოვარსკვლავობა დილის ექვს საათზე გაღვიძებას და ცამეტსაათიან სამუშაო დღეს ნიშნავსო.

ჯეინ უეინი თავის წიგნში „ავას მამაკაცები“ აღნიშნავს: „ის ცხოვრობდა ლონდონში, მაგრამ არასოდეს უცდია ჩვენზე მოეხდინა შთაბეჭდილება ყალბი ბრიტანული აქცენტით. არც იმას გვარწმუნებდა დაჟინებით, მითქმა-მოთქმა ჩემი რომანების შესახებ მტკნარი სიცრუე არისო. მას სძულდა პრესა, მაგრამ არ კიცხავდა ჟურნალისტებს, მის ეროტიკულ ისტორიებს რომ ეტანებოდნენ“.

სამოცდაშვიდი წლისა გარდაცვლილა ლონდონში.



მეტსახელად „ყასაბი“

იცნობდეთ – სეროვი ივანე ალექსანდროვიჩი (1905-1962), გენერალ-პოლკოვნიკი, საბჭოთა კავშირის გმირი, „კაგებეს“ თავმჯდომარე 1954-58 წლებში, „გერეუს“ (საბჭოთა სამხედრო დაზვერვა) უფროსი 1958-62 წლებში.

შთამბეჭდავი ანკეტაა, არა? ახლა იმასაც შეიტყობთ, თუ რატომ შეარქვეს „ყასაბი“.

როგორც ამტკიცებენ, 1937 წლის 12 ივნისს სეროვი თავისი ხელით დახვრიტა მარშალი ტუხაჩევსკი და მისი რამდენიმე კოლეგა.

განსაკუთრებით გაითქვა სახელი 1940 წელს ანტისაბჭოთა მოძრაობათა ჩახშობით ესტონეთში, ლატვიასა და ლიტვაში; და იმავე ქვეყნებში ხელმეორედ იგივეს აკეთებდა 1944-47 წლებში. მონაწილეობდა კატინის ტყეში პოლონელ ტყვე ოფიცერთა ამოწყლელტაში. უშუალოდ ადევნებდა თვალს მასობრივ დეპორტაციებს ჩრდ. კავკასიიდან (1944 წ.).

1945 წლის მაისში სეროვი ჩავიდა გერმანიაში, სადაც ჩამოაყალიბა შინაგან საქმეთა კოლოსალური აპარატი, რომელიც აკონტროლებდა პოლიტიკურ პარტიებს, პროფკავშირებს, ეკლესიას და ენერგიულად წარმართავდა გასაბჭოების პროცესს.

ერთი სიტყვით, ყველგან იყო, სადაც „ცხელოდა“.

... დადგა 1956 წელი. უნგრეთში რევოლუცია მნიშვნელოვანად. ოქტომბრის თვეში სეროვი გაფრინდა ბუდაპეშტში ვითარების გამოსასწორებლად.

23 ოქტომბერს ჩატარდა სტუდენტთა გრანდიოზული დემონსტრაცია. ბუდაპეშტის ქუჩებში სხვებიც გამოვიდნენ. სულ ქვენებოდა დაახლოებით 250 ათასი კაცი. ისინი მოითხოვდნენ თავისუფალ არჩევნებსა და საბჭოთა ჯარების გაყვანას უნგრეთიდან. სალამოს ცხრა საათზე უნგრეთის სახელმწიფო უშიშროების თანამშრომლებმა მშვიდობიანი დემონსტრაციის რამდენიმე მონაწილე მოკლეს რადიოს სახლთან. ხალხმა იარაღს მოჰკიდა ხელი.

ასე დაიწყო რევოლუცია, რომელსაც საბჭოთა კავშირში „კონტრრევოლუცია“ უწოდეს.

უნგრელებმა კვარცხლბეკიდან ჩამოაგდეს სტალინის ვეებერთელა ძეგლი (სხვათა შორის, საერთაშორისო სტალინური პრემიის ლაურეატმა, უნგრელმა მწერალმა ტამაშ აცელმა ძეგლის ნამსხვრევებიდან დაითრია ბელადის ცხვირი და ლონდონში გადახვეწილმა აუქციონზე ფანტასტიკურ ფასად გაყიდა).

იმავე სალამოს საგანგებო სხდომა გაიმართა შინაგან საქმეთა სამინისტროში, სადაც სეროვი წარადგინეს, როგორც ახალი საბჭოთა მრჩეველი, მაგრამ გვარი არ უთქვამთ. სეროვი შეკრებილთ განუცხადა: „ფაშისტებსა და იმპერიალისტებს თავიანთი დამკვერელი ძალები გამოჰყავთ ბუდაპეშტის ქუჩებში, ხოლო თქვენი ქვეყნის შეიარაღებულ ძალებში გამოჩნდნენ ამხანაგები, რომლებიც ყოყმანობენ, ვერ გადაუწყვეტიათ მათ წინააღმდეგ იარაღის გამოყენება“.

ბუდაპეშტის პოლიციის უფროსმა შანდორ კოპაჩიმ, მოკლე ხანში აჯანყებულთა მხარეზე რომ გადავიდა, სეროვს დაუყოვნებლივ გასცა პასუხი: „ამხანაგმა მრჩეველმა მოსკოვიდან, რო-

გორც ჩანს, ჯერ ვერ მოასწრო ჩვენს ქვეყანაში შექმნილი ვითარების შესწავლა. უნდა მოვახსენო მას, რომ დემონსტრაციებზე გამოვიდნენ არა ფაშისტები და იმპერიალისტები, არამედ ჩვენი სტუდენტები, მუშათა და გლეხთა საუკეთესო შვილები, ჩვენი ინტელიგენციის ნალები. და ისინი მოითხოვენ თავიანთი კანონიერი უფლებების განხორციელებას“.

თურმე მეოთხედი საუკუნის შემდეგაც კი შანდორ კოპაჩის ვერ დაევიწყებინა სეროვის ფოლადისფერი თვალების დაჟინებულობა და გამანადგურებელი მზერა.

3 ნოემბერს უნგრეთის თავდაცვის მინისტრი პალ მალეტერი მოსათათბირებლად მიიწვიეს საბჭოთა ჯარების შტაბში. მერე გაუმართეს ბანკეტი. მორიგ სადღეგრძელოს რომ წარმოთქვამდნენ, მაუზერის ქნევით შემოიჭრა სეროვი „კაგებეს“ ოფიცერთა მრავალრიცხოვანი ამალის თანხლებით. სეროვი უნგრელ სამხედროთა მთელი დელეგაცია დააპატიმრა და ბრძანა, რომ თითოეული მათგანი ცალ-ცალკე ჩაეკეტათ კამერებში.

4 ნოემბერს დილით პრემიერ-მინისტრი იმრე ნადი რადიოთი უკანასკნელად მიმართავს უნგრეთს: „დღეს განთიადისას საბჭოთა ჯარებმა დაიწყეს შეტევა ჩვენს დედაქალაქზე იმ მიზნით, რომ დაამხონ უნგრეთის დემოკრატიული მთავრობა. ჩვენი ჯარები ანარმობენ ბრძოლას. მთავრობა რჩება თავის პოსტზე. მე მინდა, რომ ეს იცოდეს უნგრელმა ხალხმა და მთელმა მსოფლიომ“.

ძალევი უთანასწორო იყო... იმავე დღეს იმრე ნადმა და რამდენიმე მინისტრმა თავი შეაფარეს იუგოსლავიის საელჩოს.

სეროვი ხელმძღვანელობდა იმ ყველაზე თვალსაჩინო „კონტრრევოლუციონერთა“ დაპატიმრებას, ვინც ვერ მოასწრო პოლიტიკური თავშესაფრის პოვნა ანდა გაქცევა საზღვარგარეთ. მათ შორის აღმოჩნდა ზემოხსენებული შანდორ კოპაჩიც. სეროვი თავი წარუდგინა: კაგებეს თავმჯდომარე ვარო. მერე შეახსენა 23 ოქტომბრის შეხვედრა და ხმამაღლა შეჰპირდა: „მე შენ ჩამოგკიდებ ბუდაპეშტის ყველაზე მაღალ ხეზე“ (ღვთის წყალობით, ეს დაპირება ვერ შეასრულა).

ნორმან პოლმარის და ტომას ალენის „შპიონაჟის ენციკლოპედიაში“ ვკითხულობთ, რომ „გერეუსი“, სეროვის უფროსობის დროს, გაიფურჩქნა კორუფცია. ამერიკელ მკვლევართა სიტყვით, ეს იყო ერთადერთი პერიოდი საბჭოთა სამხედრო დაზვერვის ისტორიაში, როდესაც „გერეუს“ ოფიცრები ნებყოფლობით თანხმდებოდნენ თანამშრომლობას დასავლეთის სპეცსამსახურებთან. სეროვის მმართველობისას „ჩავარდნები“ მკვეთრად აღემატებოდა წარმატებებს.

1962 წელს, მიზეზთა და მიზეზთა გამო, სეროვი მოხსნეს თანამდებობიდან და ყველა ჯილდო ჩამოართვეს.

ოლეგ გორდიევსკისა და კრისტოფერ ენდრიუს ნიგნში „კაგებე. ლენინიდან გორბაჩოვამდე“ აღნიშნულია, რომ სეროვი, მძიმე „ზაპოის“ შემდეგ თავი მოიკლა არბატის ერთ-ერთ ეზოში.

ხრუშჩოვი თავის მეშუარეობაში ახასიათებს სეროვს, როგორც უბრალო და მიაძიგ ადამიანს.

ქრონიკა

1 მაისს საქართველოს ეროვნული ბიბლიოთეკის დარბაზში ბაკურ სულაკაურის გამომცემლობამ 2005 წლის „თხუთმეტი საუკეთესო მოთხრობის“ წარდგინება მოაწყო. ეს გამომცემლობა უკვე მესამე წელია თავისებურად აჯამებს ქართული პროზის ერთი ჟანრის (მოთხრობის) ყოველწლიურ მოსავალს და აქედან თხუთმეტი საუკეთესო ნიმუშს საზოგადოებას ხარისხიანად გამოცემული კრებულის სახითაც წარუდგენს. შეიძლება ვიკამათოთ რამდენად სწორადაა შერჩეული საუკეთესოდ მიჩნეული ნიმუშები, ასევე ეჭვი შევიტანოთ ითვალისწინებს თუ არა გამომცემლობა წლის სრულ მონაგარს, მაგრამ უდავოა ასეთი ტიპის კრებულ-

თა და პრემიათა მნიშვნელობა თანამედროვე სალიტერატურო პროცესებისა და განსაკუთრებით იმ ქართველი მწერლებისთვის, რომელთაც პრემიებითა და კონკურსებით, რამდენიმე ენთუზიასტი გამომცემლობისა თუ ბიზნესმენის გარდა, არავინ ანებივრებს.

წელს სამი საუკეთესო მოთხრობის ავტორს საგანგებო ფულადი პრემიაც გადაეცა. ხუთასი, სამასი და ასი ლარის მფლობელები ამჯერად კოტე ჯანდიერი (მოთხრობისათვის „გლობალიზაცია“), ნიკუშა ანთაძე (მოთხრობისათვის „რამდენიმე ერთი გაკვეთილი“) და ანა კორძაია-სამადაშვილი (მოთხრობისათვის „ისტორიული მესხიერება“) გახდნენ.